ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 25 ივნისი 2010 №13(117)

რა იცოდა მამაჩემმა
ასომთავრულის მაგია
აი, ასეთი რობერტ სტურუა
ლანა ედიბერიძის პოეტური დებიუტი
ვახტანგ ბახტაძე გელა ჩორგოლაშვილზე
სალომე კაპანაძე ჟაკლინ სირაძეზე
ნინო ჩხიკვიშვილი ოთარ ჩხეიძეზე
ინტერვიუ ბაჩანა ბრეგვაძესთან
გივი ალხაზიშვილის ლექსები
დიალოგი ვაცლავ ჰაველთან

შინაარსი

წარსული მომავლისათვის	2	**როსტომ ჩხეიძე ასომთავრულის მაგია** (თამაზ ჩხენკელის ანბანოლოგიური ძიებანი)
პერსონაჟი და მკითხველი	7	**ლევან ლორია ამბავი, რომელიც დაჩით დაიწყო**
ექსპრეს-ინტერვიუ	8	**ბაჩანა ბრეგვაძე „სიყვარული და არა ომი“** (მოამზადა ნატა ვარადამ)
პროზა	9	**ზურაბ ლავრელაშვილი ქალაქი მტვერში**
პოეზია	24	**გივი ალხაზიშვილი შემოთენება და სხვა ლექსები**
	28	**ნუკრი ბერეთელი კადრები ჯვარცმად და სხვა ლექსები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	31	**ბორუტებასთან დაუთმოგლობა** (საუბარი ვაცლავ ჰაველთან)
რეპორტაჟი	36	**ეკა ბუჯიაშვილი აი, ასეთი როგერტ სტურუა**
კრიტიკა	40	**სალომე კაპანაძე ხელოვნების კრიზისი ინტელექტუალური დრამის კოლიზიებში** (ჟაკლინ სირაძის დრამატურგიული თხზულება „ხელოვანის გზა“)
ეპისტოლე	42	**ნინო ჩხიკვიშვილი თქვენი და ჩემი მასწავლებელი** (ღია ბარათი ჯემალ ინჯიასა და ზაურ წაქაძეს)
ისტორიის თეთრი ლაქები	44	**ვახტანგ ბახტაძე „მართალს მართლად უბნოგ“** (გელა ჩორგოლაშვილის წიგნის „სინანულის გადასახედის“ გამო)
სემინარი: სამი ისტორია	49	**პასუხისმგებლობა და მოვალეობა**
ახალგაზრდები, აწ კი თქვენ	53	**ლანა ედიბერიძე გახედე!.. სადღაც ცა უნდა იყოს... და სხვა ლექსები**
პირველი შთაბეჭდილება	55	**მარინე ტურავა ნათელი, გამჭვირვალე ლექსები** (კოტე კაკიტაძის „წვიმის შემოქმედება“)
ახალი თარგმანები	56	**ფარნა-ბექა ჩილაშვილი რა იცოდა მამაჩემმა**
გამოხმაურება	58	**თემო ჩიტაძე ეგეგ დროდადრო კვლავაც**
ახალი წიგნები	59	**თამარ ღონღაძე პოეზიის იდუმალი ციხესიმაგრე** (მიხეილ ჩიკვილაძის პოეტური კრებული)
იზარდე, მწვანე ჯეჯილო	60	**თეკლე ჯანელიძე კიდევ ერთი შეგნებული დღე** (შეხვედრა ნორჩ შემოქმედებთან)
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საჯარითველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: (995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: (995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **თეკლე ჯანელიძე, ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი**

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 9 ივლისს

როსტომ ჩხეიძე

ასომთავრულის მაგია

თამაზ ჩხენკელის ანბანოლოგიური ძიებანი

– ლაზარე, გამოვედ გარე!

სახარების ეს ფრაზა უამრავჯერ მოუხმიათ და, მათ შორის, მესიანისტური სულისკვეთებით აღვსილი ჰიმნოგრაფიული ძეგლის – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ – ანალიტიკური შესწავლისას, რადგანაც ქართული ენის შედარება ლაზარესთან, ერთის აღორძინების გაიგივება მეორის მკვდრეთით აღდგომასთან, თავისთავად იწვევდა ახალი აღთქმის ამ პერსონაჟის ბიოგრაფიაში შეღწევის წადილს, სწრაფვას მისი სილუეტის გამოსაკვეთად სულ ორიოდე დეტალზე დაყრდნობით... მაგრამ სხვა რა გზა იყო, უფრო მეტს არ გვიმხელდა სახარების ეპიზოდი.

იდუმალება მსჭვალავს ამ სიმბოლურ გაიგივებას.

იდუმალება მსჭვალავს მთელს ტექსტს.

და თამაზ ჩხენკელსაც ეს სიმბოლიკა გადაექცეოდა თავსატეხად, ქართული ენის რაობასა და თავისებურებებს რომ ჩაუკვირდებოდა და ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობის გარემოებებსა და მისი გრაფიკული აგებულების შინაგან მოტივებს ჩაუღრმავდებოდა.

საბოლოოდ კი ამ სტრიქონში მოაქცევდა მრავალწლიან ძიებათა ნაყოფს, იესო ქრისტეს მიმართვაში ოთხი დღის მკვდარი ჭაბუკისადმი: შენი გაცოცხლების ჟამი დამდგარა და რაღას ელოდები, დაუბრუნდი სამზეოსო.

„ლაზარე, გამოვედ გარე!“ – ახლა უკვე წიგნის სათაურადაც.

ოღონდ მანამდე...

* * *

სერგეი ავერინცევი ამ პასაჟს რომ იმოწმებს დიდაქტიკური შინაარსის ეგვიპტური ტექსტიდან:

– გული დავუდოთ წიგნებს და შევიყვაროთ ისინი მშობელ დედასავით, რადგან არაფერია წიგნზე უმაღლესი.

დასძენს: წიგნების ეს ქება ძალიან ადვილი შესაძლებელია გავიგოთ როგორც საერთოდ სულიერი კულტურის ქებაო.

განა რა მოხდა, ასეც რომ აღვიქვათ?

წიგნი რა – სულიერი კულტურის სიმბოლო არ არის?

მაგრამ რუსი სწავლულისათვის ამჯერადაც და საერთოდაც მიუღებელია „წიგნების“ მექანიკური ჩანაცვლება რომელიმე აბსტრაქტული ცნებით, „მეცნიერება“ იქნება, „სიბრძნე“, „განსწავლულობა“ თუ „ცოდნა“, რაკიღა წიგნები მის თვალთახედვაში არც მეცნიერებაა და არც განსწავლულობა, არამედ:

– წიგნები წიგნებია, და თვითონ მათი საგნობრიობა, მათი ნივთიერება, მათი წიგნური „ხორცშემოსილება“ უნდა აღვიქვათ როგორც სიწმინდე და როგორც საიდუმლო ძალთა მატერიალიზაცია.

ავერინცევი მარტოდენ ზოგად შეხედულებას კი არ გამოხატავს, ნიშანდობლივს ამა თუ იმ ერისა ამ ეპოქისათვის, არამედ პირად განცდებს გადმოშლის, საკუთარ აღქმას გვიცხადებს, ღრმადპიროვნულს, და არა გარედან დამკვირვებლისა, და ამიტომაცაა მისი მსჯელობა ასერიგად ემოციური და გასხივოსნებული წიგნთან შეხების მისტერიით.

მისთვის ეს სწორედაც მისტერიაა, ამ უბრალოებით მადლმოსილი: წიგნები წიგნებია.

არ სჭირდება რაიმე დამატება, დახუნძვლა, შემკობა. რაც არის, ეს არის – როგორც მიწაა მიწა, ზეცა – ზეცა და მზე – მზე...

ხოლო როდესაც ეზეკიელის წინასწარმეტყველებიდან მოიხმობს ზებუნებრივი ინიციაციის ამ სურათს, წინასწარმეტყველად ხელდასხმულთ რომ უჩვენებენ ორივე მხარეზე დაწერილ გრაგნილს და მის შეჭმას უბრძანებენ („ძეო კაცისაო, პირმან შენმან ჭამოს და მუცელი შენი აღივსოს მატიანითა ამით, მოცემულითა შენდა და შეჭამე იგი“), და დასძენს: განსაცვიფრებელია თვითონ ეს გრძნობითი კონკრეტულობა, სრულიად წარმოუდგენელი ჩვენი წარმოსახვისათვისო, – სტრიქონსა და სტრიქონს შუა აშკარად გამოსჭვივის წამიერი განაფიქრი: პირადად ჩემი წარმოსახვისთვის სრულიადაც არ არის წარმოუდგენელი „მუცლის აღვსება“ წიგნის მატერიალური გარსით, წიგნის სხეულის შეგრძნება საკუთარი სხეულის შიგნითო.

რომაელი ჯარისკაცები ცოცხლად რომ დაწვავდნენ ერთ ახლოაღმოსავლელ მწიგნობარს თავის გრაგნილთან ერთად, თურმე მოწაფეებს ეკითხათ მისთვის: რას ჭვრეტო? – და მას მიეგო: გრაგნილი იწვის, თუმც ასოები ცად მიფრინავენო.

– ჩაფერფლილი წიგნის ლიტერები ცად ამაღლებული, ცოცხალი, უსხეულო ფრთოსანი არსებებია.

ეს უკვე სერგეი ავერინცევის დასკვნაა, ოღონდ მისთვის მთავარია არა ზოგადსაკაცობრიო იდეის შემოსვა ზოგადსაკაცობრიო ფორმით, არამედ ნიშანდობლივი თავისებურება: არა აზრის, „სულის“ ან „გონების“ უკვდავება, არამედ „ასოთა“ უკვდავება („ცეცხლში დანაცრებული გრაგნილის ნივთობრიობისაგან გაძარცული და სხვა სფეროებში ამაღლებული ტექსტი ამისდა მიუხედავად ასოებისაგან შემდგარ ტექსტად რჩება“).

ის, რაც მახლობელია ეგვიპტური და ებრაული კულტურებისათვის – მხრებში მოხრილი მჩხრეკელის პოზა და არა ორატორის ცოცხალი ჟესტიკულაცია და ლაღი მიმოხრა – შეუთავსებელია სხვა წანამძღვრებზე ამოზრდილი ელინური კულტურისათვის. და თუ ეგვიპტური ღმერთი თოთი მჩხრეკელი და მწიგნობარია, ბერძნული ოლიმპოს ბინადარნი – პოეტების ღვთაება აპოლონი და მჭევრმეტყველთა ღვთაება ჰერმესი – ზეპირი სიტყვის უფალნი არიან.

და როდესაც შემდგომ შეეცდებოდნენ ჰერმესი გაეიგივებინათ თოთისათვის და მიეწერათ ჰერმესისათვის თავისი ეგვიპტელი ორეულის დიდება – დამწერლობის გამოგონება, ეს მოტივი საკმაოდ ყრუდაა გამოხატული ბერძნულ მითოლოგიაში, რადგანაც ჰერმესის ტრადიციულ სახეს ვერ შეეთვისა და ვერც შეეთვისებოდა.

ბერძნები კმარობდნენ იმის აღნიშვნას: ასოები აღმოსავლეთიდან შემოიტანა ფინიკიელმა კადმოსმაო.

მკვლევარისათვის მეტად საგულისხმო რეალიაა, რომ ქრისტიანთა ღმერთი გრაგნილითაა გამოსახული, რადგა-

ნაც ქრისტიანები იმთავითვე წიგნის შემთხზველნი და მკითხველნი იყვნენ, და ეკლესიამ რამდენიმე საუკუნით ამიტომაც გაუსწრო წარმართულ სამყაროს, რომ წიგნის ბევრად უფრო პრაქტიკულ და პერსპექტიულ ფორმაზე გადავიდა – კოდექსზე.

ამასობაში მსჯელობის მიმდინარეობისას დგება ანბანის ხსენებისა და დანიშნულების განსაზღვრის დროც, ამ მეცნიერულ ფორმულაში მოქცეული:

– თუკი „წერილის“ სიწმინდისადმი რწმენა მწიგნობრობის ყველა ატრიბუტს საპატიოდ ხდიდა, ანბანის მაგიურობისადმი რწმენა მათ იდუმალებით მოსავდა.

ავერინცევს ძალდაუტანებლად აგონდება, რომ ისიდორე სევილიელი ბერძნული ანბანის, მეტი რომ არ ითქვას, ხუთ ასონიშანს (ალფა, თეტა, ტაუ, იპსილონი, ომეგა) მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა; ადრეული ნეოპლატონიკოსები კი ამგვარადვე გამოყოფდნენ თავიანთი ჭვრეტისათვის ცალკეულ, „პრივილეგირებულ“ ასონიშნებს – მაგალითად, ეპსილონს („სამართლიანობის სასწორი“) ანდა იმავე იპსილონს („ფილოსოფოსთა ასონიშანი“); და საგანგებოდ გამოარჩევს გვიანი ანტიკურობის ბერძენი „ოკულტისტის“, ალქიმიკოს ზოსიმეს შეგონებას:

– ორნაკვთიანი, მორკალური ასო ომეგა, – ხორცშესხმული გამოთქმის თანახმად, მეშვიდე ანუ კრონოსის სარტყელს შეესაბამება, რამეთუ, უხორცო გამოთქმის თანახმად, იგი არის აღმოუთქმელი რამ, რაც უწყის ერთიანმა ნიკოფეოს იდუმალმა.

როდესაც ზოსიმე მკითხველს ნიკოფეოს იდუმალთან აგზავნიდა რჩევის მისაღებად, იმჟამად ყველას მოეხსენებოდა, სად მოეძებნათ ეს პიროვნება თუ ეს წყარო, მაგრამ ავერინცევამდე არ მოეღწია ამ წყაროს და სად ეძია, სად მიეკითხა, სად მოეპოვებინა ის დაზუსტება, რაც ზოსიმეს ფრაზის შინაარსს, ცოტა არ იყოს ბუნდოვანს, გაუნათებდა და ცნობისწადილსაც დაუშოშმინებდა, თორემ უამისოდ ალღოთი კი ხვდება, რაღაც მნიშვნელოვანი რომ არის ჩათქმული ომეგას გრაფიკულ მოხაზულობაში, მაგრამ ალღოს რაღაც ხელმოსაჭიდიც სჭირდება, სულ ერთი ბეწო, ერთი ფიორი...

თამაზ ჩხენკელისათვის მთავარი სწორედ ეს პასაჟი გახლდათ, სერგეი ავერინცევის მთელი ამ მსჯელობის სათარგმნელად რამაც უბიძგა – ანბანის მაგიურობა, ასონიშანთა მისტიკური წარმომავლობა... თუმც ისედაც ვერ მოუთმენდა გული, წიგნის სადიდებელი სტრიქონებიც არ გადმოეღო, მისი ისეთი შეგრძნება მკითხველის მიერ, რაც თითქოს გარდასულ ხანაში დარჩენილიყო და ჩვენ მხოლოდ გადმოცემით უნდა გვცოდნოდა ამ განცდის არსებობა.

როგორც ოდესღაც ენქიდუმ დაკარგა ცხოველთა ენის ცოდნა, ჩვენც ისევე შემოგვძარცვოდა წიგნული ხორცშემოსილება და მის საიდუმლო ძალთა მატერიალიზაციის გამოცდა საკუთარ თავზე. თუმც უკლებლივ ყველასაც არა.

და ავერინცევს იმ გარდასული ჟამის ნაშიერად რომ ამოეყო თავი სულ სხვა სინამდვილეში, თამაზ ჩხენკელიც გააცნობიერებდა, რომ ეს შეგრძნება თურმე არც მისთვის ყოფილა უცხო და მარტოდენ გონებით აღსაქმელი.

ამიტომაც მოაქცევდა ამ მსჯელობას ქართულ ენობრივ სამოსელში და რუსი სწავლულის აპოლოგეტურ სტრიქონებს თავის ფიქრსაც ძალდაუტანებლად მიადევნებდა.

ქართული ასომთავრული ანბანის შესწავლა-გააზრების ხანგრძლივი პროცესისას სიტყვისა და რიცხვთა სიმბოლიკას გულდასმით რომ უტრიალებდა და ამაში ხედავდა, ერთი მხრივ, ანბანის მაგიურობისა და, მეორე მხრივ, იდეურ-ესთეტიკური დანიშნულებისა და თავისებურებათა საწყისსა და საფუძვლებს, არ იკმარებდა მარტოდენ ციტატებსა და მოსაზრებებს და მოინდომებდა, ქართველი მკითხველისათვის მახლობელი გაეხადა ეს სამყარო, რასაც სიმბოლიკის ერთი ნაკადი ჰქვია.

ამ ფონზე უკეთ გამოიკვეთებოდა შეხედულებათა თუ ციტატათა დამოწმებანი – გულს აღარ დააკლდებოდა მკითხველს, უშუალოდ ამ ამონარიდთა იქით, მკვლევარს რომ შემოუტანია სამეცნიერო მიმოქცევაში, ნეტა კიდევ რა იგულისხმებაო.

ასე აღდგებოდა ისტორიული ხანის ის მონაკვეთებიც, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ასომთავრული ანბანის მთელი სისავსით წარმოჩენისას.

თარგმნა უმთავრესად გამოკრებით ხდებოდა – არა თავიდან ბოლომდე ესა თუ ის ნარკვევი ან მონოგრაფიის თავი, არამედ მარტოდენ ის მონაკვეთები თუ პასაჟები, რაც უშუალოდ ეხებოდა ან რაღაც კუთხით ეხმიანებოდა მისი კვლევა-ძიების ზოგად მიმართულებას.

თარგმნის ეს მანერა საერთოდაც ჩვეულია თამაზ ჩხენკელისათვის – არა სიტყვის გამოუტოვებლად გადმოღება, არამედ რედაქტირებაც და საკმაოდ საფუძვლიანიც, ოდესღაც ექვთიმე მთაწმინდელს რომ სჩვეოდა და ეს მთარგმნელობითი მეთოდი ეფრემ მცირის მიერ ასე განსაზღვრულიყო: შემატებისა და გამოკლების აუცილებლობა თანადროული მკითხველი საზოგადოების ცოდნისა და გემოვნების შესაფერისად.

თანაავტორადაც გვევლინება ჩვენი სულიერი მამა ყველა იმ ტექსტისა, რასაც მისი ხელი აჩნევია.

და ასეთივე თანაავტორია თამაზ ჩხენკელიც თითქმის ყველა იმ ესეისა თუ მეცნიერული თხზულებისა, რაც თუნდ ქართულ ანბანთან დაკავშირებულ რკალშია მოქცეული: ალექსეი ლოსევის „პლატონური მოძღვრება რიცხვზე“, თეოხარიოს კესიდის „დიონისეს რელიგია და რიცხვი“, ვიაჩესლავ ივანოვის „ორფიკული დიონისე“, რომენ როლანის „რეალურის შესამეცნებლად მისტიკური ინტროვერსიის მნიშვნელობის შესახებ“ და „ელინურ-ქრისტიანული და ინდური აზროვნების ნათესაობის შესახებ“, სერგეი ავერინცევის „სიტყვა და წიგნი“ და „ადრებიზანტიური ლიტერატურა“, აზა ტახო-გოდის „სიტყვის ქება ტრაქტატში „საღმრთოთა სახელთათვის“, ვიქტორ ბიჩკოვის „აპოლოგეტების სიმბოლიზმი“ და „სახე და სიმბოლო“.

თვითეული ეს ნიმუში თავის მნიშვნელობას ინარჩუნებდა საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციისას, მაგრამ ოდესმე აუცილებლად უნდა მოეყარათ ერთად თავი, რათა ხელშესახებად გამოკვეთილიყო მათი შინაგანი ერთიანობა. აგრეთვე, გაბმულიყო უშუალო ძაფები მთარგმნელის ანბანოლოგიურ ძიებებთან, რათა ერთიმეორე შეევსოთ და მკითხველს თვალწინ გადაშლოდა სრული სურათი იმ კაცის ხელით, ვისაც ისერიგად გამახვილებია კომპოზიციის

გრძნობა, რომ ამ ყოველივეს კარგად გააზრებულ ქარგას გამოუძებნიდა და ერთიან ჩარჩოშიც მოაქცევდა.

ძიებათა შუაგულში კი პეტრე იბერის აჩრდილი ამოიმართებოდა, ჯერ კიდევ შალვა ნუცუბიძეს რომ დაემკვიდრებინა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, როგორც ფსევდო დიონისე არეოპაგელის ნიღაბს ამოფარებული და მსოფლიო კულტურული მდინარების ერთ-ერთი გარდამტეხი ჟამის მთავარი გმირიც და რენესანსული აზროვნების იდეური განმსაზღვრელიც.

შორს რომ აღარ გავუყვეთ, თვით ამ წიგნიდანვე შეიძლება გადავავლოთ თვალი რომენ როლანისეულ შეფასებას იმ კაცისა, ვის ნაღვაწსაც დასავლეთის ქრისტიანული აზროვნების მონუმენტურ შენობად აღიარებდა მისი განვითარების ათი ყველაზე უფრო ძალმორჭმული საუკუნის განმავლობაში:

– დიონისე არეოპაგელის თხზულებათა განსაკუთრებული ღირსება იმაშია, რომ იგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე იშვა იმ დროს, როცა მათ ერთმანეთთან შეაუღლეს თავიანთი სინათლე, და სულერთია, ხუროთმოძღვარი დაესესხა ალექსანდრიელ ოსტატებს, თუ ამ უკანასკნელებმა ისესხეს ზოგიერთი რამ მისგან, შედეგი ერთნაირია: უმაღლესი ელინური აზროვნება დაეწინდა ყველაზე წმინდა ქრისტიანულ აზროვნებას.

აწ უკვე ქართული ანბანის შექმნაც მის სახელს უნდა დაკავშირებოდა, რაკიღა ლეონტი მროველის ცნობა – ქართული მწიგნობრობა ჩვენი პირველი მეფის ფარნავაზის ღვაწლად რომ აღიარებულიყო – თამაზ ჩხენკელისათვის მხოლოდ სიმბოლიკის ენაზე წაიკითხებოდა ბიბლიაში დადასტურებული შვიდობით-ათობითი თვლის სისტემების მოშველიებით, და ფარნავაზის თავგადასავალს რეალობად კი აღარ მიიჩნევდა, არამედ შიფრის გასაღებად, ასომთავრული ანბანის გრაფიკული აღნაგობის საიდუმლოს რომ გვაზიარებდა.

საიდუმლო კი ამ თეზისშია ჩაწურული:

– ქართულ ანბანში დაშიფრულია ქრისტოლოგიური ხასიათის ინფორმაცია, რომ ეს ანბანი არის ქრისტეს სახელზე და ქრისტეს სადიდებლად შექმნილი ანბანი, ერთადერთი ქრისტიანული ანბანი და, ამდენად, ყველა ქრისტიანის ანბანი.

ანალიტიკური, უაღრესად დეტალიზებული განსჯა და მტკიცებანი, რაც ამ დასკვნით გვირგვინდება, ყველაზე უკეთ ალბათ სახარების იმ სტრიქონით თუ დასათაურდებოდა, თამაზ ჩხენკელმა თავის ამ ორიგინალური აგებულების წიგნს რომ შეურჩია: „ლაზარე, გამოვედ გარე!“

კი მაგრამ, ასე დაბეჯითებით რომ უარყოფს ქართული ანბანის წარმართობის ხანაში შექმნის თეორიას, თვითონვე ხომ აღიარებს: ასომთავრულის უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები არქაული გვეჩვენებაო? იქნებ კი არ გვეჩვენება, არამედ მართლაც არქაულია, ხოლო ეს არქაულობა ძალდაუტანებლად მიგვიძღვის წარმართული ეპოქისაკენ?

შეუძლებელია ეს არ გაეთვალისწინებინა ან გულგრილად გადაეტარებინა, ვითომდა აღნიშვნადაც არა ღირსო. კიდეც საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა და მკითხველს ამცნობდა: არქაულობის შთაბეჭდილება ანტიკური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი თვისებაა.

– ახალს იმთავითვე უნდა შეემოსა სიძველის იერი, – ეს ღირსებად ეთვლებოდა ხელოვანს, რაკი „სიძველე“ შიშველი აბსტრაქტულობის დაძლევას გულისხმობდა. ანბანურ ნიშნებსაც დროის წიაღიდან „ორგანულად ამოზრდილის“ შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა და ასომთავრულის შემოქმედს ბრწყინვალედ აქვს გადაჭრილი ეს ამოცანა.

გარეგნული დაძველების ამ ხერხის მიკვლევა თამაზ ჩხენკელს დარწმუნებით ათქმევინებს:

– ქართული ანბანის შემოქმედი მარტო დიდი მოაზროვნე და ანალიტიკოსი კი არ არის, არამედ დიდი ხელოვანიც.

და ვალმოხდილის შეგნებით გაახედებს პეტრე იბერის მონუმენტური აჩრდილისაკენ: არ დაგიტოვე ეს ღვაწლი დაფარულიო.

მაგრამ... გარეგნული დაძველების თავისთავად საგულისხმო მეთოდის გარდა, ხომ არსებობს ნამდვილი არქაულობაც, რასაც არა სჭირდება მოაზროვნისა და ხელოვანის ხელის შეხება, რადგანაც ასეთად თვითონ დროის მდინარებამ ჩამოაყალიბა?

ცხადია, არავინ გამორიცხავს ერთბაშად მოვლენილ სრულყოფილებას – სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც თანდათანობით დაიხვეწოს ესა თუ ის საგანი, მათ შორის, ანბანი, და უშუალოდ კი – ქართული ასომთავრული, და ადვილი შესაძლებელია, დიდმა ანალიტიკოსმა და ხელოვანმა იმთავითვე მიანიჭოს ფორმის სრულქმნილება; თუმც ამ ზოგადი მეთოდის არსებობაც არ ნიშნავს, რომ უგულებელვყოთ განვითარება-დახვეწის არსებობაც... და ამ სამზერიდან ასომთავრული ანბანის პირველივე დადასტურებული ძეგლები შეგვიძლია მეფე ფარნავაზის მიერ შექმნილი „მწიგნობრობის“ გვიანდელ ნიმუშებად მივიჩნიოთ, წარმართული დამწერლობის განბანვად ქრისტიანობის ემბაზში და მის ხელახალ დაბადებად.

პეტრე იბერის ანბანშემქმნელობისათვის გზის გასაკვალად აუცილებელი გახდებოდა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ აღნიშნული ცნობის გამოცხადება მითოლოგიზებულ მოთხრობაში ჩართულ ლეგენდად და ცალკე ნარკვევი თუ თავი დაეთმობოდა ამ საისტორიო ქრონიკის მითოლოგიური შრეების გამომზეურებასა და განმარტებას სწორედ ამ თვალთახედვით, რათა მატიანეში ერთმანეთთან „პირველობის“ ნიშნით დაკავშირებული ქართლოს-ფარნავაზ-მირიანის (ქართველთა მამამთავარი – პირველი მეფე – პირველი ქრისტიანი მეფე) მაგიური სახელები, რომლებიც პირდაპირი აზრით დროთა კავშირსა და ზედროული ქართლის ურღვევ ერთიანობას ასახიერებს, ახსნილიყო არა მარტოდენ ეპოქალურ გარდატეხებზე მითითებად, არამედ თავისი ჩანაფიქრით გრანდიოზულ მეტაფორად, რომელსაც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და უნიკალური მოვლენის რეტროსპექტული ასახვა დაჰკისრებოდა.

ამ თვალსაზრისის მტკიცებისას თამაზ ჩხენკელს ხელს აძლევს ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის შეხედულებანი, ლეონტი მროველისა თუ ჯუანშერის მატიანეებს უმთავრესად ლეგენდათა კრებულებად რომ წარმოსახავდნენ. და კორნელი კეკელიძე „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს პოეტ-ისტორიკოსად რომ მოიხსენიებს, ეს ციტატა ისეთ არგუმენტადაა მოხმობილი, თითქოს არ არსებობდეს ის რწმენა, გალაკტიონ ტაბძიის მიერ პოეტურ ფორმულაში მოქცეული: წარსული არავის ესმის პოეტის გარდაო.

გადამეტებული კრიტიციზმი ვერ აქცევს საეჭვოდ საისტორიო ქრონიკის ცნობებს, მითუმეტეს, პავლე ინგოროყვას სამეცნიერო ნარკვევმა – „ძველი ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია“ – სასიკეთოდ შემოატრიალა დამოკიდებულება ჩვენი საისტორიო ქრონიკების მიმართ, იმ პავლე ინგოროყვასი, ვისაც მტკიცედ სჯეროდა: ქართული ანბანი ხეთურ-ქართველურ

იეროგლიფურ დამწერლობას დაემყარაო.

და საგულისხმოა, რომ ის, რასაც ჩვენ „ძველს“ ვუწოდებთ, „გიორგი მერჩულეს“ შემოქმედისათვის „ახალია“. დიახ, ქართული ასომთავრული მის მზერაში სწორედაც „ახალია“, და ასეც უნდა ყოფილიყო ხეთური იეროგლიფური დამწერლობის სიმაღლიდან თვალის მიმოვლებისას.

ამასთან, ანტიკური ხანის – სახელდობრ, ქრისტეს აქეთ I საუკუნის – ქართული ანბანის ხუთ ასოს რომ მიაკვლევდა, მისთვის ეს გახლდათ არა მარტოდენ ნაშთი წარმართული ასომთავრულისა, მისი არსებობის დამადასტურებელი, არამედ იმედოვნების წყაროც, რომ კვლავაც იყო მოსალოდნელი იმ ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლების მიგნება.

მეტი არა და არ გამოჩნდებოდა, მაგრამ ის ხუთი ასონიშანი, ასე დამაჯერებლად გახსნილი, ნუთუ სათვალავშიც არ უნდა ჩაგვეგდო?

თამაზ ჩხენკელი თავის მხრივ იმ გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას, რომ თუმც პავლე ინგოროყვასთვის ლეონტი მროველის ცნობის ისტორიული ღირებულება ეჭვს არ იწვევდა, იგი უშუალოდ მაინც არ ეყრდნობოდა ამ უწყებას და ამტკიცებდა: ფარნავაზის დროს ჩატარდა შევსება ქართული ანბანისა, დართვა ძველი ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვისო.

რა გამოდისო – დასძენს თამაზ ჩხენკელი – მაშასადამე, ანბანი უკვე ფარნავაზამდე არსებობდა, რაც აშკარად უგულებელყოფს წყაროს ჩვენებას, სადაც ლაპარაკია ფარნავაზის მიერ ანბანის შექმნაზე და არა შევსებაზეო.

რამაზ პატარიძე, ავტორი ვეება მონოგრაფიისა „ქართული ასომთავრული“, ვინც ასევე ეყრდნობოდა ძველი ისტორიკოსის ჩვენებას, ირწმუნებოდა: ქართული ანბანი შექმნილია არა ფარნავაზ მეფისა და საქართველოს დაარსების ხანაში, არამედ გაცილებით ადრე, და მემატიანის ცნობა („ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“) უნდა ნიშნავდეს, რომ უკვე არსებული ქართული დამწერლობა ფარნავაზ მეფემ ერთიან ქართულ სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადაო.

თამაზ ჩხენკელისათვის ეს ახსნაც სუბიექტურად გამოიყურებოდა: „შექმნა“ არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს უკვე არსებულის „გამოცხადებასო“, – მთავარი კი მისთვის სწორედ ისაა, რომ ლეონტი მროველის იმ ისტორიული ცნობის მომხრენიც ცდილობდნენ გაცდენოდნენ მის ჩარჩოებს და გამოეყენებინათ ეს უწყება დამატებით არგუმენტად. ეს კი სხვას რას მოასნავებდა, თუ არა იმას, რომ ამ პასაჟის შემორკალურ სივრცეში სული ეხუთებოდათ და მის გარღვევასაც ამიტომაც ლამობდნენ.

და თუ მომხრენიც პირწმინდად არ იმეორებდნენ საისტორიო ჩვენებას, ჯერ მარტო ეს გარემოებაც თავისთავად ხომ არ უბიძგებდა იმ გარდასული ჟამის მკვლევართ, ან გამიჯვნოდნენ იმ ცნობას, ანდა სულ სხვაგვარად წაეკითხათ? სხვაგვარი წაკითხვა კი შიფრის გახსნას გულისხმობს, ნაგულისხმევი თუ არარსებული სიმბოლიკის წიაღში ჩაძირვას.

საფრთხილოც ესაა და საცთურიც – ქარაგმის, შიფრის, სიმბოლიკის დანახვა იქ, სადაც არ უგულისხმიათ, ტექსტზე ძალდატანებას კი ყოველთვის ნაირნაირი თეორია მოჰყოლია, მაგრამ ადრე თუ გვიან განქარებულა ყველა ეს მტკიცება.

მაგრამ სადაც არსებობს და გასამჟღავნებლად მხოლოდ ჩაკვირვება და ალღო ესაჭიროება?

ცოდვა არ არის, დაფარული რჩებოდეს?

ეს განცდა აიყოლიებდა თამაზ ჩხენკელსაც და ფარნავაზის მიერ მწიგნობრობის შექმნა პეტრე იბერის მიერ ასომთავრული ანბანის შექმნად ამიტომაც დაესახებოდა; ხოლო ვისაც არ ეჭაშნიკებოდა მეფე ფარნავაზის გამოცხადება მარტოდენ შიფრისა თუ ქარაგმის გასაღებად, დაე თავი ენუგეშებინათ იმ მითოლოგიური თეორიით, რომლის მიხედვითაც, ნაპოლეონ ბონაპარტე არარსებულად მიიჩნეოდა, მზე-ღმერთის სიმბოლიკის თავისებურ გამოვლენად.

რას იზამ, ასეთი მაცთურია ყველგან სიმბოლოებისა და შიფრის ძიება, აქამდეც კი შეიძლება მიიყვანოს მკვლევართა მთელი დასიც კი.

ისე თუკი თეორიულმა მტკიცებამ თვით ნაპოლეონი გამოაცხადა მხატვრული წარმოსახვის ნაყოფად, მთელი მსოფლიოს თვალწინ მდგარი სამოღვაწეო ასპარეზზე, მემუარისტთა და ისტორიკოსთა ნაწერების გაცნობას რომ ვეღარც აუხვალ და მისი ბიოგრაფია ძირისძირობამდეა შესწავლილი და გამორკვეული, რა გასაკვირია, ფარნავაზი სულ იოლად გაიმეტოს – ერთადერთი საისტორიო წყაროს იმედად დარჩენილი. მითუმეტეს, მონდომებული ადამიანი ჩვენი პირველი მეფის ბიოგრაფიასაც მზის მოძრაობას შეუხამებს და ამ მითოსის ნაირსახეობად დაადგენს.

არა მაინც, არის თუ არა ლეონტი მროველის „ფარნავაზი“ პეტრე იბერის ქარაგმა?

და თუ არ დადასტურდა, ჰკარგავს თუ არა მეცნიერულ ღირებულებას თამაზ ჩხენკელის ანბანოლოგიური ძიებანი? ერთბაშად გამოეკიდება თუ არა ჰაერში საკმაოდ ლოგიკურად და დამაჯერებლად აგებული მტკიცებანი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურისა და თვლის შვიდობითი სისტემის ირგვლივ შენივთებული? დააინტერესებს თუ არა ვინმეს მოჩვენებითი საბუთიანობით წარმართული მსჯელობა, რომლის დასკვნებიც თურმე კი არ დააახლოებს ქართული ანბანის წარმოშობის სათავესთან, არამედ უფრო დააშორებს?

მაგრამ მაშინაც კი შთამბეჭდავი იქნება ასომთავრულის გეომეტრიული აგებულების ესთეტიკური ბუნების ანალიზი, მისი გრაფიკული გამომსახველობის ნიუანსობრივი წარმოჩენა, თანაც ისეთ მომხიბლავ ენობრივ-სტილურ ქსოვილში მოქცეული, კიდევ ერთ თვალსაჩინო ნიმუშად რომ გვრჩება, თუ სტილის როგორი გრძნობა და ხელოვნება ევალება მეცნიერსაც.

სტილის არტისტიზმი მარტოდენ ესეისტსა თუ ლიტერატურული პორტრეტების შემქმნელს არ მოეთხოვება, სამეცნიერო ნარკვევთათვისაც არანაკლებ აუცილებელია; და რაც უფრო რთულია პრობლემა და გარეგნულად საკმაოდ მშრალიც, მითუფრო მიმზიდველი უნდა იყოს თხრობა, რათა მკითხველმა აზრის მოძრაობის შუაგულში ამოჰყოს თავი.

შემთხვევით არ უკიდია კედელზე თამაზ ჩხენკელს პავლე ინგოროყვას ფოტოსურათი.

ის არამარტო ზნეობრივი ფიგურა, გაუტეხელი მეციხოვნეა მისთვის, მეცნიერული თავდადების სიმბოლო და წარსულის ცოცხლად დამნახავი, არამედ სტილურ ძიებათა ორიენტირიც, და თუმც ამ მხრივ უშუალო გავლენის კვალი არ მოჩანს მათ ნაწერებს შორის, „ტრაგიკული ნიღბების“ შემოქმედი მისი მონოგრაფიებითაა შთაგონებული და მის გზაზე შემდგარი სტილურ-კომპოზიციურ დახვეწილობაზე ზრუნვითაც.

ალექსეი ლოსევის სიტყვებს: ჩემთვის ძვირფასია მკაცრ სისტემატიზაციასთან შერწყმული მხატვრული ხილვაო, – თამაზ ჩხენკელი ორ სხვადასხვა ლიტერატურულ პორტრეტში მოიხმობს: ერთი უშუალოდ რუს სწავლულს ეძღვნე-

ბა, მეორე კი – „გიორგი მერჩულეს“ შემოქმედს. ამ პარალელიზმით ისედაც მინიშნებულია ამ ორი მეცნიერის სულიერი ნათესაობა, მაგრამ მეტი დაბეჯითებისათვის მაინც აღნიშნავს: იგივე შეეძლო ეთქვა პავლე ინგოროყვასაცო.

მკაცრ სისტემატიზაციასთან შერწყმული მხატვრული ხილვისათვის კი სტილური არტისტიზმი ის აუცილებლობაა, ურომლისოდაც ეს ბედნიერი შერწყმა მოუხმარელ განძად იქცევა.

რა ვუყოთ მერე, რომ „ლაზარე, გამოვედ გარე!“ არ იზიარებს პავლე ინგოროყვას ანბანოლოგიურ თეორიას და სწორედ საპირისპიროს დამტკიცებას ლამობს. ეს გაკვეთილიც მისგანვე შეუთვისებია – აკი ჭეშმარიტების ძიებისას არც პავლე ინგოროყვა მორიდებია არასოდეს მისთვის ძვირფას და სათაყვანო სახელებს.

უშუალო ბიძგი კი ანბანოლოგიური ძიებებისათვის მაინც პავლე ინგოროყვას მიერ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე (1924, 1-2) გამოქვეყნებული მისტიკური ჰიმნოგრაფიული ძეგლი აღმოჩნდებოდა: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელსაც მოგვიანებით „გიორგი მერჩულეში“ სტროფებად დაჰყოფდა და მის ლექსურ აგებულებას გრაფიკულადაც გამოსახავდა.

როგორც სჩვევია მისტიკური ყაიდის ხილვებსა და აზროვნებას, ტექსტის შინაარსს ორი და სამი ნისლოვანი გარსი შემოხვეოდა, სიმბოლიკასა და მინიშნებებში ჩაძირულიყო და უამრავი გონება ამიტომაც დაშვრებოდა მისი ცალკეული სტრიქონებისა თუ რეალიების გასახსნელად, თორემ მესიანისტურ მრწამსს რომ გამოხატავდა, ეს აშკარად დატყობოდა და მის აღმოჩენასა და გამომზეურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ამიტომაც მიენიჭებოდა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ქართული ენის დამცირება-შევიწროების ჟამს.

და კიდეც პუბლიცისტური პათოსი იჩენდა თავს ამ ძეგლზე მსჯელობისას, როდესაც ჩვენი პერიოდიკა ლამის წაილეკებოდა მისი გაშიფრვისადმი მიძღვნილი სტატიებისა და ნარკვევების სერიით, და ამ პათოსს პოლიტიკური რეალობის გამძაფრება იწვევდა...

მაგრამ გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დანიშნულებისა, „ქებაი და დიდებაი“ ისედაც აღანთებს გონებას მის საიდუმლოებაში ჩასაწვდომად და თამაზ ჩხენკელი – გარდა საზოგადოებრივი აუცილებლობისა – მეცნიერული ჟინითაც არ მოეშვებოდა ამ ერთი ბეწო, სულ 150 სიტყვის მომცველ ტექსტს, და არაერთ საგულისხმო დაკვირვებასთან ერთად მარჯვე მიგნებად მიითვლიდა ლაზარე-იოანეს იგივეობაზე ყურადღების გამახვილებასაც, და გაიხარებდა, როდესაც XII საუკუნის ერთ ქართულ ხატზე გამოსახულ პერსონაჟთაგან მხოლოდ მაცხოვარი და ლაზარე აღმოჩნდებოდნენ შემკულნი ნიმბით.

ესეც მათი იგივეობის დამადასტურებელიო, – აღნიშნავს და იმოწმებს რუდოლფ შტაინერს:

– ლაზარეა პირველი ქრისტიანი ხელდასხმული, ხელდასხმული თვითონ იესო ქრისტეს მიერ. ამ ხელდასხმამ შეაძლებინა ლაზარეს იმის შეცნობა, რომ მასში მოვლენილი ლოგოსი აწ მის წინაშე იდგა.

ხოლო ეზოტერული ტრადიციის მოწმობა, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებაში დაფარული მისტერია იმის მიმანიშნებელი რომ არის: იოანე – ავტორი სახარებისა – თვითონვეა ლაზარეო, – „ქებაის“ ბუნდოვანი სიმბოლიკის სწორად გასააზრებლად უთუოდ უნდა დატრიალებულიყო ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში, და საამისო ბიძგი სწორედ ის ნარკვევი აღმოჩნდებოდა, რომლის სათაურიც წიგნის საერთო სახელწოდებასაც იტვირთებდა: „ლაზარე, გამოვედ გარე!“

როდესაც აღიარებ ანბანთა მაგიურობასაც და მათ მიჯაჭვულობასაც ერის სულიერებისა და კულტურის უღრმეს შრეებთან, ყოველთვის მიუღებელი იქნება დამწერლობათა გლობალიზაციისაკენ სწრაფვა, რაც შესაძლოა გამჟღავნდეს თვით სახელმოხვეჭილ მკვლევართა (ი. გელბი, ი. ფრიდრიხი) ნაშრომებშიც, პირწმინდად მეცნიერულ ძიებებში უეცრად რომ ამოხეთქავს გულისწყრომა ტრადიციონალისტთა მიმართ, რომელნიც აბრკოლებენ ბედნიერების ხანის დადგომას, რაც გამოიხატება საყოველთაო უნივერსალური ანბანის შექმნით, ეს უნივერსალური ანბანი კი – გელბის მიერ ასერიგად ხოტბაშესხმული – წარმოადგენს ლინგვისტთა მიერ ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციისათვის გამოყენებული ნიშანთა სისტემის (ეგრეთწოდებული: საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის ანბანი) შეჯვარებას სტენოგრაფიასთან.

გელბი იქამდეც მივიდოდა: როგორ თუ ჩემს რეფორმატორულ იდეებს ჯერჯერობით ხორცშესხმა არ უწერიაო, – რომ შეურაცხმყოფელ გამოთქმებსაც არ მოერიდებოდა: რეფორმატორები რომ არ ვარსებობდეთ, ტრადიციონალისტები დღემდე გამოქვაბულში იცხოვრებდით და ტყავში გახვეულები ივლიდითო.

თამაზ ჩხენკელს კი უკვირდა, რომ გელბს ასეთი ღატაკი წარმოდგენა ჰქონდა მომავალში მსოფლიოს უნივერსალურ დამწერლობაზე, წარმოდგენა, რომელიც სავსებით გამორიცხავდა ანბანებისათვის ნიშანდობლივ ესთეტიკურ და ჰუმანიტარულ ბუნებას.

განა შეიძლება ბუნებრივი ოდესმე დაამარცხოს აბსტრაქტულ-სქემატურმა?

დროებით ყველაფერი შეიძლება და კიდეც მოესწრო კაცობრიობაც და ჩვენი ტრაგიკული ქვეყანაც, თუ როგორ დაჯაბნა სოციალისტ-კომუნისტური სახით მოვლენილმა ცრუმოძღვრებამ ბუნებრივი ადამიანური მისწრაფებანი, და კვლავაც იმ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ, როდესაც ლიბერალურ-დემოკრატიული ყალბი შეხედულებანი ჩანთქმით ემუქრებიან ეროვნებათა და კულტურათა თვითმყოფადობას გლობალიზაციისა და უნივერსალიზმის სახელითა და გარეგნულად ბრჭყვიალა სამოსელით.

დროებით, მაგრამ ეს „დროებითი“ ისტორიისათვის არის ერთი წამი, თორემ ადამიანთა არსებობისათვის საკმაოდ ხანგრძლივია, სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის კი ფრიად დამაბრკოლებელი.

ანბანთა გლობალიზაციაც ამ საყოველთაო პოლიტიკური გლობალიზაციის ნაწილია და ამიტომაცაა აუცილებელი ამ შეხედულების გაქარწყლება იმ გადმოსახედიდან, რომ: ანბანი – ენა – კულტურა ერთი მთლიანობაა. და რაკი არ დაითმობა კულტურა, ასევე არ დაითმობა ენა და ანბანიც.

ნარკვევი თუ თავი „ფუტუროლოგიური ილუზიების ტყვეობაში“ წარმოგვიდგება თავისებურ პოლიტიკურ პამფლეტადაც, რომელიც უშუალოდაა ჩაწნული წიგნის ზოგად სტილისტიკაში და ერთგვარ ფონსაც უქმნის „ქებაის“ მესიანისტური სულით გაჟღენთილი მრწამსის ანალიტიკურ განსჯას – არა გადავლილი და ისტორიადქცეული საფრთხის შეხსენებით, არამედ ჯერაც მოსალოდნელ საშიშროებაზე განგაშითაც და სიმხნევის ჩანერგვითაც ქართველობისათვის.

ამგვარი გადაძახილები – პოლემიკური თუ ურთიერთშე-

მავსებელი – წიგნის ის კომპოზიციური საყრდენია, რომელიც მოხდენილად ამთლიანებს მის სხვადასხვა მონაკვეთებს, და ორიგინალურსა და თარგმნილ ნაწილებსაც ისე ადუღაბებს, თითქოს ეს ყოველივე წლების მანძილზე კი არ იწერებოდა, არამედ ერთბაშად შეიქმნა ამ გამოკვეთილი სახით, ამოზრდილი რიცხვთა და ასონიშანთა თავბრუდამხვევი კარნავალურობის წიაღიდან, თითქოს ის დელფოსურ-ორფიკული ფესვებია, დიონისეს ვნებანსაც რომ მოგალანდებს, ასერიგად მახლობელს ფრიდრიხ ნიცშესთვისაც, ვიაჩესლავ ივანოვისთვისაც და კონსტანტინე გამსახურდიასთვისაც, ვის მზერაშიც საქართველოს სიმბოლოდ ჯვარცმული დიონისეს ხატი ჩნდებოდა.

სერგეი ავერინცევი დაიმოწმებდა ერთ იუდაურ მისტიკურ ტრაქტატს („წიგნი ქმნადობისა“), რომელიც ყოველივე არსებულის უმარტივეს პირველსაფუძვლად აცხადებდა რიცხვებსა და ასოებს, როგორც სამყაროს შემქმნელთ, და დასძენდა, რომ ეს გახლდათ შედარებით გვიანდელი გამოხატულება იმ ტრადიციისა, რომელიც სათავეს იღებდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან, ყოველ შემთხვევაში, იუდაურ დოქტრინას ასოთა საიდუმლო აზრის შესახებ ითვალისწინებდა და იზიარებდა ერთი ადრექრისტიანული აპოკრიფი, რომელიც აღწერდა, თუ როგორ შეეცხუნებინა და შეერცხვინა მცირეწლოვან იესოს ამ დოქტრინის ცოდნით თავისი მასწავლებელი.

* * *

რას ჭვრეტო? – ეკითხებოდნენ მოწაფეები ტრაგიკულ ხილვაში დანთქმულ მწიგნობარს, თვალნათლივ რომ წარმოსახოდა, თუ როგორ იფერფლებოდა კოცონზე მისი სხეული, თუმც შიშისა არაფერი ეტყობოდა და გულმშვიდად და იქნებ სიხარულითაც შეჰყურებდა, გრგანილად მოლანდებული მისი სხეულიდან როგორ მიფრინავდნენ ასონიშნები ზეციასაკენ.

ეს განცდა ყოველ ჩვენგანს შეიძლება გაუმეორდეს, თუკი ვიწამებთ იმ ჭეშმარიტებას, ასონიშნები ცოცხალი, უსხეულო ფრთოსანი არსებანი არიანო.

ლევან ლორია

ამბავი, რომელიც დაჩით დაიწყო

ყველა ამბავს აქვს რაღაცა დასაწყისი. არაფრისგან არაფერი არ დაწყებულა და არც დაიწყება. ასე ყოფილა და იქნება მუდამ.

ეს ამბავი დაჩით დაიწყო. „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მარსელ პრუსტის ანკეტა მივიტანე. იქ ერთი კითხვა ასეთიც იყო: „თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები“. პასუხს დაჩით ვიწყებდი, ასე უბრალოდ – დაჩი. მერე მოდიოდნენ სხვები... ბატონი როსტომი მეკითხება, დაჩი ოტიასია ხოო? — კი-მეთქი, ბავშვობაში მასთან ერთად მოვიარე ცა და ხმელეთი, მდინარე და ზღვა, სტაფილონაჭამი ბაჭიები ფულუროდან გამოვიყვანე, ვეფხვს ბოკვერები დავუბრუნე, დაუძლურებული ლომი-მეფე ვნახე, ჟურნალიდან ამოჭრილი დაჩის სურათი რომ ჰქონდა კედელზე გაკრული, და მუშაობით წელში შვიდად მოკეცილი ადამიანი-მეფე-მეთქი. აი ის იყო მეფე თუ იყო, ხალხის ბედნიერებისთვის შრომაში ათენ-აღამებდა, არც ერთ სხვა ზღაპრის მეფეებს არ გავდა და არც სინამდვილის მეფეებს თუ პრეზიდენტებს... ან მზეჭაბუკი როგორ ეუბნება დაჩის, „მეფობა რომ ასე იოლი იყოს, სასჯელის უმაღლესი ზომა კი არ იქნეოდაო“. ალბათ მეფობა წესით და რიგით სასჯელი უნდა იყოს, არადა ფუფუნება გახდა-მეთქი.

ბატონმა როსტომმა: მერე მიაწერე შე-კაცო ავტორი, მე კი ვიცი და შენ კი იცი, ოტიასი რომ არის ეს დაჩი, მაგრამ ყველამ ხო არ იცისო. კი გამიკვირდა, როგორ არ ეცოდინებათ, მაგრამ კაი ბატონო-მეთქი, დავეთანხმე და რადგან ლაპარაკის საღერღელი მქონდა აშლილი, მივაყოლე და მივაყოლე, თითქოს ზღაპრიდან გადმოსული ოტიას სხვა გმირებიც გავიხსენე, აი თუნდაც ტუხუიას ძაღლი – თოლია, სიხარულით ცას რომ ეწეოდა, მისი პატრონი თუ მოიგებდა რიკ-ტაფელაში და ამხანაგს თუ ზურგზე შეაჯდებოდა.. (რომანი „ვარსკვლავთცვენა“), „ლევანას“ ამბავმა რომ ამატირა, „ქვრივის ცრემლებმა“ რომ მაცინა, „სანამ ურემი გადაბრუნდებოდა“, გზაზე რომ დავიწყე ფიქრი, „ქალი რომ საღალატოდ გამოვიდა“, არიქა, დაიქცა ოჯახი-მეთქი...

ან მისი სატელევიზო გამოსვლები, პატარა თეატრალური დადგმა რომ არის... „პატარა რატოო, დიდიო“ — ჩამისწორა ბატონმა როსტომმა, კი-მეთქი დავეთანხმე და დავამატე, ტკივილიანია მისი სიტყვა. უფალი რომ კაცის გულს ხედავს, მწერალი ქვეყნის გულს ხედავს და გრძნობს და მისი სატკივარი ალაპარაკებს-მეთქი...

მერე სხვა ამბავიც გავიხსენე: ერთ გაზეთს ნოველა უნდა დაებეჭდა ჩემი, ველი დიდი იმედით, როგორია, მთელი ქვეყანა ნახავს შენს ნაწერს. ნაცნობ-მეგობრები გაფრთხილებული მყავს ყველა. დააგვიანდათ დაბეჭდვა. რომ მოვიკითხე, როგორაა საქმე-მეთქი, მითხრეს, უკაცრავად ჯერ ოტიას ვბეჭდავთო და მერე შენსასო... კაი ხანს მეყო სატრაბახოდ ეს: „ა, ბატონო, ოტიას ბეჭდავენ ჯერ და მერე იქნება ჩემი-მეთქი...“

ბატონმა როსტომმა, დაგეწერა ეს, რაც ახლა მომიყევი, ოტიას 16 ივნისს ოთხმოცი წელი უსრულდებაო... სულოცოდვილო კი გავიფიქრე, მწერალთან ასაკი რა მოსატანია, თან მე კი დავწერ, მაგრამ რომ წაიკითხავს, ხო იტყვის, „ვინაა აი კაცი, რას ბჟუტურობს, საქმე დაელია, წაი ბიძია სახლშიო“... მაგრამ ეს ხმამაღლა არ ვთქვი, შემოთავაზებაზე უარიც ვერ ვიკადრე და კარგი-მეთქი დავეთანხმე...

ხოდა, ბატონო ოტია, თუ წაიკითხავთ ამას, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მინდა ასე შორიდან გითხრათ მადლობა და ღმერთს ვუთხრა მადლობა, რომ ხართ და მინდა მთელ საქართველოს და ჩემს თავს ვუსურვო, დიდხანს არ ჩამქრალიყოს თქვენს ხელში ჩიბუხი (ერთხელ რომ თქვით — „აი მამაგრებსო“) და დიდხანს არ შემშრალიყოს თქვენს კალამზე მელანი, დიდხანს არ მოგვშლოდეს თქვენი მადლიანი სიტყვა – დამიჯერეთ, არის ხალხი, რომლებიც აუცილებლად მოიცლიან თქვენი ყოველი ახალი სტრიქონის წასაკითხად და თქვენს მოსასმენად – ამის იმედი ნამდვილად გქონდეთ...

ბაჩანა ბრეგვაძე

„სიყვარული და არა ომი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ტუალეტის ქაღალდის არქონა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ ან უკაცრიელ კუნძულზე.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— არყოფნა ან სიმთვრალე ნებისმიერი რამით (იხ. ბოდლერის «იყავით მთვრალი»).

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— სირანო დე ბერჟერაკი, ოლივერ ტვისტი, ტომ სოიერი, იდიოტი, ჯაკ რაიანი, ჟულიენ სორელი, ბაზილ, ამარანტა

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— მარტინ ლუთერი, განდი, ჟორესი

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ტულუზ-ლოტრეკი, დალი, შაგალი, სერუზიე, მატისი, მოდილიანი

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გენსბურგი

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— გულწრფელობას, იუმორს, სხვისი მოსმენის უნარს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გამჭრიახობას, თავაზიანობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— გულუხვობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მეგობრებთან საღამოს გატარება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ვიტყოდი, ჩემივე თავი მეთქი, მაგრამ მას არც თუ კარგად ვიცნობ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიუკერძოებლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სიხალასეს და უბრალოებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ადამიანებისადმი უნდობლობის საკმაოდ დიდი დოზის ქონა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— იხ. მესამე პასუხი.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— საყვარელი ადამიანის გაუჩინარება.



— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— გულდამთუთქავი მოვლენებისადმი გაცილებით გულგრილი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ორქიდეა (შროშანაც)

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბუ

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ჟულიენ გრაკი

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ლორკა, რემბო.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოფელია, სიბილა, რემედიოს-რებეკა...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— იანოშ კორჩაკი, ჯეიმს კუკი...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ვერ ვიხსენებ.

— საყვარელი სახელები?

— ელიზი, ბაჩანა, თამარი, მანუჩარი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— მანიპულატორობას ადამიანებში

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ჰიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— არანაირად.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— სოციალური და სეკულარისტული რეფორმები.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ვირტუოზულად ფლობა

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— სექსის დროს, ალკოჰოლის და ნარკოტიკის დიდი დოზის ქვეშ.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მშვიდი, კმაყოფილი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველაფერი, რაც კანონით არ იკრძალება.

— თქვენი დევიზი?

— ვაკეთოთ სიყვარული და არა ომი!

— ოდესმე ღმერთს რომ შეხვედროდით, რას ისურვებდით ეთქვა მას თქვენთვის?

— არაფერს.

ვისურვებდი არ შევეწუხებინე.

ზურაბ ლავრელაშვილი

ქალაქი მტვერში

შორი იყო ცის პირისძვრამდე, მაგრამ საკირეები მაინც ანათებდნენ ბნელში და ეს ფოსფორული ნათება ღამეს უცნაურ ჯავარს ჰფენდა — ტაფობში ჩაწოლილი ქალაქი თითქოს უფსკრულის წიაღ ჩანთქმულიყო და ვეღარაფერი იხსნიდა მარადიული სიბნელისაგან, თუმცაღა ღამეულ ცაზე მაინც კიაფობდა ორიოდე ვარსკვლავი; გამქრალიყო სიცოცხლე, უჩინო ქმნილიყო, სიბნელეს შეეხვია თავის ფრთებქვეშ და მხოლოდღა სუსტი ნათება კლდეებზემოთ მიანიშნებდა, რომ სიბნელის წიაღშივე ისახებოდა განთიადი, რომელსაც სიცხადე და სიმკვეთრე უნდა მოეტანა და კვლავ ხილული გაეხადა მძინარე ქალაქი.

უდაბურ ქუჩებსა და ორღობეებში ეულად მავალი კაცის ნაბიჯების ექო გაისმა. არაფერი არღვევდა ღამის მყუდროებას, ჩქამი რაა — ჩქამიც კი არ გახმიანებულა, სანამ უცხო კაცის წელში მოხრილი სილუეტი სახლების წინ მიიპარებოდა. ქუჩაზე ფანრები არ ენთო. მოქალაქეებს გულის ძილით ეძინათ. მხოლოდ აფთიაქიდან გამოკრთოდა ლამპის ანაშუქი. გამომძიებელმა ქვის საფეხურები აირბინა და კარაპანიდან აფთიაქის კარში შეიჭვრიტა. შემდეგ წყნარად დააკაკუნა.

„შემოდით!“ — გამოსძახა შიგნიდან აფთიაქარმა და კარი გაუღო.

„ასე იოლად უღებთ კარს უცნობებს? — გამომძიებელი კატასავით უხმაუროდ შეძვრა ღია კარში, — არ გეშინიათ, ვინმე ბოროტისმქმნელი რომ დაგესხათ თავს?“

„ვიცოდი, მოხვიდოდით, — აფთიაქარს თეთრი ხალათი ეცვა და ხელში სისხლიანი სკალპელი ეჭირა, — აქ დაბრძანდით, სანამ ხელებს გადავიბანდე“.

გამომძიებელი დივანზე დაჯდა და აფთიაქი მოათვალიერა. ღამენათევს სხეული სტეხდა და ფეხისგულები უბჟუოდა, ოღონდ უჩვეულო სიხალისეს გრძნობდა... ნუთუ რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც აქ პირველად იყო?! მაშინ ხომ ქანცმილეული თვლემდა ამავე დივანზე...

აფთიაქარი მალე დაბრუნდა და მის წინ ჩამოჯდა სკამზე. ხალათი გაეძრო და თავისი განუყრელი ჟილეტი ეცვა. წვეროსან სახეზე შეუპოვრობა ეწერა. თმა აჩეჩოდა.

„თქვენზე დიდი ბოროტმოქმედი აქ არავინ დადის, — თქვა პირქუშად, — სხვა ვინ შემომივარდება ამ ბუნაგში“...

და მან თითი ოთახს მოატარა.

„მადლობელი ვარ, — გამომძიებელმა გაიცინა, — არ მეგონა, თუ ბოროტმოქმედი ვიყავი“...

„კაცი რომ შუაღამისას დაძრწის და ქალაქს აშფოთებს, სხვა ვინღაა, თუ არა ბოროტმოქმედი?! აუცილებელი როდია, ვინმე მოკლათ ან გაძარცვოთ... პატიოსან ბურჟუას ძილს რომ უფრთხობთ, ეგეც დიდი დანაშაულია“...

„თქვენ ხომ არ გძინავთ“, — წყნარად შენიშნა გამომძიებელმა.

„ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს“, — პირქუშად მიუგო აფთიაქარმა.

„ანომალია მე როდი მომიხდენია ამ ქალაქში“, — გამომძიებელს თითქოს შესცივდა და მოიკუნტა დივანზე.

როგორც სჩვეოდა, აფთიაქარი მკლავებით სკამის ზურგს ჩამოეყრდნო.

„ვინ იცის, რა უფრო ანომალიურია: თქვენი ჩამოსვლა, თუ ის, რაც ჩვენს ქალაქში ხდება?!“

„მე უცხო კაცი ვარ, თანაც ჩემი ნებით როდი ჩამოვედი... ნუ დაგავიწყდებათ, რომ სამსახურებრივი მივლინებით ვარ გამოგზავნილი“.

აფთიაქარმა უცებ როდი უპასუხა. დაჟინებით უცქერდა, რაღაც განუჭვრეტელი თუ მოქურუხებული თვალთახედვით, მერე გადმოიწია, თითქოს გადმოვარდნას აპირებსო, სკამიდან გადმოიხარა და გამომძიებელს გაფშეკილი საჩვენებელი თითი მკერდში ატაკა.

„დადიხართ, დადიხართ და მტვერს აგროვებთ, — მან საჩვენებელი თითი ჩამოუსვა სერთუკზე კაცს და ქსოვილს მისი თითის ნაკვალევი დაემჩნა, — უცხო არ ხართ, რაკი ჩვენი ქალაქის მტვერი წაგყრიათ უკვე... ძიების მეთოდიც მთლად ჩვენეული შეგირჩევიათ: ოდენ მტვრითა და ლუპით... ამის მერე ვერაფრით იტყვით, თქვენნაირი არ ვარო“...

„დამცინით? — გამომძიებლის ხმა წყნარად ჟღერდა სიჩუმეში, — ანომალია ქალაქს განადგურებით ემუქრება, თქვენ კი კალამბურებით ერთობით“...

აფთიაქარმა უკან დაიწია და თავი მასხრულად გადააქნია.

„ძალიან გაშფოთებთ ეგ ამბავი? — იკითხა მერე, — ნეტავ, ვინმეს ოდნავ მაინც თუ აფიქრებს რაც ჩვენთან ხდება?! იმასაც ვეჭვობ, თქვენც სიღრმისეულად გაინტერესებდეთ თქვენი ვიზიტის მიზეზი... ანომალიის ძიება სამსახურებრივად გევალებათ, თორემ დიდად თავს როდი შეიწუხებდით ამეებზე ფიქრით... უფროსებთან წარსადგენი ანგარიში რომ არა, აქეთ არც მოიხედავდით და მართალიც იქნებოდით... მაოცებს, სადღაც კიდევ რომ არის რომელიღაც უწყება თუ დაწესებულება, რაიმეს რომ იკვლევს“...

„ეგეთი უწყებები არც ისე ცოტაა. თქვენ არ გინდათ დაინახოთ“. — გამომძიებელი თანდათან ღიზიანდებოდა და უკვე ნანობდა, ამ კაცს რომ ესტუმრა. ახლა საბაბს ეძებდა, როგორმე წასულიყო აქედან.

„იქნებ იყოს კიდეც, მრავლადაც იყოს, მაგრამ კვლევის შედეგები მაინც არავის აინტერესებს... თქვენი პატაკიც ისე ჩაიკარგება უამრავ მოხსენებას შორის, როგორც ნემსი თივის ზვინში, და იცით, რატომ? თავად ძიებაა უმიზნო, არაფერს ცვლის“...

გამომძიებელი დივანზე შეინძრა.

„მე ქალაქმა დამიქირავა, — თქვა მერე, — ძიების შედეგი მე მაინტერესებს თუ არა, ამით ქალაქისთვის არაფერი იცვლება. თუკი ანომალია ამოიხსნება, აქ ისევ ჩვეული ცხოვრება დაბრუნდება, ვაჭრობა, კომერცია გამოცოცხლდება, ხაზინა შეივსება და აქაურებიც მალევე იგრძნობენ კომფორტის გემოს“.

აფთიაქარმა თავი გადახარა და სტუმარს გვერდულად შეხედა.

„კომფორტი... კომფორტი, — თითქოს სინანულით თქვა მან, — ეგაა, რაც გვინდა, სხვა არაფერი გვაინტერესებს... აქაურებს ცოტა მეტი კომერციული ალღო რომ

---

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №12

ჰქონდეთ, ანომალიისაგანაც სარგებელს ნახავდნენ... ვთქვათ, სასწაულებრივად დანგრეული ქარხნის ან ტაძრის სანახავად სხვა ქალაქებიდან რომ ხალხი ჩამოგვეყვანა?!.. აპოკალიპსი ყოველდღე და ყველგან ხომ არ ხდება... თანაც ამქვეყნად ყველაფერი ფული ღირს... კაციც გემოს იმას ატანს, რისი შეძენა თუ ყიდვაც შეიძლება... აი, აპოკალიპსიც რომ ატრაქციონად გვექცია“...

„გეყოფათ! — გამომძიებელი დივანზე მიკუნჭულიყო და თითქოს გამოქვაბულის სიღრმიდან უყურებდა აფთიაქარს, — კვალი დავკარგე... ჩიხში ვარ!..“

აფთიაქარი ადგა.

„ლუდი უნდა მქონდეს, — ის დახლსუკან გაუჩინარდა და მალე ბოთლით მუქი სასმელი მოიტანა. დახლზე ჭიქები დააწყო და ქაფიანი პორტერით გაავსო. ერთი გამომძიებელს მიაწოდა, მეორე კი თვითონ დაიჭირა ხელში, — რა თქვით, რა დავკარგეო?“

„კვალი“, — გამომძიებელი ჭიქას დაჰყურებდა, თითქოს ლუდის ქაფში მოელოდა გაუჩინარებული კვალის პოვნას.

„იდექით კი ოდესმე კვალზე?“ — აფთიაქარმა ქაფს სული შეუბერა და შხეფები იატაკზე მოფინა, — რაკი მტვერში ანაბეჭდები მკაფიოდ ჩანს, გგონიათ, კვალსაც მიაგენით არა?..“

„ძაფის წვერი მქონდა ხელთ... ანაბეჭდებს როდი ვგულისხმობდი, — გამომძიებელმა ლუდი ფრთხილად მოსვა და კვლავ ჭიქას დააცქერდა.

„ცემენტის ფხვნილი კაცობრიობის უდიდესი მიგნებაა, — გულგრილად თქვა აფთიაქარმა, — ის საუკეთესოდ ჰკრავს და ადუღაბებს საშენ მასალას... თქვენ რომელ ძაფს გულისხმობთ?“

„იმას, რაზეც ამას წინათ მიმანიშნეთ... რომ ანომალიის მიღმა ფარული გეგმის აღსრულება დამენახა“...

„ეგ ობივატელის აზროვნებაა... პირველი, რასაც ადამიანს ჩვენს ქალაქში მომხდარი ამბების შესახებ წამოაგონდება, ფატალობაა... თქვენც ობივატელური აზროვნების მსხვერპლი ხართ“...

„მოვალე ვარ, ყველა ვერსია გადავამოწმო“, — გამომძიებელმა ლუდი ისევ მოსვა.

„მერე, რა შედეგი მიიღეთ?“

„არც ისე ბევრი და არც ისე ცოტა... — გამომძიებელმა ჭიქა ორივე ხელით ჩაბღუჯა და მასპინძელს მიაჩერდა, — უმთავრესი დასკვნა, რითაც ბოლო ხანს ვხელმძღვანელობდი ძიებისას, ისაა, რომ პროვიდენციალიზმი ხშირად ჩვენი საშუალებით აღესრულება“...

აფთიაქარს უეცრად ხველა აუვარდა. ჭიქა განზე ეჭირა, რათა ტანისამოსი არ მოწუწვოდა, და გამომძიებელს წახრილმა შემოხედა.

„რა თქვით? — იკითხა გაოგნებულმა, — ნუთუ თქვენც იმავეს ფიქრობთ, რასაც ჩვენი მოხუცი მღვდელი, ერთი კვირის წინ რომ გაიქცა აქედან?.. სულ ეგაა თქვენეული ძიების მეთოდი?“

„ვერსიებს ვამოწმებ, — თქვა გამომძიებელმა, — რატომ არ გინდათ, ეს გაიგოთ?“

* * *

ღამეულ ცაზე ჯერ კიდევ ენთო ხომლი, მაგრამ აფთიაქის მინებიდან ისე ჩანდა, თითქოს ქვეყნიერება მარადიულ უკუნში ჩაძირულიყო.

„ბნელა ისევ, — გამომძიებელმა კარი გამოაღო და ცას ახედა, — მალე მაინც გათენდეს“...

„რად გინდათ სინათლე? — აფთიაქის სიღრმიდან გამოეხმაურა მასპინძელი და ლუდის ბოთლი და ჭიქები თაროებზე დააწყო, — გგონიათ, ბევრ რამეს დაინახავთ?“

გამომძიებელი ბნელში იყურებოდა.

„წერილებს ვერ მივაგენი, — თქვა უკანმოუხედავად, — იქნებ ძაფის კვალს მივყოლოდი“.

„მოხუც მანჯურიელთან მიდით... ამბობენ, ძველად ტერორისტები მასთან იკრიბებოდნენო... იქნებ მან დაგაყენოთ კვალზე“...

გამომძიებელმა პარმაღს გადააბიჯა და შემობრუნდა, აფთიაქში შეიხედა.

„პოლიციის ყაზარმა თუ დაინგრა, პატიმრები სად ჰყავთ, არ იცით?“

აფთიაქარი პარმაღს მიუახლოვდა და მანაც ცას ახედა.

„მაინც გათენდება, — თქვა უკმაყოფილოდ, — გვინდა თუ არა, უეჭველად ინათებს... აი, კიდევ ერთი ანომალია ჩვენს მტვრიან ქალაქში — განთიადის მოლოდინი“...

მან მკლავები მკერდზე დაიკრიბა და შეირხა, თითქოს შეამცივნაო.

„განდეგილზე მეკითხებით... მაშ, იცოდეთ: პოლიცმეისტერი არავის ენდობა და ყოფილი ტერორისტი გომურში გამოკეტა... თქვენ კი ჯერ მანჯურიელთან მიდით... ზოგჯერ მუმიებიც ლაპარაკობენ, იცოდეთ... ღამე მშვიდობისა“.

და მან მოურიდებლად შეიხურა კარი. გამომძიებელი კარაპანში დარჩა. რამდენიმე წამს უძრავად იდგა, მერე ხელი ასწია, თითქოს აფთიაქარს კარზე უნდა დაუკაკუნოსო, მაგრამ გადაიფიქრა და კიბის საფეხურები მსუბუქად ჩაირბინა, შეერია ბნელს, შენივთდა, თითქოს უკვალოდ დაიკარგაო. ღამეული ციდან კი ისევ უტყვად იცქირებოდნენ ვარსკვლავები და მათი ლიცლიცი მხოლოდღა ბნელ ხავერდს ექსოვებოდა.

* * *

ფარღალალა დუქნის კარი ჩაერაზათ. გამომძიებელი დაიხარა და კარს ფრთხილად მიაწვა. მერე დუქანს შემოუარა და ასანთს გაჰკრა. უკანა კედელთან, აწვდილი ხელის სიმაღლეზე, შავად დაეღო ხახა ვიწრო ხვრელს. გამომძიებელი ხელის ფათურით ჩავიდა ღელემდე და მცირე ხნის შემდეგ ისევ ამობრუნდა, თან ხის ნამორს მოათრევდა. ნამორი კედელს მიაყუდა, ზედ შედგა, ორივე ხელით სახურავის ძგიდეს მოეჭიდა, ტანი მაიმუნის სიმარჯვით აზიდა და ვიწრო სარკმელში ფეხებგაშვერილი ჩასრიალდა, თითქოს უფსკრულში ეშვებაო. წამის მეათასედში სიცარიელეში ეკიდა, სანამ სოხანეზე დახტებოდა... საოცარი იყო, რომ არაფერს წამოედო, არც წაქცეულა და არც მისმა ანაზდეულმა შეჭრამ ააფორიაქა დუქნის სიბნელე. ისევ უკუნი იყო და შმორის სუნი იყნოსებოდა. გამომძიებელი დაძაბული იდგა, ვიდრე თვალები ბნელს შეეჩვეოდა... მერე ბუნდოვანი ჩრდილებიც გაარჩია. ფიცრულ კედელთან საწოლის მაგვარი თაროდი ჩანდა და ზედ საბნები დაეხვავებინათ. გამომძიებელი ფრთხილად დაიხარა მანჯურიელის ლაჭანისაკენ. ამ დროს მთვარემაც შემოაშუქა სარკმელში და მნათობის სხივი გან ბაოს გაქვავებულ სახეს დაეცა... მანჯურიელი კბილებდაკრეჭილი იწვა და ვერ გაი-

გებდი, დასცინოდა ვინმეს თუ ეს სიკვდილისწინა ღმეჭა იყო... მომუჭული მარჯვენა ხელი საწოლიდან გამოეშვირა.

გამომძიებელი ნელა შეეხო ხელზე. უფრო დაიხარა, მოხუცის სუნთქვას ყური მიუგდო. მანჯურიელი უძრავად იწვა და არ სუნთქავდა. გამომძიებელი შეეცადა მუჭი გაეხსნევინებინა, მაგრამ მოხუცი, როგორც ჩანს, დიდი ხნის მკვდარი იყო და თითები ვერაფრით გამოაშლევინა. ნეტავ, რას მალავდა მუჭში? იქნებ არც არაფერი ჰქონდა და მჯიღი სიკვდილის კონვულსიამ შეაკვრევინა?!.. გამომძიებელმა ასანთს გაჰკრა და დუქნის თვალიერება დაიწყო. კუთხიდან კუთხემდე დადიოდა, ძველ ნივთებს აყირავებდა, პროფესიული სიმარჯვით დაეძებდა სამხილს, მაგრამ ვერაფერი იპოვნა და უკანა ოთახიდან წინაში გადაინაცვლა, თუმცა აქაც იმედგაცრუება ელოდა — ეს ოთახი მანჯურიელს სავაჭროდ ჰქონდა და გამომძიებელიც უიმედოდ შედგა თაროებზე დახვავებული ნივთების წინ; ასე ეგონა, თითქოს ათასნაირ ძველმანში დამარხულიყო და ნივთების გროვიდან ვეღარასოდეს ამოაღწევდა... ფიცრებს შორის გრძივი ღრიჭოებიდან მტვრიანი შარაგზის ნაწილი ჩანდა.

გამომძიებელმა კარს რაზა ახსნა და ოდნავ გამოაღო. მის წინ მტვრის სქელი ფენით დაფარული უცხო ქალაქის გზა მოჩანდა მთვარის ვერცხლისფერ შუქზე. გზა თითქოს უსასრულობაში იკარგებოდა. გამომძიებელმა დუქნის უკუნიდან მთვარის არილში გააბიჯა და ასე ეგონა, ჯადოსნურ სინათლეში გავეხვიეო...

„ოპტიკური ილუზიაა“, — წაიბუტბუტა თავისთვის და მოიხედა. ზურგსუკან ღრმა ანაბეჭდად მოჩანდა მისი ფეხის ნაკვალევი მტვრის ფაფუკ გროვაში. ნაკვალევი სანახევროდ ჩრდილებს ამოევსოთ. გამომძიებელმა უფრო მოღრიჯა კისერი, მძინარე ქალაქს გახედა. წინ სადგურის ბაქანი იყო, უკან — გაურკვევლობა... ცოტა ხანს ასე იდგა და თავისივე ნაკვალევს დასცქეროდა, მერე თავი ჩაქინდრა და ბედს შერიგებულმა გასწია ქალაქისაკენ.

* * *

წვიმის წინწკალი წამოეწია ქეჩერუხზე გასულს. წვეთები ძუნწად ცვიოდა ციდან და გოლვით გამომშრალ მიწას ეპკურებოდა. გამომძიებელს ესმოდა მათი ხმელი შარიშური, წვეთი კისერში ჩაუძვრა და შეაჟრჟოლა. კარტუზი ჩამოიფხატა შუბლზე, სერთუკის საყელო აიწია, სწრაფად გაალაჯა ნაცნობი სახლისაკენ. ეზოს გალავანს შემოუარა და იმ ადგილას, სადაც გომური ეგულებოდა, კედელზე აძვრა. ერთხანს გალავანზე გართხმული იწვა, ზვერავდა იქაურობას, მერე ეზოში ჩახტა და გომურის კარს მივარდა. კარი დიდი ბოქლომით დაეკეტათ. გამომძიებელი ამაოდ უვლიდა გარს გომურს, შესაძრომი ვერსად ნახა. კედელს ყურით მიეკრო და შიგნიდან კვნესა თუ გმინვა გაიგონა...

ვიღაც შეეხო მხარზე. გამომძიებელი შეკრთა, ანაზდად შემობრუნდა.

„გამომართვი!“ — გასაღების აცმა მიაწოდა ბნელში პოლიცმეისტერის ქალიშვილმა. გამომძიებელმა კარს ბოქლომი ახსნა. სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, სანამ კარს გააღებდნენ და გამომძიებელიც დაიხრებოდა, რათა თივაზე მწოლი კაცი შეეთვალიერებინა.

„უგონოდაა. უწამებიათ“, — მან პატიმრის სისხლით მოსვრილი თითები დაყნოსა, — უნდა გავიყვანოთ აქედან, სანამ მოკვდებოდეს... ეზოში გუშაგები არიან?“

„მამაჩემს წვეულება ჰქონდა... ყველანი დავათვრე. დასაძინებელი ბანგი გავურიე ღვინოში“.

„მომეხმარე“, — გამომძიებელი ტუსაღს დასწვდა და მხარი შეუდგა, მოიკიდა ზურგზე. ქალიშვილმა ხელი შეაშველა, მერე კარი გაუღო. ბაღის ცემენტის ბილიკით მივიდნენ ჭიშკრამდე და პოლიცმეისტერის ქალიშვილმა ჭიშკარსაც ახსნა ურდული.

„სად მივდივართ?“

„მდინარის გაღმა განდეგილის გამოქვაბულია... გახსოვს, იქ შევხვდით პირველად ერთმანეთს... ჯერჯერობით ვერავინ მოგვაგნებს, მერე კი სამშვიდობოს გავიყვანთ“.

ჩუმად მიდიოდნენ. მარტო გამომძიებლის ხვნეშა და ტვირთით დამძიმებული ნაბიჯების ექო ისმოდა ბნელში. რამდენჯერმე შეისვენეს, სანამ მდინარისკენ დაეშვებოდნენ. გამომძიებელი მძიმედ სუნთქავდა და პირღია, ხარბად ყლაპავდა გრილ ჰაერს. განდეგილის სიმძიმემ წელში მოხარა, სხეული სტეხდა, ძარღვები უბჟუოდა. მდინარის მხრიდან სიგრილე მოდიოდა. ბორძიკით მიდიოდნენ ბნელში. დანგრეული ცემენტის ქარხანასთან ისევ შეისვენეს.

„აქ თავთხელია, ფონს უფრო იოლად გავალ, — თქვა კაცმა, — შენ უკან გაბრუნდი, სანამ თქვენები გაიღვიძებენ. მამაშენმა თუ შეიტყო, რომ პატიმარი შენ მომაპარინე, კარგი დღე არ დაგადგება“.

მან ასანთს გაჰკრა და ტუსაღის სახეს დააცქერდა. მერე პოლიცმეისტერის ქალიშვილს მიუტანა ახლო ანთებული ღერი.

„საოცარია, როგორ ჰგავხართ ერთმანეთს... ალბათ ამიტომ აგიკრძალა მამაშენმა უჩადროდ ხალხში სიარული“.

ქალიშვილი დუმდა. მერე თქვა:

„ხვდებოდა, რომ მისი შვილი არ ვიყავი... ამიტომაც ეშინოდა, დედაჩემის წერილები არ მენახა“.

„გძულს ის კაცი?“

პოლიცმეისტერის ქალიშვილი გამომძიებელს ნაზად ჩამოეყრდნო მხარზე.

„როცა მარტო ხარ, სიძულვილი ვერაფერს გიშველის... — მერე თითქოს დანანებით დაუმატა, — არ უნდა ჩამოსულიყავი“.

ჩუმად იყვნენ. გამომძიებელი ადგა.

„მალე ინათებს. მდინარეზე უნდა გავიდე. მომეხმარე, ეს კაცი გაღმა გავიყვანო“.

* * *

წყნარი და გაბმული დუდუნი, აქამდე სმენას რომ უნანავებდა, მოდიდებულ ღრიალად იქცა. მდინარის დაჩქერში წელამდე შესული კაცი შეაშფოთა ამ ხმამ. განდეგილის სიმძიმით მოხრილს ყური ლამის წყლის პირზე ედო და ესმოდა, რა ავად გუგუნებდა მდინარის წიაღი, თითქოს იქიდან მუქარა მოიწევდა და ქვეყნიერებას წალეკვას უპირებდა... წვიმაც უფრო მოხშირდა, თავ-პირში სცემდა, მდინარე ატორტმანდა და გამომძიებელიც ფეხს ვეღარ იკიდებდა ფსკერზე. მარტოს იქნებ იოლადაც გაეღწია გაღმა, მაგრამ ტუსაღი მიცვალებულივით როგორღაც მძიმედ დაჰკიდებოდა მხრებზე და შეებოჭა, საძრაობას უშლიდა, წონასწორობას აკარგვინებდა... გაჭირვებით ადგამდა ნაბიჯებს, წყალი უკვე მკერდამდე სწვდებოდა, ფეხი ფსკერის ღრმულებში უვარდებოდა, ერთი-ორჯერ მდინარემ

აატივტივა და ქვემოთ წაიღო. ცაზე საავდრო ღრუბლები იკრიბებოდნენ. მთებს იქით ელვა გაიკლაკნა და მეხი გავარდა. კაცი ფსკერს მოსწყდა და ცურვით წავიდა, მაგრამ დინებამ ისევ წაიღო ქვემოთ. ჩაყვინთა კაცმა, გაწვა წყალში, რათა ცურვით მაინც ეცადა ნაპირზე გასვლა, მაგრამ ცოცხალი ტვირთი ამძიმებდა. სწრაფი და ცივი ტალღა ნაფოტივით მიაქანებდა ბნელი მორევისაკენ და გამომძიებელმაც გაიბრძოლა, ცალი ხელი მოუსვა, მეორეთი ტუსაღს იკავებდა, ბაყაყურით გასცურა ნაპირისაკენ, მაგრამ აქ მორიგი განსაცდელი ელოდა — დინებას იმ სიშორეზე წამოეღო, ქვიშიანი ნაპირის ნაცვლად კლდეს მისდგომოდა და ახლა ამაოდ ცდილობდა ზედ აფოფხებას; ამაოდ ცდილობდა ხელით რამეს მოსჭიდებოდა ან ფეხი დაედგა სადმე — სიპ ბრაგაზე უცურდებოდა ფეხი, უკან, წყალში, ვარდებოდა, ძალა და ნიათი გამოელია, მკლავები დააწყვიტა ტალღებთან შეჭიდებამ; მაინც არ ეშვებოდა ტვირთს, ვიდრე რაღაც მძიმეს დაჯახება არ იგრძნო ზურგში. მოგლეჯილი ხე ეძგერა თითქმის სამშვიდობოს გასულს, მოსწყვიტა ტვირთი. გამომძიებელმა კვლავ ჩაყვინთა, რათა ხეს ისიც არ გაექელა და წყალქვეშ იგრძნო, როგორ გაიშხუვლა მორევში ჩახვეულმა ხემ და როგორ შეასკდა კლდეს. კაცს უკვე პირი ევსებოდა წყლით, ტალღის სიმძიმე ფსკერისკენ ეწეოდა, სუნთქვა უჭირდა, მაინც გაიბრძოლა და ქარიყლაპიასავით ამოვარდა წყლიდან, რათა ელვის შუქზე თავისი საბოლოო მარცხი წამიერად დაენახა: კლდეს მიბჯენილი ხის ტოტებში გახლართულიყო განდეგილი, მისი ტანი მდინარეს ჩაეხვია და მხოლოდღა თავი ჩანდა წყლის ზედაპირზე, თითქოს უცნობ ჯალათს თავი მოეკვეთა მისთვის და ისიც წყლის პირზე ტივტივებდა, კაცთაგან გარიყული და უკვე მიმცხრალი ტალღების ქანაობას ადევნებული.

გამომძიებელმა თვალები დახუჭა, რათა ამ საზარელ ჩვენებას გაქცეოდა, მაგრამ ისედაც ბნელი იყო გარშემო. ელვა ანაზდეულად გაქრა და მზერით აღარაფერი იხილებოდა.

„მიშველე!“ — თქვა ჩუმად მდინარის ტალღებში ატივტივებულმა კაცმა, თუმცა არ იცოდა, ვის მიმართავდა და არც ის იყო საეჭვო, რომ სტიქიის ხმაურში მის ნათქვამს ვერავინ გაიგონებდა, — მიშველე, — გაიმეორა მან და მოსწყდა, მოეშვა უცებ, წყლის დინებას მინებებული, — გამიყვანე აქედან!“

მდინარეს წვიმის შოლტები სერავდა და მეხი გრგვინავდა მთათა წვეროებზე, დაბლა კი, მდინარის საბრუნში, ტალღებს ებრძოდა ეული კაცი, ვინაც ტუსაღი მოსტაცა მძინარე ქალაქს.

* * *

მერეხი ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. წვიმით განბანილი ქალაქი ბრწყინავდა მზეზე. მტვრის საფარველი მოსცილებოდა, თითქოს ვინმე ჯადოსანმა კრეტსაბმელი გადასწია და ალმასებით მოოჭვილი სალარო გამოაჩინაო, და თუმცა ქალაქი სანახევროდ ნანგრევებში იწვა და არც ძველი ქოხმახები გამქრალიყო სადმე, ქალაქი ზეციდან ჩამოსული სხივით განათებულიყო. ან, იქნებ უცხო თვალს ეჩვენებოდა ასე? გამომძიებელი ბაზრის მოედანზე მიაბოტებდა და წუხანდელი წარღვნის ნაკვალევს ათვალიერებდა. ადიდებულ ღელეს მოედანზე გამოეტანა ნარიყი და რამდენიმე ქოხმახიც მოენგრია. აღარ იყო მანჯურიელის დუქანიც — მის ადგილას ფიცრის ნაგლეჯები ეყარა. გამომძიებელი სეირის სანახავად შეყრილ ხალხს შეერია და დუქნისგან დარჩენილ საბაყლო და საწვრილმანო საქონელს ყურადღებით აკვირდებოდა. ხიდის ყურში თავად მანჯურიელის ცხედარი ესვენა. განბაოს ისევ მომუჭული გაეშვირა მკლავი, მთლად მუმიას დამსგავსებოდა, დაკრეჭილი კბილებით თითქოს ვიღაცას დასცინოდა.

გამომძიებელი დაიხარა და მოხუცის გვამი შეათვალიერა. ხიდთან შეგროვილი ქალაქელები ზარალსა და დაღუპულ მანჯურიელზე ლაპარაკობდნენ. გამომძიებელი დაჟინებით აკვირდებოდა მოხუცს და უცებ მომუჭული ხელის ზურგზე ნაცნობი ნიშანი დაინახა — პირაშკმული დრაკონი, რომელიც დუქნის კარის აქეთ-იქით ფანჯრებზე ეხატა.

„აბა, რას იტყვით, გეცნოთ ეგ ნიშანი?“ — მოესმა ზურგსუკან.

გამომძიებელმა აიხედა და აფთიაქარი დაინახა. უგრძნობლად მოახლოებოდა ხალხში, ფეხებგალაჯული იდგა, დაკუნთული მკლავები ამობურთულ მკერდზე გადაეჯვარედინებინა. თმა ლომის ფაფარივით ადგა თავზე, თვალის კილოები კი უძილობისაგან ჩაღამებოდა.

„თქვენა ხართ? — გამომძიებელი გაიმართა და აფთიაქარს მზერა აარიდა. — ადრე კი მიგიტოვებიათ თქვენი საბრალო ცხოველები... მოხდა რამე, აქ რომ ხართ?“

აფთიაქარმა გაიცინა და მთლად ტყიურს დაემსგავსა.

„მეტი რაღა უნდა მოხდეს, — მან მანჯურიელის გვამს დააღირა თითი, — განა ესეც არ კმარა, რომ ღვთის რისხვა ცხადად დაინახოთ?“

„თქვენს ქალაქში უარესი ამბებიც ხდება“, — გულგრილად თქვა გამომძიებელმა.

აფთიაქარმა უცებ მოსხიპა სიცილი, სახე გაუმკაცრდა, გამომძიებელს ხელმკლავი გამოსდო და განზე გაიყვანა. ბრბოს მოშორებით იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

„მართალი ხართ, უარესიც ხდება, — თქვა მერე აფთიაქარმა, — მარტო შენობები კი არ ინგრევა, ხალხიც უჩინარდება, — ის თვალს არ აშორებდა გამომძიებელს, — წუხელ იონაც გაქცეულა საპატიმროდან, — ის გადმოიხარა და მოსაუბრეს ახლოდან ჩააშტერდა სახეში, — გასაკვირია, როგორ მოახერხა ნაწამებმა და ნაცემმა კაცმა დაკეტილი გომურიდან გამოეღწია და ისე გაუჩინარებულიყო, კვალიც არ დარჩენოდა... როგორ გგონიათ, აქაც განგების ხელი ურევია, თუ...“

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„მოწმეები დავკარგე, — თქვა ისევ გულგრილად, — ეს ვიცი მხოლოდ“.

„რის მოწმეს დაეძებთ? — ჰკითხა აფთიაქარმა, — თუ ისევ თეოლოგიურ ვერსიას ამოწმებთ, იმ მთავარ მოწმეს, ყველგან რომაა და ყველაფერი იცის, ვერასოდეს იპოვნით.. ტერორისტებს თუ ეძებთ, ერთი მათგანი ხიდის ყურში ასვენია და ხელზე ანარქისტთა საიდუმლო ნიშანიც ამჩნევია... მეტი რაღა გინდათ?“

„მოტივი, — თქვა გამომძიებელმა, — მოწმეების სიკვდილს ხომ უნდა ჰქონდეს რაიმე მოტივი... ისე, უბრალოდ ხომ არ დაიხოცებოდა ეს ხალხი?“

„კიდევ მოკვდა ვინმე?“

გამომძიებელმა გამომცდელად შეხედა აფთიაქარს.

„ვითომ არ იცით?“

აფთიაქარმა გაიღიმა.

„ვთქვათ და ვხვდები, რომ იონა თქვენ გააპარეთ პოლიცმეისტერის გომურიდან, — მან მკლავები უფრო ძლიერ გადააჭდო ერთმანეთს, თითქოს ვინმე უჩინოს მოხრჩობა სწადიაო, — იქნებ იმასაც ვხვდებოდე, რომ ეგ მოწმეც დაკარგეთ, მაგრამ ვერ გამიგია, რომელ ვერსიას ამოწმებთ... რად გინდოდათ ეგ ხალხი, რა უნდა შეგეტყოთ მათგან: ვინ აფეთქებს ჩვენს ქალაქში საზოგადოებრივ შენობებს? ხომ ხვდებით, რომ აქ ტერორისტები არაფერ შუაში არიან. აფეთქების კვალიც არსად ჩანს... რის გაგებას ცდილობთ?“

„მინდა ვიცოდე, რატომ მოკვდა ერთდროულად ორი კაცი“...

„და ხომ არ არის ეს მკვლელობა? — აფთიაქარმა ფეხი მოინაცვლა, — მკვლელობაც რომ იყოს და მკვლელსაც მიაგნოთ, თქვენი ძიების საგანთან ამას რა კავშირი აქვს?“

გამომძიებელმა მაღლა აიხედა. ცაში მერცხლები დასრიალებდნენ.

„შეუძლებელია ერთდროულად მოკვდეს ორი კაცი, როცა რაღაცის თქმას აპირებდნენ“.



მხატვარი სოფო ელიაშვილი

აფთიაქარმა ისევ გაიღიმა.

„გეჩვენებათ, — თქვა მერე, — განა რა უნდა სცოდნოდათ ამ მუმიას და სულელ იონას?“

„აკი მითხარით, ზოგჯერ მუმიებიც ლაპარაკობენო“.

აფთიაქარმა თავი გადააქნია.

„მთავარი ის როდია, ვინ რას ლაპარაკობს, — მთავარი ნათქვამის ინტერპრეტაციაა, — მან თავი გადახარა და გამომძიებელს ისე უყურებდა, თითქოს ებრალებაო, — გიმეორებთ: თუ მკვლელს ეძებთ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს“.

„მე სამხილს ვეძებ“.

„რად გინდათ სამხილი?“

„დანაშაულის გასახსნელად“.

„რაც ჩვენთან ხდება, ეგ დანაშაული გგონიათ?“

„სხვა კვალიფიკაციას ვერ მივცემ — ჩემი პროფესიიდან გამომდინარე“.

„იქნებ დამთხვევაა იმ ორი კაცის სიკვდილი, თქვენ რომ მოწმეები გგონიათ?“

„შეუძლებელია, — გამომძიებელი აღელდა, — წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყნიერება ულოგიკოა“.

აფთიაქარმა უფრო გადახარა თავი და ლოყაზე ხელისგული შემოიდო.

„მებრალებით, — თქვა მერე, — იძულებული რომ ხართ მხოლოდ გონებას დაეყრდნოთ... ისე, კაცმა რომ თქვას, ლოგიკის მეტი იარაღი არც გაქვთ“.

„მე მხოლოდ ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში ვმოქმედებ“, — წყნარად მიუგო გამომძიებელმა.

„სწორედ მაგ შესაძლებლობას ვგულისხმობ... რით დაუპირისპირდებით ანომალიას? ის ხომ ჩვენეული ლოგიკის ფარგლებში არ ეტევა?! და რაც ულოგიკოა, მიზეზ-შედეგის კატეგორიებით ვერც განიხილავთ“.

„მიზეზი ყველაფერს აქვს“, — ისევ წყნარად, მაგრამ დაჟინებით თქვა გამომძიებელმა და კარტუზი დაიხურა.

„შესაძლოა, მაგრამ ის ჩვენი გონებისთვის დაფარულია, — აფთიაქარი კვლავ სიბრალულით და თითქოს სინაზითაც უცქერდა გამომძიებელს, — მდინარის პირას ვდგავართ, მაგრამ სათავეს ვერ ვხედავთ, — მან თითი მოდიდებული ღელესკენ გაიშვირა, — მდინარეც და აქაურობაც სრულიად ნამდვილია, ყოველ შემთხვევაში იმ კაცისთვის, ვინც მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დაეძებს, მაგრამ სათავე კი ვერ უპოვნია“.

„თქვენეული შედარება არაზუსტია. მდინარეს როდი ვხედავთ, არამედ ანომალიას“.

აფთიაქარი ისე შეინძრა, თითქოს ფეხქვეშ მინა გამოეცალაო.

„რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენკენ მოვლენის რომელი მხარეა მოქცეული... ერთხელ ხომ თქვით, რომ ეგ ჯოხის მეორე ბოლოა... მიზეზს მაინც ვერ ვწვდებით“.

„თქვენი აზრით, ძიება უნდა შევწყვიტო?“ — ის აფთიაქარს უყურებდა, მაგრამ ეტყობოდა, სხვა რამეს ფიქრობდა.

„ლოგიკას მეტისმეტად ენდობით, — თქვა აფთიაქარმა, — ის მხოლოდ კანონზომიერებას ცნობს და გაიძულებთ, ამ ამბებში განგების გამოვლინება დაინახოთ“.

„თქვენ ხომ მარწმუნებდით, რომ ეს მწყობრი ვერსიაა“.

აფთიაქარმა ჩაიცინა.

„მე ისიც გითხარით, მთავარი ნათქვამის ინტერპრეტაციაა-მეთქი, ლოგიკა კი ყველაფერს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ენაზე თარგმნის... თუ ამ ორი კაცის სიკვდილი ანომალიას უკავშირდება, ცხადია, ეს ყველაფერი რაღაც მიზეზით ხდება, მაგრამ ეძებთ კი მიზეზს იქ, სადაც უნდა ეძებდეთ?“

„მდინარის პირას ვდგავარ, — თქვა გამომძიებელმა, — მიმართულება ნაპოვნია უკვე“.

„ლოგიკის ოინიც ეგაა... რაც მიმართულება გგონიათ, იქნებ მაცთური გეზია მხოლოდ... ვთქვათ, და სათავე მიწის გულშია... მერე რაღას იზამთ?“

„მოტივს ვეძებ, — თქვა ჯიუტად გამომძიებელმა, — დანარჩენი თავისით გამოჩნდება“.

„სხვაგან ეძებთ... ის უფრო ახლოა, ვიდრე გგონიათ, — აფთიაქარმა ისევ გაიცინა, — პირველი როდი ხართ, ვინც ანომალიას ღვთის ნების გამოვლენად მიიჩნევს... ჩვენ ვცოდეთ და ღმერთიც გვსჯის, ოღონდ ზოგჯერ წარღვნის მაგიერ სხვა უბედურებას დაგვატეხს ხოლმე თავს... მთავარი ესაა, ცოდვის სათავეს მივაგნოთ... თქვენი ლოგიკა გასაგებია: ამ ქალაქში ფარული ცოდვის კალო ტრიალებს, ამიტომაც ვერ შენდება ვერაფერი“...

„თეოლოგია არ მაინტერესებს, — თქვა გამომძიებელმა, — უფრო სწორად, იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც ძიებას უკავშირდება... რაც ახლა თქვით, ჩემთვის ერთ-ერთი სამუშაო ვერსიაა და მეტი არაფერი“.

„მართლა ასე ფიქრობთ? — აფთიაქარს სახე შეეცვალა, უცებ დასერიოზულდა, — თეოლოგია ვერსია ვერ იქნება: ან გწამთ, ან არა!.. თანაც, ვთქვათ და ცოდვის სათავეს მივაგენით, მერე რაღა იქნება? გგონიათ, ამით ღვთიურ კანონზომიერებას ჩასწვდებით? ისიც გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე დამთხვევაც საკმარისია, რათა ყველაფერი მწყობრი, ლოგიკური გეგმის ნაწილად მოგეჩვენოთ...

„გამოდის, რომ სამყარო ულოგიკოა“, — გამომძიებელი სხვაგან იყურებოდა და აფთიაქარმა ვერაფრით დაიჭირა მისი მზერა.

„შესაძლოა თავად სამყარო იყოს ანომალია, ხოლო ის, რაც ანომალია გვგონია, პირიქით, ანომალიის გამოსწორების ცდა... აკი ამბობენ, რომ უფლის გზანი შეუცნობელია“.

„მოტივი მჭირდება, — თქვა ისევ გამომძიებელმა, — სხვანაირად ძიებას ვერ განვაგრძობ და კონტრაქტიც ჩამეშლება“.

„კონტრაქტი? რომელ კონტრაქტს გულისხმობთ?“

„ქალაქმა რომ დამიქირავა, იმას“.

აფთიაქარმა ახლა მეორე ხელისგული შემოიდო მარცხენა ლოყაზე.

„მაგას ის სჯობდა, იმათთან დაგედოთ ხელშეკრულება, — მან თითი ცისკენ აიშვირა, — ოღონდ არ ვიცი, შიგ რას ჩასწერთ“.

„ხელს თუ ვინმე მომიწერს, — გახალისდა გამომძიებელი და როგორც სჩვეოდა, კარტუზი შუბლზე ჩამოიფხატა, — თუ იონასავით მეც ტაძარში წავიღო ეგ კონტრაქტი, იქნებ მეორე დილას ხელმოწერილი დამხვდეს-მეთქი, იმის იმედით“.

აფთიაქარმა აღარაფერი უპასუხა, ოღონდ რაღაცნაირად დაკვირვებით უყურებდა.

„სახუმარო როდია ეგ ამბავი, — თქვა მერე, — მოტივს თუ ეძებთ, იქნებ ამანაც გასჭრას... ხვდებით, რას ვამბობ? თუ ანომალია იმიტომ ხდება, რომ ამ ქალაქში ღვთიური კანონით არავინ ცხოვრობს, ახალი ხელშეკრულება აუცილებელია, ოღონდ არ ვიცი, იმათ რას შესთავაზებთ, — მან ისევ ცისკენ აიშვირა თითი, — არც ის ვიცი, რომელი კანონი დავარღვიეთ, ასეთი სასჯელი რომ გვერგო“...

„მეც სწორედ ეგ მაინტერესებს, — თქვა გამომძიებელმა, — იმიტომაც მინდოდა განდეგილის წერილები მომეძებნა“.

აფთიაქარი დუმდა.

„კრიმინალისტობას ერთი უპირატესობა აქვს, — თქვა მერე, — მოტივსაც და დამნაშავესაც ყოველთვის სხვაგან ეძებთ... მიხვდით, რას ვგულისხმობ?“

„მე უცხო კაცი ვარ, — გამომძიებელმა უფრო ჩამიფხატა ქუდი და თითქოს სახე ჩაუშავდა, — თქვენს ქალაქშიც პირველად ვარ... ეს ამბავი რომ არა, სახელიც კი არ მეცოდინებოდა, რა ჰქვია“...

აფთიაქარი მოულოდნელად მის ფეხსაცმელს დააცქერდა.

„მტვერი აღარ გაყრიათ, მაგრამ ამით პასუხისმგებლობას ვერ აიცდენთ... ხომ გახსოვთ, რა გკითხეთ ერთხელ: იქნებ თქვენი აქ მოვლინებაც ფარული გეგმის ნაწილია-მეთქი? თქვენ კი არაფერი მიპასუხეთ“...

„ამ საქმეში ვერ გამხვევთ, — თქვა გულგრილად გამომძიებელმა, — მე უცხო კაცი ვარ და არც თეოლოგია მწამს... ვერსიას ვამოწმებ მხოლოდ და ეგ არი“.

„თუ დაგიდასტურდათ ეგ ვერსია, მაშინ?.. რას იზამთ, იწამებთ იმათ გეგმას? — აფთიაქარმა ისევ აღმართა თითი კრიალა ცისკენ.

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„არ ვიცი, — თქვა მერე, — ჯერ მოტივი მაქვს საპოვნელი“.

* * *

ჭინჭარი მეორედ აყვავდა, მაგრამ გამომძიებელს ასე თუ ისე ხელმოსაჭიდი სამხილი ჯერაც ვერ მოეძებნა. უმიზნოდ დაეხეტებოდა ქალაქში, საღამოობით კი სასტუმროს ნომერში გამოძიების მასალებს ჩაჰკირკიტებდა, წერდა და შლიდა, ალგორითმებს ხაზავდა, ანომალიასა და მოწმეთა სიკვდილს შორის პროვიდენციალურ კავშირს ეძებდა. მოეშვა, მოდუნდა, წვერსაც აღარ იპარსავდა, დივანზე იწვა და ძველ ჟურნალებს კითხულობდა, უმეტესად კი გაშტერებული იყურებოდა ფანჯარაში, თითქოს იქიდან მოელოდა პასუხს... მანჯურიელის სიკვდილიდან ორი დღის შემდეგ ის აფთიაქარმა ინახულა სასტუმროში.

„აქაურობას უნდა გაეცალოთ, — მისალმების ნაცვლად მიახალა ფარმაცევტმა. — პოლიცმეისტერი ხვდება, ვინ მოსტაცა პატიმარი“.

„თქვენ უთხარით?“ — პირდაპირ ჰკითხა გამომძიებელმა.

„პატარა ქალაქში არაფერი დაიმალება... გირჩევთ, ღამით აქ ნუ დარჩებით... დღისით და ცხადად ვერაფერს გაგიბედავთ, მაგრამ სხვა დროს შეეცდება გზიდან ჩამოგიშოროთ“.

„ოფიციალურად რატომ არ აღძრავს საქმეს და არ დამაპატიმრებს, თუკი იცის, რომ განდეგილი მე გავიყვანე გომურიდან?“

„ეშინია. ჰგონია, ვითომ მისი მაკომპრომეტირებელი წერილები თქვენა გაქვთ... თქვენს მოკვლასაც არ დაერიდება, ოღონდ ის წერილები ხელში ჩაიგდოს“.

გამომძიებელი მდუმარედ უსმენდა.

„მართლა არ იცით, ვისა აქვს ის წერილები?“ — ჰკითხა მერე.

„რომც ვიცოდე, მაინც არ გეტყოდით, რადგან ძიებას ეშხი დაეკარგება... ღამით მდინარის გაღმა გადით, მთებში კარგად დაიმალებით... შეგიძლიათ განდეგილის გამოქვაბულში იყოთ დროებით, სანამ ძიებას დაასრულებთ, ან“...

აფთიაქარი გაჩუმდა.

„ან რა?“ — გამომძიებელი პირისპირ შეჰყურებდა და პასუხს ელოდა.

„ან აზრს შეიცვლით ამ ამბებზე“, — დაფიქრებით თქვა აფთიაქარმა.

„მე კი მეგონა, უკან გაბრუნებას მირჩევდით, — გამომძიებელი დივნიდან ადგა და ფანჯარას მიუახლოვდა, — ის დროა, ამ საქმის ძიებაზე უარი ვთქვა“.

აფთიაქარმა თავი გაურკვევლად გააქნია.

„თქვენი ნებაა, მაგრამ დივანზე უქმად აქაც წევხართ და ჟურნალებსაც კითხულობთ... რატომ არ გინდათ შემთხვევით ისარგებლოთ და საქმე ბოლომდე მიიყვანოთ? რა იცით, როგორი დასასრული ექნება? იქნებ ეს უფრო მეტია, ვინემ რიგითი კრიმინალისტური ჩხირკედელაობა? თუ გეშინიათ?“

„ვისი? პოლიცმეისტერის?“

„მაგ შიშს როდი ვგულისხმობ... უფრო საშიში მდინარეში შესვლაა გაღმა ნაპირზე გასასვლელად“...

„თქვენი ნართაული ვერ გავიგე“, — გამომძიებელი ისევ დივანზე ჩამოჯდა და ნიკაპი ხელს ჩამოაყრდნო.

„მაშინ ერთ იგავს მოგიყვებით. გიყვართ იგავები?“

„ვითომ ასე უფრო გასაგები იქნება, რაც უნდა მითხრათ?“

„ვინ იცის... მით უმეტეს, რომ ამ იგავშიც მდინარეზეა საუბარი, — აფთიაქარი ფანჯრის ახლო კედელს მიეყრდნო და იმანაც გაიხედა გარეთ, მერე შემობრუნდა, ოღონდ კედელს არ მოსცილებია, გულხელი დაიკრიბა და ასე გაჩერდა, — ერთმა აღმოსავლელმა იმპერატორმა, ვისაც სამყარო მიზეზ-შედეგობრივ ფენომენად მიაჩნდა, თავის ხუროთმოძღვარს მარმარილოს დიდებული ტაძარი ააგებინა. ტაძარს თხუთმეტი წელი აშენებდნენ და უკვე მზად იყო, როცა იმპერატორმა ისეთივე ტაძრის აგება ბრძანა მდინარის გაღმა ნაპირზე, რათა რწმენის წყვილი სიმბოლო ჰქონოდა თვალწინ. მისი ჩანაფიქრით, ერთი ტაძარი თეთრი უნდა ყოფილიყო, მეორე — შავი, მაგრამ ხუროთმოძღვარმა ეს მეორე დავალება ვერ შეუსრულა... თუ იცით, რატომ?“

„ტაძარი მიწისძვრამ დაანგრია, ხუროთმოძღვარმა კი გეგმა დაკარგა“.

„ვერ გამოიცანით“.

„ბარბაროსებმა აგებულ ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს, ხუროთმოძღვარი კი მოკლეს“.

„ისევ ვერ გამოიცანით“.

„იმპერატორი მზარეულმა მოწამლა და ხუროთმოძღვარმაც მშენებლობა შეაჩერა“.

„გარეგანი მიზეზები არაფერ შუაშია. სხვა რამ იფიქრეთ“.

გამომძიებელმა ხელები გაშალა.

„ჩემი შეთქმულების თეორია ამოვწურე. თქვენი მითხარით“.

„ამ იგავში იმპერატორიც ჯანმრთელია და ხუროთმოძღვარიც. არც ბარბაროსები ჩანან სახელმწიფო საზღვრების მახლობლად, — ფარმაცევტმა თავი დაღუნა სარქენად გამზადებული ხარივით, — იგავის პასუხი გაღმა ნაპირია... საქმე ისაა, რომ ხუროთმოძღვარს მდინარეზე გადასვლის ეშინოდა და არა მარტო მას“...

„ხიდი რატომ არ ააგეს?“

აფთიაქარმა ტუჩები მომუწა.

„ვთქვათ, ხიდის აგება დაავიწყდათ... ხუროთმოძღვარი ისე იყო აღფრთოვანებული უჩვეულო იდეით, რომ ისეთი წვრილმანი დეტალი გამორჩა, როგორიც ხიდია მდინარეზე“.

გამომძიებელი დივნის საზურგეს გადაანცვა.

„მე ის უფრო მაინტერესებს, რად უნდოდა იმპერატორს მეორე ტაძარი გაღმა ნაპირას, თუ მდინარეზე ვერ გადადიოდნენ?“

„ის მეოცნებე ადამიანი იყო და ეგონა, რომ ამქვეყნად ორი მსგავსი საგანი დაიძებნება... თანაც ხომ გითხარით, უნდოდა რწმენის წყვილი სიმბოლო შეექმნა-მეთქი“...

„გაღმა ნაპირას მეორე ტაძარი რომ აეგოთ, თქვენს იგავს როგორი დასასრული ექნებოდა?“

„იგავის მორალიც ესაა, რომ ტაძარი აუგებელი დარჩა“.

გამომძიებელმა სტუმარს შეხედა.

„იქნებ ბოლომდე ვერ ვხვდები, რა გინდათ მითხრათ, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რომ გამაფრთხილეთ... გაღმა თუ გავალ, გგონიათ აზრი შემეცვლება ამ ამბებზე?“

აფთიაქარმა ჩაიცინა.

„ვინ იცის... იქნებ არც არაფერი მოხდეს, ოღონდ დაიმახსოვრეთ: ტაძარი იმის გამო ვერ აშენდა, მშენებლებს მდინარეზე გადასვლის რომ ეშინოდათ“.

„ბანალური მორალია, — ცივად თქვა გამომძიებელმა, — ვხვდები, რასაც გულისხმობთ. იყოს ეგრე: შევალ მდინარეში“.

„თუ უკვე იყავით?“

გამომძიებელმა ყურადღებით შეხედა.

„თუ მიზანი გაღმა ნაპირია, ჩათვალეთ, რომ არ ვყოფილვარ... ეს გინდოდათ გაგეგოთ?“

* * *

მდინარეზე მუმლი და კოღო ირეოდა და პაპანება იწვა. გამომძიებელი დაჟინებით ჩაჰყურებდა თიხისფერ წყალს, ბორნის ქვეშ რომ მიედინებოდა. დღეში ორჯერ გადადიოდა კაცი მდინარეზე და ეს წამი — ორ ნაპირს შორის თითქოს ჰაერში გამოკიდული ყოფნა, რაღაც განუცდელი თავისუფლების გრძნობით ავსებდა; თითქოს სხეულს კარგავდა და მაღლდებოდა, შიში და წუხილი უქრებოდა და ისიც ცივი, გამჭრიახი მზერით გაჰყურებდა მტვრიან ქალაქს, სიზმრისეულ ჩვენებასავით რომ ილანდებოდა მის წინ სიცხის არმურში. წვიმებს გადაევლო და ისევ მტვრის ბული აწვა ქალაქს. მტვერი ეფინა ხეებს, შენობებს, გაზონებსა და ბაღებს, მტვრის ნაწილაკები ირეოდა ჰაერში, კრაწუნებდა კბილებში, ხრაშუნებდა ფეხქვეშ, ილექებოდა ქუთუთოებზე და ხალხს მზერას უბინდავდა. სიცხე ხუფივით ეხურა ქალაქს და სიცოცხლეც თითქოს უეცრად ჩაკვდა — ჯადოქარმა კვლავ აიქნია უხილავი ჯოხი და ქალაქიც გაჩხიბულს დაემსგავსა... ამაოდ ცდილობდა გამომძიებელი ის უჩინარი ჯადოქარი მოეძებნა, ვისი ხელის აქნევასაც ქალაქი მყისვე ემორჩილებოდა, მაგრამ ყველაფერი ხელიდან უსხლტებოდა... ნამდვილი და უტყუარი სამხილი მხოლოდ მტვერია... და გამომძიებელს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მტვრის ცახე მისივე წიაღის ფსკერზეც წკნდებოდა... ქუჩაში მავალი, მტვრით შესუდრული ადამიანები

მიცვალებულებს ჰგავდნენ... რაღა უნდა მომხდარიყო, რომ მკვდართა საუფლოდან გაელწია? რატომ ვერ მიდიოდა აქედან? ძიება აშკარად ჩიხშია, თავად მას კი ხიფათი ემუქრება... პროფესიონალის ფხიზელმა მზერამ რამდენჯერმე შენიშნა უცხო ხალხი, უკან რომ დაჰყვებოდნენ — ესენი პოლიცმეისტერის მოგზავნილი მკვლელები იყვნენ და გამომძიებელიც იძულებული გახდა, გასცლოდა ქალაქს და განდეგილის ქვაბულში დასახლებულიყო, როგორც ეს აფთიაქარმა ურჩია... დღისით მაინც ქალაქში იყო, მტვრიან ქუჩებში დადიოდა, რაღაცას ეძებდა, ვიღაცებს ნახულობდა, საღამოობით კი ბორნით გადადიოდა გაღმა ნაპირზე, რათა ღამე გამოქვაბულში გაეთია.

ერთ საღამოს ბორანთან პოლიცმეისტერის ქალიშვილი დახვდა.

„შინიდან წამოვედი, — ყოყმანით უპასუხა კაცის უხმო კითხვას გოგომ, — ვეღარ დავბრუნდები“.

„პოლიცმეისტერის ხალხი მოსაკლავად დამდევს. უკან გაბრუნდი“, — თქვა გამომძიებელმა.

„მირჩევნია, მეც მომკლან, — ის კაცს მხარზე მიეკრა, — მინდა ძიებაში დაგეხმარო“.

გამომძიებელს აღარაფერი უკითხავს, მაგრამ ქვაბულში გოგომ თავად მოუთხრო პოლიცმეისტერთან შეჯახების ამბავი: თურმე პირში მიუხლია მამობილისთვის, რომ კომპრომატები ნახა. პოლიცმეისტერიც ამაოდ ცდილა გოგოსთვის საიდუმლო დაეტყუა, მაგრამ გოგოს მოურიდებლად გამოუჯახუნებია კარი... აღარ დაბრუნდება, რადგან მამობილი სძულს და სხვა ცხოვრება უნდა...

გამომძიებელი მდუმარედ უსმენდა.

„ვერ გაიქცევი, — თქვა მერე, — სადაც არ უნდა წახვიდე, ამ ქალაქის სახება თან გაგყვება“.

„ყველგან მტვერი და სიბინძურე როგორ იქნება? მინდა სხვა ცხოვრება ვნახო... შენ თუ არ წამიყვან, ჩემით წავალ!“

„ვერ გაიქცევი, — თითქოს ბურანში გაიმეორა გამომძიებელმა, — არც სხვა ცხოვრება არსებობს სადმე... ადამიანს ჰგონია, რომ ადგილს შეიცვლის და წყევლა და შეჩვენება თავისით ჩამოსცილდება, მაგრამ ეს ფუჭი თავისმოტყუებაა“.

„ჩემით წავალ, — თქვა მტკიცედ გოგომ, — მიკვირს შენც რომ არ მიდიხარ? ნეტავ რას დაეძებ ამ ბინძურ ქალაქში?“

გამომძიებელმა აღარაფერი თქვა, ადგა და ქვაბულის შესასვლელიდან ტაფობს გადახედა. დაისი იყო. მდინარის იქით მტვერში მიმალული ქალაქი მოჩანდა. მართლაცდა, რას დაეძებს? ყველაფერი ისე ცხადი და ნამდვილია... ანომალია გაქრა და მან რეალურად დაინახა ქვეყნიერება: ვიწრო, ჭუჭყიანი, ადამიანის შიშითა და წვრილმანი აზრებით აქოთებული... მტვერი ადამიანთა თავებს ედო, მას კი სურდა ამ თავებში ჩაეხედა, უნდოდა ცოდვის სათავისთვის მიეგნო, როგორც ეს აფთიაქარმა დაუთქვა, მაგრამ არც ცოდვა არსებობდა — იყო მხოლოდ მტვერი, რომელიც წარსულს ეფინა და მზერას უბინდავდა... გამომძიებელი ქვაბულის შესასვლელს მიეყრდნო და დიდხანს იყურებოდა ქვევით — იყურებოდა მას შემდეგაც, რაც ჩამობნელდა და ქვეყნიერება ღამის ზეწარში გაეხვია... ქვეყნიერება აღარ ჩანდა — ხილული, მტანჯველი და მომქანცველი, მაგრამ გამომძიებელი უფრო აშკარად ხედავდა მას, ვიდრე დღის შუქზე... ანომალია არ არის ცოდვის საზღაური — ის ჩიხია... თეოლოგია არაფერ შუაშია... ყველაფერი ადამიანის თავში ხდება... ამიტომაც არის ანომალია უხილავი და ამიტომაც დაეძებს ამაოდ კვალს... მტვერში ანაბეჭდები არ რჩება, ან თუ რჩება, ეს ცრუ სამხილია... გონებაც ამით ცდუნდება... აფთიაქარი მართალია: სხვაგან უნდა ეძებოს კვალი, უფრო ახლო, უფრო ახლო... პოლიცმეისტერის ქალიშვილს გახედა და მზერა ისევ ღამეს უსწორა: უფრო ახლო, ვიდრე ჰგონია... ადამიანს კი ეს არ ესმის, ამიტომაც დაძრწის მისი მოდგმა დედამიწაზე და თავშესაფარი ვერ უპოვნია... თვითონ თუ აქვს თავშესაფარი? გამომძიებელი შეტოკდა და ბნელ ღამეს ისე ჩააცქერდა, თითქოს ვინმეს მოსვლას მოელოდებაო იქიდან... ჰო, დევნილი და მსხემია, მაგრამ შინისკენ მიდის... არც გამოქვაბულია მისი სახლი და არც ქალაქში ეგულვის მყუდრო ბინა; უფრო მეტიც: ქვეყნიერებაზე არსად მოიძებნება ადგილი, რომელსაც თავისად იგულვებდა, მაგრამ მაინც მშვიდად გრძნობს თავს. შიში გაქრა, — დევნილი ნადირის შიში, და მან სხვა თვალით დაინახა ქვემოთ აბჟუტული ქალაქი, რომელსაც ფარული ძალა წარხოცვას უპირებდა...

„ვერ გაიქცევი“, — თითქოს გახმიანდა ბნელში... გამომძიებელმა ზურგი აქცია ღამეს, პოლიცმეისტერის ქალიშვილს მიუახლოვდა და მისკენ გამოწვდილ მკლავებს წააწყდა... გამომძიებელი დაიხარა და ბნელში ანთებული თვალები დაინახა.

„ვერ გაიქცევი“, — თქვა ჩუმად, მაგრამ გოგომ აღარ აცალა, პირზე ხელისგული მიაფარა და თავისკენ მიიზიდა... კაციც მიჰყვა და ორივენი უფრო ღრმა უფსკრულში ჩაეშვნენ, ვიდრე ღამე იყო, ქვეყნიერება რომ თითქოს სამუდამოდ დაეფარა...

* * *

ქალაქის აღმოსავლეთით, უნაყოფო ტრამალზე, ბოშებს გაეშალათ კარვები. მტვრიანი გზებით მავალი მომთაბარეები აქ შეჩერებულიყვნენ, ხევის ახლო ალაჩუხები დაედგათ და კოცონები ენთოთ. ბოშები წელიწადში ორჯერ სტუმრობდნენ ქალაქს, მაგრამ შიგ არ შედიოდნენ, თითქოს ეკრძალვიან ან ერიდებიან როგორც კეთროვანსო. უფრო ახლო-მახლო სოფლებს რჩეობდნენ საურთიერთოდ: მკითხაობდნენ, ქურდობდნენ, სოფლებებს ქვაბებს უკალავდნენ ან საქონელს წამლობდნენ. ამ ზაფხულსაც მოსულიყვნენ აქ, როგორც გადამფრენი ფრინველი ბრუნდება ხოლმე ძვედ საბუდარში, და კარიერის მახლობლად დაეცათ ბანაკი. მათი ხამი ტილოს კარვებს უკვე სქლად ედო კირქვის მტვერი.

ბორნიდან გადმოსული გამომძიებელი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა ბანაკს. ბანაკი დიდი არ იყო. კარვებს შორის რამდენიმე საზიდარი იდგა და ცეცხლი ენთო. საზიდრებთან შავტუხა და ჭრელ-ჭრელი ტანსაცმლით დამოსილი ხალხი ირეოდა. გამომძიებელი უგრძნობლად შეერია ბრბოს. არავის შეუჩერებია, არავინ გამოლაპარაკებია, სანამ წრიულად დადგმული კარვებისგან შემოსაზღვრულ მოედანზე არ გავიდა. აქ კი მის შესახვედრად რამდენიმე კაცი წამოიმართა საზიდრიდან და მათგან ყველაზე ახმახმა, ყურში რომ ოქროს რგოლი უბრჭყვიალებდა, ჰკითხა, ვინა ხარ და რას ეძებო.

„თქვენს წინამძღოლთან მიმიყვანე!“ — წყნარად უთხრა გამომძიებელმა.

„რა საქმე გაქვთ მასთან?“

„პირადად ვეტყვი. მიმიყვანე მასთან“.

ახმახმა უხმოდ ანიშნა, გაჰყოლოდა. ნაცრისფერი ტილოს კარავთან მივიდნენ და გამყოლმა კარვის კალთა აუგდო დაძარღვული ხელით.

გამომძიებელი დაიხარა და კარავში შეიხედა.

„რა ჰქვია თქვენს წინამძღოლს?“

„აბელ ზივო“.

გამომძიებელმა კარვის ზღურბლს გადააბიჯა. კარვის ჭერში დატანებული ნახვრეტიდან მზის შუქი იცარებოდა სოხანეზე. ძირს დაგებულ ტყავებზე, ჭრელ ბალიშებსა და საბნებს შორის, ხნიერი ბოშა იჯდა. მუქი აბრეშუმის განიერი შარვალი ეცვა, წელზევით შიშველს ჭაღარა ბალნით დაფარულ მკერდზე სვირინგი მოუჩანდა. გამომძიებელს თითქოს პირკატა ეცა: ბოშათა წინამძღოლს მკერდზე პირაშკმული დრაკონი ამოესვირინგებინა. მის გვერდით ჭაღარა, უკბილო ქალი იწვა, ალბათ ბოშას ცოლი; უცხო კაცის შემოსვლისას არ განძრეულა, თაგვის თვალები გამომძიებელს წამით მიაშტერა და სახე დაემანჭა.

წინამძღოლმა ოდნავ დაუქნია თავი გამომძიებელს, რაც მიპატიჟებას ჰგავდა. გამომძიებელი უხმოდ გაჩერდა მის წინ.

„დაჯექი, უცხო კაცო, — თქვა ბოშამ ბოხი ხმით, — რისთვის მოსულხარ?“

„თავშესაფრის სათხოვნელად, — გამომძიებელი კვლავ ფეხზე იდგა, — ქალი მახლავს და მტრები მდევნიან“.

ბოშამ უხმოდ მიაფათურა ხელი ბალიშებში და ვერცხლისტარიანი სატევარი გამოიღო.

„თავს ამით დაიცავ, გამომართვი“, — მან სატევარი გაუწოდა გამომძიებელს.

„იარაღი როდი მჭირდება, — თქვა გამომძიებელმა, — მინდა, ბანაკში მომცე ღამის გასათევი“.

წინამძღოლმა სატევრის პირს ხელისგული დაუსვა.

„სტუმარი ღვთისაა, — თქვა მერე, — ვხვდები, რომ ცუდი კაცები გდევნიან... ბანაკში კი ვერ მიგიღებ, რადგან ჩემი ხალხის უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნო. აქაურებს ისედაც არ ვუყვარვართ“.

„ქალი მაინც შეიფარეთ, — თქვა გამომძიებელმა, — მე კარიერის ზემოთ, გამოქვაბულში დავრჩები და ხანდახან გესტუმრებით მის სანახავად“.

„ცოლია შენი ის ქალი?“

გამომძიებელმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

„სატევარი გამომართვი, — წინამძღოლმა ისევ გაუწოდა ვერცხლისტარიანი მახვილი, — მარტო კაცს იარაღი მუდამ უნდა ჰქონდეს თან“.

გამომძიებელმა იარაღი ჩამოართვა.

„მადლობელი ვარ“, — თქვა წყნარად.

„არ გეწყინოს, უცხო კაცო, — ბოშამ ბალნიანი მკერდი მოიფხანა, — დევნილები ვართ. ქალაქში არ გვიშვებენ... შენ, მგონი, ქალაქელი უნდა იყო?“

„სტუმარი ვარ... ქალაქის პოლიცმეისტერთან უთანხმოება მომიხდა“.

„რატომ არ წახვალ აქედან?“

„ბევრი ვიარე უკვე... თანაც, აქ საქმე მაქვს“.

„ეს ცუდი ადგილია, — ბოშა მოულოდნელად გადაიხარა და გვერდით მწოლ ქალს ფერდზე უჩქმიტა. ქალი შეხტა და ჩაიხითხითა. — შენი ნებით რატომ ყოვნდები აქ? რა საქმე უნდა ჰქონდეს კაცს დაწყევლილ ქალაქთან?!“

„მადლობელი ვარ, — თქვა ისევ გამომძიებელმა, — ღამით კოცონებს ვხედავ ხოლმე ზემოდან. ესეც კმარა, რომ კაცს იმედი მიეცეს“.

ის შებრუნდა და გასასვლელისკენ გაემართა.

„ქალი მოიყვანე, — დაადევნა ბოშამ, — ჩემი ცოლი მიხედავს, არაფერს გაუჭირვებს“.

* * *

პოლიცმეისტერის კაცები რომ დასდევდნენ და უთვალთვალებდნენ, გამომძიებელმა ეს კარგად იცოდა; ისიც კარგად იცოდა, აქედან რომ წასულიყო, საფრთხეც მყისვე ჩამოეცლებოდა... ანგარიშს დაწერს და უფროსებს შეატყობინებს, რომ საქმის ძიება მის კომპეტენციას აღემატება, უფრო სწორად ადამიანურ კომპეტენციას, რაკიღა ეს რიგითი საგამომძიებლო საქმე როდია; უფროსებმაც უწყოდნენ ეს, ამიტომაც სამსახურის დაკარგვისა არ უნდა შინებოდა, მაგრამ პატაკის შედგენას მაინც აყოვნებდა... რატომ არ მიდის? წყნარი და უშფოთველი ცხოვრება ელოდება: სამსახური, კარიერაზე ფიქრი, მეგობრებთან გართობა, ინტიმი შემთხვევით გაცნობილ ქალებთან და ხვალინდელი დღის მოლოდინი, როცა რაღაცა შეიცვლება... ეს რაღაცა აქ ჩამოსვლით შეიცვალა, მაგრამ ის არ იყო, რაც კაცს წარმოედგინა... შფოთი და წუხილი ჩაუსახლდა გულში, ჩვეული თავდაჭერილობა დაეკარგა... თავად მისი ყოფაა ანომალიური და არა ის, რომ ქალაქში საზოგადო შენობები არ შენდება... ადამიანი ასე შიშით და განკითხვის მოლოდინით არ უნდა ცხოვრობდეს, თუმცა არც იმის განცდა ჰქონდა, რომ რაღაც უჩინარ და დაუძლეველ ძალას შეეჯახა... ანომალიის მიუხედავად, ქალაქი მშვიდად და წყნარად ცხოვრობდა და მხოლოდ უცხო თვალი თუ შეამჩნევდა ნანგრევთა სიჭარბეს.. ნანგრევებში იწვა პატარა, პროვინციული ქალაქი და ნელი-ნელ ხავსდებოდა, თუმცა მოქალაქეებს როდი ეტყობოდათ, რომ ქალაქი უფსკრულისკენ მიექანება... მტვრიან ქუჩებში დაღოღავენ უსიცოცხლო, ზანტი ადამიანები და მათ სახეებს თითქოს მტვრის ნიღაბი ჰფარავს... დღისით, როცა გამომძიებელი ქოხმახებს შორის მიმოდიოდა, ქალაქი პრეისტორიულ სამხეცეს ჰგავდა: ჟამი გაყინულიყო თითქოს, უჩინარ ჯადოქარს გაექვავებინა ადამიანთა სურვილები, გრძნობები და ისინიც მწერის ცხოვრებით ცხოვრობდნენ: შეუმჩნევლად, წყნარი ზუზუნით, როგორც ბუზების გუნდი დაღოღავს ხოლმე მტვერში... გამომძიებელს აკვირვებდა აქაურთა სიზანტე. ანომალიასაც კი ვერ დაერღვია უჩინარი და უსიხარულო ცხოვრების მდინარება და ქვეყნიერება რომ მართლაც გაექრო ფარულ ძალას, მანამდე რომ შენობებს ანგრევდა ამ პატარა ქალაქში, ხსოვნაც აღარ დარჩებოდა იმისა, რომ აქ ადამიანები ცხოვრობდნენ... ქალაქი თვალდახელშუა ილეოდა ზაფხულის ხვატში დაცოტავებული ღელესავით და გამომძიებელმა, როგორც იქნა, შენიშნა, რომ მოქალაქეები იბარგებოდნენ აქედან — უკვე ბევრ სახლს ედო მტვრიან კარზე ბოქლომი, ბევრი ქოხი გადაერაზათ და ფანჯრები აეფიცრათ, დუქნებიც დაეკეტათ და ქალაქიც თითქოს დაცლილიყო სიცოცხლისაგან... ვინც დარჩა, ისიც სიზმრისეული აჩრდილივით დაბორიალებდა მიტოვებულ ქუჩებში, რომლებსაც ახლა იშვიათად თუ აღვიძებდა ადამიანის ფეხის ხმა...

* * *

კვირის ბოლოს ქალაქს უჩვეულო გამოცოცხლება შეამჩნია გამომძიებელმა... უჩვეულო ფუსფუსი, მიმოსვლა, უცხო ხალხის სიჭარბე... აფთიაქარმა, ვინც მომდევნო დღეს ინახულა, აუხსნა, აქაურები გუბერნატორის ჩამოსვლას ელოდებიან, რათა იმან ხალხს აქედან წასვლის და სხვა ადგილას ცხოვრების უფლება გამოუცხადოსო. ქალაქის მმართველობას უკვე დიდი ხანია თხოვნა შეეტანა საოლქო კანცელარიაში, ნება მიეცათ მოქალაქეებისათვის, სხვა ალაგას დამკვიდრებულიყვნენ და კანცელარიამ, დიდი გაჭიანურებისა და მიწერ-მოწერის შემდეგ, როგორც იქნა, ქალაქის თხოვნა დააკმაყოფილა. ახლა კი თავად გუბერნატორი ჩამოდის, რათა ხალხს საცხოვრებლად შერჩეული ადგილების მოწმობები გადასცესო. გუბერნატორის დასახვედრად უკვე აეგოთ ფიცრული ესტრადა ქალაქის შემოსასვლელში — ერთადერთი ნაგებობა, რომელიც ფარულ ძალას არ დაენგრია, და ქალაქის მამებიც დიდი მონდომებით ემზადებოდნენ საზეიმო მიღებისათვის. იმასაც ამბობდნენ, აუგებელი ტაძრის კურთხევაცაა დანიშნული, ხოლო შვედური კომპანია ცემენტის ქარხნის გადატანას ახალ კარიერთან აპირებსო.

„სად მიდის ეს ხალხი?“ — ჰკითხა გამომძიებელმა აფთიაქარს, როცა ეს ამბები მოისმინა.

აფთიაქარმა ჩაიცინა. აფთიაქის წინ იდგნენ, ღია ცისქვეშ, და აფთიაქარი ცაში იყურებოდა.

„ახალი ანომალიის საძებნელად, — თქვა მერე, — ჰგონიათ, თუ აქაურ მტვერს დაიფერთხავენ, სხვაგან ყველაფერი რიგზე იქნება... თქვენ რა ჰქენით, გადაამოწმეთ თქვენი ვერსია?“

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„მართალი ხართ — ეს ვერსია არ იყო, — მან გაურკვეველი გრიმასით შეიჭმუხვნა სახე, — ... ეს ამბები ძიებადაც არ ღირს, რადგან ისედაც ცხადია ყველაფერი“.

აფთიაქარმა თვალი მოკიჟა და გამომძიებელს ყურადღებით დააცქერდა.

„ეგ თქვენთვისაა ცხადი, — თქვა შეთქმულივით იდუმალი ხმით, — როგორც ჩანს, გარგოთ მდინარის იქითა ნაპირზე გადასახლებამ... ახლა რას აპირებთ?“

გამომძიებელმა უმწეოდ გაშალა ხელები.

„თუ ქალაქი დაიცლება, აქ რაღა მესაქმება“...

„სად წახვალთ?“

„ჯერ არ ვიცი. პატაკი მაქვს დასაწერი“.

„კიდევ არ შეგიდგენიათ? ზარმაცობთ ალბათ“.

გამომძიებელმა თავი გადააქნია.

„არც კი ვიცი, შიგ რა ჩავწერო, თქვენს კალამბურებს ხომ არ გავუგზავნი უფროსებს?“

აფთიაქარმა გაიცინა და როგორც სჩვეოდა, თითი აღმართა.

„ტაძრის კურთხევას არ დაესწრებით? ამბობენ, დიდი ზარ-ზეიმი იქნებაო“.

„კურთხევას? რად უნდათ ტაძარი, თუ ხალხი აქედან მიდის?“

„რად უნდოდა ტაძარი იგავში იმპერატორს, თუკი მდინარის გაღმა ვერ გავიდოდა?“

„ამ კითხვის პასუხი აკი ვერ მოვისმინე თქვენგან?“

აფთიაქარმა ამოიხვნეშა.

„ტაძარი სიმბოლოა, — თქვა მძიმედ, — ის უნდა იდგეს და მეტი არაფერი“.

გამომძიებელმა საათი ამოიღო სერთუკის ჯიბიდან.

„მატარებელი როდის გადის?“ — ის საათს დაჰყურებდა და არ დაუნახავს, როგორ შეინძრა აფთიაქარი, თითქოს ზღვაზე ღელვამ შეატორტმანაო.

„კიდევ ერთი მოწმე დაგრჩათ დასაკითხი, — თქვა შემდეგ თითქოს სასხვათაშორისოდ, — კაცმა რომ თქვას, ყველაზე უწინ ის კაცი უნდა მოგენახულებინათ, რადგან ამ ამბებთან იმას უფრო მეტი აკავშირებს, ვიდრე სხვებს“...

„მორიგ მსხვერპლს მიმანიშნებთ?“

„მსხვერპლს? გააჩნია, ამ საკითხს რომელი მხრიდან შეხედავთ... — აფთიაქარმა თავი გვერდზე გადახარა და გამომძიებელს ელამივით შეაჩერდა, — ჩვენს ქალაქში რომ ანომალია გაჩნდა, პირველი იცით, ვინ მიატოვა აქაურობა? მოხუცმა მღვდელმა, — მან ღრმად ამოიქშინა, თითქოს ლაპარაკი ეძნელებაო, — დღეს სადგურისკენ ჩავიარე და ბორანთან ჩვენი კეთილი მოძღვარი ვნახე... როგორც ჩანს, ტაძრის კურთხევისთვის დაბრუნდა... არ გინდათ, გაესაუბროთ?“

„თუ ცოცხალს მივუსწარი... — გამომძიებელი ისევ საათს უყურებდა, — მაინც რას მეტყვის ისეთს, რაც თქვენ არ იცით?“

აფთიაქარმა ყელი მოიფხანა.

„ქრისტიანული თემის მღვდელს იქნებ ბევრი სათქმელი არც ჰქონდეს... ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ იონამ თავისი ხელშეკრულება სწორედ მის ტაძარში დადო საკურთხეველზე... ეს იცოდით?“

გამომძიებელმა საათს ხუფი დაახურა და ჯიბეში შეინახა.

„ჩემი მისია ამოვწურე, — თქვა მერე, — იქნებ თქვენს ქალაქში ბევრი რამ მაინტერესებდეს როგორც კერძო პირს, მაგრამ დრო არა მაქვს. ანგარიში უნდა შევადგინო“.

მან ხელი გაუწოდა აფთიაქარს, მაგრამ ფარმაცევტმა არ ჩამოართვა.

„მადლობელი ვარ... კეთილად ბრძანდებოდეთ“, — წაიბუტბუტა გამომძიებელმა.

აფთიაქარმა ჩაიცინა.

„ჯერ არ ჩამოსულხართ და უკვე მიდიხართ? მოხუცი მოძღვარიც კი დაბრუნდა და თქვენ გარბიხართ? იცით, რატომ მობრუნდა? — აფთიაქარი გადმოიხარა და პირი ყურთან მიუტანა გამომძიებელს, — იმედოვნებს, რომ თქვენგან საიდუმლოს შეიტყობს... თვითონ მითხრა, როცა ბორნით გაღმა ნაპირას ვაპირებდი გასვლას... შეხვდით იმ კაცს, ბევრი რამ აქვს სათქმელი... დამიჯერეთ, არ ინანებთ“.

* * *

წყალში ჩასავარდნად გადმოხრილი ადამიანივით გადმოკიდებულიყო მტვრიანი ნაცარქათამა სადგურის ბათქაშაცვენილი ფრონტონიდან. ბაქანზე მტვერი იდო და რელსები მზეზე ბრჭყვინავდა. გამომძიებელმა მოჭუტული თვალით გახედა უნაყოფო პეიზაჟს, საკვოიაჟი ხელიდან ხელში გადაიტანა და სადგურის შენობისაკენ გასწია. შენობის წინ სადგურის უფროსი იდგა და ზარის დარეკას აპირებდა.

„მოძღვარი დაგვიბრუნდა, — მისალმების ნაცვლად თქვა სადგურის უფროსმა. გამომძიებელი შებრუნდა და ახლაღა დაინახა შენობის წინ, ძელსკამზე, შავი ანაფორით მოსილი ჭაღარა მღვდელი. ის ჩრდილში იჯდა და ამიტომ არ ჩანდა. გამომძიებელი თავის დაკვრით მიესალმა.

მღვდელმაც დაბნეულმა უპასუხა, იმავე თავის დაკვრით, მერე წამოდგა და გამომძიებელს ხელით ანიშნა, მიახლოებოდა.

„თქვენზე მითხრეს, აქაურ ამბებს იძიებსო, — მღვდელი ისე ქოშინებდა, თითქოს დიდი მანძილი გაერბინოს. მან გამომძიებელს ხელმკლავი გაუყარა და შენობის კუთხისკენ წაიყოლა, — მიაგენით რამეს? რა შეიტყვეთ?“

„იმაზე მეტი არაფერი, რაც თქვენ იცით“.

მღვდელმა შუბლიდან ანაფორის სახელოთი მოიწმინდა ოფლი.

„ყოველთვის მწამდა, რომ გადავრჩებოდით, — თქვა მერე ისევე სულსწრაფად, — თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ღვთის სასჯელი ხსნისთვის გვევლინება ხოლმე?..“

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„ეგ თქვენი ვერსიაა... აკი გითხარით, იმაზე მეტი არაფერი ვიცი, ვიდრე თქვენ, — გამომძიებელი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ჭაღარა მღვდელს, რომელსაც, ეტყობა, დიდი გასაჭირი ადგა, რაკი მალი-მალ იწმენდდა შუბლიდან ღვარად წამოსულ ოფლს. მღვდელი მივიწყებულ ნანგრევს ჰგავდა და გამომძიებელს შეებრალა იგი, — თუ არ მიწყენთ, გკითხავთ: რად დაბრუნდით?“

„ტაძრის კურთხევას აპირებენ... ალბათ, იმედი აქვთ, რომ ის მაინც აშენდება... თქვენ რას ფიქრობთ?“

მღვდელი მოლოდინით შეჰყურებდა გამომძიებელს.

„იქნებ აშენდეს კიდეც, — ტკეპნით თქვა გამომძიებელმა, — ოღონდ ეს ის ტაძარი როდი იქნება, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ“.

მღვდელმა შვებით ამოისუნთქა.

„საღამოს ძველ საყდართან მოდით... რაღაც მინდა გაჩვენოთ, — საიდუმლოების გამნდობი კაცის ხმით თქვა მღვდელმა და ხმას დაუწია, — ვგონებ ისაა, რასაც ეძებთ“.

გამომძიებელმა თავი გააქნია.

„აქ აღარაფერი მესაქმება... ჩემი მისია დავასრულე. უფროსებთან პატაკი მიმაქვს უკვე“.

მღვდელი აღელდა და ხველა აუვარდა. ისე ახველებდა, გეგონება ჩაბჟირდაო. ტანი ერხეოდა, ძაგძაგებდა და ანაფორიდან მტვერი სცვიოდა.

„მოდით, გთხოვთ, — თქვა მერე, როცა სული მოითქვა, — ჯერ ხომ არ იცით, რა უნდა გაჩვენოთ“.

„რაც ვნახე, ეგეც საკმარისია, — მკაცრად უპასუხა გამომძიებელმა, — ნახვამდის, მამაო“.

მღვდელმა გამოწვდილი ხელი დაუჭირა.

„არავინ იცის, როგორ გადარჩეს, მაგრამ კაცს ის მაინც შეუძლია, მოყვასს ხსნის გზა უჩვენოს... თუ არ მოხვალთ, ვიფიქრებ, რომ ღმერთი არ არსებობს“.

გამომძიებელი მოჭუტული თვალით უყურებდა მღვდელს... მერე ხელი ფრთხილად გამოაცალა მის უძლურ, დამჭკნარ და თითქოს დახავსებულ ხელებს.

„კარგით, შევთანხმდით, ოღონდ იცოდეთ, აქ მაინც არ გავჩერდები“.

მღვდელმა გაიღიმა და ღიმილმა ბებრული სახე გაუნათა.

* * *

კარვის ჭერიდან ჩამოღწეული მზის სხივი აბელ ზივოს ხუჭუჭა, გრუზა თმას ეცემოდა და ყურში გაჩრილ ოქროს რგოლს უბრჭყვიალებდა. გამომძიებელი მის წინ იჯდა ნოხებსა და ფარდაგებზე, წყნარად ლაპარაკობდა.

„მადლობელი ვარ, — თქვა მან და ბოშათა წინამძღოლს მკერდზე მიაჩერდა, სადაც მას დრაკონი ამოესვირინგებინა, — სულ მინდოდა მეკითხა, ეგ სვირინგი რას ნიშნავს?“

აბელ ზივომ ხუჭუჭა თავი შეარხია.

„ყოველთვის ბოშა როდი ვიყავი, — თქვა ბოხი ხმით, — ცუდი კაცები მარტო შენ არ დაგდევენ დასაჭერად... ჩემ დროსაც იყვნენ ისინი“...

„ვხვდები, მესმის, — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, — მაგრამ ის ვერ გამიგია, ჩუმად რატომ ხართ ყველანი, რამ დაგამუნჯათ?“

„ხალხს არ უყვარს ცვლილება, — ორჭოფულად უპასუხა ბოშამ, — ორი-სამი კაცი კი, თუნდაც ქვეყნის სიმართლე მათ მხარეს იყოს, უძლურია“...

გამომძიებელმა თავი დაუქნია.

„ეგეც მესმის, — თქვა მერე, — ბრბო მუდამ იტანჯება მოგონილი კერპებისაგან, მაგრამ სიჩუმე მაოცებს, — მან თავი ჩაქინდრა, თითქოს მიწის გულში ეძებდა პასუხს, — მივდივარ და იმაზე მეტი არაფერი მიმაქვს, ვიდრე აქ ჩამოსვლისას მქონდა“...

ბოშამ მკერდი მოიფხანა.

„ჩვენ, ბოშები, მაწანწალა ხალხი ვართ, — თქვა ნელა, — უსაქმურებს გვეძახიან, რადგან კაცის ბუნებას არ იცნობენ კარგად“...

„აქაურებიც მიდიან“, — დაემოწმა გამომძიებელი.

„როცა წასაღები აღარაფერი გრჩება, ესაა სწორედ თავისუფლება“...

კარვის კალთა გადაიწია და წინამძღოლის ცოლი შემოჩლახუნდა. ქალი ბატივით ბაჯბაჯით მიუახლოვდა ქმარს. დაიხარა და ყურში უჩურჩულა.

აბელ ზივომ ხელით მოიშორა.

„წასულა შენი გოგო, — თქვა მერე ბოხი ხმით, — უნდა მოძებნო“...

გამომძიებელი ადგა.

„ხალხს გამოგაყოლებ, — ბოშა მკერდს იფხანდა და სტუმარს შეჰყურებდა, — მარტოს გაგიჭირდება ცუდ კაცებთან შეხვედრა“.

გამომძიებელმა თავი გააქნია.

„მარტო უნდა წავიდე, — თქვა შემდეგ, გაჩუმდა და წინამძღოლს მიაჩერდა, — რატომ მეხმარები?“

აბელ ზივომ გადაიხარხარა და ცოლს დუნდულზე ხელისგული დაჰკრა. ქალი შეხტა და უკბილო პირით გაიღიმა.

„შენც ჩვენნაირი დევნილი ხარ... ჯერ არ მინახავს კაცი, ასე რომ ცდილობდეს სიმართლის დადგენას... ხალხს თუ არ წაიყვან, ის მაინც იცოდე, რომ თავშესაფარი ჩვენს ბანაკში შეგიძლია ეძებო“.

* * *

მთვარის შუქით განათებული ძველი საყდრის ჩრდილი მოტიტვლებულ მიწას ეფინებოდა. გამომძიებელი კატასავით უჩუმრად მიუახლოვდა სასაფლაოს კედელს და საყდრის სტოას ქვეშ მღვდლის სილუეტი დაინახა. მღვდელი სტოას

შუაში იდგა და შორიდანვე კარგად ჩანდა. ანაფორა ეცვა, გულხელი დაეკრიბა და ბნელში იყურებოდა. გამომძიებელმა საფლავის ყორეს შემოუარა და მღვდელს ჩუმად დაუძახა.

მოძღვარი საყდრის ეზოში გამოვიდა.

„აქა ხართ? — ხმამაღლა იკითხა მან, — გამომყევით!“

სტოას გვერდით საყდრის კედელზე მიყუდებული ბარი აიღო და ორივენი საფლავებს შორის მოკენჭილ ბილიკს დაადგნენ. ბებერ კვიპاროსთან მღვდელი შეჩერდა.

„ხის ქვეშ გათხარეთ... ზარდახშა აქ დავფალი“.

გამომძიებელმა მიწას ბარი დაჰკრა.

„იჩქარეთ, — მღვდელი ქოშინებდა, აქეთ-იქით იყურებოდა, ზოგჯერ გამომძიებელს ხელზე წაეპოტინებოდა. ერთიორჯერ ხველა აუვარდა და სასაფლაოს ღობურს მიეყრდნო.

„ავად ხართ, მამაო? — ჰკითხა გამომძიებელმა და ბარი ნათხარში ჩაასო, შეისვენა, ოფლი მოიწმინდა სახელოთი.

„ავად ყველანი ვართ, — ორჭოფულად უპასუხა მღვდელმა, — იჩქარეთ“.

ბარის პირი რაღაც მაგარს და მკვრივს მოხვდა. გამომძიებელმა დაიჩოქა და თითებით დაიწყო მიწის შემოცლა ზარდახშისათვის.

„განდეგილის წერილებია, — მღვდელი სიბნელეში აღარ ჩანდა, მარტო ხმა ისმოდა მისი, — მე მომიტანა შესანახად“.

„აქამდე რად არ გაამხილეთ ეს ამბავი?“

„მე მღვდელი ვარ და არა ტერორისტი“.

„და მაინც ტერორისტებს იფარავდით?“

მღვდელი დუმდა. ბოლოს წყნარად თქვა:

„მანამდე მჯეროდა, რომ სასუფევლისკენ მხოლოდ ერთი გზა მიდის... ყველას თავისი გზა ჰქონია თურმე“.

სიბნელეში რაღაც გატყვრა და ექო მახლობელ მთებს შეასკდა. მღვდელმა დაიგმინა. გამომძიებელმა წამის მეათედში გაიგონა, როგორ შექანდა ის მოჭრილ ხესავით და მიწაზე დაეცა. ბნელ ღამეში კიდევ გავარდა ტყვია. გამომძიებელმა ზარდახშა აიტაცა და ჩაცუცქული, დევნილი ნადირივით ზვერავდა ღამეს. სიჩუმე იყო. კაცმა მარჯვენა ხელი მოუსვა მღვდელს ტანზე. სისველე იგრძნო. ავაზასავით უჩუმრად გაძვრა საფლავებს შორის და ბორცვიდან კისრისტეხით დაეშვა. უკნიდან ტყვიები დაადევნეს.

* * *

ლამპის შუქით სუსტად განათებულ ოთახში ჩრდილებს დაესადგურებინათ. სპირტის, წამლისა და მკვდარი ცხოველების სუნით გაჟღენთილ ჰაერში მუქარასავით ეკიდა შიში. გარეთ ღამე იყო.

„არავინ ჩანს“, — აფთიაქარმა კარი გააღო და კარაპანში გაიხედა.

აფთიაქში, დახლთან, უზურგო სკამზე გამომძიებელი იჯდა. სერთუკი არ ეცვა, მარჯვენა სახელო აეკაპიწებინა და მკლავზე, იდაყვს ზემოთ, სახვევი ედო.

„მსუბუქად გაუკაწრიხართ“, — აფთიაქარი გამომძიებელს მიუახლოვდა და სახვევი შეუსწორა, — იოლად გადარჩით, თუ აქამდე არ მოგსდიეს“...

სინათლის უძლური კონა აშუქებდა გამომძიებლის უეცრად მობერებულ სახეს. ის მოხრილი იჯდა, ბედს შერიგებული, თითქოს ნაწამები.

„წერილები ნახეთ?“

აფთიაქარმა დახლზე მიმოფანტული ქაღალდები აიღო.

„კრიპტოგრამაა, ანარქისტთა საიდუმლო ნაწერი... დამიტოვეთ, იქნებ გავშიფრო“.

„საფრთხეში ვერ ჩაგაგდებთ, — თქვა გამომძიებელმა, — საქმის ძიება მე მევალება“.

აფთიაქარმა ქაღალდები ისევ დახლზე დაყარა.

„ეს ყველას საქმეა, — გულგრილად თქვა მან, — აქამდე რით ვერ გაიგეთ ეს ამბავი?“

გამომძიებელმა წამოიწია, მაგრამ დაიკვნესა და ისევ სკამზე დაეშვა.

„ამაღამ დარჩით, ხვალ კი მე გაგაცილებთ ქალაქიდან“.

„პოლიცმეისტერის კაცები მთელ ქალაქში მეძებენ. საფრთხეში ვერ ჩაგაგდებთ“, — გამომძიებელი წამოდგა და დახლს დაეყრდნო, — ქაღალდები მომაწოდეთ“.

აფთიაქარმა წერილებს ხელი წამოუსვა და გამომძიებელს წინ დაუხვავა. გამომძიებელმა სერთუკი ჩაიცვა, წერილები ჯიბეში ჩაიჩურთა და კარისკენ გაემართა.

„სად მიდიხართ?“ — აფთიაქარმა კარი გააღო და კარაპანში გაიხედა.

თენდებოდა.

„ბოშათა ბანაკში წავალ... მერე კი ვნახოთ“.

აფთიაქარმა გზა უტია.

„მომიცადეთ, მეც მოვდივარ, — თქვა მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ და კარი ზუგსუკან მიიხურა.

გამომძიებელი მისკენ შემობრუნდა.

„ყველაფერს დაკარგავთ, იცოდეთ, — წყნარად გააფრთხილა მან, — შეიძლება ძვირად დამიჯდეს ეს ამბავი“.

აფთიაქარმა წაუსტვინა.

„გელოდით, ყველა გელოდით, — თქვა თითქოს მხიარულად, — თანაც, ამ ქალაქიდან ხალხი მიდის და მე ხომ არ დავრჩები?!.. ერთ წუთს მომიცადეთ, კარს ბოქლომს დავადებ და დაგეწევით“.

* * *

პოლიცმეისტერის ქალიშვილი მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდა, გამომძიებელი ამას დიდად არ შეუშფოთებია — გოგო ალბათ ქალაქიდან გაიქცა და ბედის საძებნელად სხვაგან წავიდაო, იფიქრა. ეგეც არ იყოს, ძებნის თავიც აღარ ჰქონდა: ცალკერძ ჭრილობა აწუხებდა, ცალკერძ საიდუმლო წერილების გაშიფვრის სურვილი. ის და აფთიაქარი დაღამებამდე ჩაჰკირკიტებდნენ კრიპტოგრამით ნაწერ ქაღალდებს განდეგილის გამოქვაბულში. მერე ღარიბულად ივახშმეს აფთიაქიდან წამოღებული მცირე საგზლით და დაისის საყურებლად გამოქვაბულის წინ ჩამოსხდნენ ლოდებზე. ამ ადგილიდან ნებისმიერი სულიერის დანახვა შეიძლებოდა, თუკი ვინმე აქ ამოსვლას განიზრახავდა. თბილი საღამო იყო. ნელი ნიავი ქროდა. დასავლეთით ცა ჩამავალ მზეს გაეწითლებინა, ქვემოთ მტვრიანი ქალაქი მოჩანდა. გამომძიებელი და ფარმაცევტი უხმოდ გადაჰყურებდნენ ყვითელ მდინარეს, უნაყოფო ველს, კირქვის მთებით შემოზღუდულ ზეგანს და ქალაქის სიახლოვეს ცემენტის ქარხნის ნანგრევებს.

„ზოოფიტის შესახებ რამე თუ გსმენიათ?“ — ხმა გაიღო ბოლოს ფარმაცევტმა და პასუხს არ დაელოდა, ისე განაგრძო, — ეს არც მცენარეა და არც ცხოველი... ბიოლოგები თავს იმტვრევენ ამ საიდუმლოს ამოსახსნელად, მაგრამ უშედეგოდ, — მან ხელი ტაფობში გაყურსული ქალაქისკენ გაიშვირა, — ხედავთ, რა რეალურია ჩვენი ქალაქი?

და თუმცა ანომალიამ აქ ბევრი რამ დაანგრია, ისე ჩანს, თითქოს ნგრევის კვალიც არ დასტყობიაო“...

„ზოოფიტზე ამბობდით რაღაცას“, — გამოეხმაურა გამომძიებელი.

„ღმერთი ზოოფიტია, — თქვა აფთიაქარმა და გასწორდა წელში, გაიმართა, — რამდენიც არ უნდა ვუკირკიტოთ, მაინც მესამე ბუნების არსად რჩება: არც ხილულია და არც უხილავი, არამედ რაღაც სხვაა, ან ორივე ერთად, თუმცა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე აღმატებული“...

„კავშირი მაინც არის, — უპასუხა გამომძიებელმა, — თუ თქვენს მიერ ნახსენები ზოოფიტი მცენარეც არის და ცხოველიც, ის მაინც ჩვენთვის ცნობილი ორი არსისაგან შედგება... რისგან შედგება ღმერთი, ეს უკვე აღარ ვიცი“.

„ალბათ ჩვენი სიზმრებისაგან, — გაიცინა აფთიაქარმა, — ანომალიის ნაცვლად ჩვენი მოქალაქეების სიზმრები უნდა შეგესწავლათ... იქნებ მაშინ დამდგარიყავით კვალზე“...

ღამდებოდა. დასავლეთით მთების წვერებსღა თუ აშუქებდა მკვდრის მზის მზე.

„ერთ რამეს მივხვდი, — თქვა გამომძიებელმა, — ანომალია არც ჩიხია და არც სასჯელი — ის მინიშნებაა... კრიპტოგრამასავით, ასეთი მონდომების მიუხედავად რომ ვერ ამოგვიხსნია“...

„თეოლოგიური ვერსია უარყავით?“

„მართალი იყავით: მიზეზი სულ სხვაგან უნდა მეძებნა, — გამომძიებელი ადგა და გამოქვაბულის შესასვლელს მიეყრდნო, — ხანდახან მგონია, აქ არც ჩამოვსულვარ და არც რაიმე განსაკუთრებული მომხდარა-მეთქი ამ ქალაქში“...

აფთიაქარმა გაიცინა.

„აკი გეუბნებოდით, მდინარის გაღმა ბევრ რამეზე აზრს შეიცვლით-მეთქი, — ისიც ადგა და გამოქვაბულში შეიხედა, — ეს რაღაა? — წამოიძახა შემდეგ და დაიხარა, მიწიდან აიღო რაღაც. გამომძიებელმა ხელში სატევარი დაუნახა.

„ბოშათა წინამძღოლმა მაჩუქა... თავდასაცავად, — თქვა მან, — აღარცკი მახსოვდა, აქ თუ მქონდა“.

„იშვიათი ნამუშევარია, — აფთიაქარმა მახვილი ხელში შეათამაშა, — ალბათ მოპარეს ვინმეს, თორემ ბოშას ასეთ იარაღს ვინ მისცემდა“.

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„მე ეგ არ მჭირდება, — თქვა წყნარად, — სიმართლეა ჩემი იარაღი“.

* * *

ღამით, როცა დასაძინებლად ემზადებოდნენ, გამოქვაბულის შესასვლელთან ფხაჭუნი და წკმუტუნი გაისმა. გამომძიებელმა ფარანი აანთო.

„ცუგო, შენა ხარ? — შეჰყვირა კაცმა, როცა ფარნის შუქზე ჭრელი ლეკვი დაინახა, — როგორ მომაგენი, შე ცუღლუტო, ან აქამდე სად იყავი?“

ლეკვი ფეხქვეშ გაუგორდა კაცს, მხიარულად შეჰყეფა და ფეხებზე გაეგლასუნა.

„ეგ ბინძური ცხოველი აქ რაღამ მოიყვანა? — მკაცრად შენიშნა აფთიაქარმა, — გააგდე“...

გამომძიებელმა ძაღლი ხელში აიყვანა და მანაც ენით აულოკა სახე.

„ადამიანებს უფრო არ ესმით ჩემი, ვიდრე ამ ლეკვს“, — თქვა მერე.

აფთიაქარმა აღარაფერი უპასუხა, უკმაყოფილოდ გადაბრუნდა გვერდზე. გამომძიებელმა ფარანი ჩააქრო და ისიც დაწვა. ლეკვი ფეხებთან მიუჩოჩდა და დრუნჩი კაცის ფეხს ჩამოადო.

* * *

ასე ეძინა სამთავეს, როცა გამოქვაბულში ლეკვის უეცარი წკმუტუნი და შემდეგ ყეფა გაისმა. აფთიაქარი წამოიწია.

„ვიღაც მოდის, — თქვა მან და გამომძიებელს ხელი დაუჭირა, — ფარანი არ აანთოთ“.

ის შეუმჩნევლად გასხლტა გამოქვაბულიდან, მაგრამ მალევე შემობრუნდა.

„ცუდადაა საქმე, — ხმაში აღელვება დაეტყო ფარმაცევტს, — შეიარაღებული ხალხი ჩანს ფერდობზე“.

ლეკვი უკვე ხმამაღლა ყეფდა და აფთიაქარმა წიხლი ჰკრა.

„ვერ გავიქცევით, — მან ხელი მოაფათურა მიწაზე, — სატევარი რა უყავით?“

„იარაღი დაუშვი, — უბრძანა გამომძიებელმა, — გავალ და დაველაპარაკები... სახაზინო გამომძიებელი ვარ მაინც“.

„ცუდად გცნობია ჩვენი პოლიცმეისტერი, — აფთიაქარი ისევ დაფათურობდა ბნელში, — უკან არ დაიხევს, სანამ ამ წერილებს ხელში არ ჩაიგდებს“.

იარაღის ჟღარუნი და ფეხის ხმა უკვე გამოქვაბულის ახლო გაისმა. გამომძიებელმა გარეთ გაიხედა და მოკუზული ლანდები დაინახა, მთვარის შუქზე რომ გადარბოდნენ ბილიკზე.

„აქ დარჩით, — წასჩურჩულა აფთიაქარმა, — იქნებ გასხლტომა ვცადო... წერილები მე მიმაქვს“.

და სანამ გამომძიებელი რაიმეს თქმას მოასწრებდა, ის გამოქვაბულიდან გავარდა და მაშინვე გარედან ყვირილი და ხმლების ჩახუნი მოისმა.

გამომძიებელმა ფარანი აანთო.

„შემოდით, — თქვა მან, — აქ ვარ და არსად გავრბივარ... არც გავიქცევი“.

შემდეგ ფარანი გამოქვაბულის კედლებს მიაშუქა და ლეკვს დაეხმაურა.

„წყნარად, ცუგო, ცუდი კაცები უკვე აქ არიან... წყნარად-მეთქი, ნუღა იყეფები“.

* * *

გუბერნატორთან საზეიმო შეხვედრა, რამაც ქალაქი ასე ააფორიაქა, პოლიცმეისტერის თხოვნით ერთი დღით გადაიდო, რაკიღა კანონის მცველი დაჟინებით ირწმუნებოდა, შეთქმულ ტერორისტთა ბანდა საზეიმო შეხვედრის დროს ბომბის აფეთქებას აპირებსო. პოლიცმეისტერი იმასაც ირწმუნებოდა, შეთქმულთა მოთავე დაპატიმრებული მყავს და მალე დავკითხავ, რათა ყველაფერი გამოვააშკარავოო. გუბერნატორმაც მოწყალედ დართო ნება პოლიცმეისტერს, ძიება ფორმალობის გარეშე ეწარმოებინა, მერე ივახშმა და თერთმეტ საათზე დაიძინა, რადგან სახვალიოდ დამღლელი ცერემონია ელოდა. პოლიცმეისტერის სახლში გუბერნატორის პატივსაცემად შეკრებილი სტუმრებიც წავიდ-წამოვიდნენ და სახლში სიჩუმემ დაისადგურა, თუმცა აქ ერთი უცხო კაცი მაინც ათევდა ღამეს — ეზოში, შრამე-

ლებსა და კედელს შორის მოქცეულ გომურში, თივაზე ნაცემი და ნაწვალები გამომძიებელი იწვა; მოკლე დაკითხვის შემდეგ, რაკი მამხილებელი წერილები ვერ უპოვა და ვერც თანამზრახველები გაათქმევინა, პოლიცმეისტერმა ის თავის კაცებს მიუგდო საწამებლად. ჟანდარმებმაც კარგად მიხედეს საქმეს: გამომძიებელს რიგ-რიგობით სცემდნენ და თან დასცინოდნენ, მაგრამ პატიმარი მორჩილად იტანდა ცემასაც და დამცირებასაც. ბოლოს, დაღლილმა ჟანდარმებმა ის გომურში ჩაკეტეს და ღვინის სარდაფში ჩავიდნენ ყელის გასასველებლად. გამომძიებელი მარტო დარჩა. თივაზე იწვა და სხეულის ყოველი ნაკვთი სტკიოდა. გონება ფხიზელი ჰქონდა. გომურიდან ჩამოსული მთვარის სხივი თივის ღერებს აბრწყინებდა. გამომძიებელი გაშტერებული უყურებდა სხივს, მერე ჩაეძინა, მაგრამ მალევე გაეღვიძა — ვიღაც ეძახდა ცხადში თუ სიზმარში.

კაცმა თვალი გაახილა და აშკარად გაიგონა კარის ღრჭიალი. მთვარის შუქზე მკრთალად გაილანდა ღიობში თეთრი კაბა, მერე ვიღაც დაიხარა მისკენ და გამომძიებელმა ქალის ცხელი სუნთქვა იგრძნო...

„ადექი, წავიდეთ, — უჩურჩულა გოგომ, — იჩქარე, სანამ გუშაგებს გაუღვიძიათ“.

ის მხრებში შეუჯდა კაცს და პარმაღს გადააცილა, მაგრამ გამომძიებელს მუხლი მოეკვეთა და გომურის კედელს მიეყრდნო.

„ვერ გავიქცევი, — თქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, — შენ წადი“.

გოგომ მისი მკლავი კისერზე გადაიგდო და ნაბიჯი გადაადგმევინა. ასე ტაატით მიდიოდნენ. თბილი ღამე იყო, მდინარიდან სიო ქროდა. ბაზრის მოედნიდან ჩაუხვიეს ტრამალისაკენ და ცემენტის მიტოვებულ ქარხანასთან შეისვენეს. დუმილი იდგა, თითქოს მათ მეტი აღარავინ იყო ქვეყანაზე. მდინარე დუდუნებდა მხოლოდ. გოგომ კაზემატში შეძრომა უშველა გამომძიებელს და თავადაც გვერდით მიუწვა, მიეხუტა ნაცემსა და ნაწამებს.

„სად იყავი? — ჰკითხა კაცმა, როცა სული მოითქვა, — მეგონა, მიატოვე აქაურობა“.

„შენ გეძებდი, — გოგომ სველი ცხვირსახოცით მოსწმინდა კაცს ოფლი და სისხლი სახიდან, — ბოშებთან გაძლება აღარ შემეძლო, რადგან იქ არ იყავი“...

„წერილები მე მაქვს, — ყრუდ თქვა კაცმა, — მაგრამ ვერ წავიკითხე... საიდუმლო შიფრითაა ნაწერი“...

გოგომ შუბლზე აკოცა.

„იყუჩე და მომენდე“, — მან კაცის თავი მკერდზე მიიხუტა და მოეხვია, ტუჩებით დაეწაფა მის ტუჩებს, ცხელი ტანით მიეკრა ნაწამებ სხეულზე და ორივენი უფრო ღრმა უფსკრულში ჩაეშვნენ, ვიდრე ღამე იყო გარეთ.

* * *

კაზემატის ჭერიდან ფანრის სხივმა ჩამოაშუქა.

„აქ არიან, — დაიძახა ვიღაცამ მხიარულად, — შეხედეთ ერთი, როგორ სიამტკბილობენ... აბა, ბიჭებო, მოიტათ ტომრები“...

გარეთ სირბილი და ფეხის ბრაგუნი ატყდა. ღამე იცრიცებოდა.

„ცოცხლად, ცოცხლად“, — ყვიროდა ვიღაც და ფეხის ბრაგუნს მძიმე ნივთების დახეთქების ხმა შეერია... გამომძიებელი გაფაციცებით უსმენდა უცხო და მტრულ ხმებს... ნამძინარევი პოლიცმეისტერის ქალიშვილი შეშინებული მიეხუტა.

„ვინ არიან?“ — ჰკითხა აღელვებულმა.

„ცემენტის ტომრებით ჩვენი ამოქოლვა უნდათ“, — გამომძიებელი ისევ ყურმახვილად უსმენდა ღამეს, რათა უმნიშვნელო ბგერაც არ გამორჩენოდა... გოგო მოულოდნელად წამოხტა და ეძგერა ღამეს.

„უყურეთ, ბიჭებო, ვინ მოძვრება გარეთ“, — დაიყვირა ისევ იმ მხიარულმა ხმამ. სხვებმა სიცილით უპასუხეს... კაზემატის ჭერიდან ჩამოშუქებული სხივი აიკრიფა და იქიდან ნელი შხრიალი გაისმა, — კირქვის მტვერი ცვიოდა...

გამომძიებელი კედელს აეკრა. მტვერი მზის სხივივით ეშვებოდა ჭერიდან მიწამდე, ხრილივით ეფინებოდა სოხანეს და იმან, ვინც ზემოდან ცემენტის ფხვნილს ყრიდა ჭუჭრუტანაში, ისევ მხიარულად დაიყვირა:

„მარდად, ბიჭებო, არ გაუშვათ ესენი!“

ვიღაცამ ხელის კვრით უკანვე შემოაგდო პოლიცმეისტერის ქალიშვილი... გოგომ კაზემატის შუაში დაიჩოქა და სახე მტვერს შეუშვირა... ჩოქზე იდგა, თავსა და მხრებზე კირქვის მტვერი ეფინებოდა... კაცი ფორთხვით მივიდა მასთან, ხელი მოხვია, გაარიდა მტვრის ჩანჩქერს... ტომრების ყორესთან იწვნენ და ხარბად ყლაპავდნენ ჰაერს, ტომრებსა და ჭერს შორის ღრიჭოდან რომ აღწევდა აქამდე... მათ ზურგსუკან კი გაუთავებელ ნაკადად დიოდა თეთრი ფხვნილი და კაზემატს ავსებდა...

* * *

ღამე გაიცრიცა, ხომლი ჩაქრა. მზე ამოვიდა და მდინარის ჩხრიალიც მინელდა. მუმლი და კოღო ირეოდა თიხისფერი წყლის ზედაპირზე. მერცხლები სივილით დასრიალებდნენ კრიალა ცაში. რიყეზე, მდინარის გასწვრივ, საქონლის ჩლიქით აჭიჭყნილ სველ ქვიშრობზე ჭრელი ლეკვი დასუნსულებდა, პეპლებს დასდევდა, ბალახებში გატრუნულ კალიას აფრთხობდა. ზოგჯერ ნაბულით გაირინდებოდა და ფშანში გაყურსულ მყვარს მიუხტებოდა. მოკლე ნაბიჯებით მირბოდა წყალდაწყალ, ხტოდა, თამაშობდა, ლეკვურად ანცობდა; ბოლოს, დაიღალა და ქარხნის ნანგრევთან მიწვა ჩრდილში... წინა თათებზე ჩამოდო სველი დრუნჩი, მოწყენილი და მარტოსული მზერით გაჰყურებდა მდინარეს, რომელზეც მსუბუქი ნიავი ფრთონას შლიდა მარაოსავით... მზემ უფრო აიწია ტატნობზე და ჩრდილიც დამოკლდა, ლეკვი კი ისევ იწვა, ენა გადმოეგდო, ქასქასებდა, მერე შეჰყეფა და ანაზდად წამოხტა, გამალებით იწყო სირბილი, ყორეებს შორის გაძვრა ქარხნის ეზოში და კაზემატის კედლებს მიადგა... აქ ისევ ატეხა ყეფა, გაფშეკილ კუდს გაშმაგებით აქანავებდა. კაზემატს სამი მხრივ აგურის კედელი ჰქონდა, წინიდან ცემენტით სავსე ტომრებით ამოევსოთ ღიობი... ლეკვი წინა თათებით ფხაჭნიდა ტომრებს, ზედ ახტებოდა და გაუთავებლად ყეფდა... გახვეული ტომრებიდან ცემენტი ჩამოიშალა და კაცის ბალნიანი ხელი გადმოეკიდა... ლეკვი გახარებული ყეფით შეახტა ხელს, ალოკა, მერე გაშმაგებით იწყო ცემენტის თხრა ხელის გარშემო... მანამდე თხრიდა, სანამ ტომრებს იქით სუსტი გმინვა არ გაისმა და ხელი არ შეინძრა... ლეკვი უკან გახტა, კუდი ააქანავა და მოლოდინით შეჰყურებდა, როგორ ცდილობდა კაცი ტომრების ზღუდიდან გამოძრომას... როცა ცემენტი იმდენად ჩამოიშალა,

რომ ტომრებს შორის ხვრელი გაჩნდა, იქიდან თეთრად შესუდრულმა არსებამ გადმოათრია ტანი და ლეკვის წინ გამომძიებელი აღიმართა... კაცი მთვარეულივით ქანაობდა, მერე თავი დაღუნა და მდინარისკენ წაჩანჩალდა...

ლეკვი უკან მიჰყვა.

* * *

მზემ უფრო აიწია ზენიტისკენ და პაპანების ბური ავარდა რიყეზე. ყოველმა სულდგმულმა გაკმინდა ხმა, ბაყაყებიც კი მიყუჩდნენ ფშანში. მუმლი და კოღო აიკრიფა წყლისპირიდან, და დიდი სიცხე ხუფივით დააწვა იქაურობას.

გამომძიებელმა იმ ადგილას გატოპა ფონი, სადაც მანამდე ადიდებულმა მდინარემ განდეგილი მოსტაცა. წყალმა მტვერი ჩამოაცალა და ისიც ბანცალით აუყვა ბილიკს გამოქვაბულისკენ. მიდიოდა, ეკლიან ბუჩქებს ეჭიდებოდა და ეკლები ხელისგულში ესობოდა, მაგრამ კაცი ტკივილს ვეღარ გრძნობდა. ერთხელაც არ მოუხედავს უკან, სანამ ქვაბულს არ მიაღწია. აქ კი ყურადღებით დაკვირდა მიწას — წუხანდელი ბრძოლის კვალს ეძებდა; ფხიზელმა თვალმა მალევე შენიშნა ეს კვალიც: გადამხმარ ბალახებს შორის მოტივტვლეებულ ალაგას სისხლის კლერტები ჩანდა. გამომძიებელი დაიხარა და წკირით რაღაც მოშავო, ნიჟარისებური ნივთი გადააბრუნა — ეს ადამიანის ყური იყო, მღრღნელებს სანახევროდ რომ მოეჭამათ. გამომძიებელი დაფიქრებული დასჩერებოდა სისხლშემხმარ, გაშავებულ ყურის ნიჟარას, მერე წელში გაიმართა და ქალაქს გახედა:

მტვრიანი, უსახური ქალაქი იწვა ტაფობზე, უჩინო, თითქოს კირქვის ზეგანს შეზრდილი და შორიდან სულაც არ ჩანდა ნანგრევთა სიმრავლე. კაცმა თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. დაბლა მდინარე იყო, იმის იქით — პატარა, პროვინციული ქალაქი, ანომალიამ რომ გააჩანაგა... რკინიგზის ბაქნის იქით, ხრიოკ ბორცვზე, ბრბო დაინახა გამომძიებელმა — ტაძრის კურთხევის ცერემონიალზე შეყრილიყო ხალხი და თუმცა აქამდე სასულე მუსიკის ხმა არ აღწევდა, გამომძმიებელი მიხვდა, რომ კურთხევას გუბერნატორიც ესწრებოდა... მზის შუქმა თვალი მოსჭრა გამომძიებელს და თითქოს ქალაქიც უჩვეულო შუქით გაბრწყინდა: ქოხმახებმა და ნაცრისფერმა შენობებმა ფერი იცვალეს, ზურმუხტისა და იაგუნდის სიხასხასით აკიაფდნენ; სხივთა ბრწყინვალებამ წალეკა აქამდის ბინძური ქუჩები, ღვარად დაედინა და ქალაქიც უჩინო იქმნა ამ დაუსაბამო ნათელში, გაქრა და გაიმქრა, მაგრამ წამის შემდეგ თავად ხილვა გაქარწყლდა, ის უჩვეულო სინათლეც აიკრიფა და ქალაქი მართლა დაიკარგა თვალსაწიერიდან... გამომძიებლის თვალწინ უსიცოცხლო, რუხი ტრამალი იწვა და ზედ ქალაქის ნანგრევები მიმოფანტულიყო. აქამდე მიყუჩებულმა ფარულმა ძალამ ნაცარ-ტუტად აქცია ბაზარი, სასტუმროები, რატუშა, სახელოსნოები და დუქნები, მდიდართა სასახლეები თუ ღარიბთა ქოხმახები... ველზე მტვრის ბუღი ავარდა და მტვრის არმურში, მზის სხივთაქვეშ, გამოჩნდნენ ჭიანჭველებივით პაწაწინა ადამიანები, რომლებიც უვნებლად გადარჩენოდნენ უჩინარი სტიქიის მრისხანებას... გამომძიებელმა თავი გააქნია და თავქვე დაეშვა ქალაქისაკენ... მტვრის ბუღი დიდხანს რიალებდა ჰაერში, სანამ დაწკნდებოდა და სანამ აქამდე მოიტანდა ადამიანთა მოთქმა და ვაება, უცნობ სასჯელს რომ აღეგავა მიწის პირისაგან მათი საცხოვრისი...

* * *

ბანაკის მთავარ მოედანზე, ნახევარწრედ გაჩერებულ საზიდრებთან, ზურგშექცევით იჯდა ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი კაცი და მიწას დასჩერებოდა.

გამომძიებელი უხმოდ გაჩერდა მოედანზე და ფეხსაცმელებზე დაიხედა: შტიბლეტებზე სქლად აჰკვროდა მტვერი.

ზურგშექცევით მჯდარი კაცი შემობრუნდა და მტვრიან მიწაზე დააფურთხა. ხელში სატევარს ათამაშებდა.

„ნახეთ პოლიცმეისტერის ქალიშვილი?“

„კაზემატში დარჩა... ცემენტშია დამარხული“.

ფარმაცევტმა თავი გადახარა, თითქოს მზერით ამოწმებსო მოსაუბრეს.

„ვინც გაასწრო, ვითომ გადარჩა?“ — იკითხა მერე.

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა.

„აი თქვენი წერილები, — აფთიაქარმა ჯიბიდან ქაღალდების შეკვრა ამოიღო და გამომძიებელს გაუწოდა, — გამომართვით, გამოგადგებათ“.

გამომძიებელმა უსიცოცხლოდ გაუწოდა ხელი და წერილები ჩამოართვა.

„საიდუმლო შიფრს მივაგენი, — აფთიაქარმა დაიჩოქა და თითით რამდენიმე ხაზი გაავლო მტვერში, მაგრამ გამომძიებელი აღარ უსმენდა. წინამძღოლის კარავთან მივიდა და კალთა აუგდო: ბინდბუნდში, ჭერიდან ჩამოჭრილი სხივის არმურში, ტყავებსა და ბალიშებს შორის გულაღმა იწვა მკერდგანგმირული აბელი ზივო, ზემოდან ცოლი გადამხობოდა...

გამომძიებელმა თვალი მოარიდა მიცვალებულებს და კარვის კალთა დაუშვა, წყნარად გაეშურა მოედნის გასასვლელისკენ.

„სად მიდიხართ?“ — დაადევნა აფთიაქარმა.

„ანომალიის შესახვედრად“, — უკანმოუხედავად თქვა გამომძიებელმა და ნაბიჯს აუჩქარა.

* * *

ყვითელი მდინარე ისე მდოვრედ და აუმღვრევლად მიედინებოდა, თითქოს მის წიაღში კენჭი არ შერხეულიყოს. ორივე ნაპირის აქეთ-იქით ვრცელი, უსიხარულო, მტვრიანი ტრამალი გაშლილიყო.

„ოპტიკური ილუზიაა“, – გაიფიქრა გამომძიებელმა, ჯიბიდან აფთიაქარის მიცემული წერილები ამოიღო და წყალში ჩაყარა. სათითაოდ ატრიალებდა ხელში უცნობ წერილებს, თუმცა არცერთი არ წაუკითხავს. ასწევდა, გახედავდა მზის შუქზე და ჩააგდებდა წყალში. შეუმჩნეველი ტალღა მიიყოლებდა გაუხსნელ ბარათებს, და ცოცხალთაგან ალბათ ვეღარავინ შეიტყობდა, თუ რა გაუმხელელი საიდუმლო ჩაიხვია მდინარის წიაღმა.

წერილების ჩაგდებას რომ მორჩა, გამომძიებელმა შტიბლეტები გაიხადა, შარვლის ტოტები აიკაპიწა და წყალში შევიდა. იმავე ფონით მიტოპავდა ყვითელ მდინარეში, რომლითაც პირველად გავიდა გაღმა ნაპირას და კვლავ იგივე შიში დაეუფლა უკიდეგანო ზეცასა და წყალს შორის გამოკიდებულს – შიში, რომ სადღაც ფეხს ჩაჰკრავდა და უფსკრულში ჩავარდებოდა, ან მორევი ჩაიხვევდა, მაგრამ მაინც მშვიდობით გააღწია ნაპირს. შარვალი დაიფერთხა, სველი კანჭები დაიწურა და შტიბლეტები ჩაიცვა. წახრილი, ფეხსაცმლის თასმებს იკრავდა, რაღაცამ რომ

შეაკრთო: თითქოს ჩქამი მოესმა, თითქოს ვიღაც ეძახდა ჩუმად; გამომძიებელი გაშეშდა და გარემო მოათვალიერა. მარტო იყო. გაღმა უსიცოცხლო ტრამალი იწვა, იმის იქით – ცარციანი კლდეები ჩანდა, კლდეებს ზემოთ კი – ლურჯი, უსასრულო ცა. გამომძიებელმა ახლა უკან მიიხედა – ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც ედგა ზურგსუკან, კისერში ასუნთქებდა და ჩუმად, მქირდავად ხითხითებდა.

„ილუზიაა ყველაფერი“... – ჩაიბურტყუნა კაცმა, წელში გასწორდა, სერთუკზე ხელი ჩამოისვა და ქალაქისკენ შებრუნდა. მის წინ ნანგრევები იყო – აკი წეღანაც დაინახა გაღმა ნაპირიდან, როგორ იავარქმნა წამში ფარულმა ძალამ პატარა ქალაქი, მაგრამ ახლოდან მაინც გულსატკენი იყო ამ მტვრიანი ნანგრევების ხილვა. დაუმწდარი მტვრის არმურში მზე აღარც კი ჩანდა, გათქვეფილი კვერცხის ცილასავით გადღაბნილიყო ჰორიზონტზე.

გამომძიებელმა სერთუკი შეიკრა, ქუდის საჩიხე შუბლზე ჩამოიწია და ქალაქისაკენ გაემართა.

გაღმა ნაპირას, ცარცოვანი კლდეების თავზე, პაწაწინა ღრუბლის ქულამ ამოიწია და ნელი-ნელ დაიძრა, ამოძრავდა, დაიქსაქსა და მოცახცახე მედუზას დაემსგავსა...

გამომძიებელი მტკიცედ მიაბიჯებდა და მტვრიან მიწაზე შტიბლეტების ნაკვალევს სტოვებდა...

* * *

მზე ჯერ ისევ შემაღლებულზე იდგა და მტვრის სუნიც კვლავ იგრძნობოდა, მაგრამ ნანგრევებს მაინც წაეფინა ჩრდილი. სადაცაა შეღამდებოდა და სიბნელე წაშლიდა ნაქალაქარს, აქამდე კაცთა საცხოვრისი რომ იყო.

ნიავმა წამოუბერა და აშალა მტვერი.

სასწაულებრივად გადარჩენილ ბაქანზე სადგურის უფროსი იდგა და ხელი ზარის თოკზე ეკიდა. ფარულ ძალას მხოლოდ ბაქანი და ლიანდაგი დაენდო, სადგურის შენობის სამივე კედელი კი ჩამოენგრია და ფრონტონის დიდი ნაწილიც ჩამოემზღვლია. სადგურის უფროსი მოწყენილი უყურებდა ლიანდაგს, მერე შებრუნდა და ბაქნისკენ მომავალი კაცი დაინახა: მაღალი იყო, გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი და გრძელხელება, ნაცრისფერი სერთუკი ემოსა, რუხი შარვალი, ყვითელი შტიბლეტები ეცვა და თავზე კეპი ჩამოეფხატა, იღლიაში საკვოიაჟი ამოეჩარა. მიხრა-მოხრითა და სიარულით კომივოიაჟერს ჰგავდა. კაცი მხნედ მოაბოტებდა და ცალ ხელს მცელავივით მოიქნევდა. გვერდით ჭრელი ლეკვი მოჰყვებოდა.

სადგურის უფროსი თვალმოჭუტული უყურებდა, როგორ ამოიარა უცნობმა ქვის კიბე და ბაქანზე ამოვიდა.

„მიდიხართ? – გულგრილად ჰკითხა სადგურის უფროსმა, თოკისთვის ხელი არ გაუშვია, – ყველა მიდის აქედან“...

გამომძიებელმა წამიერად შეავლო მზერა ფრონტონის ლავგარდანზე გადმოკიდებულ მტვრიან ნაცარქათამას, წყალში ჩასავარდნად გამზადებული ადამიანივით რომ გამოეწვდინა ტოტები, მერე სადგურის უფროსს შეხედა.

„სასტუმროს ვერ მიმასწავლით? – მან ღონივრად დაიქნია ფეხები, შტიბლეტებიდან მტვერი გაიყრევინა, – თუკი სადმე კიდევ დარჩა სასტუმრო“...

სადგურის უფროსმა ზარის თოკს ხელი უშვა და ბაქანზე გამობაჯბაჯდა.

„გელოდით, – თქვა მერე, – მთელი ქალაქია სასტუმრო“...

გივი ალხაზიშვილი

შემოთენება

ხელახლა გათენდა...

და იშვა ღამიდან
ეს დილა ნანატრი და გამოტანჯული
და ჩემი თვალების ბინდიან ხამითაც
შევიცან მებაღე
და ხმა გიტანჯალის,
ისევ შემომესმა უძველეს თაროდან
და მე არ ვიცოდი, ასე უმიზეზოდ
რა მახსენდებოდა, ან რა მიხაროდა...

რა დარჩა ღამიდან?! ეს დილა სისხამი;
იგი ხომ ნათელში ჩამალულ ღამესაც
სიტყვებში ინახავს;
ნათქვამის მრისხანე და ცრუ ტონალობა
შემეძლო ამეხსნა,
მაგრამ ეს სურვილი გარდასულს ჩაბარდა
და კმაყოფილი ვარ აუხსნელ სისრულით,
რომ ამ დღეს
ღამიდან გადმოჰყვა სავარდე
და ვმარცვლავ პაუზებს, გაჟღენთილს მზის სუნით.

ვიდრე მზე დაწვება და ვიდრე მთვარეს შობს
და წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს,
ცად რომ იკიაფონ,
შენ სისხლი არჩიე ჩემში სათარეშოდ,
და მრუში თვალების
ნისლი საკაიფო...

გავბეზრდი დღე-ღამით და მორიგეობით,
ამ გახდა-ჩაცმით და
მობრძანდი-დაბრძანდით,
ამ ქალის,
იმ ქალის
მორიგი ხეობით,
სიღრმეთა ძიებით და მგონი... დავბრძენდი.

ჰგავს ეს ფორიაქი ქარის ამოვარდნას,
ხოლო ფოთოლცვენა ხეების აქციას,
მე ხომ შემოდგომამ სიტყვებად დამადნო,
მაგრამ ზღვართან ყოფნამ დუმილად მაქცია.

ხელახლა თენდება... ხელახლა ღამდება,
ტკივილს შევეჩვიე და ნურც დაამდება.

* * *

...ალბათ, შენც ისე უნდა წერო,
როგორც ესენი...
საპნის ბუშტივით რომ ბერავენ
სიტყვის ფიგურებს;
ბედნიერია დაგეგმილი ტაშის მთესველი
და არად აგდებ,
დამცინავად როცა გიყურებს..

სულ უმიზეზოდ არსებობ და
აღარ გაშინებს
ამათ რომ მზერა გულგრილობით ამოიყორეს,
ქრები ყოფაში,
აღმოაჩენ ამ ყოფაშივე,
რომ დასაკლავი ბატკანივით წამოგიყოლეს.

სიჩუმეს წიწკნი ბალახივით,
შენი ხვედრივით
ჟამს ელოდები,
სათავისოდ რომ დაგიგულებს
ფურცელი ქვიშის,
სიტყვა ჩუმი და მიხვედრილი
და შიშის განცდა,
რომ შიშიდან ვიღაც გიყურებს...

გასეირნება მარტის ჭალაში

ზურგს შეაქცევ და თვალწინ ჩნდება,
თვალზე ხელისგულს აიფარებ —
იქიდანაც ამოიხედავს,
თითქოს აქვეა,
თან ყველგანაა...

სახით კედელს აეკვრები,
იქნებ თვალი მიადევნო
მის უხილავ მოძრაობას,
ვინც არ გტოვებს,
ვერ გიმეტებს სიმარტოვისთვის,
მეჩხერ ჭალაში რომ დასეირნობ,
სადაც მხოლოდ ნაცნობი შინდი აყვავებულა
და მასაც, ისე ეთამაშება მარტის ნიავი
რომ ლამის სადღაც გაიტყუოს —

შენს თვალებში,
როგორც მარტის ნაკვალევში
ცა ირეკლება
და სამყაროს გულის რეჩხივით
გადაირბენს ჭექა—ქუხილი
და იქიდანაც ის იხედება?!

ცის ყველა წვეთი
მხოლოდ მისი თვალებით გიმზერს,
ვინც გულში გიზის
და გარე-გარე ვის დაეძებ?!

შენ კი არა, ის ცოცხლობს შენში.

* * *

ჩვენ აგვერია დღე-ღამეები
და ვერთვით დროის უდაბურებას,
აღარ მაეჭვებს, რა მირჩევნია,
შენთან ყოფნა თუ შინ დაბრუნება.

მახსოვხარ, ახლაც შენთან ღამდება
და გათენებაც შენთან იწყება,
რას ვიფიქრებდი, რომ ეს სიცოცხლე
არ ეყოფოდა შენს დავიწყებას.

წითელი ვაშლი გაგორდა...

(მარტის ეპისტოლე)

დრო არასოდეს არ არის ცოტა
და არც ბევრი,
ის ყოველთვის საკმარისია.,
უკმარია მხოლოდ სურვილი..

ღრმაა წუთი, ჭასავითაა, როცა გიყვარს, ისე ლივლივებს...

მომავალზე ისე ვსაუბრობთ,
თითქოს ათას წელს ვაპირებდეთ აქეთ დარჩენას,
და ვბჭობთ წარსულზეც, აქ რომ არის,
რადგან ჩვენც აქ ვართ...

კბილით გვიჭირავს
და ეს სული გვყოფნის ტკივილის დასათმენად
და სულ ესაა... სულ ესაა, სულ, სულ...

შავი ჩიტები რომ გეგონა — ისევ ნაგვის პარკებია,
ლისის ტბისკენ მიფრინავენ
ონკოლოგიურ საავადმყოფოს ეზოებიდან,
საწყობების და მორგის შემოვლით
და ნაგვის ჩიტებს, გადამფრენი ფრინველებივით
მიაცილებენ ფანჯრებიდან გადმომზირალი
თვალები და ცივი ქარი ისევ არსაით.
დრო არასოდეს არ არის ცოტა და არც ბევრი,
ის ყოველთვის საკმარისია სიცოცხლისა
და სიკვდილისთვის;
თურმე, რაღას არ ხედავს თვალი,
თავის სიღრმით შეძრწუნებული?!

გამჭვირვალე ხარ ჰაერივით,
ბავშვებსაც ვერ მოეფარები ტელე-ეკრანთან,
ვერც სარკესთან, ვერც ფანჯარასთან...
მაგ სიფრიფანა მხრებს რომ ვხედავ,
მეშინია ნიავს არ გაჰყვე პეპელასავით
და ჩრდილივით არ დაიკარგო.

აღარ ბრაზობ, გაკვირვებული რომ გიყურებენ
და ყველაფერს ხედავ გამჭოლად —
კედელს, კარადას და ფრთებივით მსუბუქ კიდურებს
და საბრალოა ვინც შენ გაგჭორა.

შენ აყურადებ საკუთარ სუნთქვას
და უნებლიედ იმეორებ აკვიატებულ და მარტივ მოტივს:

...წითელი ვაშლი გაგორდაააა..
/ დიდედას ხმით შემოგესმა გულში ნამღერი.../
და ვაშლი მართალა დაინახე ნატურმორტივით.

აქაც გადის და დრო აღარსად მიიპარება;
დილაობით კი მოცურდებიან მზის დელფინები,
და პალატები თვალზე ხელებს მიიფარებენ...
და შენ ძილ—ბურანს მშვიდი სუნთქვით მიეფინები.

განსაცვიფრებლად საშიშია აქ, წუთის სიღრმე,
მუდამ სხვაგან რომ იხედება...

ბნელ დერეფნებში ხელჩანთიანი
მოვაჭრეები მიდი-მოდიან
და პალატიდან პალატაში შეაბჟუტებენ
ცარიელ თვალებს და საკუთარ მიუსაფრობას.

შემოიხედეს. ჩვენ მაგიდას ვუზივართ ორნი,
ჟოლოს მურაბა მოგვართვეს და გვემშობლიურა,
ჟოლოს და ჩაის დროში ვაზავებთ და ასე ვწრუპავთ
დარჩენილ დღეებს,
და რაღაც ქრება შეუმჩნევლად ჩაის ორთქლივით...
და ის სიმჩატე ილექება ნათქვამ სიტყვებში,
შენ რომ ჩურჩულებ და ბაგიდან ჩამოთქრიალებს...

შენს პალატაში თავჩაქინდრული რომ ღიღინებ,
ეს მერამდენედ
ცდილობ ტკივილი ამოიმღერო:

...წითელი ვაშლი გაგორდა...

* * *

მადლობელი ხარ იმ დღეების,
იმ ღამეების,
ხანდახან ნატრობ მათ სიახლოვეს,
მაშინდელ ჩურჩულს, სუნთქვასავით რომ გამოები,
რომ შეაგუბე
და ჩავლილი დრო შეაყოვნე -
მხოლოდ სიტყვაში,
ტკივილი რომ გექცა კრისტალად,
მიხვდი, რომ ყველა სხივში ქრისტეა
და შენ ყველაფერს გულით უყურებ,
დარდობ უნდობარ დროის შვილებზე, —
და ეჭვით უმზერ ამ საუკუნეს...

სიზმრის ტიხარი

(აპრილის ეპისტოლე)

ვერ დაივიწყებ ძახილს, ზურგი რომ შეაქციე
და ხმას, ყური რომ არ ათხოვე..
ის ხმა დაგეძებს...

ის შენშია,
ის იღვიძებს,
ექოსავით მეორდება, მეორასდება,
უთვალავდება დღისით და ღამით...

სხვა ვერავინ გაიგონებს,
ვიდრე ექო შენი ხმით არ ამოიხავლებს...

ვხვდები, როცა შუბლზე მკოცნი,
რომ შენ სუნთქვას ისევ ვახსოვარ...

სუნთქვასა და სუნთქვას შორის გაჩენილ ფიქრს
შენი სიცოცხლე აარსებებს
და ფიქრი სუნთქავს:

მოვლენ დღეები წასასვლელად,
წავლენ დღეები მოსასვლელად,
რომ წამოკრიფონ ფრაგმენტები
შენს სიტყვებში გაჩენილ ხილვის,
რომ საკაიფო მოზაიკა შეაკოწიწონ
და გააგრძელონ სიზმრის ტიხრის მოპირკეთება.

მიბმულია ფიქრი სუნთქვაზე და სიცხე წყალს სვამს,
მხურვალების დასარწყულებლად...

მარტო ზიხარ და აღარ გქვია ნებიერი,
აბრუნებ დოლაბს და ფქვილს კი არა,
შენს ძილ—ღვიძილს ფქვავ..

“მოიხადე პირბადე, აიკრიფე კალთები,
გაიშიშვლე წვივები და გადადი მდინარეზე.”
ეს მდინარე შენთვის მოდის,
ან გადალახე მისი დინება,
ან მოგიტაცებ
და თვალების ფსკერზე დაგმალავ,
რომ მერე ჩემში იარსებო ანარეკლივით.

ხომ მოგესმა გალობა.?!
ზღაპრის ჩიტი შენს სიზმარშიც შემოფრენილა,
შენით სუნთქავს გასუსული ღამის ჰაერი
და მეშინია, ზღაპრის ჩიტმა
შენი სული არ იგალობოს.
.....
ღმერთი ჩვენი მწყალობელი...

სირიუსის ჟამი

ვნებააშლილნი არიან ახლა დიაცნი,
კაცებს დაუფლებიათ უძლურება,
მათ თავსა და მუხლს მცხუნვარებით
*სწვავს სირიოსი**
ალკეოსი**

ელექტრონული დრო არ მყოფნის
თვალი ვადევნო –
მეჩხერ ტყეებს რომ გადაუვლის გაზაფხულის მზე
და ბღუჯა—ბღუჯა სხივებს ტოვებს შინდის ტოტებზე...

აღარ მიშვებს იქამდე, როცა აყვავდება ჭალებში ფშატი,
სირიუსის აღზევება მამრს აძაბუნებს,
ხოლო მდედრს კი ვნებით აღავსებს...

აღარ მანახებს,
ვაშლის ნაყოფი ფერს როგორ იცვლის

და იწინწკლება წითელ შხეფებით,
იქამდე, ვიდრე ფუტკრის სკების გაბმულ სიმღერას
ასაზრდოებს მინდვრების ღალა
და გეჩვენება, რომ ვარსკვლავები დაბზუიან ჩვენს ღამეებში
ჩვენი წუთების შესაგროვებლად.

ელექტრონული დრო არ მყოფნის,
რომ თვითონ ავყვე ჰაერის რხევას
იქამდე, ვიდრე ივსებიან მკვრივი მტევნები
ქარვისფერ წვენის დაფარულ თრთოლვით
და საქორწინო ქალწულთა დასი
ღამეებს ტეხს და მოლოდინის ჟრუანტელს ითმენს
(ჩღპყ წელს....)

ამ მოლოდინს თავის ხმა აქვს
და შეუძლია ღამეების გაჩირაღდნება.

მთლიანად შთამნთქა ვირტუალური ვეშაპის ხახამ
და ახლა ვცდილობ იონასავით
ბასრი საგნით გზა გავიკვლიო
და ამ წყვდიადის სტომაქიდან გამოვაღწიო
მზისქვეშეთში, სადაც თურმე არაფერი იმალება,
გარდა ჩვენი არსებობისა.

დახურულია ყველა სქოლიო,
დუმილი კი ცდილობს რამე თქვას
მაგრამ სიტყვებს ვერ ანაწევრებს..

წკმუტუნის ჟამი დადგომია დიდი ქოფაკის თანავარსკვლავედს
და მრავალ ხმაში იწკმუტუნებენ ელექტრონული დროის მიღმა,
ბინძურ ჩიხებში, საიდანაც თუ გამოაღწევ
მხოლოდ შლიგინით,
ძველი სიშლეგით და უაზრობის ბნელი ანშლაგით,
როცა ჯიბეში აღარ გიჭყავის
არცერთი თეთრი, ცენტი, პესო, აღარც შილინგი
და გაქვს ობოლი მარგალიტი
სატრფოს ცრემლების კოლექციიდან...
და ის ობოლი, კბილებით რომ წაუღებ ქარონს.

*** დიდი ქოფაკის თანავარსკვლავედი**
****„სანადიმო სიმღერა“ (თარგმნა ნანა ტონიამ)**

MEMENTO MORI !

ვჭვრეტ წარმოსახულ ანატორს...

ვიხსენებ თანატოსს —
სიცოცხლის თანატოლს!

წუთის სიღრმე

ზოგჯერ წუთი ისე ღრმავდება,
რომ ჩვენი თვალები სიმშვიდეს ასხივებენ,
ხმის ტემბრიც თბება
და ისე გადმოდის სიტყვა სუნთქვიდან სუნთქვაში,
ღამის გული გამელიოს...

ზის მარტოდმარტო
ბავშვი ცასთან
და უმიზეზო სევდას ეჩვევა.

სხივი,
თვალი რომ ირეკლავს
შიშის ფესვია.

გაუმაარ-ჯოს!

ჩემი დრო მიდის, შენი დროც წავა,
მოვა სხვისი და ისიც გაქრება,
ამაოების უძველეს წამალს
ვსვამ დღეში სამჯერ,
ვერ ინამქრება
სხვათა ქირქილით ჩემი გზა-კვალი,
ჩვენ შევეზარდეთ ერთურთს მკლავებით
და ცარიელი დროის აკვანი
ირწევა ქარით
და ანკლავების
კიდურებივით ამპუტინება,
გვტკივა,
იმედი ნაომარი ჯობს,
მოგვწყინდა ყურში ჩაპუტუნება
და ვყვირით ერთად: გაუმაარ-ჯოს!

* * *

შებინდებისას, საღამოხანს, შეღამებისას
მოახლოვდება დრო ურთიერთშეხამებისა.

დრო ერთმანეთის აღმოჩენის, ხელახალ ძებნის,
ბგერები ალტის, საქსაფონის, უძველეს ებნის..

დრო ერთმანეთში დაკარგვის და პოვნა ერთობის,
ჩვენ ერთმანეთში დაბრუნების ძებნით ვერთობით.

ვცმუკავთ ორივე, ჩვენით სავსე დრო იწელება,
ვიდრე ფერმატო სიახლოვით მოიცელება.

* * *

ფიქრის კი არა, ახლა უფრო გართობის დროა,
ვიდრე ოდესმე ნასოდომარ-ნაგომორალში,
მე კარგად ვიცი, ეს ბრიყვები რამ აატროვა,
რა ცდუნებები ბინადრობენ ნაგავ მორალში..

მოვიდრეკ მუხლს და ვნანობ გულ და მუხლმოდრეკილი,
რომ ავედევნე ამ დღეების ცბიერ აღლუმებს,
მე შენზე დარდი შიგ გულში მჭირს, როგორც ეკალი,
და შენზე ფიქრი სიზმარშიაც წამომაღმუვლებს.

შენ მაიმედებ, რომ ეს წლებიც აიცელება,
გაითიბება და შეკრავენ წარსულს ზვინებად,
ამასობაში ყველაფერი დაიწერება,
და მოკლულებიც მოასწრებენ გამოძინებას.



დაიბადა 1981 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ ბერეთისაში. 1999 წელს დაამთავრა ბერეთისის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე. 2003 წელს დაამთავრა ეს სასწავლებელი და დაიცვა ბაკალავრის ხარისხი. 2004 წლიდან დღემდე მუშაობს "მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრში". ჰყავს მშობლები და სამი და.

ლექსების წერა პატარაობიდან დაიწყო. თავიდან ეს მხოლოდ გატაცება იყო, მაგრამ შემდგომ აღმოაჩინა და მიხვდა, რომ მისთვის პოეზია თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალება ყოფილა. ამიტომ სერიოზულად დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ, რანაირად გადმოსცეს ის, რასაც მხოლოდ თვითონ ხედავს და განიცდის. ერთი სიტყვით, ფორმის ძიებაშია.

თუმცა მის სტრიქონებში აშკარად იკვეთება ერთი რამ, რაც სიმპათიით განაწყობს მკითხველს. ეს არის ხასიათი, პოეტური ხასიათი — თამამი, მტკიცე, შეუვალი, ანგარიშგასაწევი.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემოქმედებითი პროგრესი გაგრძელდება და ნეგა-უნებლიეთ მოგვიწევს შეგუება უცნაურ პოეტურ სახელთან — ბერეთელი. ნუკრი ბერეთელი.

ნუკრი ბერეთელი

ბელურები

შენ ახლა ისე შორს იყურები,
რომ ვერ შემამჩნიო, სულ არ მიკვირს.
სხედან ანტენაზე ბელურები,
ჰგვანან დაშინებულ ჟურნალისტებს...

შენ კი მთების იქით იყურები,
მაჯებმორყეული აივნიდან.
თმაში ჩაბნეული სინგურები
ხელის შეხებაზე გაირინდნენ...

იქნებ დარდებისგან დავიცალოთ,
წამყე გოჩგოჩანა მდინარესთან,
ჩრდილში ოცნებები გაგიცვალო,
მერე გაგეპარო მძინარეს და

მინდვრად გაძებნინო სიყვარული,
იქვე დამალულმა—ჭრიჭინებთან,
შიში, ხმის ქვიტკირში შეპარული
როცა თვალებიდან იჭყიტება,

უნდა მივუხურო დარაბები,
(ცოტა დამიმდუღრავს ხელისგულებს...)
მერე თვალდახუჭულს ქარაფები—
საგულდაგულოდ რომ შევიგულე,

უნდა აგატარო დაისამდე...
მზეს აქ არაფერი დარჩენია,
მე კი უშენობით დავისაჯე.
იცი, უშენობა სასჯელია!

შენ კი მთების იქით იყურები,
მაჯებდამტვრეული აივნიდან.
ნახე— დატუქსული ბელურები
სულ სხვა ანტენებზე გადაფრინდნენ...

კადრები ჯვარცმად

ვიღაცა ცდილობს შეეწყოს შოპენს,
მეზობლის ბავშვმაც ისწავლა "სოლ-ლა..."
ქარი ბალახებს ღობისკენ მოფენს,
კვირის სიჩუმემ დაიპყრო სკოლა.

ტაძრიდან მომყვა გალობის ექო,
ჩიტივით ჩემი ოთახის კედლებს
აწყდება. ვუღებ... ფანჯრიდან — ბექობს,
იქედან — მთას... და მთაზედაც ვერ ძლებს,—

გადადის ცისკენ. ცა არის მშვიდი;
ფაშფაშა ღრუბლებს — ფეხმძიმე ქალებს
ვაცილებ მზერით. მზე სადღაც მიდის
და რიკლედ ტოვებს დასავლის კარებს.

უბრალოდ გადის უშენო კვირა,
სასწაულებსაც უაზროდ ვუმზერ—
რომ ვიღაც კადრებს აკინძავს ფრთხილად
და ლექსის ჯვარცმად დამკიდებს გულზე.

შემოდგომის ნოსტალგია

მერცხლები გაფრენილან რა ხანია,
ხეები ფერ-უმარილს ბავშვებივით
ყველგან ითხიპნიან... ხარხარია.
ოქტომბერს წუთები აქვს დარჩენილი.
ღრუბლები ფეხმძიმე ქალებია,
დადიან, წვიმებს ძლივს იკავებენ—
ღიმილივით. რა ხმაა? ქარებია,
თუ ხმელი ფოთლები კინკლაობენ?

მთვარე— გატეხილი ფანარი და
(ლექსი მივუსიე დაგეშილი)
მეზობლის კარღია მარანიდან
სარ-სარ მოუყვება გალეშილი.

აქ არ მოიტეხოს კისერი და...
ბავშვები კვახებით ჯილდაობენ.
ქარების დოღია იმ სერიდან,
აქ კაკლის ჩრდილები ჭიდაობენ.

ნელ ცეცხლზე თათარას ჩასთვლემია,
ფშვინავს და დედის ხელს იგერიებს.
რა ვოლტი!— სულ თაფლის სანთლებია.
ჩუ! მამა კითხულობს "...ივერიელს".

სხვენზე ტაროების ხარხარია,
მთვარე გაპარულა შერცხვენილი.
მერცხლები გაფრენილან რა ხანია...
დღეებიც გაფრენილან მერცხლებივით...

რომ შემეძლოს

ახლა მოვკვდებოდი... (ბევრჯერ დამიწუნეს
წერა სიკვდილზე და, მაინც მეწერება)
გულზე დავიწყობდი მინდვრის თაიგულებს—
ღიღილოების ან, მშვიდი ენძელების...

მზერას გავატანდი წყაროს სამღარიანს,
ღიმილს—მაისის ქარს,—ხეებს დაურიგოს.
სადღაც ნიკორები მიწას ჩაბღავიან...
დები იტირებენ ალბათ "ძამულიკოს".

მერე დაიწყება წლები დავიწყების,
ცელით დაატყობენ მიწას ნაბილიკარს...
ძვლები გათეთრდება— დედის საფიცრები,
მხრებში მოიხრება ძველი ბაზილიკაც.

მეხი დააფეთებს სადღაც მიკიოტებს.
(ნატვრით როდის იყო, გზები მოკლდებოდნენ!)
მე ახლა მზისკენ უნდა მივდიოდე,
ჩემი კლდე-ბილიკით უნდა მივდიოდე,
ხევებს და ქარიშხლებს უნდა მივკიოდე,
თუმცა... რომ შემეძლოს, ახლა... მოვკვდებოდი.

ნუ დააჩოქებ!

ნუ გაათეთრებ ფიჭებივით მიჯრილ სტრიქონებს,
კალმახებივით ამოყარე წყლიდან ბწკარები,
ჯერ ახდენილი სიყვარული გამოიგონე,
მერე იმღერე რეკვიემი გარდაცვალების...

ნუ დააჩოქებ წყაროს პირთან წახრილ ძველ ოდას,
ნაწისქვილარიც ხომ ეყოფა ერცახე სოფელს;
მოდი, ნიკორა გადააბი ვაშლის ჩეროდან
და ნედლი სარი ჩაამატე შქერის ძველ ღობეს.

ნუ მოანატრებ პირჯვრის წერას ამ ეკლესიას,
მერე რა, თუკი გუმბათიდან ცა გიმზერს ლურჯი;
ეს ხავსლოდება სასაფლაო შენი ფესვია
და მუხებს უჭირთ საფლავებთან დუმილი, უჭირთ!

ნუ დაუმალავ "აი-იას" ნინოს და ცოტნეს,
ნუ დაუფარავ, ნუ, "ჩაკრულოს", დათოს, მარიამს,
უდედაენოდ ვერ გახდება "ყველაფრის მცოდნე",
დედის რძესავით— ამ სიმღერებს —
სულ სხვა მადლი აქვთ.

დღეს თბილისიდან ბათუმამდე სტვენით მიდიან...
თუმც სოხუმიდან თბილისამდე ხიდია ბეწვის...
თუ შენ ვერ ხედავ, ან, ხედავ და ფეხზე გკიდია,
ამ ჩემს მტკივან გულს დაუჯერე, მხრამდე რომ მეწვის:

ნუ დააჩოქებ წყაროს პირთან წახრილ ძველ ოდას,
(ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხვალ ამ სტროფებს დაედოს ფასი!)
ისე იმღერე, წინაპარი როგორც მღეროდა
და ვაზისძირა-დაღვლარჭნილი ბილიკით გასწი!!!

ულექსო ფურცლებით

ჭერიდან ჩამოშლილ დაწყვეტილ სადენებს
ვაერთებ ნერვებით და ჟრჟოლა ამიტანს.
გახსენებ ლოცვებით...
ზღვა ცოდვის ჩამდენი...
აგვისტოს ვუწუნებ მოჟამულ ამინდებს—
პირველი ღამიდან.
მთელსოფელმოვლილი,
ულექსო, ქათქათა ფურცლებით დედათა
მონასტრის კედლებთან ვბრუნდები.
პროფილი
ღიმილსაც კი იტევს...
ღიმილი მემართა
შენი და მე მართლა ქვის გული კი არ მაქვს,
უბრალოდ, ხანდახან ასეთი როლების
თამაში მიხდება.
ცხოვრების ყიამეთს
ხან ხელის ცეცებით, ხან წელში ზმორებით—
მივყვები.
გორები მაგონებს პეიზაჟს
ვან-გოგის ნახატის.
დრო არის სიგიჟის.
შენი ლანდის რხევა, კედელზე, გეიშას
მაგონებს.
თვალები დავხუჭე.
მიმიშვი
სარკმელთან!
ფინიში არც ისე შორია,
როგორც ჩვენ გვეგონა უმთვარო ღამეში...
მილიონ ფურცელზე (სალექსე) თოლიას
(მილიონს) გიხატავ და გკოცნი თვალებში.

მე ვარ ამბოხი

უკეთუ ტკბილი არა დაღვინებულ იყოს,
ამბოხ იწოდება.
საბა

მე ამბოხი ვარ —
შენი ცრემლით დარწყულებული.
ახალ მთვარეზე ამისხიპეს დედას მკლავები.
უმთვარო ცაზე დაჩენილი ვარსკვლავებიდან
ერთი მათგანი შენიც იყო—დაწუნებული.
(შენ ხომ სულ მუდამ ემდუროდი ბედის ვარსკვლავებს...)
რაც არ უნდა ვთქვათ, ჩვენ ერთ ძელზე მაინც გაგვსვამენ,
ოღონდ, ეს მერე, მერე, ჩემო... სხვა დროს მოხდება...

მანამ კი, დედას შესხეპილი მკლავების კოცონს
მთვრალი ჭინკები გადმოჰყავდა ძველი მარნიდან.
ცა უნათებდა გამურული, ძველი ფარნიდან
და მთების იქით გადარბოდნენ; ღვინიან ბოცებს
ჭამპურა ჭინკა მიათრევდა, ბუძგა, ბაჯბაჯა...
ძველისძველ ამბებს რომ გიყვები ვიცი, კვლავ მოგწონს
და კუთხეს, ტუჩის, შეღიმება ძლიერ უხდება.

გავიზაფხულე. და შენ ჩემი იყავ ტაროსი,
მოოქვრილ კევრებს აბრუნებდი ცისფერ კალოზე,
დილით ნამავდი დედის კაბას ზურმუხტდაფერილს
და შენი ცრემლი უხდებოდა მსუბუქ სამოსელს.
აღარ მახსოვდა, იცი, მერე აღარაფერი,
კაცის თვალით რომ დავინახე შენი ცრემლები...
შენთვის რომ ტირი, სადღაც, ჩუმად, ახლაც ვევნები.

ღვინობისთვეში უკვე გახდი ჩემი ნაწილი,
ისე ერთბაშად გადმოხვედი ჩემში—დავმწიფდი.
დამიდიოდი...
ერთადერთი, და, რაც მიკვირდა—
ისევ ჭინკები ქირქილებდნენ მარნის იქიდან.
მერე კი, მერე, წვიმაში რომ მშრალ ხიდს გამოვცდით
და ღიმილები დამიტოვე ტაძრის ეზოში,
ბოლოჯერ მივხვდი: არაფერი აღარ მაოცებს.

მერე თვეობით ვასკდებოდი ხორკლიან კედლებს,
ვცდილობდი მთელი შენი სიტკბო გამექრო ჩემში,
ბოლოს მოვდუნდი და ფუთფუთა ჩემს იღბალს ვენდე.
მთვარე ირიბად უყურებდა შენთმისფერ ფერდობს.
(კვლავ რა ნეტარი სიმშვიდეა შენს სახლში, ღმერთო!)
ახლა მშვიდად ვარ... ალბათ მალე სიმშვიდე შემშლის!
მე ვარ ამბოხი...
ამბოხი ვარ!
ამბოხი!
გესმის?..

ვივლი ნიღბებით

გავხსნათ კარტები! (დასამალი ან ვისთან რა მაქვს?!)
ამრიგად გავხსნათ, მერე ისევ უბრად დავხუროთ.
მე ორგულობის უამრავი ნიღაბი დამაქვს
და შენზე მეტად მეშინია ამ გაზაფხულის:
არ ჩამომგლიჯოს ნაიარევ, მახინჯ სახიდან
ყველა ერთბაშად და არ დავრჩე სახეშეშლილი.
სული აშარდა, აირია, დახირდ-ახირდა
და მარტს მასავით არეული, ძალით ვეშვილე...
გარიჟრაჟამდე ვესაუბრე შენს ლანდს მოწყენილს,
მერე კი შენი წილი სითბო გავუნაწილე
მცივან ბეღურებს... აღარ მქვია შენზე მლოცველი,
აღარც ვატარებ შენი ლექსის წმინდა ნაწილებს—
შენივე მზერით ამოვიწვი გულის კოვზიდან...
შენ ხომ გინდოდა უხმაუროდ, ჩუმად გამეშვი?..
ვივლი ნიღბებით, ბროლის მთიდან ლოდებს მოვზიდავ.
ვიკალატოზებ უშენობის ხანგრძლივ ღამეში.

დედა მაპატიებს

შენ და საკუთარ თავს ერთად დაგცილდებით,
ცაზე დაგიტოვებ წითელ ნაფეხურებს...
მარტი "მივულოცე" დედას სამძიმრებით,
წუხელ ტკივილიან სიზმრად გავეხურე.
თოვს და ყველაფერი შავად მეჩვენება,
(დარდმა გამომიკრა მაგრად აპეური.)
ვხედავ ნეგატივებს... და ეს შეჩვენებაც
ვფიქრობ, ლოცვებია თოვლში გარეული.

ვიღაც მკითხულობს და ისე ბოღმიანობს,
ახლა ჯანდაბისკენ ნაღდად ავუხვევდი!
სისხლი ძარღვებიდან ისე მოხმიანობს,
გულო, არ მგონია დიდხანს აუხვიდე.

ყალბი ტკივილებით ჰაერგაჯერებულ
ქალაქს როგორ გინდა რამე დააჯერო?
როცა ყველა გხედავს მზეზე გაჩერებულს,
შენ კი ჯურღმულებში ჭინკებს დააჭენებ.

მეტად ცოდვებისგან ვეღარ დავმძიმდები,
ვეღარ შეგინახავ სხეულს ნაპატიებს.
მარტი "მივულოცე" დედას სამძიმრებით.
დედა მაპატიებს...

მორჩა

მორჩა! მივდივარ. ამ დილიდან შენ ვეღარ მნახავ.
მოგონებები ალაგ-ალაგ აწვიმს რუსთაველს...
თენდება. მთებში მზემ კბილივით ამოჭრა ახლა.
(გამთენიისას კორპუსები თვალებს ხუჭავენ.)
სანთლის კუბოთი მთაწმინდაზე ჩემს იმედს ვმარხავ
და ჭრიჭინები მოკრძალებით დიდ მარშს უკრავენ.

მთვარე—ავადმყოფი თანდათან ფითრდება,
მტკვარზე თოლიებმა ატეხეს წიოკი.
ჩემზე რა ხანია აღარ გეფიქრება,
ვერ გადავამწვანე ველები ხრიოკი;

ვერ მოვინადირე ათასთა სამიზნე
გული და ხომ ხედავ, ბედს ასე დავნებდი...
ეს ბეწვის ხიდი კი როდემდე გამიძლებს?
არადა, ბოლოშიც რომ ვეღარ გავედი?!

ოდესმე ხომ უნდა მივიდე ფინიშთან,
რომ ხელის გულებით შეეხონ წამწამებს.
ოდესმე უფსკრულთან ხომ უნდა მიმიშვან,
რომ ფრენა ვასწავლო ამ სხეულს, ნაწამებს;

რომ დაკბნენ ორბები დაღლილი თვალებით
და მარცხნივ გაღეღონ ყორნებმაც საკინძე,
ეს ლექსიც თუ მოვრჩი, აღარ მაქვს ვალები,—
უწინ რომ დაგპირდი, ის ლექსიც ავკინძე:

მორჩა! მივდივარ. ამ დილიდან შენ ვეღარ მნახავ.
მოგონებები ალაგ-ალაგ აწვიმს რუსთაველს...
თენდება. მთებში მზემ კბილივით ამოჭრა ახლა.
(გამთენიისას კორპუსები თვალებს ხუჭავენ.)
სანთლის კუბოთი მთაწმინდაზე ჩემს იმედს ვმარხავ
და ჭრიჭინები მოკრძალებით დიდ მარშს უკრავენ.

ბოროტებასთან დაუთმოგლობა

საუბარი ვაცლავ ჰაველთან

„ერის სინდისი" ასე უწოდა ვაცლავ ჰაველს ჩეხმა ერმა, როცა ის „ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ აირჩია ჯერ ჩეხოსლოვაკიის, ხოლო 1993 წელს ჩეხეთის პირველ პრეზიდენტად. მას წილად ხვდა ეს აღმატებული სახელი და უდიდესი ნდობა საკუთარი ხალხისა.

გამოჩენილი დრამატურგი და პოეტი, მის კალამს ეკუთვნის 20-ზე მეტი პიესა და ბევრი მხატვრულ-დოკუმენტური ნაშრომი, მიღებული აქვს ბევრი მნიშვნელოვანი ჯილდო, რომელთაგან ერთ-ერთია „სინდისის ელჩის" ჯილდო. ჰაველი არის ერთ-ერთი თვალსაჩინო ინტელექტუალური და ზნეობრივი ლიდერი აღმოსავლეთ ევროპაში. მისმა როლმა, როგორც საზოგადო მოღვაწისა, გარკვეულწილად კიდეც დაჩრდილა ის, როგორც დრამატურგი და პოლიტიკური ესეისტი. იგი აქტიურად გამოდის კონფერენციებზე და ფორუმებზე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მის უცვლელ თემას წარმოადგენს ადამიანთა უფლებების დაცვა და თავისუფლება..

ყოფილი პრეზიდენტის კანცელარია დიდი არ არის, მისი კედლები მინისაა, როგორიც ახლა ბევრ სამკითხველოს აქვს. ავეჯი ორიგინალურია, ინტერიერი ფერადოვანი და ჰაველის პრეზიდენტობასთან დაკავშირებული უამრავი ნივთია ირგვლივ.

ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა ყოველკვირეულ ჟურნალში „რესპექტი" 2009 წლის ნოემბერში და დაკავშირებული იყო რევოლუციის 20 წლისთავთან, მას მოუხდა მრავალ ისეთ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც რევოლუციიდან ოცი წლის შემდეგ ჩეხეთის და ზოგადად აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებას გაუჩნდა და აწუხებს, რადგანაც რევოლუციის შემდგომი ხანა გაცილებით რთული და, როგორც თვითონ ამბობს, „ეკლიანი" აღმოჩნდა, ვიდრე მას და მის თანამოაზრეებს წარმოედგინათ იმ მღელვარე დღეებში.

— **თავს ბედნიერად გრძნობდით?**

— ამაზე ცოტა უნდა დავფიქრდე.

— **რას უპასუხებდით ამ კითხვაზე ქუჩაში ახლა, როცა გამოკითხვა მიმდინარეობს?**

— ვუპასუხებდი, რომ ძირითადად ბედნიერი ვარ, მაგრამ შეიძლებოდა უფრო ბედნიერიც ვყოფილიყავი.

— **ეს ნიშნავს, რომ რევოლუციამ, რომელიც ოცი წლის წინათ მოხდა, გაამართლა?**

— რევოლუციამ გაამართლა იმ გაგებით, რომ გვაქვს თავისუფლება, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა. ამ იდეალებისგან არ გადაგვიხვევია. თუმცა ათასზე მეტი რამ უფრო ცუდად არის, ვიდრე წარმოგვედგინა, საბედნიეროდ, არის რაღაც, რაც უფრო მეტია, ვიდრე კმაყოფილების დონის საზომი. ოთხმოცი პროცენტი პირადულით განსჯის. ადამიანი შეიძლება იყოს ბედნიერი მძიმე პირობებშიც და პირიქითაც.

— **ჩეხების ოთხმოცდაექვსმა პროცენტმა ცოტა ხნის წინათ ამ კითხვაზე პასუხი გასცა „დიახ," გაკვირვებთ ეს რიცხვი?**

— მიხარია.

— **როგორ შეხვდით რევოლუციის დღესასწაულს?**

— კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. ხალხის ნაწილი ამ თარიღს აღიქვამს როგორც გამოწვევას დაფიქრებისკენ, გამოწვევას კითხვებისკენ, რა იქნება შემდგომ და როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო ყველაფერი.

— **თქვენს ძალიან წარმატებულ კონცერტში მონაწილეობდნენ თქვენი მეგობრები, აქტიურად მონაწილეობდნენ ამერიკელი მუსიკოსები, გილოცავდნენ ბრიტანელი მუსიკოსები, ორატორებად გამოდიოდნენ ფრანცოუზი და პოლაკი. სად იყვნენ გერმანელები? არ მიიღოთ ეს კრიტიკად, არამედ მიიღეთ, როგორც ინტერესი, მცდელობა, გავიგო თქვენი და შესაბამისად ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების ურთიერთობათა შესახებ.**

— იყო ანგელა მერკელის მოლოცვაც. ყველა, ვისაც სურდა, იქ ვერ იქნებოდა, მაშინ, ალბათ, დღემდე გაგრძელდებოდა ეს პროცესი.

— **„ბი-ბი-სი"-ს საინფორმაციო სამსახურის ვერსიის თანახმად, ამ დღესასწაულის მიმართ ინტერესი არ გამოუხატავს ადგილობრივ პოლიტიკურ წარმომადგენლობასაც და ყოფილმა დისიდენტებმა ყველაფერი თვითონ მოაგვარეს?**

— ველოდი, რომ მთავარი გახსენება — დღესასწაული იქნებოდა პრაჟსკე ჰრადზე, ასეც მოვილაპარაკეთ, მაგრამ ბოლოს რაღაც მიზეზით ჩაიშალა. თუმცა ეს დღე ღირსეულად გაიხსენეს სენატში, გაიმართა სხვადასხვა აქციები და მასში მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი ორგანიზაციები. სამწუხარო იქნებოდა, ეს დღე მხოლოდ სახელმწიფო მოვალეობა რომ გამხდარიყო.

— **რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით ყველაზე დიდი კმაყოფილება რამ მოგიტანათ?**

— დადებითად ვთვლი იმ ფაქტს, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, სადაც ჩემგან ითხოვდნენ აღიარებას, რომ მე თითქოს ოცი წლის წინათ საზოგადოება მოვატყუე და დავუმალე განზრახვა, რომ კაპიტალიზმის შემოტანა მინდოდა ქვეყანაში. შემომიბერა პოლიციური დაკითხვის და პროცესების სიომ: „აღიარეთ, რომ იცნობთ ამას და ამას და ა.შ". კარგი ის იყო, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იგივე მეთოდები გამოამჟღავნა, და ამგვარი დიქციით და სტილით გაგვახსენა გასული ერა, თუმცა ახალგაზრდებისთვის შესაძლოა ასე უფრო გასაგები გახდეს ის დრო, ვიდრე სხვადასხვა სამეცნიერო სასწავლებლებში მოსმენით. მახსოვრობა ხშირად ცოცხალი ფორმითაც საჭიროა გავააქტიუროთ.

— თვითონ კითხვაზე რას იტყვით, აღიარებთ?

— მე ეს სიტყვა სინამდვილეში არც მიხსენებია, უფრო ვლაპარაკობდი საბაზრო ეკონომიკაზე, თვითონ კომუნისტები ლაპარაკში კაპიტალიზმს მიაწერდნენ იმდენ უარყოფით მნიშვნელობას, რომ ვერც ახსენებდი. საზოგადოება ამისთვის მზად არ იყო. დღესაც არ მიყვარს ამ სიტყვის ხსენება, რადგან ის ცნობილია როგორც კომუნისტური სალანძღავი ტერმინი.

— როდის მომწიფდა თქვენში იმის აუცილებლობა, რომ საკუთარ თავზე აგეღოთ პასუხისმგებლობა და დაგეწყოთ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რეალური, ნამდვილი პოლიტიკა? თუმცა ჯერ კიდევ აგვისტოსა და სექტემბერში ამას გამორიცხავდით თქვენს ტექსტებში.

— დიახ, არასდროს მდომებია პროფესიონალი პოლიტიკოსობა. მთელი ცხოვრება მე, როგორც მოქალაქე, აშკარად, ამა თუ იმ გზით გამოვხატავდი ჩემს აზრს და ვახდენდი პოლიტიკურ გავლენას. პროფესიული პოლიტიკური ფუნქციის აღება გადავწყვიტე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე სამოქალაქო ფორუმმა წამოაყენა პრეზიდენტად ჩემი კანდიდატურა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მე თვითონაც გადავწყვიტე დიდიხნის მერყეობისა და საკუთარი თავის დარწმუნების შემდეგ, როცა მივხვდი, რომ ლაპარაკი არ იყო იმაზე, მე მინდოდა თუ არ მინდოდა, არამედ იმაზე, ჩვენი რევოლუცია მოიგებდა თუ წააგებდა. „ჩვენი" პრეზიდენტის არჩევა შესაძლოა ყოფილიყო მაშინდელი ეპოქალური ამბების დაგვირგვინება, ხოლო ამ პოსტზე უარის თქმა კი — მთელი სამოქალაქო ფორუმის გაწირვა.

— ჟურნალისტებს აინტერესებთ მოისმინონ, თუ რასთან დაკავშირებით საყვედურობთ თქვენს თავს?

— დიახ, ჟურნალისტები ცდილობენ ჩემგან გაიგონ, რა შეცდომები მომივიდა, მე კი ვეუბნები, იმიტომაც არიან ჟურნალისტები, რომ თვითონ უნდა გამოავლინონ ეს შეცდომები და დაასახელონ, მე მათ ვერ შევუმსუბუქებ სამუშაოს. ისე კი ერთ-ერთი ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ცოტა ყურადღებას ვაქცევდი ჩემს დილეტანტურ გადაწყვეტილებებს და ზედმეტად ვენდობოდი ეკონომისტებს, თუმცა ვეკამათებოდი მათ, მაგრამ ბოლოს მაინც ვიზიარებდი მათ გადაწყვეტილებებს, როგორც ლოგიკურსა და სწორს. ჩემს თავს ვეუბნებოდი, ნამდვილად იციან, რასაც აკეთებენ- მეთქი.

— მაპატიეთ, მაგრამ რა გინდა თქვათ ამით, სხვაგვარად მოიქცეოდით?

— რაც დრო გადის, უშუალო ნაბიჯებზე მეტად ვკამათობთ მსოფლიოზე ზოგადი შეხედულებებით, მარქსისტული მრწამსით. და რადგანაც ყველას თავი მოაქვს ანტიკომუნისტად, გამომდინარეობს იქიდან, რომ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია მატერიალური საფუძველი და მხოლოდ მას შემდეგაა, როგორც სამკაული, ან ორნამენტი, რაღაც ზედნაშენი. ანუ, როგორც მარქსი ასწავლიდა, ყოფიერება განსაზღვრავს შეგნებას, თუმცა ადვილად დასანახი იყო, რომ ხშირად, შეგნებაც განსაზღვრავდა ყოფიერებას. საკამათოდ მეჩვენება ეს უზარმაზარი მახვილი ეკონომიკაზე და მოვლენათა ეკონომიკური ხედვა. ეს კრიტიკა ჩემი მისამართითაა. თუმცა, რომ აიღოთ რომელიმე ქვეყნის პროგრამა, ნახავთ, რომ პირველ ადგილზეა მრეწველობა, შემდეგ მეურნეობა, შემდეგ მედიცინა და ბოლოს კულტურა. ეს არის მსოფლიოს მუდმივად ერთიდაიგივე შეხედულება და პერსპექტივა. მაგრამ მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პოლიტიკოსობა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ეკონომისტობა.

— შესაძლებელია, მაგრამ 90-ანი წლების დასაწყისში მოაგვარებდით სხვანაირად? ორმოცი წელი გვქონდა გეგმიანი მეურნეობა და უბრალოდ ჩამკვდარი ეკონომიკა. ამიტომ ლოგიკური იყო, ყურად რომ იღეთ ეკონომისტების აზრი.

— რასაკვირველია, ეკონომიკური რეფორმა აუცილებელი იყო, ეს საკამათო არცაა. რაზეც მივუთითებ, არის ის, რის შესახებაც ვლაპარაკობდი — მსოფლიოს ხედვა ეკონომიკური მოდელით აუცილებელი არ ყოფილა. და მეორეც — საკუთრების გასაიდუმლება, მას სხვაგვარად ეწოდებოდა პრივატიზაცია, მაგრამ კუპონური პრივატიზაცია იყო პირიქით — საკუთრების გაფანტვა, რის შედეგადაც ყველაზე მეტად მოიგეს საპრივატიზაციო ფონდებმა, რომელთაც — ბოროტი ჩანაფიქრი იყო თუ მოუქნელობა არ ვიცი — უფლება მიეცათ, არ განესხვავებინათ აქცია აქციისგან, რომლითაც უნდა ემართათ თავიანთი კლიენტები. ასე მოიპოვეს უზარმაზარი ქონება. ბევრმა მეწარმემ, რასაკვირველია, ქონება ძალიან პატიოსანი გზით მოიპოვა— ასეთებს პატივს ვცემ.

— უკაცრავად, მაგრამ ზედმეტად აბსტრაქტული ხომ არ არის. ჩვენ გავიგებდით შეკამათებას იმის თაობაზე, რომ უნდა გაკეთებულიყო მეტი მახვილი სამართალზე, გვქონოდა უფრო კარგი კანონები, მაგალითად, აქციონერთა დაცვის შესახებ. რასაც თქვენ ამბობთ, მეჩვენება, რომ პოლიტიკური რიტორიკაა, რომელსაც საზოგადოება მიიღებს ან არ მიიღებს. მთელი მახვილი ეკონომიკაზე მოიტანა უბრალოდ ცხოვრებამ, საზოგადოებას გაუძნელდებოდა ამის გაკეთება. ხალხი აქამდე მივიდოდა ან ვერ მივიდოდა.

— ვფიქრობ, პოლიტიკოსები საზოგადოების ცხოვრებაზე გავლენას უნდა ახდენდნენ, საზოგადოებრივი აზრისა და საქმის ვითარების ასლივით გადმოღება კი არ უნდა ხდებოდეს, მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი თავიდან აირჩიონ. ეს ძნელად ასახსნელია, თუმცა ხშირად საზოგადოებრივ კლიმატსაც აქვს მნიშვნელობა. ბევრი ვერც აცნობიერებს, თუ საზოგადოება რამდენად ახდენს უნებურ გავლენას თავისი მოქცევით, ლაპარაკით, სიტყვით ან ფრაზეოლოგიით. ეს მოვლენა ჯერჯერობით არ არის შეფასებული.

— რას გვეუბნებიან დღეს პოლიტიკოსები თავიანთი მოქმედებითა და ლაპარაკით?

— ამ ძალას ჩვენ არ გვიჩვენებენ, და თუ — კი, მაშინ ეს ძალა არ არის გამამხნევებელი. ხდება თანდათანობით გახლეჩა, უფსკრული პოლიტიკასა და დანარჩენი საზოგადოების ცხოვრებას შორის. პოლიტიკა იქცა განსაკუთრებულ ესტრადად, თითქოსდა მისი მთავარი არსი ერთმანეთის სიბინძურის ძებნაში ყოფილიყოს და ყველაფერი ეს პარტიული პრინციპით... სადაც უარყოფილია საკუთარი სიბინძურე და პირიქით — გამოაშკარავებულია მოწინააღმდეგისა. საბედნიეროდ, ისევ ცოცხლობს, თუმცა ჯერ არ არის მთლიანად გაშლილი, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც შესაძლოა იქცეს ამ დაუსრულებელი ამბისადმი გულგრილობის ნამდვილ საზომად.

— რამდენად მონაწილეობს თვით სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკურ მოვლენებში, როცა ამ ოცი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა შექმნილიყო პოლიტიკური სამოქალაქო საზოგადოება, სადაც ადამიანები აქტიურად დაინტერესდებოდნენ იმით, რაც პოლიტიკაში ხდება?

— მართალი ბრძანდებით, სავსებით გეთანხმებით. ადამიანები ცხოვრობენ თავისი ცხოვრებით, ხოლო სამოქალაქო

საზოგადოება ყვავის მრავალნაირი სახით: სხვადასხვა ორგანიზაციები, კულტურის, აკადემიური, სამეცნიერო და მსგავსი. აგვარებენ თავიანთ კერძო საქმეებს, ხოლო პოლიტიკას, როგორც ასეთს, შემდეგ რესტორნებსა თუ სახლში ლანძღავენ. მოქალაქეებმა თვითონ უნდა იმონაწილეონ და ეცადონ რამე შეცვალონ, ამას ძალით ვერ მიაღწევენ, ან მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად არც ვიცი — როგორ. სამოქალაქო ცხოვრება ჩვენთან ფეხდაფეხ არ მიყვება პოლიტიკას.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც მიმაჩნია ის განვითარება, რომელიც ბოლო ათწლეულებში მოხდა.

— კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ რევოლუციის წლისთავს. დღეს ყველა ამბობს, რეჟიმის დაცემა აშკარა და გარდაუვალი იყო; დაინგრა ეკონომიკა, რუსეთი გავიდა, იყო დასავლეთის გავლენა.. ეს ყველაფერი შეეხო და ეხება ბელორუსიასაც, სადაც დღემდე მაინც ავტოკრატული რეჟიმია. ჩვენთანაც სხვაგვარად შეიძლებოდა მომხდარიყო მაშინ?

— შესაძლებელი იყო. ერთ-ერთი მიზეზი იყო აქაური კომუნისტური რეჟიმის კრიზისი, რომელსაც მართავდა ყველაზე ცუდი ჯგუფი, რადგანაც ელიტა და ნახევრადელიტა სამოცდარვა წლის ამბების შემდეგ გაყარეს და ასიათასი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამუშაო. მეორე მიზეზი იყო მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკა, რომელიც ხედავდა, რომ ძალით არ შეიძლებოდა საბჭოთა იმპერიის ძველი სისტემის შენარჩუნება. სხვა გავლენა კიდევ დასავლეთის ეკონომიკური ზემოქმედება და რეიგანის პოლიტიკა და იმავდროულად გამათავისუფლებელი მოძრაობა ბევრ ქვეყანაში. ყველაფერი ეს ქმნიდა მიზეზთა ჯამს, თუმცა არცერთი არ ყოფილა ერთადერთი და გადამწყვეტი. ერთი რომელიმე რომ ყოფილიყო მარტო, მდგომარეობის შეცვლა ვერ მოხერხდებოდა, ეს შეიძლება საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულიყო და ნელ-ნელა ჩამქრალიყო, და შესაძლოა კიდეც მომხდარიყო ის, რაც ბელორუსიაში მოხდა, ვინ იცის. ნატოსა და ევროკავშირში რომ არ ვყოფილიყავით, იბატონებდნენ სხვადასხვა ნაციონალისტები, პოპულისტები. ასეთი განვითარებაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

— ხშირად ამბობთ, ჩეხური გაკვეთილი დაეხმარება იმ ქვეყნების ხალხს, სადაც ტოტალიტარიზმი დარჩაო. კუბაში უკვე ექვსი წელია ათობით დისიდენტი საპატიმროებშია და მისჯილი აქვთ ოცი და მეტი წელიც. შესაძლო თუ არის, ევროკავშირმა აიძულოს იქაური მთავრობა და ამ აუტანელ მდგომარეობას რამე ეშველოს?

— დიახ, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილია, რომელიც გადავიტანეთ ტოტალიტარული სისტემებისგან — არ ვგულისხმობ მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკას, არამედ ევროკავშირის ყველა ახალ წევრს. ევროკავშირი შესაფერისი და ნოყიერი ადგილია იმისათვის, რომ ამ გამოცდილებასა და ერთობლივ პასუხისმგებლობაზე იმსჯელონ, რათა ეკონომიკურმა ინტერესებმა არ სძლიოს ადამიანთა პატივისცემას უფლებების და ძირითად ფასეულობების მიმართ, რაზეც დამყარებულია ეს კავშირი. ვფიქრობ, რომ ევროკავშირს მოეპოვება ამ მხრივ რესურსი.

— რამდენიმე წლის წინათ ამბობდით, რომ კუბის დასაცავად გამოხვიდოდით უფრო ქმედითად. ამ წლების გათვალისწინებით როგორია თქვენი შესაძლებლობანი დღეს ამ მიმართულებით?

— ჩვენი პირადი გამოცდილებით, უცხოეთის ყოველი მხარდაჭერა არის მნიშვნელოვანი, და ხშირად უმნიშვნელოვანესიც, ვიდრე თვით მხარდამჭერს ჰგონია. ეს უკვე გამოვცადეთ იმ წლებში, როცა ჩეხოსლოვაკიაში სდევნიდნენ ოპოზიციას. მე, რასაკვირველია, კუბის შესახებ ვილაპარაკებ, როცა კუბელებს შევხვდები — ჩემს შეხედულებებს და მოსაზრებებს ვეტყვი მეც და სხვებიც, ისინი აუცილებლად მოუსმენენ, ისევე, როგორც ჩვენთან ვისმენდით „თავისუფალ ევროპას“ და „ამერიკის ხმას“, და ძალიან დაეხმარება მათ, იმისდა მიუხედავად, ვინ იქნება ეს, ყოფილი პრეზიდენტი, ახლანდელი თუ სულაც არცერთი. მთავარია ეს მუდმივად გაგრძელდეს ევროპის ორგანიზაციებში, თავიდან და თავიდან განვუმარტოთ, ავუხსნათ მათ, რომ ბოროტებასთან დათმობის პოლიტიკა მხოლოდ ხელს უწყობს ბოროტებას. ...ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა, როგორც მდიდარმა და ძლიერმა სახელმწიფომ, შეძლოს თვითონ პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად გამოხატოს თავისი მხარდაჭერა. ამას აკეთებს, მაგრამ ფრთხილად და მორიდებულად, „ზედნაშენურად“. ჩვენ ისევ იქ მივედით — პირველ რიგში დგას ეკონომიკური ინტერესები, გაზი და ნავთობი, და ამ ყველაფრის ზედნაშენი უკვე ადამიანთა უფლებებია.

— თვალს ვადევნებთ ჩეხეთის მდგომარეობას ევროკავშირში, ვხელმძღვანელობთ განსაკუთრებული სტატისტიკით. მაგალითად, ჩეხები ყველაზე ტოლერანტულნი არიან აზარტული თამაშების მიმართ. ან ჩვენი აქაური ბავშვები სვამენ ძალიან ბევრ ალკოჰოლს, ან იქნებ ეკონომიკა გვაქვს მეტად მძიმე... საიდან მოვიდა ამდენი ბრაზი და მტრობა?

— ხედავთ, ამ შემთხვევათა უმეტესობა, რასაც თქვენ ახსენებთ, შესაძლებელია გარკვეულად ეხებოდეს იმას, რაზედაც ცოტა ხნის წინათ ვლაპარაკობდი. საბაზრო ფუნდამენტალიზმს მივყავართ იქითკენ, რომ სირცხვილია სიტყვა „რეგულირების“ დაკონკრეტება. ჩვენთან ვინმემ თუ ახსენა რეგულირება, ეშინია, სამსახურიდან გამაგდებენო. პოლონეთში ძალზე მკვეთრად ახდენენ აზარტული თამაშების რეგულირებას. შემდეგი რაც ახსენეთ, ალკოჰოლიზმია — ეს თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია უიმედობასთან. და ცხოვრება, რომელიც გაწერილია როგორც წინადადება— მოთხოვნა, მიწოდება და მოხმარება, საფუძველშივე უიმედოა.

— როგორ მოგწონთ ევროპის ახალი პრეზიდენტი?

— ვიმედოვნებდი, რომ იგი იქნებოდა საზოგადოებისთვის ნაცნობი პიროვნება, და ევროკავშირი მაშინვე გახდებოდა იდენტიფიცირებული. მაგრამ ეს პიროვნება არ არის საზოგადოებისთვის ნაცნობი და ამიტომაც უფრო გაუძნელდება კავშირის სახეს რამე შეჰმატოს. ვნახოთ, როგორ დაიწყებს და რა გამოვა აქედან. შესაძლოა ორი წელი ბედნიერიც ვიყოთ მის დროს, ვიდრე ვინმე სხვისი.

— როგორ წარმოგიდგენიათ ევროკავშირის შემდგომი განვითარება?

— ეს ერთი სიტყვით არ შეიძლება გამოხატო. მე ვიყენებ ხოლმე სიტყვა ქვეყანას, რაც სხვა არის, ვიდრე ფედერაცია, კავშირი ან კონფედერაცია. მთავარია ყველაფერი ვიღონოთ, რათა ეს იყოს საზოგადოებრიობა, არა მარტო მოქმედი, არამედ აზრიანი, რომელიც ხედავს და არის თავისი აზრის უფრო ნათლად გამომხატველი, საჭიროა მან უფრო დაბეჯითებით გამოხატოს ძირითადი ფასეულობანი, რაზეც დგას, და ის იდეალები, რომლისკენაც ისწრაფის. სინამდვილეში ეს უფრო მეტია, ვიდრე კომერციული კავშირი. ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვისაც კარგია, ეს რომ ასეა. ჯერჯერობით ევ-

როპამ მიაღწია ერთ გიგანტურ წარმატებას: სამოცი წელი უომრად — იუგოსლავიის ომის გამოკლებით. ისტორიაში არ ყოფილა ისეთი ხანა, როცა ასე ხანგრძლივად შეჩერებულიყოს ძალადობრივი კონფლიქტი ევროპის მასშტაბით.

— სად ხედავთ მისი გაფართოების ზღვარს? ევროკავშირი, მაგალითად, თურქეთს მიიღებს?

— რასაკვირველია, ასევე აუცილებლად მიიღებს უკრაინას, ბელორუსიას, მოლდავეთს, საქართველოს და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებს, თუ მოისურვებენ და იქნებიან ამისთვის მომწიფებული (ყველაზე მძიმე იქნება ბელორუსიის საქმე). და, ჩემი აზრით, ამით უნდა დამთავრდეს. ყველაფერს აქვს თავისი ბოლო და დასასრული, ნატოს და ევროკავშირს ერთნაირად, როგორც ზესახელმწიფოებრივ საზოგადოებრიობას — უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ფასეულობანი და გეოგრაფიული საზღვრები.

— თქვენ პრეზიდენტის მეტად წარმატებული კარიერა გქონდათ. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხართ ძალზე სახელოვანი ადამიანი. როგორია დღესდღეობით თქვენი წარმოდგენით კარგი ცხოვრება? ამჟამად თქვენი ინტერესი ყველაზე მეტად საით არის მიმართული?

— სიამოვნებით მივუძღვნიდი გარკვეულ დროს ისევ თეატრსა და კინოს და შემდეგ დავისვენებდი და წავიკითხავდი ჭკვიანურ წიგნებს, რომელთა წაკითხვაც აქამდე ვერ მოვასწარი.

ჩეხურიდან თარგმნა
გიული ლეჟავამ

მთარგმნელის მინაწერი

„არ არსებობს ზუსტი დირექტივა, კურსი, შესაძლოა საერთოდ არც არსებობს ასეთი მზა კურსი. ერთადერთი, რაც მე შემიძლია ამ ეტაპზე გირჩიოთ, იუმორის გრძნობაა, უნარი — მოვლენები დაინახოთ თავიანთ სასაცილო და აბსურდულ განზომილებაში, გავიცინოთ სხვაზე და საკუთარ თავზე, გირჩიოთ გქონდეთ ირონიის გრძნობა იმ ყველაფრის მიმართ, რაც ამქვეყნად პაროდიულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემიძლია გირჩიოთ პერსპექტივა და დისტანცია. ყველაზე საშიში სახის პატივმოყვარეობის შეცნობის უნარი, როგორც ჩვენში, ასევე სხვებში. კარგი გონება. საგანთა მნიშვნელობის შესახებ თავშეკავებული სიმტკიცე. მადლიერება ცხოვრების უნარისა და მასზე პასუხისმგებლობის აღების გამბედაობისთვის. სულის სიფხიზლე".

(ჰაველის გამოსვლა ღია საზოგადოების პრიზის მიღების დროს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტში, 1999).

ვაცლავ ჰაველი დაიბადა 1936 წელს შეძლებულ ოჯახში, პრაღაში. მამამისი იყო ანტრეპრენიორი, დედა — ელჩისა და ჟურნალისტის შვილი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი და შეაგულიანა შვილის ინტელექტუალური და ხელოვნებისადმი მიდრეკილებანი, მისი შემოქმედებითი ამბიციები. ახალგაზრდობაში ჰაველმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე, სახელად „36-იანები" — მის წევრთა დაბადების თარიღის მიხედვით. „ბურჟუაზიული" წარმომავლობის გამო მას აეკრძალა უნივერსიტეტში სწავლა. 15 წლიდან დაინტერესდა პოეზიით. მომავალში ცნობილ რეჟისორ მილოშ ფორმანთან ერთად ეწვია ასევე ცნობილ პოეტს იაროსლავ საიფერტს (1984 წელს საიფერტმა მიიღო ნობელის პრემია), რომელმაც ჰაველის პირველი ტექსტები წაიკითხა და მოიწონა. მიუხედავად იმისა, რომ კაფკას ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქმის დასამარებული იყო ხელისუფლების მიერ, მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ჰაველზე.

სწავლობდა ტექნიკურ კოლეჯში (1955-57) და ჩეხოსლოვაკიის ჯარშიც იმსახურა (1957-59), მალე შეუერთდა ჯგუფ 42, და ძველი თაობის მწერლების გამოწვევის შემდეგ ჟურნალში „კვეტენ" იგი პირველად შენიშნეს როგორც მწერალი. 1964 წელს შეირთო ცოლად ოლგა შპლიხალოვა და მისი გარდაცვალების შემდეგ მეორედ დაქორწინდა მსახიობ დაგმარ ვესკრნოვაზე.

1960 წლიდან ცხოვრება თეატრს დაუკავშირა, პირველად როგორც სცენის მუშამ, ხოლო 1960 დან 1969-მდე იყო პრაღის „თეატრი ბალუსტრადებზე" მუდმივი მწერალი. ეს ხანი იგი განათლების მიღებას აგრძელებდა პრაღის ხელოვნების აკადემიაში. მისი პირველი პიესა, ამ თეატრის დრამატურგის კონსულტანტის რანგში, იყო „ბაღის წვეულება" (1963), რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული რუტინის სატირას წარმოადგენდა. პიესამ დიდი წარმატება მოიპოვა როგორც შინ, ასევე საზღვარგარეთაც. ჯორჯ ორუელის მსგავსად მას აინტერესებდა ენა – პიესაში პროტაგონისტი ეუფლება „ოფიციალურ" ენას და აჰყავს ის ბიუროკრატიულ პოპულარობამდე. დრამატული ხელოვნების აკადემია დაამთავრა 1967 წელს. რამდენიმე ხნით ადრე კი შეუერთდა ლიტერატურულ ჟურნალის „ტვარი" სარედაქციო კოლეგიას, რომელიც მალე დაუპირისპირდა კონსერვატულ „მწერლების ასოციაციას". ვაცლავ კლაუსი, ჰაველის მემკვიდრე და ჩეხეთის ახლანდელი პრეზიდენტიც, ამ ჟურნალში აქვეყნებდა სტატიებს ეკონომიკის საკითხებზე. „ტვარმა" შეწყვიტა გამოცემა 1969-ში და იმავე წელს ჰაველს ჩამოართვეს პასპორტი, რადგან მისი ნაწერები მიჩნეულ იყო როგორც მთავრობის ძირგამომთხრელი.

როგორც დრამატურგი, ჰაველი იყენებდა მოულოდნელობის ტექნიკას, ქმნიდა ისეთ სიტუაციებს, სადაც მისი გმირები გამოიყურებოდნენ კომიკურად. მაგალითად, „შეტყობინებაში" (1965) მან შექმნა ხელოვნური ენა, რომელიც გამიზნული იყო გადმოცემის მეტი სიზუსტისთვის. ამ აბსურდულმა მცდელობამ გამოამჟღავნა ადამიანურ ურთიერთობათა სრული მოშლა. ეს თემა კიდევ უფრო შორს წავიდა მის „კონცენტრაციის გართულებული შესაძლებლობაში" (1968), რომელშიც ჰაველი მკაცრად აკრიტიკებს მოდურ სოციოლოგიურ ტერმინოლოგიას. ამ დროის პიესათა უმეტესობა აგებულია პერსონაჟ მწერალ ვანეკის გარშემო, რომელიც ააშკარავებს ჩეხური ცხოვრების აბსურდულ რეალობას.

60-იან წლებში ჰაველი აშკარად დასცინის კომუნისტურ ბიუროკრატიას და 1968 წელს მხარს უჭერს „პრაღის გაზაფხულის" რეფორმატულ მოძრაობას. იმ დროის პარტიის პოპულარული მდივანი ალექსანდრე დუბჩეკი ლიბერალური რეფორმების გამო მოხსნეს და დანიშნეს გუსტავ ჰუსაკი. ვაცლავ ჰაველმა ღია წერილი გაუგზავნა ჰუსაკს. ჰაველის წერილს არ ჰქონია ოფიციალური გამოხმაურება, მაგრამ მისი ტექსტი ფართოდ გავრცელდა ხალხში. ჰაველი იყო ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის „ქარტია 77" ის და „უკანონოდ დევნილთა დამცველი" საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი. მისი ნაწერები მთავრობის მიერ აიკრძალა, მაგრამ ფართოდ ვრცელდებოდა ხელნაწერების სახით და იბეჭდებოდა დასავლეთ ევროპაში. ჰაველის პიესებმა უდიდესი როლი შეასრულა, ჩეხოსლოვაკიის ბრძოლისთვის მსოფლიოს ყურადღება რომ მიექცია. მთელი ეს ხანი ჰაველმა მრავალი შეურაცხყოფა გადაიტანა პოლიციისგან და ბევრჯერ იყო დაპატიმრებული. 1979 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს ოთხ წელიწად ნახევარი რესპუბლიკის გადატრიალების მცდელობისათვის 1987 და 1989 წლებში ჰაველი იყო თვითგამოცემის „ლიდოვე ნოვინი" სარედაქციო კოლეგიის წევრი და მუდმივად შექონდა წვლილი მის საქმიანობაში.

ჰაველის, როგორც დრამატურგის ახალი ხანა დაიწყო 1980-იანი წლებიდან. მისი პიესები იგივე პრობლემებთან ერთად ასახავდა ფილოსოფიურ-ზნეობრივ და მორალურ პრობლემებს, როგორიცაა, ვთქვათ, „ცთუნება", ფაუსტის თემის თანამედროვე ვარიანტი.

ესეისტი ჰაველი აგრძელებდა დემოკრატიული და ლიბერალური აზროვნების ტრადიციას. სხვა დისიდენტი მწერლებისგან განსხვავებით, არ ჰქონია კომუნიზმის ჰუმანური ბუნების ან მისი დემოკრატიზაციის ილუზია. ამავე დროს, გაამტყუნა და გააკრიტიკა დასავლეთის საზოგადოების ეგოტიზმი და მომხმარებლური დამოკიდებულება, თემა, რომელიც ცნობილია მერი მაკქარტის ნაწერებიდან. ჰაველი ხაზს უსვამდა პიროვნების ზნეობრივ გამოცოცხლებას სოციალური წყობის ცვლილების დროს.

„ჩვენი ისტორიული გამოცდილების საფუძველი დიდი ხნის განმავლობაში, არის ერთადერთი რამ (ვიდრე მიიღებს პოლიტიკურ ფორმას, იყოს რაც შეიძლება წარმატებული და პოლიტიკურად აზრიანი) — სწორი და შესაფერისი პასუხის გაცემა დროის ფუნდამენტურ მორალურ დილემებზე და პატივისცემის გამოხატვა აუცილებელი ზნეობრივი წესის მიმართ, რომელიც გვიანდერძა ჩვენმა კულტურამ. ძალიან ნათლად არის გასაგები, რომ ერთადერთი სახის პოლიტიკა, რომელსაც ნამდვილად აქვს აზრი, არის ის, რომელიც ხელმძღვანელობს სინდისით" (ჰაველი 1999).

1970-იან და 1980-იან წლებში ჰაველი დროდადრო დაპატიმრებული იყო და ციხეში იჯდა დისიდენტური მოღვაწეობის გამო. როგორც აღვნიშნეთ, ციხეში ოთხნახევარი წელი გაატარა კომუნისტური რეჟიმის დამხობის მცდელობისთვის და თუმც საშუალება მისცეს წასულიყო ემიგრაციაში, ციხეში ჯდომა არჩია და ამით ხალხის უზომო პატივისცემა დაიმსახურა. 1980 წელს იგი უკვე უდავოდ იყო ჩეხოსლოვაკიის ადამიანთა უფლებების დაცვის მოძრაობის არაოფიციალური ლიდერი. 1989 წლის ნოემბერში შექმნა ახალი ოპოზიციური გაერთიანება „სახალხო ფორუმი". კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, პირდაპირი არჩევის წესით, ჰაველი აირჩიეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ბოლო პრეზიდენტად, გუსტავ ჰუსაკის შემდეგ.

ჰაველის პირველი დიდი მარცხი იყო 1992 წელს ჩეხოსლოვაკიის დაშლა. იგი გადადგა, რადგან წინააღმდეგი იყო ამ დაშლისა. ხელახლა აირჩიეს 1993 წელს, როგორც ჩეხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. ჰაველის მისია იყო აღედგინა თავის ქვეყანაში ჯანსაღი დემოკრატია. „ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დაბინძურებულ მორალურ გარემოში". ჰაველმა ეს სიტყვები წარმოთქვა ჯერ კიდევ 1990 წლის საახალწლო სიტყვაში, რამაც შოკი მოჰგვარა მსმენელთა უმრავლესობას. „ჩვენ მორალურად დაავადმყოფდით იმის გამო, რომ მივეჩვიეთ სხვა რამის თქმას, ვიდრე ისაა, რასაც ვფიქრობდით". ჰაველმა დიდად შეუწყო ხელი ჩეხეთ-გერმანიის ურთიერთობის მოგვარებას, მის დროს შევიდა ჩეხეთი ნატოში და მანვე მოამზადა ნიადაგი ევროკავშირში შესასვლელად. თავის მიმართვაში ნატოს სამიტზე, 1999 წლის 23 აპრილში, განაცხადა: „ის, რომ ყოფილი ძლიერი მოწინააღმდეგე სცენიდან გაქრა, მაინც არ ნიშნავს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ადამიანთა სიცოცხლეს, ადამიანთა უფლებებს, ადამიანთა ღირსებას და ერების თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება. ისინი, სამწუხაროდ, კვლავ, მუქარის ქვეშ იმყოფებიან, ასევე ევრო-ატლანტიკური სივრცის დემოკრატიულ ქვეყნების ცივილიზაციებიც, და მათი კოლექტიური დაცვა კვლავ რჩება მნიშვნელოვან კონცეფციად." ჰაველმა თქვა, რომ როგორც კი მის ქვეყანას აღარ დასჭირდებოდა იგი, „დიდი გრძნობით მიუძღვნის თავს თავის ძირითად პროფესიას".

ჩეხური საზოგადოება დიდხანს ელოდა ვაცლავ ჰაველის ახალ ნაწარმოებს და ბოლოს 2008 წლის მაისში „ივადლო რეკჰა"-ში შედგა ვაცლავ ჰაველის ახალი პიესის „წასვლა" პრემიერა. ეს იყო ჰაველის ტრიუმფალური დაბრუნება თეატრში, თითქმის ოცი წლის დუმილის შემდეგ პოლიტიკური მოღვაწეობის გამო. ამ პიესაზე მუშაობა ჰაველმა ჯერ კიდევ 1989 წელს დაიწყო, მაგრამ გადადო, რადგანაც მთელი ყურადღება გადაიტანა მაშინ ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ მდგომარეობაზე: ქვეყანაში დამთავრებულიყო კომუნისტური რეჟიმი, და მხოლოდ 14-წლიანი პრეზიდენტობის მოთავებიდან ხუთი წლის შემდეგ ჰაველი დაბრუნდა. პრესკონფერენციაზე, რომელიც რამდენიმე დღით წინ უძღოდა პრემიერას, 71 წლის პრეზიდენტმა აუდიტორიას აუხსნა თუ რამ შთააგონა ამ პიესის დაწერა:

„მაინტერესებდა და ნამდვილად დღესაც მაინტერესებს მოვლენების უფრო ზოგადი, ეგზისტენციური მხარეები. მაინტერესებს, ადამიანი, რომელიც კარგავს ძალაუფლებას, კარგავს თუ არა ცხოვრების აზრსაც? რამდენად აქვს ძალაუფლებას ისეთი ქარიზმა, რომ მისი დაკარგვა ზოგისთვის საკუთარი სამყაროს მსხვრევას ნიშნავს?"

თეატრის დირექტორი ონდრეჯი ჰრაბი დიდად აფასებს პიესას და ამბობს: „ვფიქრობ, ძალიან თანამედროვე პიესაა. შესანიშნავად დაწერილი. ერთ-ერთი საუკეთესო, რაც კი ჰაველს ოდესმე დაუწერია. ეს დიდებული პიესაა და ჩვენი, სწორედ ახლანდელი — ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ქვეტექსტები ახლავს. განსაკუთრებით მომწონს მისი წერის მანერა და მუშაობა ტექსტზე, და ასევე, რა სახითაც არის იგი ჩართული ტექსტში თავისი კომენტარებით".

პიესა მოგვითხრობს უსახელო ქვეყნის გადამდგარი კანცლერის შესახებ. ის იბრძვის დაიბრუნოს სამთავრობო მდიდრული ვილა, რომელიც მისი საეჭვო რეპუტაციის მქონე მოადგილის ხელშია. ვილა მდებარეობს ალუბლის დიდ ბაღში. პიესაში მრავალი მინიშნებაა ჩეხოვის „ალუბლის ბაღსა" და შექსპირის „მეფე ლირთან", — ორივე პიესა დაკავშირებულია ძალაუფლების დაკარგვასთან. პიესა ისეა აგებული, რომ ხანდახან ძნელი ხდება განსაზღვრო, „წასვლა" ტრაგედიაა თუ კომედია. ყველაზე საკამათო არის ყოფილი მოადგილე, რომელიც შემდგომ ხდება კანცლერი, უსიამოვნო, გამოთვლითი მანქანის მსგავსი, რომელიც გარსშემოხვეულია ბნელი ბიზნესმენებით და რომლის ბრძანებითაც ალუბლის ბაღი უნდა გაჩეხონ, რათა იქ მოაწყონ კაზინო, ბორდელი და სავაჭრო მაღაზიები. ზოგი ფიქრობს, რომ მოადგილის სახე პირდაპირი მინიშნებაა ახლანდელ პრეზიდენტზე, რომელთანაც ჰაველს დიდი შეხლა-შემოხლა მოუხდა განსაკუთრებით პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით 1990-იან წლებში, რამაც მაშინ მას ათქმევინა „მაფია კაპიტალიზმი". მაგრამ, როგორც ვაცლავ ჰაველის თეატრალური წარმომადგენელი იტკა სლოუპოვა განმარტავს, პერსონაჟი შექმნილია სულ სხვა პიროვნების მიხედვით, და რომ ეს არის თეატრალური გმირი და არა ვინმე ცოცხალი ადამიანი.

პიესის არაჩვეულებრივი წარმატების შემდეგ ჰაველმა განაცხადა:

„ჩემს პიესას „წასვლა" ჰქვია და ამაში ვგულისხმობ „წასვლას" ზოგადი გაგებით. დრო მიდის, რაც ხდებოდა, აღარ ხდება, თუმცა ყველაფერი, რაც ხდება, შეუძლებელია „არ მომხდარიყო", ასე რომ, ყველა ასეთი წუთი ჩვენს ცხოვრებაში ჩაივლის, რაღაც „წავა", ამავე დროს რაღაც ახალი „მოვა", და, რასაკვირველია, ზოგი რამ „დაბრუნდება", და მართლაც, ეს ბოლო კვირები მე მქონდა დაბრუნების შეგრძნება, დაბრუნებისა არა მარტო რეალურად თეატრში, არამედ ჩემს მთავარ საწყისთან, 1950-იანი და ადრე 1960-იანი წლების დრამატურგთან".

ვაცლავ ჰაველი თითქმის 14 წელი იყო ჩეხეთის პრეზიდენტი. ვიდრე პოსტს დატოვებდა, გახდა ბულვარული მედიის შეურაცხმყოფელი კომპანიის სამიზნე და კომუნისტებმაც მკაცრად გააკრიტიკეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმრავლესობისთვის (და მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის) ის რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად და ჰუმანური იდეების ურყევ დამცველად.

ბრატისლავაში ყოფნისას მან ერთხელ სინანულით განაცხადა: „რა გულუბრყვილი ვიყავი, როდესაც ვფიქრობდი, რომ რეჟიმის შეცვლის მერე ხალხის აზროვნებაც მალე შეიც-

ეკა ბუჯიაშვილი

აი, ასეთი რობერტ სტურუა

რუსეთში ტოვსტონოგოვის პრემიის ასაღებად გაემგზავრა და ილიას სახელობის ჯილდოს გადაცემას საგურამოში ამიტომ ვერ დაესწრო.

ამბობს: ეს რომ მცოდნოდა, იქ აღარ წავიდოდიო.

კიდევ იმას ამბობს, რომ „სეფე-სიტყვისთვის“ მზად არ არის, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად იცის: ილიას უძვირფასესი სახელი ბევრ რამეს ავალებს:

– ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დიდი ჯილდო მეც მერგო. პათეტიკურ ნათქვამად ნუ მიიჩნევთ: ახლა ისიც შეიძლება, რომ სიამოვნებით მოვკვდე წიწამურთან ახლოს – ცნება „ილია“ ხომ საკუთარ თავში ყველა იმ თვისებას აერთიანებს, რასაც ქართველობას ვუწოდებთო.

სიკვდილამდე დიდზე დიდი ჯვარი სწერია, კიდევ ბევრი რამ უნდა გაუკეთოს თავის ქვეყანას და ვიდრე მისი მორიგი წარმატებების და მიღწევების შესახებ შევიტყობთ, ის „ჩვენი მწერლობის“ სალონში დასმულ შეკითხვებს პასუხობს.

თავისუფლების კოშკის ბინადარი

– ბატონო რობერტ, გურამ ბათიაშვილის ჟურნალში – „თეატრი და ცხოვრება“ – თქვენი მოგონებები გამოქვეყნდა. ხომ არ აპირებთ ვრცელი მემუარების შექმნას?

– მემუარებს ვერა, მაგრამ პატარა, საინტერესო ამბებს – აი, ისეთს, გია დანელიამ რომ გამოსცა წიგნად – ალბათ დავწერ. ის, რაც გამოქვეყნდა, მემუარები არც იყო, უბრალოდ წიგნი მზადდებოდა ჩემი იუბილეს გამო და ამ გამოცემისთვის რამდენიმე მოგონების დაწერა მთხოვეს. ზოგიერთმა შემიქო ეს პუბლიკაცია, მაგრამ თეატრალი ვარ და ვიცი, რომ შექებას ყოველთვის არ უნდა დავუჯერო და საღად ვუყურებ ამ ყველაფერს. ისე... თუ მექნება დრო, დავწერ, რა გამოვა აქედან, ამაზე მერე ვისაუბროთ...

– ვიდრე მოხვიდოდით, „ას ერგასის დღეზეც“ ვისაუბრეთ... და ასეთი კითხვაც გაჩნდა: მიხეილ კვესელავას გავლენაზე რას იტყოდით?

– რაღაცნაირი, მორიდებული ადამიანი იყო. ახალი სიძე ვიყავი, როცა ჩემი ერთ-ერთი სპექტაკლი ნახა. ვკითხე: როგორ მოგეწონათ-მეთქი? იცი რაო, – მითხრა, – ნიშანს დაგიწერ და ნახე, ოღონდ შინ რომ წახვალ, ფურცელი მერე გახსენიო. სამიანი ეწერა. არ მესიამოვნა, მაგრამ... მართალი იყო, ამ „ნიშანს“ ვიმსახურებდი. ის იმდენად განათლებული და ღირსეული პიროვნება იყო, განსაკუთრებული მოკრძალებით განგაწყობდა და ამის გამო ურთიერთობა მიჭირდა მასთან. საქორწინო მოგზაურობაში რომ მივდიოდი, შევნიშნე, რომ თვალზე ცრემლი ჰქონდა (ეს ჩემთვის ნაცნობი ცრემლი იყო, რადგან ასეთი რამ მეც დამემართა, როცა ჩემი და გათხოვდა).

იგი არასოდეს არავის ეპაექრებოდა, მის სახლში არაფერი იყო ძვირფასი, წიგნების გარდა, და ამ ყველაფრით მან განამტკიცა ჩემში აზრი, რომ არ ღირს ბრძოლა ამაოებისათვის. შვილები ბატონმა მიშამ გამიზარდა და ასეთები რომ არიან, სწორედ მისი დამსახურებაა.

– დიდი ადამიანებიც სწორედ იმიტომ არსებობდნენ, რომ ისინი არ იხარჯებოდნენ ამაოებისათვის და დიდ საქმეებსა და ჭეშმარიტ ღირებულებებზე იყვნენ ორიენტირებულნი. ხელოვნებაც ამას უნდა ემსახურებოდეს. საინტერესოა, თქვენ, როგორც რეჟისორი, როდის იყავით ყველაზე მეტად ლაღი და თავისუფალი, როდის მუშაობდით უფრო ნაყოფიერად ამ თვალსაზრისით?

– თუ ეს კომპლიმენტი არ არის, ძალიან მიხარია. სილაღე, უწინარესად, მშობლებისგან მივიღე და ყოველთვის ასეთი ვიყავი. ამ ბოლო ხანს შევიცვალე ცოტა და მეუღლე ხშირად მსაყვედურობს: რა ხდება, ასეთი სერიოზული რატომ გახდიო? საერთოდ, სილაღე ქართველების ხასიათი მგონია, ერთ-ერთი იმ თვისებათაგანი, რამაც გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე.

პირველად რომ მოვწიე სიგარეტი, IX კლასში ვიყავი. ერთი გოგონა მიყვარდა, ზემელზე ცხოვრობდა. მახსოვს წვიმდა, პალტოს საყელო წამოვიწიე, მისი ფანჯრების ქვეშ დავდექი და სიგარეტს მოვუკიდე... რაღაცნაირად რომანტიკული სურათი იყო და ჩემი თავი მომწონდა ამ როლში. შინ მისულს დედამ დაეჭვებულმა მკითხა: შენ რა, ეწევიო? კი-მეთქი, – ვუპასუხე გაკიცხვის მოლოდინში, ის კი:

– არაუშავს, მოწიე, მოწიე... მე მეორე კლასიდან ვეწევიო.

რასაკვირველია, ის ხუმრობდა და ისიც გასაგებია, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში...

მამა ბოჰემურად ცხოვრობდა და ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მაგალითად, ის, თუ როგორ უნდა იკითხო სიმთვრალეში ისე, რომ წაკითხულის გააზრება და დამახსოვრება შეძლო. დღეს მსახიობები მთელი დღე თეატრში რომ მხედავენ, თავისუფალ დროს კი – სუფრასთან, ხშირად გაკვირვებულები მეკითხებიან: როდის კითხულობთო. როცა ვუხსნი, არ სჯერათ, ჰგონიათ ჩემი ცოლი კითხულობს და მიყვება... ან კიდევ სხვა რამ.

– ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში თქვენთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. იქ აბსოლუტურად სხვანაირი იყავით – მარტოსული, ხეტიალსა და განმარტოებაზე მოსაუბრე. ახლა რომ გიყურებთ, ასეთი არ ბრძანდებით. მაინც რომელი რობერტ სტურუაა ნამდვილი?

– ის ბებერი რობერტ სტურუა იყო, ახლა კი ახალგაზრდა გესაუბრებათ. სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს სულ უკვირს: როგორ შეიძლება ყოველ ინტერვიუში სხვადასხვა აზრს ამბობდე, რატომ ატყუებ ამ ხალხსო. მე ვუხსნი, რომ პროფესიიდან გამომდინარე, მისტიფიკაცია ჩემი ხელობაა და მუდმივად ვთამაშობ, ოღონდ საგანგებოდ არა, თავისთავად ხდება ასე. ხანდახან მგონია, რომ ერთ დღეს მომეპარება ვიღაც, ჩამომხსნის ნიღაბს და იტყვის: შეხედეთ, ის შიშველიაო!..

– უილიამ ფოლკნერი ცვლიდა ასე აზრებს თავის ინტერვიუებში და ამბობდა: „მე განწყობილების ადამია-

* ნაწილი მეორე

ნი ვარ, დღეს ასე მიმაჩნია, ხვალ, შესაძლოა, სხვაგვარად ვუპასუხო, ოღონდ ყოველთვის გულწრფელი ვიქნებიო... თქვენს მოსვლამდე აქ „ვეფხისტყაოსანზეც“ ვსაუბრობდით და მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზეც. აღინიშნა კიდეც, თუ როგორი სერიოზულობით მუშაობდით მის დადგმაზე. რა ბედი ეწია ამ სპექტაკლს?

– დღესაც შემიძლია დავდგა ღარიბი თეატრის საშუალებით, მაგრამ სულ ისეც არ შეიძლება, რომ თუნდაც ერთ სცენაში მაინც არ ვაჩვენო მაყურებელს ეს გმირები ისეთები, როგორიც წარმოგვიდგენია. ამას კი გარკვეული თანხა სჭირდება.

რაც შეეხება მის გარშემო ატეხილ აურზაურს, მიზეზი ის იყო, რომ ჟურნალისტმა, უბრალოდ, არ გაარედაქტირა ჩემი ნაუბარი. მაგალითად გეტყვით:

რობერტ სტურუა და გურამ ბათიაშვილი

ჩემთვის ამოცანაა, რატომ იყო ასეთი შთამბეჭდავი ტარიელთან პირველი შეხვედრა სანადიროდ მყოფი ავთანდილის, როსტევან მეფისა და მისი ამალისათვის?! რუსთაველი ამას არ ხსნის. თინათინს საერთოდაც არ უნახავს, მაგრამ საყვარელ ადამიანს გაურკვეველი ვადით აგზავნის უცნობის მოსაძებნად. ჟურნალისტთან სიტყვის მასალად ვთქვი: როცა ამას კითხულობ, გეჩვენება, რომ რაღაც იდიოტობაა-მეთქი. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ასე, შინაურულად შექსპირზეც შეიძლება ვთქვა, მაგრამ ხომ არ ნიშნავს, რომ ამით მის დაკნინებას ვცდილობ? უბრალოდ საუბარს მოჰყვა, რადგან მე, რეჟისორი, ვალდებული ვარ სცენაზე გაჩვენოთ ეს მდგომარეობა და თქვენც განგაცდევინოთ ის, რაც გმირებმა იგრძნეს. ჟურნალისტმა კი ჩემი საუბარი პირდაპირ გადაიტანა ფურცელზე. ეს იყო და ეს...

– შორიდან ისე ჩანდა, თითქოს საზოგადოებრივი აზრი გაითვალისწინეთ და ამიტომ აღარ დადგით ეს სპექტაკლი.

– არა, არა!.. ამ დონემდე ჯერ არ ვარ.

ცხადია, იმას არ ვიტყვი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სცენაზე გადატანა ჩემთვის გარკვეულ განცდებს არ უკავშირდება – ეს ხომ დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ამავე დროს ვფიქრობ: მთავარია შეჰბედო და დადგა, მერე სხვები უკეთესად გააკეთებენ. ბოლოსდაბოლოს, არც ის ვარგა, ასეთი ნაწარმოები გქონდეს მემკვიდრეობაში და ისე იდოს. ბევრს შეიძლება წაკითხულიც არ აქვს. მიღებული ცოდნა ის არ არის, ამ ნაწარმოების შეცნობას რომ სჭირდება. ერთხელ, უცხოეთში, „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა წავიღე სუვენირად. დავიწყე კითხვა და... მივხვდი, რომ მანამდე ეს ნაწარმოები, თურმე, არ წამიკითხავს. ალბათ ბოლომდე ვერც მაშინ შევიცანი მისი სიღრმე. საერთოდაც, მგონია, რომ თითოეულ ჩვენგანს თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს, ამიტომ ყველას მოსაწონს ალბათ ვერც დავდგამ, მაგრამ დანაშაული, ჩემი აზრით, არც ეს არის. ის ჩემი „ვეფხისტყაოსანი“ იქნება.

– ჩემიო – თქვით... ამ თვალსაზრისით იქნებ „კაციადამიანის“ შესახებაც გვითხრათ ორიოდე სიტყვა. ძალიან საინტერესო სპექტაკლია, მაგრამ, პირადად მე მგონია, რომ იოლად აღსაქმელი არ არის – რთულია თავისი შინაგანი სვლებით და ქვეტექსტებით. ცხადია, ახლა სპექტაკლის შინაარსის მოყოლას არ გთხოვთ, უბრალოდ, მინდოდა მეკითხა: თქვენი აზრით, რა თქვა ილიამ და თქვენთვის რა იყო მთავარი, როცა „კაციადამიანს“ დგამდით?

– ცოტა რთულია ამაზე პასუხის გაცემა. ჩვენი ჩანაფიქრი ასეთი იყო: ილიას ცხოვრება ამ ნაწარმოებს უკავშირდება. სპექტაკლში მას კლავენ. გმირებმა ეს იციან და ამ ყველაფერზე ისე, სხვათაშორის საუბრობენ, რადგან ილია მათთვის ერთი ჩვეულებრივი სახელია.

ახალგაზრდობაში, როცა ვფიქრობდი შემეკრიბა ცნობები ილიას შესახებ და დამედგა დოკუმენტური დრამა, მასალაზე მუშაობისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ხალხის ბრალი არანაკლებია ილიას მკვლელობაში – როცა მენშევიკები არ მალავდნენ თავიანთ განზრახვას ილიას მიმართ, საზოგადოება დუმდა – მან ვერ შეძლო ამ ყველაფრის თავიდან არიდება და ჭეშმარიტი ერისკაცის დაცვა.

– არის ერთი კლიპი, სადაც თქვენ ამბობთ: „ბედნიერი ხარ, როცა სამშობლოს იცავ!“ და სიტყვა „სამშობლოს“ ხსენებისას ქუდს იხდით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალია. ვიცი, რომ ივანე ჯავახიშვილი იხდიდა ქუდს უნივერსიტეტის დანახვისას. სულ მაინტერესებდა: ეს სცენარში იყო თუ...

– არა, სცენარში არ იყო, უბრალოდ, როცა ვთქვი ეს ფრაზა, გამახსენდა ის ხალხი, ვინც სამშობლოს შესწირა თავი. რეჟისორსაც ძალიან მოეწონა და დამიტოვა.

– თქვენ თვითონ თუ გიფიქრიათ ფილმის გადაღება? კახი კავსაძეს გაუხსენებია: თავის დროზე, თურმე, რეზო ჩხეიძეს რობერტ სტურუასთვის შეუთავაზებია: იქნებ გადაიღო „კავკასიური ცარცის წრეო“, აკაკი ბაქრაძეს კი უთქვამს: რატომ უნდა გადაიღოს, დადგასო. თქვენც ასე მოიქეცით. კინემატოგრაფია არ გიტაცებთ?

– საერთოდ, ახალგაზრდობაში უფრო კინოსკენ ვიხრებოდი და მინდოდა კინორეჟისორი გამოვსულიყავი, მითუმეტეს, რომ ოთარ იოსელიანი სწავლობდა ჩვენთან (თუმც კი არ მიმიღო დრამწრეში და ეს სამუდამოდ ჩამრ-

ჩა გულში). საქართველოში კინოსარეჟისორო ფაკულტეტი არ იყო და მოსკოვში უნდა წავსულიყავი სასწავლებლად, მაგრამ დედამ გადაწყვიტა, რომ იქ ჩემი გაშვება დაკარგვას ნიშნავდა, ამიტომ აქ დასარჩენად თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის მაგალითები მომიყვანა: – მათ ჩვენი ინსტიტუტი დაამთავრეს, ტოვსტონოგოვი ასწავლიდათ და როცა ის წავიდა რუსეთში, მაშინ გაყვნენ მას. შენც ჯერ აქ ისწავლე და მერე წადიო. თუმცა, „მერე“ მოხდა ისე, რომ თეატრმა მთლიანად დამიპყრო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეატრი უფრო მიყვარს. დაახლოებით ხუთ წელიწადში ერთხელ ვწერ კინოსცენარებს და ვდგამ სცენაზე... ასე ვიკლავ ამ ჟინს და, რაკი გამოსავალი ვიპოვე, ფილმს ალბათ აღარ გადავიღებ.

– თუ აპირებთ ისევ დადგათ „სამანიშვილის დედინაცვალი“ თანამედროვე შემადგენლობით... და, საერთოდ, რას ფიქრობთ სპექტაკლის ხელახალი დადგმის შესახებ?

– თავის დროზე დავიფიცე, რომ არასოდეს ვიმუშავებდი ერთხელ უკვე დადგმულ სპექტაკლზე, მაგრამ ცხოვრება ისეთი რამაა, ეს ფიცი ვერ შევინახე. არის პიესები, რამდენჯერმე რომ შევეჭიდე, თუმცა ყოველ ჯერზე ახლებურად ვდგამდი და არასოდეს ვიმეორებდი ძველს.

რაც შეეხება „სამანიშვილს“... იცით, სპექტაკლი კონკრეტული მსახიობებისათვისაც მზადდება – მაშინ დასში იყვნენ: სერგო ზაქარიაძე, გოგი გეგეჭკორი, გიორგი საღარაძე, კარლო საკანდელიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ნელი მგალობლიშვილი... ისინი რომ არა, ალბათ სხვა სპექტაკლს დავდგამდი. მეტიც – თეატრში მისულს სხვა დასი რომ დამხვედროდა, სულ სხვანაირი რეჟისორი ვიქნებოდი. თეატრი ორმაგი კავშირია – არა მხოლოდ რეჟისორი აყალიბებს მსახიობებს, ისინიც ბევრწილად განსაზღვრავენ რეჟისორის შემოქმედებას.

– დასაშვებად მიგაჩნიათ მსახიობთა იმპროვიზაციები მუშაობისას?

– კი, როგორ არა! სხვანაირად არ გამოდის. ჩვენი მუშაობა ძალიან ჰგავს სასიყვარულო აქტს. ბოლოსდაბოლოს საერთო შვილი უნდა გაგვიჩნდეს, ამიტომ იქ ყველანაირი გრადაცია დასაშვებია. საერთოდ, თერმოდინამიკის მეორე კანონი ამბობს, რომ ჩვენ ქაოსისაკენ მივილტვით... და აი, მსახიობები ბრწყინვალედ ფლობენ ამას – სისხლით და ოფლით დადგმულ სპექტაკლს ზოგჯერ ისე ოსტატურად დაშლიან ხოლმე... მაგრამ ზოგჯერ ეს დასაშვებია.

სხვათა შორის, ბრეხტს უთქვამს: როცა შემოდის რეჟისორი დიდი ჩანთით ხელში, ამოალაგებს ქაღალდებს და ძალიან სერიოზული სახით ელაპარაკება მსახიობებს, ფრთხილად იყავით, ის მაინცდამაინც კარგი რეჟისორი არ უნდა იყოსო.

– მაყურებელზე რას იტყოდით? რეჟისორებისგან გამიგონია: ქართველი მაყურებლის ანკესზე წამოგება ყველაზე რთულიაო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– მაყურებლის ყურადღების მოზიდვა ყველგან რთულია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ რეჟისორი, ამავე დროს, მკაცრი (ოღონდ ინტელექტუალური) მაყურებელიც იყოს. გულწრფელად რომ გითხრათ, სპექტაკლზე მუშაობისას მაყურებელზე არ ვფიქრობ, მზა დადგმას ვაფასებ მისი თვალით. განსაკუთრებით იუმორთან ვფრთხილობ, რადგან ქართველი მაყურებელი, გულის სიღრმეში, კომედიას რატომღაც მდაბიო ჟანრად მიიჩნევს და ჰგონია, რომ ტრაგედიაში უფრო აისახება მნიშვნელოვანი ღირებულებები. შესაძლოა ახლა უფრო ნაკლებად შეინიშნება ეს ტენდენცია, ვიდრე იყო, თუმცა დღეს სხვა რამემ იჩინა თავი – სპექტაკლს უფრო გემოვნებით ვაფასებთ-ხოლმე. მაგალითად, „ხანუმა“ რომ დავდგი, ასე საშინლად რომ არ გავეკრიტიკებინე, გულის სიღრმეში მეც ვგრძნობდი, რომ მთლად კარგი გემოვნების არ იყო.

– თქვენ ბოლო სპექტაკლის პრემიერის შემდეგაც ბრძანეთ: გაოგნებული ვარ, პირველად მოხდა ისე, რომ მაყურებელმა ვერ გაუგო ჩემი სპექტაკლის ჟანრს, მაგრამ ამას მხოლოდ მაყურებელს ვერ დავაბრალებ, კიდევ მაქვს სამუშაო. შემდეგ როგორ წარიმართა ამ დადგმის ბედი?

– იცით, ვერ ვხსნი, რატომ მოხდა ასე. შესაძლოა მიზეზი იყო ის შიში, რის ხსენებასაც მაშინ დიდი ხმაური მოჰყვა, ადამიანები ერიდებიან თავიანთი დამოკიდებულების გამოხატვას.

– არა, რატომ, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გამოხატეს. მაგალითად, ლიზა ბაგრატიონმა თქვა: ამ სპექტაკლის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენს ქალაქში გენიოსები ისევ ცხოვრობენო. ასე რომ, მაყურებელი არ გეთანხმებოდათ... ან, იქნებ, მართლაც მაყურებელს გააჩნია?

– შესაძლოა!

– ერთხელ ქალბატონ ანას ჰკითხეს: რა აზრის ბრძანდებით ენობრივი თავისუფლების შესახებო. მან უპასუხა: თუ ენობრივ თავისუფლებად მიაჩნიათ ბილწსიტყვაობა, მას ისეთივე ზიანის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის, როგორც ნარკომანიასო. ამ ბოლო ხანს ბილწსიტყვაობა სცენიდანაც ხშირად გაისმის და, რაკი მაყურებელი არც ამას ხვდება ერთგვაროვნად, მინდოდა მეკითხა: თქვენ რას ფიქრობთ ამგვარი თავისუფლების შესახებ?

– ჰემინგუეიმ პირველად რომ დაწერა უხამსი სიტყვა, საშინელი სკანდალი ატყდა, მაგრამ შემდეგ დრომ თავისთავად ახსნა ტაბუ რაღაც-რაღაცებს, არა იმიტომ, რომ ვიღაცამ ასე გადაწყვიტა, უბრალოდ, ცხოვრება გახდა ასეთი.

პირველად ქართულ სცენაზე ბილწსიტყვაობა მაშინ გაისმა, როცა ლაშა თაბუკაშვილის პიესა „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“ დავდგი, მაგრამ აქ სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი, ეს გმირები ამ ენაზე საუბრობენ და როგორც კი ლიტერატურულად აალაპარაკებ, სიყალბეში გადავა. თუმცა, ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ მაშინ, ის სიტყვები ძალიან ყურშისაცემი რომ არ ყოფილიყო. ცხადია, მე თქვენს მხარეს ვარ, ენობრივ თავისუფლებას თავისი საზღვრები სჭირდება, მაგრამ, თეატრის თავისებურებებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ეს არ ხერხდება.

– რა თავისებურებები ახლავს უცხოეთში მოღვაწეობას? როცა იქ დგამთ სპექტაკლს, მსახიობების გარდა, კიდევ რა განსაზღვრავს თქვენს მუშაობას?

– რუსეთში პრობლემები არ მაქვს, რადგან იქ კარგად მიცნობენ. აი, სხვა ქვეყნებში ჩემ შესახებ არსებული ინფორმაცია, ზოგჯერ, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მსახიობმა დამიჯეროს და მომცეს ფანტაზიის გაშლის საშუალება, მითუმეტეს, რომ სამუშაოდ ცოტა დრო მაქვს.

მაგალითად, ლონდონში სულ ოთხი კვირა გვქონდა სპექტაკლის დასადგმელად და როცა პრემიერა ვითამაშეთ, ერთ-ერთმა მსახიობმა მითხრა: აწი უნდა ვიწყებდეთ რეპეტიციებს, რადგან ახლა მივხვდი, რაც გავაკეთეთო.

ყველაზე კარგად ფინელებთან ვმუშაობ. ისინი არასოდეს დაგიწყებენ საუბარს ისეთ თემებზე, როგორზეც, მაგალითად, სლავები. ურთიერთობებში ნაკლებად გახსნილები არიან და თავიდან ვშიშობდი კიდეც – როგორ უნდა ითამაშონ მათ – ამ სრულიად არატემპერამენტული ბუნების ადამიანებმა – სხვადასხვა ხასიათის გმირები-მეთქი, მაგრამ... როგორც კი სცენაზე დგებიან და ნიღბებს აიფარებენ, სულ სხვანაირები ხდებიან. ეს ჩემთვის შთამბეჭდავი იყო.

ახლა ექვსი თვით მივდივარ უცხოეთში. შეიძლება ვერ დავბრუნდე – „პერსონა ნონ გრატად“ გამომაცხადონ, რადგან ჯერ რუსეთში უნდა ჩავიდე და დავდგა შექსპირის „ქარიშხალი“, მერე ბუენოს-აირესში – თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“.

– 1996 წელს თქვენ თურქეთში, ქალაქ ანკარაში, ბილქენთის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბეთ თეატრალური რეჟისურის ფაკულტეტი, თვითონ ჩაატარეთ მისაღები გამოცდები და აიყვანეთ ოთხი სტუდენტი, რომელთაგან ერთი დღეს ამ ფაკულტეტს ხელმძღვანელობს. ამხელა ქვეყანაში თურქებს რეჟისურასა და სასცენო მოძრაობას კვლავაც თქვენ მიერ რეკომენდებული ქართველი პედაგოგები ასწავლიან. ორიოდე წლის წინათ კი იქ „ჰამლეტი“ დადგით, არაჩვეულებრივი წარმატებით. თუ შემოგრჩათ შთაბეჭდილებები თურქული დასის, საერთოდ, იქაური თეატრალური სამყაროს შესახებ?

– როცა ჩავედი და გავეცანი თურქეთის თეატრალურ ცხოვრებას, აღმოვაჩინე, რომ ძალიან უყვართ ჩეხოვი... მათ საკმაოდ ცნობილი და სახელოვანი რეჟისორები ჰყავთ (ძირითადად გერმანული სკოლის), რომლებიც მუშაობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში... საერთოდ, თურქები ნიჭიერი და ძალიან უშუალო ხალხია. არ უყვართ, ასე ვთქვათ, „პოსტის“ დაჭერა, ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნევენ. თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მიხედოს ხელოვნებას და, აგერ, უკვე მეხუთე წელია სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს ამ მიმართულებით.

– საერთოდ, რა ტენდენციები შეინიშნება მსოფლიოს თეატრალურ ხელოვნებაში და თუ შეგიძლიათ საუკეთესოთა ხუთეული გამოარჩიოთ?

– მეჩვენება, რომ თეატრი უფრო მეტად რეჟისორის გახდა. დღეს ის დრამატურგიც თვითონ არის და რედაქტირებაც შეუძლია ისე, როგორც, ვთქვათ, საფრანგეთის კლასიციზმის პერიოდში, როცა იღებდნენ ძველი პიესებსა თუ მითებისგან ახალ ვერსიებს ქმნიდნენ. დღესაც, მოგვწონს ეს თუ არა, ყველა სადავე რეჟისორის ხელთაა. პირადად მე იმ რეჟისორებს ვეკუთვნი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ძალიან ღალატი პიესისა არ შეიძლება. გარკვეული ინტერპრეტაციის საშუალება, ცხადია, უნდა გვქონდეს, მაგრამ მხოლოდ იმ ჩარჩოებში, რომელსაც დრამატურგი გვთავაზობს.

საუკეთესოთა ხუთეული მკითხეთ? ასე კარგად არ ვიცნობ თეატრებს, რადგან ვერ ვახერხებ სპექტაკლებზე დასწრებას. საერთოდ, თეატრს აქვს ერთი თვისება: სადღაც გაჩნდება რაღაც აზრი და მოედება ამ სამყაროს, გავრცელდება ვირუსივით. ჯემალ ღაღანიძეს ემართება ხოლმე ხშირად უცხოური „გრიპები“. ვეუბნები: ჯერ აქამდე არ მოუღწევია-მეთქი, ის კი: გაზეთი წავიკითხე და ასე გადმომედოო, – ამბობს.

– დრამატურგიაზე საუბრობდით... მსოფლიოში ცნობილია პოლონური პიესები, მაგრამ ქართულად ძალიან ცოტაა თარგმნილი. თქვენი აზრი მაინტერესებს პოლონური დრამატურგიის შესახებ.

– გამოგიტყდებით, ვიდრე მოსკოვში წავიდოდი, მინდოდა დამედგა თამაზ ჭილაძის პიესა „ნადირობის სეზონი“. საინტერესო მეჩვენა თავისი ფორმით და მანერით. მერე ჯემალ ჭელიძის თარგმნილი პოლონური პიესა წავიკითხე და, რაკი ორივეგან მთავარი გმირი მსახიობი გოგონაა, ვიფიქრე შემეერთებინა. კარგი გამოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოვახერხე მუშაობის დაწყება და როცა დავბრუნდები, მერე დავდგამ.

მახსოვს, წლების წინათ ქართულ სცენაზე იდგმებოდა პოლონური პიესა „ტანგო“. მაგრამ... მივხვდით, რომ ცოტა დაგვიანდა. ის მაშინ უნდა გაცოცხლებულიყო, როცა დაიწერა და იქნებოდა სერიოზული განაცხადი შენს ქვეყანაზე, იმ ძალადობაზე, რაც მაშინ ხდებოდა. ათი წელი იყო გასული მისი დაწერიდან, ამიტომ, აქტუალობის დაკარგვის გამო, თვითონ რეჟისორმა – გოგა თავაძემ გადაიფიქრა მისი დადგმა. გვეგონა, ეს ყველაფერი გავიარეთ და აღარასოდეს მობრუნდებოდა, მაგრამ არის პრობლემები, რომელიც ისევ გვევლინება, უკვე სხვა ფორმით, რადგან ბოროტება ძალიან ოსტატურად იცვლის სახეს. სწორედ ამაშია მისი მუდმივობის საიდუმლო. ის არასოდეს გაიმეორებს იმას, რაც იყო (ისევე, როგორც ეშმაკი არ გამოგეცხადება მაინცდამაინც რქებით და ნამდვილი სახით). მაგალითად, ყვარყვარე – ანტიქრისტე მოდიოდა ქრისტეს სახელით, ასე იყო გადაწყვეტილი სპექტაკლში (სხვათა შორის, მე ის ჩემი საუკეთესო დადგმა მგონია). ასე რომ, საქმე ბევრია, სათქმელი – უამრავი და ვეღარ ვახერხებთ, დრო არ გვყოფნის. ყოფილა ასეთი შემთხვევაც: შევარჩიე ხუთი საინტერესო და აქტუალური პიესა, ვერ გადავწყვიტე რომელი დამედგა, დავწერე ფურცლებზე, ჩავყარე ქუდში და რომელიც ამოვიღე, იმაზე დავიწყე მუშაობა...

– თქვენ ყოველთვის დიდ პატივს გცემდნენ, სახელი და დიდება არასოდეს გაკლდათ, მაგრამ... თუ გრძნობთ, რომ ამ ბოლო დროს მაინც, აი, ასეთი რობერტ სტურუა, ძალიან შეუყვარდით ქართველობას?

– ვგრძნობ და ცოტა არ იყოს, მიკვირს...

საერთოდ, თეატრი თავისუფლების კოშკია და ვინც მოდის, იცის, რომ აქ ცხოვრობენ და შრომობენ ადამიანები, რომელთაც იციან, ესმით, რა არის სამშობლოს სიყვარული, არა ლოზუნგების ენით, არამედ ჩვეულებრივი, ადამიანური გაგებით.

დიდ პატივს ვცემ მწერლობას და ვცდილობ, არ ჩამოვრჩე მას. ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი თქვენთან. ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, რადგან ერთ საათში რეპეტიცია დამეწყება და ალბათ ისევ ღამის ოთხამდე ვიმუშავებთ.

ვგრძნობ, ცოტა ასაკმა შემომიტია, თორემ ადრე... ადრე დილის ექვსამდე შემეძლო მეშრომა.

თქვენ კი მადლობა მინდა გითხრათ დღევანდელი დღისთვის.

სალომე კაპანაძე

ხელოვნების კრიზისი ინტელექტუალური დრამის კოლიზიებში

ჰამლეტის ტრაგედიამ არაერთხელ შეარყია კაცობრიული საზრისის მთვლემარე და თვითკმაყოფილი ნაწილი. სულიერ ფასეულობათა ინკვიზიციის ჟამს ადამიანები ხშირად უბრუნდებიან „ყოფნა-არყოფნის" ამ მარადიულ სიმბოლოს. როგორც ჩანს, ახლაც სწორედ ის ჟამი დგას, როცა მათ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა გადაურჩინონ საკუთარ თავს. და როდესაც ჟაკლინ სირაძე თავისი წიგნის „ხელოვანის გზა" შესავალში ფიგურალურად ამბობს, რომ შექსპირის ჰამლეტმა მას „სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა," აღიარებს კიდეც, რომ ამ წიგნით მწერლის ინტუიციამ და სინდისმა მნიშვნელოვანი მისიის აღსრულება დაავალა. ჩვენს წინაშეა ინტელექტუალური დრამა ხუთ მოქმედებად, რომელსაც „ხელოვანის გზა" ეწოდება და რომელშიც სათაურშივე გაცხადებულია „ცისა და მიწის მისტიკური კავშირი", პასუხისმგებლობა, შიში და თრთოლვა იმის გამო, რომ ავტორი იმ სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს, რომელსაც საზოგადოება წარმოადგენს.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს წიგნის ორიგინალური სტრუქტურა და სათქმელის მკითხველამდე მიტანის კომფორტული ფორმა. დრამის წიაღში შესვლამდე ავტორი განწყობისა და სააზროვნო სივრცის შესაქმნელად საუბრობს: „ჩემი უკვდავი სული გამთლიანდა, ცით დაიბადა"— ამბობს იგი და ამით შიშთან ერთად იმ ნეტარებაზე მიგვანიშნებს, რომელიც სიტყვასთან მიახლებისას განიცადა. ამ განცდისა და ინტელექტუალური არსენალის გარეშე, რომლის არქონას ავტორს ნამდვილად ვერ დააბრალებ, ბერძნული მითებისა და ჰამლეტის თემის ასეთ სინქრონს ხელოვნების დანიშნულების, მისი არსისა და არსებული კრიზისის გასააზრებლად იგი ვერ შექმნიდა.

ჟაკლინ სირაძე როგორც შემოქმედი კარგად გრძნობს მითის უკუშექცევადობის ძალას, მისი მარადიული დაბრუნების წესსა და აუცილებლობას. „ბერძნული მითი და უკვე ცნობილ ავტორთა შედევრების სიუჟეტები თავიანთ თავში უკვე ატარებენ სამყაროს სულისმიერ რუკას, მის არქიტექტონიკას, თუ პროექტის ესკიზს. ეს ის მონეტებია, რომლითაც ნებისმიერი ამბის შესყიდვა და მოპოვება ხდება შესაძლებელი. ეს ის მარცვლებია, სამყაროს არსს, მის გულისგულს რომ გამოხატავენ და გადაგვიხსნიან."

ამ გულისგულში ჩანდომა არც მწერლისთვის არის ადვილი და არც მკითხველისთვის. ამდენად, ის სტრუქტურული წყობა, რომელიც მან აირჩია, კარგი მეგზურია მკითხველისათვის, ხოლო მისთვის კიდევ ერთი მოსინჯვაა საკუთარი ძალების.

შესავლის სახით დრამას „ხელოვანის გზა" ახლავს ესე „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი" და ავტორისეული კომენტარები, რომელსაც მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება მთავარი სათქმელის აღსაქმელად. ჟაკლინ სირაძემ ნაწილობრივ შეითავსა კრიტიკოსის ფუნქცია, რათა დრამის ფილოსოფიური ქვეტექსტები მკითხველისათვის გასაგები და სწორად შესამეცნი ყოფილიყო. მან თვითონვე გახსნა ინტელექტუალური დრამის სივრცეში შესასვლელი ყველა კარიბჭე, თვითონვე გასწია უზარმაზარი შრომა, რადგან კარგად იცის, ის, რაც აქ დევს, საფუძვლიან დაფიქრებას მოითხოვს. შესაძლოა მწერალი ამ დრამისაგან იმაზე მეტს მოელოდეს, ვიდრე მწერლობას ძალუძს, რადგან სულისა და გონების გასამთლიანებლად შექმნილ ამ პიესაში ყველგან იგრძნობა „მესამე თვალი", რომელიც ისე ღრმად იმზირება სულში, რომ განიჭებს უნარს — თანაზიარი იყო იმ ტკივილის, რომელსაც ჰამლეტის მისტერია ატარებს.

მწერალი ორიგინალურია მაშინაც, როცა ჰამლეტის ფენომენს იაზრებს. ის იცნობს ყველა ეპოქასა და დროში გარდატეხილ ჰამლეტს, მაგრამ აქამდე არსებულ სტერეოტიპთა პარალელურად იგი თავის ჰამლეტს ხედავს, იმ შრეებს სწვდება, რომელიც ცნობიერების ნაკადის—მეხსიერების მოუცველ აბსოლუტურ უწესრიგობაში მოჩანს. ჟაკლინ სირაძე აღჭურვილია იმ უნარით, რომელიც ჰამლეტის ნებისმიერ ფრაზას, ნებისმიერ ამოოხვრას ხსნის, მის ეტიმოლოგიას კარგად გრძნობს, თუმცა აღიარებს იმასაც, რომ ჰამლეტის ტრაგედია ხშირად გონმიუწვდომელია. ჰამლეტის ტექსტს მწერალი სხვადასხვა რაკურსით უდგება. მათ შორის ღვთაებრივი და აღმოსავლური სიბრძნის გათვალისწინებით. ჰამლეტის დრამა მწერლისათვის უპირველეს ყოვლისა „კოსმოსის უსასრულობის მოხილვაა ერთი წამის მეათედში და იმ შლეგური აზრების წყებაა, საბოლოოდ სიბრძნეში რომ იკარგება." ამდენად, ბერძნული მითებისა და ჰამლეტის დრამის კონტექსტში ჩატვიფრული ხელოვნების კრიზისთან დაკავშირებული საკითხები იმ კითხვებზე მოითხოვს პასუხს, რომელთა არამარტო გამოვლენა, არამედ მოდერნიზება სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელოვნებო სამყაროსათვის. მწერალმა ერთ სივრცეში განალაგა ქრისტე და ბერძნული დრამის პერსონაჟები, ხელოვნების პარნასის ტრიუმფატორები — გოეთე, ილია, დოსტოევსკი, ჯოისი, შექსპირი. ეს უკანასკნელი ამ პიესაში მუდამ ინარჩუნებს განსაკუთრებულ სტატუსს, ძალმოსილებას, რომლითაც მუდამ აზროვნების უმაღლეს სფეროს აზიარებს საზოგადოებას. ავტორს შექსპირი ყოველთვის განსაკუთრებული მისიით შემოჰყავს დრამაში, რათა მკითხველმა „თანამედროვე სამყაროს, ხელოვნების სამყაროს შეშლილი კითხვები მოისმინოს და გაიაზროს". გაიაზროს ის, რომ თანამედროვე ხელოვნებამ დაკარგა სული, რომ თანამედროვე ადამიანს ფრთები აღარ აქვს და „მანკიერი ცხოვრების ორომტრიალში, ჩვენი სული არარავდება".

პიესის გმირებში— ემანუელო, სატირი, ორფევსი, ფსიქეა — შექსპირის „ჰამლეტის" პერსონაჟები ცოცხლდებიან და მათ ალტერ-ეგოში არიან გარდაისახებიან. ისინი იმეორებენ და თავისთავში ატარებენ მათ ბედისწერას. ბერძნული მითოლოგიის სახეები — ეროსი, თანატოსი, აპოლონი, დიონისე, აფროდიტე — პიესაში იმ „წყევლა-კრულვიანი" საკითხის გასამჟღავნებლად არიან მოხმობილი სცენაზე, რომელმაც თანამედროვე ხელოვნების სულიერი დეკა-

დანსი უნდა ამხილოს. „ადამიანი დედამიწაზე მაშინ ცოცხლდება და სულიერდება, როცა ღვთაებრივზე ფიქრობს, ოცნებობს და ზეციურ ცის ნამს — ცრემლს ღვრის" — ამბობს ავტორი, მაგრამ ფიქრობს კი ადამიანი დღეს ღვთაებრივზე? პიესის პირველივე სურათში სცენაზე ის პერსონაჟები ცოცხლდებიან, ვინც ხელოვნების ოქროს ხანაში პასუხისმგებელი იყვნენ ღვთიურობასა და სულიერებაზე. ისინი სწორედ ზეციურთან ნაზიარებ ხელოვნებას განადიდებდნენ. პიესაში ჰამლეტის სიუჟეტი უნივერსალურად არის გამოყენებული, მისადაგებულია მთავარ სათქმელსა და პრობლემას. „დღეს ხელოვნება წყვდიად ღამეში ჩაეშვა და საგნები არარად, მზე კი ლაქად გარდაისახა". ძველისძველი ჭეშმარიტება უპირველესი პოსტულატის სახით რომ უნდა ცოცხლობდეს ხელოვანთა შორის, პიესაში ასე ჟღერს: „არსებობს ორი გზა, — ორი ხელოვანი. ერთი, — ლაქას რომ მზედ აქცევს და მეორე — მზეს რომ ლაქად აქცევს".

მწერალი იმ დისჰარმონიაზე სწუხს, რომელიც ხელოვანთა მეორე კატეგორიის მომრავლებამ გამოიწვია. ხელოვნება ყოფიერების შემზარავ ჩარჩოებში მოექცა, სამყარო თითქოს „ამოყირავდა" და, როგორც თავის კომენტარებში აღნიშნავს, ღმერთის ნაცვლად წარმმართველი გახდა „სიკვდილის შიშის უსაზომოდ გაზრდილი ფანტომი".

პიესაში „ხელოვანის გზა" მოჩანს ცივილიზაციისა და კულტურის ურთიერთმიმართებაც. მათი გაიდენტურების მცდელობანი, რომელიც ხელოვნების კრიზისის კონტექსში არის მოაზრებული. აფროდიტეს ურცხვი ორეული „ცივილიზებურად გამოიყურება", „ცივილიზებურად აზროვნებს" და არაფერი აქვს საერთო თავის არქეტიპთან. „ადამიანს უნდა ეტყობოდეს, რომ ცივილიზაციის პირმშოა, ტექნიკამ უნდა დაგატყოს კვალი" — ამბობს იგი.

ამის გამოძახილია ისიც, რომ დრამაში აპოლონი თუთიყუშად გარდაისახება, რომელიც იაფფასიანი მოდერნისტული ნაწარმოებების სიმბოლოა. პიესაში მოდერნიზებული არიან სხვა მითიური გმირებიც. ისინი თავისუფლების ლოზუნგით ცდილობენ გზა გაუთავისუფლონ უხამსობასა და უზნეობას. აქამდე არსებულ ფასეულობათა რევიზიას ახდენენ და ძველი სულიერი და სახიერი ატრიბუტებისგან იძარცვებიან. მათ საქციელსა და აზროვნებას დრამაში მორალურ სანქციას ემანუელო აძლევს. იგი გრძნობს და განიცდის ხელოვნების გაუცხოების ამ საშიშ ტენდენციას, იმას, რომ „ხელოვანის ნაწერებსა და მის პიროვნებას შორის გაუცხოების საზარელი, მყარი კედელი აღმართულა, რომ თანამედროვე ხელოვნება გაბერწდება, თუ ძირს არ დასცეს და არ დაასრულეს ნარცისის ეპოქა. მათ სურთ ასწავლონ ახალი ანბანი ხელოვნებისა. ადამიანს არ გააჩნია ეროვნულობა, არ გააჩნია სარწმუნოება. ის თავისუფალია იმ ყალბი და უსაზღვრო ბორკილებისაგან, კლასიკოსები სინანულს რომ უწოდებენ."

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ავტორი გლობალიზაციის საფრთხეებზე მიგვანიშნებს, რომლის განსაკუთრებული სამიზნე ხელოვნება და ადამიანების ეთნოფსიქიკაა. საქართველოში უკვე აპრობირებული ახალგაზრდა მწერალთა თვითდამკვიდრების ეპატაჟური სტილი, თავისუფლების — აღვირახსნილობასთან და სარწმუნოების — ფანატიზმთან გაიგივების მცდელობები ჟაკლინ სირაძის მიერ წარმოსახვით ხელოვნების სამეფოშიც განიცდება და აისახება. ემანუელო გრძნობს, რომ ხელოვნებას შავი ჭირივით მოედო ეს საფრთხეები. იგი სამყაროს სუნთქავს, შეიგრძნობს და იმასვე მოუწოდებს სხვებს, რათა დაეწიოს თავის ჭეშმარიტ სახებას. მის განზრახვას, ოცნებებს, შეშლილობას სიყვარულის ნიადაგზე მეფისტოფელის გესლიანი ღიმილით დარაჯობს სატირი. ეს მოდერნიზებული სახე გაიგივებულია უღმერთო სამყაროს წესრიგთან. „მალე გადაშენდება ეს შენი საყვარელი, რაფინირებული კლასიკური წერის მანერა, რომელშიც ტყუილი, პომპეზურობა, პათეტიკურობა და სულის სიცარიელე დევს, ნაზი ქსოვილი ეგზემას ვერ ფარავს. ჩვენი დღევანდელი ხელოვნება წრფელად, პირდაპირ წარმოთქვამს სათქმელს. ჩვენ არ ვხმარობთ ღვარჭლიან სიტყვებს, ჩვენ არ ვიგონებთ მაღალფარდოვან, ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს, ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რაც გვინდა".

ამ სიტყვებში ის საცდური იმალება, რომელიც სიმართლის სახელით შემოდის ადამიანთა აზროვნებაში. ერთი შეხედვით, წრფელი მონოლოგის ილუზია იქმნება, რომლის მიღმა ის საფრთხეები იმალება, რომელმაც ქვა პურად გადააქცია. „ყველაფერი პურია! აი რა იმალება სხვა საგანთა იქით" — ამბობს სატირი.

პიესის წარმოსახვით ხელოვნების სამეფოში ეს ფრაზა თავისუფლების ცნების თანამედროვე დეფინიციას ესადაგება, მის მიზანსა და იდეას ახმოვანებს. თავისუფლების ამგვარი გაგება სიამოვნებისა და ვნების მორევში ჩაფლული ადამიანებისათვის ფაქტობრივად სასჯელი და კათარზისისათვის სამზადისია. ეშმას ცდუნება აღსრულდა — ქვა იქცა პურად. სატირის მიზნები პიესაში უფრო ამბიციურია—სიბრძნეთა სიბრძნე გველი შეიქმნას დედამიწის წარმმართველი. ვფიქრობთ, სწორედ აქ, ჟაკლინ სირაძის დრამის „ხელოვანის გზის" სიმბოლიკა იმ მასშტაბურობას იძენს, როცა ხელოვნების სამეფო მისთვის პროკრუსტეს სარეცელად იქცევა.

დრამაში წარმოდგენილი განსხვავებულ ფასეულობათა ჭიდილი არამარტო სახელოვნებო სივრცეზეა გათვლილი. მისი ქვეტექსტები უფრო ღრმა და მრავლისმეტყველია. პიესაში იშიფრება სატირის განზრახვის საფრთხეები ადამიანთა სულებისათვის. ამ შემთხვევაში ხელოვნება ლაკმუსის ქაღალდის ფუნქციას ასრულებს. იგი მაშინათვე აირეკლავს ამ პროცესებს და განგაშის ზარებს რეკს. ყველაზე უკეთ ნაციონალურ-ეთნიკური სამანების მოშლის იდეა თავისუფლების მანტიის ქვეშ ინიღბება. ამ პიესით ჟაკლინ სირაძე მკითხველის მდგრადობის კორექტირებასა და სულიერი ენერგიით შეიარაღებას ახერხებს.

პიესის ერთ-ერთ სცენაში თანამედროვე პოეტს კოსმოსური ტანსაცმელი აცვია, როგორც ნიშანი ტექნიკური პროგრესის. მას მხურვალე ტაშით აჯილდოებენ იმიტომ, რომ სძულს დედა, მამა, საკუთარი თავიც. იმიტომ, რომ სჯერა, ადამიანი გათავისუფლდა ყალბი ადამიანურობისაგანო. „დაე, გაერთოს, დაე, ისიამოვნოს, თავისუფლება სიამოვნებაა! სიამოვნება — თავისუფლება. ადრე ადამიანი

ერიდებოდა თავისი ფარული ოცნების აღსრულებას და გადაიდგა ნაბიჯი — ქვა იქცა პურად."

პიესაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერთამეტყველებას. ფერი აქ პერსონაჟის ხასიათისა და ემოციების გამომხატველია. იისფერი შუქი ხშირად ახლავს ემანუელოს, რომელიც ხელოვნების „ცდომილი სამყაროს" გადასარჩენად იღვწის. იდუმალებისა და შეშლილობის მიღმა მდგარი ეს პერსონაჟი, ავტორის თქმით, მას ჩაფიქრებული ჰყავს ისეთ გმირად, რომელიც სულიერების დაკარგვის ყველა ტკივილს არამარტო გაიაზრებს, არამედ განიცდის და ამ განცდა-გააზრებაში მასში კვდება ძველი ემანუელო და იბადება ახალი ჭეშმარიტი ხელოვანი. მწვანე შუქი, მწვანე ბუზები, აფროდიტესა და ერინიების მწვანე სამოსელი, მწვანე თუთიყუშები სიხარბის, ავხორცობის, ანგარების სიმბოლოდ არის მოაზრებული. სწორედ მწვანე ტანსაცმლით შემოსილი კაცი ახმოვანებს გლობალიზმის მთავარ დოქტრინას — „განსხვავებულ კულტურათა გამთლიანება და დიჰარმონიზაცია — აი, ხელოვნების მიზანი". მწვანე სამოსშია გამოწყობილი პანი, რომელიც მღერის: „შენ ხარ არავინ! და ამიტომ ერთდროულად ხარ შენ აფრიკელი და ბელგიელი".

ყვითელი ფერი პიესაში ასოციაციურად უკავშირდება მზეს, მზის დაბადების მისტერიას, სინათლეს, ხელოვანის სინდისსა და სიწრფელეს. ყვითელსამოსიანი ევმენიდები მღერიან: „და მზე დაიბადება, და ამ მზეს შენში ღვთის დაბადება ეწოდება". ყვითელ სამოსშია გამოწყობილი კაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ეპოქის მღვიძარე სინდისი პოეტის სულია". პიესის მთავარი გმირი არკვევს ადამიანის არსებობის მიზანსა და დანიშნულებას. ამ ძიების პროცესში იგი გადის მთავარ ჭეშმარიტებაზე და სულისმიერ გზაზე სიარულის უფლებას მოიპოვებს. „იგი ღვთაებრივი ფარდით" დაფარულ გზაზე გაიყვანს კრიზისში მყოფ ხელოვნებას და გააერთიანებს მის მსახურთ. პიესის ასეთი სიმბოლური დასასრული იმის მინიშნებაა, რომ ყველაფერი შეიძლება აღსრულდეს, თუ ადამიანები ღვთაებრივ ძალას ხელახლა მოიპოვებენ და განაცალკევებენ ბოროტებას სიკეთისაგან.

ჟაკლინ სირაძის დრამის მთავარი სათქმელი მარტო აწმყოზე არ არის გათვლილი. შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვე ხელოვანის გზას აქ ღვთაებრივი პოეტის ორფევსის შვილი—ემანუელო გვიჩვენებს. თუ ხელოვნება ღვთაებრივი სუნთქვით არ იქნება გამთბარი, ჩვენ ვერასოდეს შევიგრძნობთ ადამიანად ყოფნის ბედნიერებას.

სხვათაშორის, ჟაკლინ სირაძე ამ თემას თავის შესანიშნავი ლირიკითაც გამოეხმაურა „ჩვენი მწერლობის" ფურცლებიდან. ამ ტკივილიანი განცდის გამოძახილია სტრიქონები: „რწმენა იგი დავკარგე და სიცოცხლე შენი, ასე უსასრულო შესაძლებლობათა ზღვა განჰქრა, ვით სიზმრის ტკბილი შეხება". აქაც მწერლის შიშნარევი წინასწარგრძნობაა, რომ „ქრისტეს ლურსმნიდან მოდენილი ტკივილის განცდის გარეშე" ჩვენს სიცოცხლეს ფასი არ ექნება.

ჟაკლინ სირაძის ეს ინტელექტუალური პიესა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების პრობლემებს ეხმაურება და მისი მეშვეობით უფრო მასშტაბურ სიღრმეებს სწვდება, რეჟისორებისათვის პროფესიონალიზმისა და მაღალი თეატრალური კულტურის ნიშნულად შეიძლება იქცეს. უფრო მეტიც, ამ პიესისადმი ინტერესი იმანაც უნდა განაპირობოს, თავისუფლებისა და დემოკრატიის მოტკბო სურნელმა უფლისა და ქვეყნის წინაშე ჩვენი ვალდებულება რომ არ დაგვაკარგინოს.

თქვენი და ჩემი მასწავლებელი

ღია ბარათი ჯემალ ინჯიასა და ზაურ წაქაძეს

თავიდან ზაურ წაქაძის „**შორია, ოთარწმინდამდე, ოთარ!**" — მემუარული სტილის წიგნი — წავიკითხე, რომ იტყვიან, მართლაც სულმოუთქმელად. შთაბეჭდილება ჯერაც არ გამნელებოდა, რომ ჯემალ ინჯიას **„ოთარ ჩხეიძის აბრისი"** ჩამივარდა ხელთ... ეგ კი არა, ღია ბარათი ან პაწაწინა ფურცელი რაა და მასზე დაუდევრად მიწერილი რომ დავინახო — *ოთარ ჩხეიძე* — ის ფურცელიც კი ძვირფასი და მეტყველი ხდება ჩემთვის და... ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გავლაღდებოდი.

თუმცა ამ აღტაცებას რაღაც ფარული სინანულიც სდევდა თან.

რატომ სინანული?

იმიტომ, რომ... ბატონი ოთარი ჩვენს შორის ფიზიკურად აღარ არსებობს და იმის ბედნიერებაც დავკარგეთ, რომ შინ ესტუმრო, ან ტელეფონით შეეხმიანო. ცხოვრების ყოველდღიურობაში დაკარგულმა კვლავ დაიბრუნო რწმენა, რომ პიროვნება ხარ. სულიერად გამხნევდე, გაძლიერდე.

და კიდევ... რად ამეკვიატა სინანულის განცდა?

იმიტომ, რომ... ამ ბატონ ჯემალსა და ბატონ ზაურს, თურმე, შენზე მეტი დრო გაუტარებიათ ამ დიდ პიროვნებასა და დიდ მწერალთან. კეისარიც უწოდებიათ და ამ წოდებით ზუსტად გამოუხატავთ თავიანთი (და არა მხოლოდ თავიანთი) დამოკიდებულება ოთარ ჩხეიძისადმი, ჩვენი დიდი მასწავლებლისადმი.

დიახ, სიტყვა **ჩვენი** შემთხვევით არ მიხსენებია: მე იმ ბედნიერ თაობას ვეკუთვნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელთაც ჰქონდათ ფუფუნება იმისა, რომ **„მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის"** განყოფილების სტუდენტთათვის ოთარ ჩხეიძეს ჩაეტარებინა სემინარები.

იმ დღეთა მადლი დღემდე მოგვყვება და არც არასდროს მიგვატოვებს!

ჩვენ ბატონი ოთარი თბილისში, უნივერსიტეტის ერთერთ დიდ აუდიტორიაში გავიცანით. მახსოვს, პირველად რომ შემოვიდა, რაღაც დაგვაწერინა. თუ არ ვცდები, ასეთი სახელწოდებით „დაფა" — ჰო, ასე ერქვა ამ დავალებას და მერე ყველას ნამუშევარი შინ წაიღო, მომდევნო ლექციაზე კი სათითაოდ მოგვახსენა საკუთარი აზრი. ზოგნი შეგვაქო, ზოგიერთი წაგვახალისა. ისე გვესაუბრებოდა, როგორც უფროსი მეგობარი და არა ის მწერალი, რომელმაც მოწყალება მოიღო და ჩვენი საცოდავი ნაწერები წაიკითხა...

უცნაურია, ეს ამბავი სულ აღარ მახსოვდა, ახლა უეცრად, უნებურად ამომიტივტივდა მეხსიერებაში. ეტყობა ბატონი ჯემალის ამ ფრაზებმა თუ მომაგონა — „არასოდეს და არავისთვის „ორიანი" არ დაუწერიაო". და იქვე შემომეშველა ზაურ წაქაძეც: „ახალგაზრდებთან ურთიერთობა მისი ცხოვრების მიზანიც გახლდათო", რომ დასძენს.

და კიდევ იცით რა მომაგონდა?

ზაფხულის არდადეგები იწყებოდა, ოღონდ ჯერ სესიები გველოდა წინ. ბატონ ოთართან ბოლო სემინარზე ახალდაწერილი რამდენიმე მოთხრობა მივიტანე და ყველას წაკითხვა ვერ მოვასწარი. ჰოდა, ის მოთხრობები თან წაიღო, გულდასმით წავიკითხავ და ისე მოგახსენებთ აზრსაო. შინ მეწვიეთო. მაშინ ბატონი ოთარი საირმის ქუჩაზე ცხოვრობდა. მივაკითხე, შინ არ დამიხვდა და მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ნატომ გადმომცა თაბახის ფურცელი, მამამ დაგიტოვათო!.. დავხედე, ლამის ერთი თაბახი გაევსო, რჩევას მაძლევდა — რა, როგორ უნდა დამეწერა, როგორ უნდა მემუშავა, განსაკუთრებით ერთ-ერთ მოთხრობაზე ამახვილებდა ყურადღებას: „ეგება ჩაუჯდეთ, ეგება, უკეთესი ნაწარმოები შეგრჩეთ ხელთა. წარმატებას გისურვებთ. კეთილადა ბრძანდებოდეთო.“

ღმერთო, როგორი გულისხმიერი იყო. როგორ დაგვფოფინებდა და როგორ გვწვრთნიდა... ამას მაშინ ვერ ვგრძნობდით, ჩვეულებრივ მოვლენად ვთვლიდით... და ახლა მინდა მის ნათელ სულს მოვუბოდიშო, ჩემი უბადრუკი მოთხრობების კითხვაში დრო რომ დავაკარგვინე!...

მაგრამ მე არ გახლდით გამონაკლისი. აგერ ბატონი ზაურ წაქაძეც იმავეს ადასტურებს: „არასდროს დაუჩაგრავს სუსტი და უდღეური ნაწარმოებიც კი. ზოგჯერ იტყოდა, შეიძლება ამ ლექსის ავტორი ერთ დღეს გენიოსად მოგვევლინოს, კალამი გაჰკარით სტრიქონებს, რითმასაც ნუ დაიწუნებთო.

იმ ერთი ხელისგულისოდენა ალმანახში ყველა ხომ ვერ გაინავარდებდა, ყველაფერს ხომ ვერ დასტევდა. ამიტომ ზოგჯერ იძულებული ხდებოდა ავტორისთვის ეთქვა სიმართლე, თუმცა გულს მაინც არ გაუტეხავდა, ანთებული ნაკვერჩხალივით დაუტოვებდა იმედს. აუცილებლად დადგება დრო და მასწავლებელსაც დასჭირდება შენი რჩევა-დარიგებაო. თუმცა ამ დღეს ვერცერთი „მოწაფე“ ვერ მოესწრო, აღმზრდელის წინ ვერავინ ვერ მოექცა.“

და განა ეს ერთი შემთხვევა გახლდათ? რამდენი ვინ დათვლის!

... თურმე რამდენი რამ გვაქვს მოსაგონარი. ის რად ღირს, გულისფანცქალით რომ ველოდებოდით მისი სტუდენტები მასწავლებლის „განაჩენს“: ეს მოთხრობა, ან ეს ლექსი გადაბეჭდეთ და მომაწოდეთაო! ამ სიტყვებს რომ გვეტყოდა, მაშინ სხვა შეფასება ზედმეტი იყო, აღარ ჭირდებოდა. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. ასე აღმოჩნდა ჩემი და ჩემი მეგობრების პირველი მოთხრობები და ლექსები ჟურნალ „ლიახვის“ ფურცლებზე;

ეს ამბავი ბატონი ჯემალის ჩანაწერებმა მომაგონა, ბატონი ოთარის მიერ დაარსებული სალიტერატურო გამოცემებზე რომ გვიყვება და ჟურნალ *„ლიახვის“* ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ ავტორთა ჩამონათვალში ჩემი გვარიც ამოვიკითხე. სიხარულის განცდა განმიახლდა. თითქოს ახლა, ამ წუთას შემეტყოს ჩემი მოთხრობაც რომაა დაბეჭდილი 1986 წლის „ლიახვის“ ფურცლებზე...

ეჰ, ბატონებო, ჯემალ და ზაურ, თურმე რამდენი რამ შეიძლება მოიგონოს ადამიანმა?!. მივდევ თქვენს მემუარებს და ჩემშიც ცოცხლდება ყველა ის მოგონება, რაც ძვირფას მასწავლებელთან მაკავშირებს. თითქოს კინოკადრებივით აღსდგა მეხსიერებაში ყველა დეტალი და ეპიზოდი. ეგ კი არა, ჩვენი ნიკოლოზ (ბუკა) ჩუბინიძის „განრისხებული ოთარ ჩხეიძის“ ამბის დღეც კი გამახსენდა. წავაწყდი, გაკრული ხელით ჩამინიშნავს დღიურში: „ბუკას მოთხრობების განხილვა იყო, ამ დროს ვიღაც მთვრალები შემოვიდნენ აუდიტორიაში, ძალიან გაბრაზდა ოთარ ჩხეიძე“.

ან ის რად ღირს, ბატონო ზაურ, თქვენი მოგონება — „ახალგაზრდა კომპოზიტორის კვალდაკვალ“. ეს ფილმი (და „ფიროსმანი“) გამორჩეულად მიყვარს გიორგი შენგელაიას შემოქმედებაში. და თავის დროზე, როცა ამასთან დაკავშირებით ჟურნალ *„ომეგაში“* წერილი დავბეჭდე, ეს მოგონება წაკითხული რომ მქონოდა, მაშინ ჩემი წერილიც, მერწმუნეთ, სულ სხვანაირად დაიწერებოდა, რადგან ამ მოგონებაში ფილმის შემოქმედთა ისეთი ადამიანური, პიროვნული თვისებები გაქვთ გამოკვეთილი, რომელიც სულ სხვა პლასტით დაგანახებს თითოეულ მათგანს.

ან თქვენ, ბატონო ჯემალ, ერთგან რომ იხსენებთ: „ძალზე ბედნიერი ვიყავი, როცა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში თბილისელი სტუდენტისგან კითხვაზე „ლექტორის თქვენი იდეალი“, ასეთი პასუხი გავიგონე — „ჩემი იდეალია ოთარ ჩხეიძე“. თითქოს რაღაც ძვირფასი დაკარგული მეპოვნოს.

ყოჩაღ, ახალგაზრდავ. აფერუმ შენს გოგოობას!

და ეს მარტო ერთი სტუდენტის — ნინო მაღალაშვილის — გულთქმა არ იყო.“ — ...იხსენებთ და ამით ხიდს აგებთ ჩვენთან, უმცროსი თაობის კოლეგებთან და მიხარია, ასე ბევრნი რომ ვართ... თანამზრახველნი.

ნინო მაღალაშვილი ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარია და ისე გამახარა მასთან მოულოდნელმა „შეხვედრამ“ წიგნის ფურცლებზე, თითქოს დრო უკან დაბრუნდა.

ასეა...

თურმე მართლაც აყოლიება სცოდნია მოგონებებს...

ყველაფერი ნელ-ნელა ცოცხლდება მეხსიერებაში და ... მოგონებათა ჯაჭვი ერთმანეთს ებმის. თან გეშინია, სადმე არ გაწყდეს, არ დასრულდეს მოულოდნელად!..

მაგრამ რა დაასრულებს იმ სამყაროს, რომელიც ბატონმა ოთარმა შექმნა...

ამიტომაც დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ბატონებო!

მადლობას მოგახსენებთ კვლავ რომ დამაბრუნეთ ამ სამყაროში და ცოცხლად, თვალწინ დამიყენეთ ჩვენი (*თქვენი და ჩემი*) დიდი მასწავლებელი ოთარ ჩხეიძე.

ნინო ჩხიკვიშვილი

ვახტანგ ბახტაძე

„მართალს მართლად უბნობ“

გელა ჩორგოლაშვილის წიგნის „სინანული გადასახედის“ გამო*

გელა ჩორგოლაშვილის წიგნის „სინანულის გადასახედის“ განხილვა მინდა დავიწყო იმით, რომ ჩვენ თუ საკუთარი ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორია არ გვეცოდინება (ამასთანავე, ისტორიოსოფიულად კარგად თუ არ გავიაზრებთ), მაშინ უბრალოდ, ხელახლა გავიღებთ იგივე მსხვერპლს, გავიმეორებთ იგივე შეცდომებს და იგივე აბსურდი გადაგვხდება ცხოვრების ყველა სფეროში. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან“.

„მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა“ – იოანე საბანისძის **ეს სიტყვები ყოველი დროისათვის მნიშვნელოვან ფუნდამენტურ ეროვნულ კონცეფციას შეიცავს.** ასე განმარტავს მათ დიდი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. ეს სიტყვები გულისხმობენ, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს, იგულისხმება ისიც, რომ ქართველთა მიერ გააზრებული უნდა იყოს სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი, რაც ყოველ დროს და ყველასათვის სახელმძღვანელო უნდა გახდესო. ეს სიტყვები ნათქვამია 1200 წლის წინათ

მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საზრისი, რომელიც მე მსურს განვავრცო, განეკუთვნება ძველ ქართულ მწერლობას და საკუთრივ ეკუთვნის ქართველ მწერალს. საგულისხმოა, რომ ეს ხდება დღევანდელი ქართული მწერლობის სალიტერატურო და კულტუროლოგიურ სივრცეში, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მკვეთრად გამოკვეთილი ქართული პოზიციის სალიტერატურო ფლაგმანში.

ნამდვილი ხელოვანი არ შეიძლება იყოს ცრურწმენით გამსჭვალული და უსამართლო მთელი ერისადმი, ან საერთოდ მთელი კაცობრიობისადმი, ისე, როგორც პატრიოტიზმისადმი, ლეგიტიმურობისადმი (ცხადია – არა კვაზილეგიტიმურობა), წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მისი ნაწარმოები მთლიანად ინგრევა. ჭეშმარიტად ხელოვნების ნაწარმოები ყოველთვის მრავალწახნაგოვანია და არასოდეს შედგება ცარიელი აბსტრაქციებისაგან, რასაც უნიჭონი ასე მომეტებულად ამკვიდრებენ ფსევდოლიტერატურაში: როცა საგნის არსის ნამდვილი მნიშვნელობა საგანგებოდ რბილდება და უწყინარი ხდება (ან სულაც ყალბდება).

ნამდვილი მწერლისა და პუბლიცისტის ფუნქცია ხომ თავისუფლებისა და მარადიული ღირებულების ჩვენებაა, როგორც ერთი სტალინისდროინდელი „სიკვდილის ბანაკებგამოვლილი“ დისიდენტი-მწერალი წერდა: ჭეშმარიტი მწერლობა მარადიული ომია, ხოლო ჭეშმარიტი ჟურნალისტიკის ყოველი ცისმარე დღე შეტაკებაა... (აქ, სამი წერტილი უსიტყვოდაც მრავლისმთქმელია).

ჩვენ გვმართებს მოვიხმოთ **დიდი ქართველი მწერლის მაღალი სიბრძნე, რომელიც გახდა საფუძველი მთელი შემდეგდროინდელი ჩვენი არსებობისა.** ეს განსაკუთრებით გვმართებს სწორედ დღეს, როცა შეიძლება ითქვას, ჩვენი სამომავლო ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. როგორც ცნობილია, „აბო თბილელის წამება“ მიმართულია არაბთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, უფრო ზუსტად, – წინააღმდეგ ქართველთა მიერ რწმენის დაკარგვისა. ქართველები „გარდაგულარძნესო (ე.ი. რწმენა გაუმრუდესო), – წერს ი. საბანისძე... ძვირად-ძვირად ზღეულნი, შიშით განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მიუხედავად ამისაო, – განაგრძობს მწერალი, – ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუელებისაებრ მამულის სვლისა, ჭირთა მოთმინებათა, არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“.

ეს სიტყვები არ არის გამიზნული მხოლოდ ეროვნულ ძნელბედობათა წარმოსაჩენად. ალბათ, აქ სხვა რამაა უმთავრესი სათქმელი, კერძოდ ის, რომ უბედურებათა განცდა სულიერ განწმენდას უნდა იწვევდეს და ვერ უნდა გვიკარგავდეს რწმენას. ასეთი იყო და არის მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა.

ეს სახარებისეულ – აგიოგრაფიული იდეალი ქართულ მწერლობაში შემდეგშიც მუდმივად ვლინდებოდა.

დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისანში“ ეს ასე გამოხატა: **ეროვნულ ნაკლოვანებებს თავის თავზე მეტად უნდა იღებდეს ერის თავკაცი, როგორც მეფე და როგორც პიროვნება. „ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლიაო“, – ამბობდა დავით გურამიშვილი და ყველაზე მეტად ცოდვილიანად თავის თავს რაცხდა.**

ეროვნული ტოლერანტობა საერთოდ დამახასიათებელია ქართული აგიოგრაფიისათვის და მთელი ქართული მწერლობისთვისაც. მწერლობის ამგვარი პოზიციაც გამოხატავს **„მამულის ჩვეულებისამებრ სვლას“. ის, რაც გაიდეალდება სხვათა სახეში, უფრო მეტად მოეთხოვებოდა ქართველს. ამ გზით მკვიდრდებოდა მნიშვნელოვანი აზრი, რომ ქართველთაგან ქართველობა მხოლოდ ღირსებად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ მოვალეობადაც.** ასეთი მიზნებითაა იდეალიზებული ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიაში მრავალი და მრავალი პერსონაჟი.

აქედან ისიც ჩანს, რომ ერის სულიერი თავკაცი ერის ნაკლოვანებათა მხილებას არ ერიდება, სიმდაბლეს არ ამართლებს ძნელბედობით და ამიტომ იოანე საბანისძე ჭეშმარიტი წინამორბედია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძისა, ხოლო XX საუკუნეში ზვიად გამსახურდიასი. საერთოა მათთვის აზრი, რომ ერის სისუსტე, თუ ის მხოლოდ თავის დიად ღირსებებზე ფიქრობს, ხოლო ერის ძლიერება იმით გამოიხატება, თუ რამდენად ძალუძს მას თვალი გაუსწოროს საკუთარ ნაკლოვანებებს, ეპოქისეულსაც და მუდმივთანმხლებსაც.

სამივე სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე მწერლისათვის ერთი რამაა საერთო – პრობლემათა ყოვლისმომცველი ხედვა; როცა ისინი ეროვნულ სარწმუნოებრივ პრობლემებს განსჯიან, არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ ფაქტორთა

*** წაკითხულია მოხსენებად 2009 წლის 26 მაისს, „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში.**

გათვალისწინებით განიხილავენ მას, არამედ დროის ფაქტორთა კვალობაზედ. დრო მათ მიერ უაღრესად მრავალნაირადაა გააზრებული: კერძოდ რელიგიური თვალთახედვით თუ ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით. რელიგიური თვალსაზრისით გამოიხატება იმით, რომ მოვლენები გააზრებულია, ერთი მხრივ, მარადიულობის, ხოლო მეორე მხრივ, წუთისოფლის მიხედვით.

მათ სურთ შეაგრძნობინონ ქართველობას, თუ რაოდენ დიდია ღირსების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგომა! სურთ შეაგრძნობინონ, რომ ამგვარ ღირსებათა დაკარგვა არანაკლები სიმდაბლეა, ვიდრე ყოველივე ამის თავიდანვე არქონა. ისინი იმედოვნებენ, რომ დიდი უბედურების ზღურბლზე დგომა გამოაფხიზლებდა ქართველებს. უბედურების შეგრძნებამ შეიძლება გონიერება შეჰმატოს ერს და უფრო გააზრებინოს თავისი წარსული, აწმყო და მომავალი.

ვახტანგ ბახტაძე და გელა ჩორგოლაშვილი

დიდი ერისკაცები, არასდროს არც ერთ ეპოქაში არ აკლდა საქართველოს. მოციქულებრივი ღვაწლის სულის რაინდები ყოველ დროში ტანჯვით მიიკვლევდნენ ნარ-ეკლიან გზას და იმასაც გრძნობდნენ, რომ ასეთი ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლის საზღვართან მუდმივი ყოფნა იყო. მათი სიბრძნე კი ნებისმიერი დრო-ჟამის სათქმელ-სატკივარს იტევს. ცხოვრება ამ გმირთა იყო მუდმივი ომი და უკომპრომისობა. ამიტომ გასცდა მათი ღვაწლი მათსავე დროს. ამიტომ არიან ისინი ფრიად ახლობელნი და მაგალითის მომცემნი დღევანდელობისთვისაც.

მწერალი გვახსენებს, რომ ერისთვის არსებობს ზედროული პრობლემები, გვახსენებს რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, **ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი ფუნდამენტური მნიშვნელობის საზრისი ბევრი რამით ყველა დროისათვის საერთო უნდა იყოს, მაგრამ არსებობენ ეპოქები, როცა ყოველივე ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ერის ისტორიაში, სახეობათა მიუხედავად, ძნელბედობებით აღსავსე არაერთი ხანა ერთმანეთს ჰგავს.**

გელა ჩორგოლაშვილის წიგნის „სინანულის გადასახედი“ რედაქტორების წინათქმაში ვწერთ: **„თუ ვინმე განაგრძობდა ზვიად გამსახურდიას შემდეგ და მის კვალდაკვალ XX საუკუნის დამლევისა და XXI საუკუნის დასაწყისის ამღვრეულ, სწრაფმდინარ, მაცდურ, უსუფთაოდ მოლივლივე პოლიტიკურ წყლებში „დინების საწინააღმდეგოდ ცურვას“, მათ შორის იყო გელა ჩორგოლაშვილიც. მდინარის მეტაფორას რომ არ მოვწყდეთ... ერთნი ამ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდნენ; მეორენი ნაპირებს ეხეთქებოდნენ, და ხან საკუთარი თავის, ხან ქართული სახელმწიფოს გადარჩენას ლამობდნენ... და ერთეულები იდგნენ ნაპირზე, მყარ ნიადაგზე და იცოდნენ, ამბობდნენ, რომ საჭიროა მდინარის კალაპოტის გაწმენდა. და გელა ჩორგოლაშვილი სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება“.**

წიგნში „სინანულის გადასახედი“ თავმოყრილია აქტუალური პოლიტიკურ-ანალიტიკური ხასიათის წერილები, საინტერესო ინტერვიუები და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტები (ზოგიერთი მათგანი პირველად ქვეყნდება). ყველა ეს მასალა წლების მიხედვით არის დალაგებული – 1991 წლიდან 2009 წლამდე. **წიგნი ისეა შედგენილი, რომ მკითხველი თანმიმდევრულად მიჰყვება ავტორის პოლიტიკური და სამართლებრივი მსოფლმხედველობის ევოლუციას, რომელიც ეფუძნება გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის *ერთგვარ* კონცეპტუალურ პოლიტიკურ ანდერძს. ესაა პოლიტიკური მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლა სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის, კატასტროფის წინაშე მდგარი ქართველი ერის გადარჩენისათვის!**

წიგნში ნათლად ჩანს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის“, – **„ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის“ („რუსულ იმპერიალიზმთან“ ერთად)** მესვეურთა მიერ წარმოებული ხანგრძლივი პოლიტიკური პროცესი ერთგვარად ნაწინასწარმეტყველევი აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიას მიერ. **ავტორი თავის მხრივ, განავითარებს თავის პოლიტიკურ-ანალიტიკური ხასიათის წერილებს, ინტერვიუებსა და იურიდიულ-სამართლებრივ დოკუმენტებში ამ პოლიტიკურ ხედვას, ამ პოლიტიკურ ხაზს, რა თქმა უნდა თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით.**

უცხოური პრესისთვის მიცემულ თავის ერთ-ერთ გახმაურებულ ინტერვიუში **(„ეროვნება არა აქვს ცხოველს“)** დევნილობაში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ 1992 წელს დასავლეთის დემოკრატიის გულგრილობა იარაღის ძალით დამხობილი ლეგიტიმური საჭეთმპყრობლისა და მიტაცებული ხელისუფლებისადმი ასე შეაფასა: **„მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა, ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ, მოისყიდონ ამ**

ქვეყნის ხელისუფლება, და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული“.

ამონარიდს, რომელსაც ახლა გთავაზობთ, იმავე ინტერვიუდანაა, ვფიქრობ, რესპონდენტის მიერ არაორდინარულად გამოთქმული. ადვილად მიხვდებით, თუ რატომ გამოიტანა გაზეთის რედაქციამ სათაურად **„ეროვნება არა აქვს ცხოველს“.** ქართველი ინტელექტუალი პრეზიდენტი განმარტავს, თუ რატომ ჰქმნიდა მაინცა და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს: **„რომ სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს. სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელიც ადამიანს სულიერებისგან განასხვავებენ და მისთვის ამ განსხვავებული თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე... კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს. ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან, იგი მსოფლიო კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას“.**

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ – „ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის“ („რუსულ იმპერიალიზმთან“ ერთად) „ერთპოლუსიანი მსოფლიოს“ მესვეურებისა და მათი დამქაშების მიერ როგორც საქართველოს, ასევე მთელი კავკასიის რეგიონის მიმართ განხორციელებული მტაცებლური პოლიტიკის გამო ჩიხში შესულ **სისტემას** (ამ სიტყვის უფართოესი გააზრებით) მდგომარეობიდან გამოსავალის მიზნით **გელა ჩორგოლაშვილი არაძალადობრივ, მშვიდობიან საკუთარ რეცეპტს სთავაზობს: „დაიწყოს მოლაპარაკებები ავტორიტეტულ ევროპულ ინსტიტუტებთან „სახელმწიფო და სამართლის საერთაშორისო ექსპერტთა კოლეგიის“ შექმნასთან დაკავშირებით“. მისი თქმით, „საქართველოში არა მხოლოდ კანონიერი ხელისუფლება დაამხეს, არამედ სახელმწიფო „საქართველოს რესპუბლიკის“ დანაშაულებრივად ლიკვიდაციაც მოახდინეს!.. რეალურ ალტერნატივას – სახელმწიფო „საქართველოს რესპუბლიკის“ კონსტიტუციური სივრცე და სახელმწიფო ინსტიტუტები წარმოადგენენ. „სახელმწიფო და სამართლის საერთაშორისო ექსპერტთა კოლეგიის“ შექმნა სისტემური (*იურიდიული, სამართლებრივი და პოლიტიკური* – ვ.ბ.) ცვლილების არაძალადობრივ, მშვიდობიან მექანიზმად გვესახება, რაც სახელმწიფო „საქართველოს რესპუბლიკის“ ხალხისა და ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციურ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ წესწყობილებაში დაბრუნების აუცილებლობით არის ნაკარნახევი“.**

ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა გელა ჩორგოლაშვილის, როგორც პოლიტიკოსის, ასევე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ექსპერტის, სახელმწიფო და სამართლის არაერთი პროექტის ავტორის სახელმწიფოებრივი ხედვა ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე. პროექტის ავტორი ამბობს: „ჩვენი ინიციატივის დედა-აზრია საქართველოში ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობითობის პრინციპის რეალური უზრუნველყოფა და ძალაუფლების დანაშაულებრივი მიტაცების მანკიერ პრაქტიკაზე უარის თქმა. ამ კონტექსტში ვხედავ სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობითობის გარკვევასაც“. ჟურნალისტის შეკითხვაზე: „თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ 1991 წლის სტატუს-კვო აღდგეს?“ გელა ჩორგოლაშვილი პასუხობს: „რაც შეეხება 1991 წლის სტატუს-კვოს აღდგენას – ფაქტია, ქართველმა ხალხმა, საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველმა უნდა დაიბრუნოს საკუთარი ძალაუფლება, რომელიც მას ასე მზაკვრულად გამოსტაცეს XX საუკუნის ბოლოს და ამით XXI საუკუნის დასაწყისში გლობალურ გამოწვევებთან პირისპირ სრულიად დაუცველი დატოვეს. **სწორედ ამ მიზნით ვითხოვთ ექსპერტთა მიერ საერთაშორისო უნივერსალურ ინსტიტუტებსა და მსოფლიო თანამეგობრობის ლიდერთა მიერ გამყღავნებული თავისუფალი კოლექტიური ნების პირობებში“.**

გელა ჩორგოლაშვილი წიგნში წერს: „...როდესაც მან (ზვიად გამსახურდია) საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საკითხი დასვა და უფრო მეტიც, შემდგომ, ეს ყოველივე კავკასიას დაუკავშირა, განაცხადა, რომ კავკასიის გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მსოფლიო უსაფრთხოების ახალი მოდელის მოძიება, რომ კავკასია დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთის პრობლემასთან და თავისი შინაარსით მოიცავს არა მხოლოდ გეოპოლიტიკური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კონტინენტის, არამედ ოკეანის ინტერესსაც, რომ გეოგლობალური ინტერესთა ბალანსი აქ არის საძიებელი, საკითხის ასე დასმა „ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის“ („რუსულ იმპერიალიზმთან“ ერთად) მესვეურთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა... იგი „მდინარის საწინააღმდეგოდ ცურვას“ შეადარეს“.

ერთ ადგილას ავტორი აღნიშნავს: „პრეზიდენტი ნიქსონი ზვიად გამსახურდიას სახით შეხვდა განათლებულ, ღრმად ერუდირებულ და საკუთარ შეხედულებებში იმდენად დარწმუნებულ პიროვნებას, რომ გაოცებას ვერ მალავდა. უმაღლესი პოლიტიკური და ანალიტიკური წრეებისათვის ეს შეფასება გაისმა როგორც მინიშნება: – კავკასიის ლიდერია ადამიანი, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის მიერ შეთავაზებულ კომპრომისზე არ წავა...“

ცნობილი ფაქტია, რომ იმპერიებს სხვა ქვეყნების დაპყრობის დროს ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევა სურთ, კერძოდ: ამ დროს ყველაზე არსებითად მიიჩნევა ახალი ტერიტორიების მოპოვება, წიაღისეულისა და სხვა მატერიალური სიმდიდრის ხელში ჩაგდება, გეოსტრატეგიული და სამხედრო პოზიციების გამყარება-გაუმჯობესება, დემოგრაფიული სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლა და სხვა. აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია დაპყრობილი მოსახლეობის ენობრივი, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური ასიმილირება, რათა ეს მოსახლეობა არ აღმოჩნდეს შეურიგებელ მდგომარეობაში დამპყრობლის მიმართ.

მიუხედავად ამისა, ზვიად გამსახურდია მწველი განცდით და სხივოსანი იმედით ამბობს: **„მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისგან“.**

გელა ჩორგოლაშვილი, როგორც ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი თანამებრძოლი და რიგითი ჯარისკაცი, ასევე როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ (1991 წლის 9 აპრილი) ერთ-ერთი ხელისმომწერი (ამ სიტყვებს იგი დიდი სიამაყის გრძნობით წარმოთქვამს), უდიდეს პატივს მიაგებს ქართული რაინდული სულის ყოველ გამოვლენას, რასაც მოწმობს 2000 წელს მისი ინიციატივითა და რედაქტორობით გამოცემული ალმანახი „ეროვნული ღირსებისათვის“. გელა ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ოპოზიციაში ედგა რა ხელისუფლებას, 1991 წლის მიჯნისა და 1992 წლის დასაწყისის მოვლენების შემდეგ კი გადა-

აფასა შექმნილი სიტუაცია. **იგი დღესაც მთელი სიმკაცრით უპატიებელს უწოდებს მაშინდელ საკუთარ პოზიციას ...და როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილი სალოსი ბერი მამა გაბრიელი ამბობს: „თქვენ მიერ ჩადენილი ცოდვების გახსენებისას არასდროს შეეცადოთ მის შელამაზებას ან სხვისთვის გადაბრალებას, თუნდაც ის მართლაც სხვისი ბრალი იყოს... მიდი და აღსარებისას შენად თქვი, იმიტომ, რომ ეს რაღაცის გამო მოხდა, რაღაც სასჯელი მოვიდა შენზე და შენში ეძებე ამ ყველაფრის სათავე“.**

სინანული არა მხოლოდ საკუთარ ცოდვათა ჭვრეტაა, წუხილი, ან მხოლოდ საკუთარი თავის უღირსად აღიარებაა, არამედ ეს არის სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება გამოსწორებისა, შინაგანი სულიერი ბრძოლისა...

ცხადია, სინანულის აქტის აღსრულება, ეკლესიურად კანონიკური წესისამებრ – მღვდელმსახურის მეშვეობით ხორციელდება, მღვდელმსახური კი არის ოდენ ხილული იარაღი იმისა, რასაც სინამდვილეში **საიდუმლოს** თვით უფალი აღასრულებს, ცოდვათა მიტევება მოწყალებითი აქტია და არა უაზრო სიბრალული.

გელა ჩორგოლაშვილი ამბობს: „პოლიტიკაში ვერ დავბრუნდები მანამ, ვიდრე არ გაიმართება დამოუკიდებელი თავისუფალი სახელმწიფოს დამოუკიდებელი და პირუთვნელი სასამართლო პროცესი! სასამართლომ შეიძლება მოღალატედ გამომაცხადოს და არ დამაპატიმროს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ამიკრძალოს სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნის ან არჩევის უფლება, შესაბამისად, პოლიტიკური მოღვაწეობაც“. იმავე ინტერვიუში იგი აგრძელებს: „საკუთარ მაგალითზე მოგახსენებთ... იმის გამო, რომ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯები პირად დრამად მექცა, იგი ჩემს სამშობლოს, ქართველ ერსაც შეეხო... 1992 წლის ე.წ. „იმედის“ არჩევნებში „ქარტია-91“-დან, ჩემს გარდა, თითქმის ყველა დეპუტატი გახდა. რა განაჩენი გამოვუტანე საკუთარ თავს და როგორ ვიცხოვრე მთელი ეს პერიოდი – დღემდე, ეს ჩემი აღსარების პრობლემაა (უფლის სიკეთის და შენდობის იმედი მაცოცხლებს!..). **ერთი საკითხია, თუ როგორ ვხედავ და ვაფასებ ჩადენილ შეცდომებს და დანაშაულს, მაგრამ მეორე საკითხია ის, რომ მათი სამართლებრივი საკითხი ჯერ კიდევ დაუდგენელია. მე ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას, ჩემს ამომრჩეველს, საქართველოს რესპუბლიკის ხალხს ვუთხრა – ამირჩიეთ! თუ სამართლებრივი გზით არ იქნება გადაწყვეტილი და დადასტურებული, რომ შეცდომის (ან დანაშაულის) ხარისხი მიტოვებს უფლებას და საშუალება მეძლევა, განვაგრძო პოლიტიკური მოღვაწეობა, მანამ მე პოლიტიკაში ვერ დავბრუნდები...“**

2000 წლის გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ჟურნალისტთან საუბრისას გელა ჩორგოლაშვილი ინტერვიუში ამბობს: „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ხელისუფლების ძალადობრივმა დამხობამ ჩემში ფასეულობათა სისტემის სრული კორექცია მოახდინა. ეს იყო ქართველი ერისათვის დიდი ტრაგედია, ასე იყო ჩემთვისაც. მე გახლდით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ის ფაქტი, რომ ჩახმახისათვის თითი არ გამომიკრავს, არ მათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან მომხდარის გამო. ეს, პირადად ჩემთვის, დიდი გამოცდაა“.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის (იჩქერიის) დედაქალაქიდან დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდია იტყვის: **„... ვისაც სურს, საქმით გამოისყიდოს თავისი დანაშაული, ჩვენ ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი ასეთ ადამიანებს. არ არსებობს უპატიებელი ცოდვები. უფალი გვასწავლის, რომ თუ შეინანებ (და ჩვენც უფლის მიმბაძავნი უნდა ვიყოთ ამ საშინელ დროში, ამ საშინელ მდგომარეობაში), უნდა მივცეთ საშუალება ამ ადამიანებს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ცრუ ფანდი, როგორც იყო მრავალჯერ. ეს უნდა იყოს ნამდვილი, საქმით გამოსყიდვა დანაშაულის. მე ყველას ვგულისხმობ, არავინ არ არის ბედისგან საბოლოოდ განწირული და, თუ ღმერთი არ წირავს საბოლოოდ ადამიანს, არც ჩვენ გვაქვს უფლება, ვინმე საბოლოოდ გავწიროთ. დაფიქრდნენ, კარგად დაფიქრდნენ, რა ჩაიდინეს, რა დანაშაული აქვთ საკუთარი ერის წინაშე. ვინც კარგად დაფიქრდება, ვინც დროზე დაადგება სინანულის გზას და ვინც საქმით დაამტკიცებს, უკეთუ საქმე მართლა გამოაჩენს, ჩვენ მათი საწინააღმდეგო არაფერი გვექნება, რამეთუ ჩვენ ქრისტიანები ვართ“**.

ვისაც მასთან (ზვიად გამსახურდია) ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ემახსოვრება ლმობიერებისა და სამართლიანობის შერწყმის ეს საოცარი სიტყვები: „სიყვარული და მკაცრი სამართლიანობა თანაბრად საჭიროა. ქვეყნის მმართველი, უწინარეს ყოვლისა, ქრისტეს მბაძავი უნდა იყოს მოყვასის სიყვარულით, სამართლიანობით, შემწყნარებლობით, სიმტკიცითა და ბოროტისადმი შეურიგებლობით“.

გელა ჩორგოლაშვილი შემდგომი სწორი და ზნეობრივად მტკიცე პოზიციის შენარჩუნების გამო ჩვენ, „სინანულის გადასახედის“ რედაქტორებს (ჟურნალისტ მაია გოგოლაძესთან ერთად), მიგვაჩნია, რომ ეს იყო მისი უნებლიე შეცდომა.

ჩემს მიერ სათაურად მოხმობილი, ადამის ძისათვის დამახასიათებელი ეს უმნიშვნელოვანესი სიტყვები (თანამედროვე ქართველი მწერლის მიერ დაწერილი წიგნიდან, მიძღვნილი ქართველ მამულიშვილზე), სწორედაც მიესადაგება თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსის მიმართ მოყვანილ ზუსტ ვერდიქტს. აწ უკვე, წიგნის ავტორის სინანულის გადასახედიდან (ვგულისხმობ, მნიშვნელობას კალენდარულ დღეთა) დანახულ-გააზრებულს – ჩვენი უახლესი ისტორიის მძაფრ დრამატულ მოვლენათა – დიდებასა და დანარცხებას! „სრულიად გულწრფელ სინანულსა“, ან კიდევ – როცა 1991 წლის 22 დეკემბრის ორკვირიანი პუტჩის „სისხლიანი ზამთრის“ ე.წ. „პოლიტიკური ბომონდის“ შემოქმედნი კვლავ მისდევენ დანაშაულებრივ განსჯას, როცა ამ ადამიანებს, რომლებსაც პატიება-შემწყნარებლობა არაფრად უღირთ, სინანულის, მადლიერების და მონანიების გრძნობა და სურვილი არ გააჩნიათ და მტრობას კვლავ აგრძელებენ... **(„...მტერია ის, ვინც წინასწარგანზრახვით სჩადის უსამართლობას“ – დემოკრიტე – ან: „უდიდესი სასჯელის ღირსია ის, ვინც უსამართლობა ჩაიდინა და ბრძნულად ლაპარაკობს“ – ევრიპიდე).** ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე: და თუ ისინი მართლაც უკეთურნი არიან – ბოლომდე უნდა იქნან მხილებულნი! მათი დაუსჯელობა კარგს არას მოუტანს ჩვენს აწმყოსა და მომავალს. როგორც ერთი საგულისხმო სიბრძნე გვაუწყებს: **არა დანაშაული, არამედ სასჯელი, რომელიც მოჰყვება დანაშაულს, ასწავლის ადამიანებს, რომ მისი ჩადენა არ შეიძლება.**

გელა ჩორგოლაშვილი წიგნში ერთ ადგილას წერს:

„მე მას (გურამ პეტრიაშვილი) 1993 წელს შევხვდი ზუგდიდში, მისთვის სრულიად მოულოდნელად. ეს შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში შედგა... როდესაც თვალნათელი გახდა, რომ საქართველოში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ორხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა, რამდენიმე ორგანიზაციამ და მათ შორის მეც, როგორც საქართველოს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, მხარეებს შექმნილი სიტუაციის დაძლევის მექანიზმი შევთავაზეთ. **იმ დროს ზუგდიდში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანხმობის შემდეგ ჩავედი.** სამწუხაროდ, მოლაპარაკებები, არსებული რეჟიმის ლიდერის ე. შევარდნაძის ინიციატივით ჩაიშალა. ***ჩემი და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ გურამ პეტრიაშვილის შეხვედრა კი, შედგა წმინდა ადამიანურ, კაცთმოყვარე, ეროვნულ ატმოსფეროში...“***

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის პირიდან ამოსულ სიტყვას დიდი ძალა აქვს, ამიტომაც გვეუბნებიან წმიდა მამები „შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისა“. ადამიანს არაფერი აქვს, სიტყვაზე მეტად პატიოსანი და გასაფრთხილებელი, რადგან ენით გამოთქმული, გონების მსახურია. რაც სურს ადამიანს, სწორედ იმას გამოხატავს სიტყვით. მოგეხსენებათ სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს.

ყოველი „სამართლის სულით გამსჭვალული სიტყვა“, სადღეისოდ საჭირბოროტოა, მახვილივით გამკვეთი, იგი ამხელს ეროვნული და საზოგადო საქმის დამაბრკოლებელ „უკუღმართი დროის“ ჩიტირეკია შვილებს. „სადავე ხელში ჩაუგდიათ და რიგიანები დაუჩრდილავთ“, ამას ხელს უწყობს „ჩემიან-შენიანობაზე“ მოქარგული ეგრეთ წოდებული „არჩევნები“. ცრუმოღვაწენი – ჭეშმარიტ პატრიოტებს ჩაენაცვლნენ, უნიჭოები – ნიჭიერებს. დიდი ქართველი მგოსნისა და მოაზროვნის აკაკი წერეთლის ეს სიტყვები, დღევანდელობასთან მჭიდრო კავშირშიცაა. მაგრამ ყველაზე ცხადად ამ სტრიქონთა შორის ქართული ტკივილი იკითხება: „ძალიან კუჭის ამყოლი კაცნი ვართ!..“ „პატარა კაცები ანუ კაცუნები კუჭით გრძნობენ და მთელი ქვეყანა მსხვერპლადაც რომ შეიწირონ, არ ენაღვლებათ. <u>ნამდვილი ჭკვიანების გრძნობა არ ენაღვლებათ. ნამდვილი ჭკვიანების გრძნობა უფრო მაღალი სულის მოთხოვნილებაა</u> (ხაზგასმა ჩემია – ვ.ბ.). თუ სხვებს მშიერსა ხედავენ, მაშინ ყოველი ლუკმა მათ პირში შხამად ჩადის, ისინი სხვებზე უფრო მეტსა ფიქრობენ, ვიდრე თავის თავზე“. – აკაკი დასძენს – **„დღემდე ვინც კი გაკეთებულა და გაბედნიერებულა, ყოველთვის თავისი ქვეყნის მტერი ყოფილა და ყოფილა იმიტომ, რომ ძლიერების სურვილი უსრულებია! გარეშე მტრების პოლიტიკაში ძველად იყო ხალხის დაჩაგვრა, ამისთვის ისინი აძლიერებდნენ იმისთანებს, რომელნიც უსათუოდ თავის ხალხს მისდგებოდნენ დასაჩაგრავად“.**

აკაკის მახვილ თვალს მაშინ არაფერი გამოპარვია.

გელა ჩორგოლაშვილის დევიზი ყოველთვის იყო „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, **ხოლო მოქმედების პრინციპი: „ქართველმა ერმა უნდა დაიბრუნოს თავისი რეალური სახელმწიფო და რეალური ძალაუფლება“, რაც ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობითობის უცილობელ გარკვევას და, ამასთანავე, ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის პრინციპის უარყოფის და ძალაუფლების დანაშაულებრივი, უკანონო გზით მიტაცების პრაქტიკის აღკვეთას, ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს აღშენების უფლების დაბრუნებას და ამისათვის სამართლებრივი საფუძვლების მომზადებას.**

საგულისხმოდ მიმაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პასუხი, რომელიც მან გაუგზავნა სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, რომლის სულისკვეთება დღესაც აქტუალური რჩება ყველა პატრიოტისათვის: **„თუ ჩვენ მართლაც სუვერენული სახელმწიფოები ვართ, ოფიციალურად გვცანით ასეთებად და მხოლოდ ამის შემდეგ ვთვლი შესაძლებლად ვილაპარაკოთ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე – პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე ან სხვა სახის კავშირურთიერთობებზე, ვინაიდან თუ სახელმწიფო სახელმწიფოს არ ცნობს, მათ შორის არავითარ კავშირზე და ალიანსზე არ შეიძლება ლაპარაკი. ცენტრი ჩვენ არ გვცნობს. აქედან გამომდინარე, იგი ჩვენ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირში კი არ გვეპატიჟება, არამედ კვლავ იმპერიაში, სადაც სიტყვა „სუვერენული“ ისეთივე სიყალბეა, როგორი ყალბიც იყო უწინ... ასე რომ, „ახალი სახელმწიფოს“ შექმნა არის მხოლოდ ეკვილიბრისტიკა და არა სხვა რამ... *ჩვენ ვერ მოვტყუვდებით ასე იაფფასიანი სიტყვების თამაშით. ჩვენ გაცილებით ღრმად ვუყურებთ ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებასა და მომავალს, ვიდრე ისინი, ვინც თავს იტყუებს, ან სხვას ატყუებს... საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ იგი ასეთ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს“* (1991 წლის ნოემბერი).**

სრული გულწრფელობით და პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, ამ სიტყვების სულისკვეთების, პოლიტიკური არსის და პათოსის აქტუალურობა დღესაც უმნიშვნელოვანესია! იგი გახლავთ ჩინებული ნიმუში ზნეობრივი პოლიტიკის წარმოებისა, რომელიც ჩვენს მიერ წერილის დასაწყის ნაწილში ნათქვამი იყო: იგი ეფუძნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის *ერთგვარი* **კონცეპტუალური პოლიტიკური ანდერძის ქვაკუთხედის პრინციპს**. ღირსებისა და უღირსების, თავისუფლებისა და ტირანიის, „ურჩი“ რესპუბლიკის ლიდერისა და მეტროპოლიის ლიდერის **მსგავს მოვლენათა** (თავისი დროის) უთანასწორო და უსამართლო დაპირისპირებათა გამო წერდა, ევროპელი ტირანთმოძულე მწერალი და მოაზროვნე: „ჩვენს პატივისცემას იმსახურებს ის, ვინც ადამიანთა გონებაზე ბატონობს სიმართლის ძალით და არა ის, ვინც ძალმომრეობით მონებს ჰქმნის“.

ამასთან დაკავშირებით, შემდგომში ზვიად გამსახურდია მედიისათვის საჯაროდ იტყვის: **„საქართველოს ეროვნული ხელისუფლება მიესწრაფოდა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, რათა არ დავმორჩილებულიყავით სხვა სახელმწიფოების დიქტატს“.**

მასწავლებლისა და მოწაფის – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა-დამკვიდრების პარალელების კვალდაკვალ ილიასეული **„სწორი გზის პოვნა და მასზე სვლა“,** გახლავთ გელა ჩორგოლაშვილის ***უმთავრესი პოლიტიკური პრინციპი!*** რომელიც ისევ ილიას აზრს თუ გავაგრძელებთ, — **„ნახევრად გამარჯვებაა“!**

ძმაო გელა, ამიტომაც გეტყვი: მართალი კაცი ხარ!

რადგანაც პირდაპირობით გამორჩეული ალექსანდრე ყაზბეგი წერდა: **„მართალს მართლად უბნობ!“**

იმედს გამოვთქვამ, რომ ამ წიგნს ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით წაიკითხავს.

პასუხისმგებლობა და მოვალეობა

ნესტან ღუდუშაური
(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი)

1.

საოცარია, როცა ადამიანს შეუძლია უყვარდეს, და ეს სიყვარული არავის სჭირდება, როცა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს, და ეს დახმარება არავის უნდა, როცა ადამიანს გული შესტკივა, მაშინ როცა შეუძლია გულგრილი იყოს, და უფრო მეტიც, მოვალეა გულგრილი იყოს... მოვალეა ყურები დაიხშოს, თვალები დახუჭოს, გრძნობა გაიციოს... თუმცა იქ, სადაც მოქმედებაა საჭირო, დანაშაულია უმოქმედობა... დანაშაულია ჰიპოკრატეს ფიცზე დაიფიცო და არ იდგე სიცოცხლის სადარაჯოზე... მაგრამ, როცა პაციენტს არ სურს სიცოცხლე, იქ ექიმი უძლურია. არსებობს კანონები, რომლებიც იცავს პაციენტის ყველაზე უკიდურეს გადაწყვეტილებებს. ასეთ დროს, თვითონ ავადმყოფი წყვეტს, სურს თუ არა სიცოცხლე... და თუ არ სურს, მის ნებას ვერავინ შეეწინააღმდეგება...

მოწოდებული ბევრია, რჩეული კი ცოტა... და ამ რჩეულთა შორის არის ექიმი ჰაუსი, კაცი, რომელიც დაამცირეს, გააგდეს და, ყველაფრის მიუხედავად, მან შეძლო პაციენტის გადარჩენა... უარყოფილმა და შეურაცხყოფილმა შეძლო შესცოდებოდა პაციენტი, რომელზეც ყველანაირი პასუხისმგებლობა და მოვალეობა მოცილებული ჰქონდა. თვალები ხომ სულის სარკეა, და ექიმის გამოხედვაში იგრძნობოდა სულის ტირილი და ტკივილი, მაშინ როცა ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანს აპარატიდან თიშავდნენ.

რა არის ეს? ეს ადამიანობაა, ეს მცდელობაა, ადამიანის ღმერთთან სრული დამსგავსების. ეს არის მოვლენა, რომელსაც ჯილდო სჭირდება, ეს არის ფაქტი, რომელიც ათასში ერთხელ ხდება. შინაგანი მე ჰაუსის არის უმაღლეს საფეხურზე. საფეხურზე, რომელსაც მე სიყვარულს დავარქმევდი, უფრო სწორად, უანგარო და გულწრფელ სიყვარულს. ის აღარ არის პასუხისმგებელი ამ პაციენტზე, რადგან მან გააგდო და აუკრძალა მის პალატაში შესვლაც კი. ის მოვალეა, ადამიანის გადასარჩენად რამე იღონოს, თუმცა ეს მოვალეობაც არ არის. მას შეუძლია გაჩუმდეს იქ, სადაც სიწყნარეა, და ამის გამო არავინ გაამტყუნებს ერთის გარდა, და ეს ერთი საკუთარი სინდისი, ანუ პატარა ღმერთი ჩვენს გულებში. ხო, მას სინდისი არ გაუშვებს, ვერ იქნება ღვთის წინაშე მართალი. ამ ქვეყნად მას არავინ არ დაადანაშაულებს, არავინ ჩამოართმევს ექიმის ლიცენზიას, მაგრამ მაინც არ შეუძლია უყუროს ადამიანს, როგორ კვდება, როცა მისი გადარჩენა შეუძლია. სიკეთით სავსეა მისი არსება. სიკეთით, რომელიც რიტორიკულ შეკითხვას ჰგავს იმით, რომ პასუხს არ ელოდება. გულწრფელი და უანგაროა ეს სიკეთე.

რა საოცარია ადამიანის ცნობიერება. ჰაუსს ქვეცნობიერად სწამდა, რომ პაციენტს განკურნავდა. იქ, სადაც ყველა სვამს უარყოფით დიაგნოზს, ჰაუსი არ ნებდება და აგრძელებს ბრძოლას. ეს ნიჭია ღვთისგან მიმადლებული, ეს მხოლოდ ღმერთით ხდება. და აი, ამიტომ იტანს ყველაფერს, მდაბლდება ყველას თვალში, მაგრამ მაღლდება ღვთის წინაშე, იგი ხშირად უსიამოვნოა სხვებისთვის, მაგრამ მიზნის მიღწევის შემდეგ ყველასთვის საყვარელი ადამიანი ხდება.

ის მოვალეა, გამოიყენოს ნიჭი სიკვდილის დასამარცხებლად. ასეთები ხომ ათასში ერთხელ იბადებიან და არასდროს აღარ კვდებიან...

სწორედ ასეთებთან ბრძოლაში მარცხდება სიკვდილი...

2.

მე ღმერთს სამი რამისთვის ვმადლობდი მუდამ: პირველი იმისთვის, რომ გავჩნდი მართლმადიდებელ ქრისტიანად; მეორე — რომ გავჩნდი ქართველად; და მესამე — რომ გავჩნდი საქართველოში. არა, განა იმიტომ, რომ ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ, არა, უბრალოდ, მე მიყვარს ჩემი საქართველო. და მე უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია... არ ვიცი რატომ და, აი, ამ მომენტიდან რომც დავჯდე და სიცოცხლის ბოლომდე ამაზე ვიფიქრო, მაინც ვერ გიპასუხებთ... რატომ?...

არსებობს თემები, რომლებზეც არ საუბრობენ, რომლებზეც ქვეშეცნეულად ყველამ იცის პასუხი... ერთხელ, მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტებს დაავალეს თემა დასაწერად „რად მიყვარს ჩემი სამშობლო?" ტვინიკოსებმა თუ არა ტვინიკოსებმა მოიმარჯვეს კალმები და დაიწყეს დიდი თემების წერა. ერთმა ბიჭმა, რომელიც სოფლიდან იყო ჩამოსული, რაღაც წაჯღაბნა ფურცელზე, ადგა და გავიდა... მალე ცნობილი გახდა — უნივერსიტეტში ჩაირიცხა, ბავშვი, რომელმაც არ დაწერა თემა ქართულში. დაწერა მხოლოდ ოთხი ტაეპი:

ირემს რად უყვარს მთის წყარო,
არწივს მაღალი მთებია?
რად მიყვარს ჩემი სამშობლო
ამას რად მეკითხებიან?

აქ ყველაფერი ითქვა, რად უნდა ამის დაწერას ხუთი ან ექვსი ფურცელი? ნამდვილად არ უნდა...

დათო ტურაშვილის ეს მოთხრობა სწორედ რომ საქართველოზე შეყვარებულ ადამიანზეა... რომელიც ცამეტი წლისა გაათხოვეს უცხო მხარეში. სრულიად პატარა და უმწეო არსება, თამარ მეფის შვილიშვილი — ასევე თამარი და დღეს უკვე გურჯი-ხათუნად წოდებული. მან დიდი პატივისცემა

დაიმსახურა იქაური ხალხისაგან. ყველამ შეიყვარა, მაგრამ მან არ ირჩია იმ ქვეყანაში ყოფნა, სადაც ქართული ჰაერი არ ტრიალებს. ამბობენ, რომ გაუჩინარების წინა ღამეს თამარი უყურებდა იმ ერთადერთს, რაც საქართველოს ახსენებდა. ეს არის მისი ბრძანებით აშენებული, პოეტის საპატივცემულოდ დადგმული შენობა, რომელიც ძალიან ჰგავს ქართულ გუმბათიან ეკლესიას. ალბათ ის იმ ღამით ემშვიდობებოდა იმ ერთადერთს, რაც საქართველოს ახსენებდა.

რატომ დაბრუნდა? ამ კითხვაზე ისევე ძნელია გასცე პასუხი, როგორც იმაზე, თუ რატომ გიყვარს დედა, ან რატომ გიზიდავს ადამიანი, რომელსაც შენი შეყვარებული ჰქვია? არ იცი, ხო? ვერც ამ კითხვაზე გასცემ ბოლომდე პასუხს. კი, ჩამოთვლი ფაქტებს, თუ რატომ დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ფორმალური. ამ დაბრუნებაში არ არის პასუხისმგებლობა — როდი იჩენს გათხოვილი ქალი პასუხისმგებლობას თავისი ძველი ბინის მიმართ. უბრალოდ ვალდებული იყო ჩამოსულიყო იმ მიწაზე, რომელიც ყოველთვის ეძახდა. ძნელია თქვა ყველანაირ სიმდიდრეზე უარი, განაქარვო შენი დიდება და იმყოფინო ის, რომ სადღაც უსახელო საფლავი გქონდეს. თუმცა აქ სხვა რამ არის — თუ ეს საფლავი საქართველოშია, მაშინ რა აზრი აქვს სხვაგან დიდებას? თამარი შეეთვისა ახალ სამყოფელს, ყველაფერი შეიცვალა, დაემორჩილა ცხოვრების წესს, მაგრამ გულს და სულს ვერაფერი მოუხერხა... შეიძლება ტრადიციული სამოსი გაიხადო, ჩვევები შეიცვალო, მაგრამ ღმერთის საჩუქარს ვერაფერს უზამ, გულს ვერ გააჩერებ ისევ ძველ ადგილას რომ არ მიგიყვანოს, და თუნდაც მხოლოდ მიწას შეეხო, ერთხელღა ჩაისუნთქო და განუტევო...

ტრაგიკულია ასეთი ადამიანების ბედი... და მათი მაგალითიდან, უნდა შეიგრძნო, თუ რა ბედნიერი ხარ ადამიანი, როცა შენს მიწაზე აღსრულება გეღირსება...

3.

ძნელია იცხოვრო ცოტა ხნით და ეს დრო სრულად მოანდომო ხორბლისგან ფეტვის გამორჩევას... გავლო ეკლიანი და პატარა გზა მძიმე ტვირთაკიდებულმა და „დაიმკვიდრო სასუფეველი სადა არ არის ჭირი-მწუხარება, სადაცა მართალნი განისვენებენ"... ეს მხოლოდ ღმერთით არის შესაძლებელი... ილია ღვთის კაცი იყო... ერში იყო და, არა თუ ცხონდა, არამედ იმდენი დაიმსახურა, სინოდმა წმიდანად შერაცხა იგი... ხალხისთვის დამდაბლდა, და ღმერთმა აამაღლა... მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი დანიშნულება უფლისა და ქართველი ერის წინაშე... მან პირნათლად შეასრულა თავისი მისია...

ყველა კარგ ქართველს დასწყდა გული, ილია რომ მოკლეს. როსტომ ჩხეიძემ შეკრიბა ამ ადამიანების გრძნობა-ემოციები და ერთად მოათავსა ამ „ეკლიან და პატარა გზა"-ში. თითოეული განიცდის იმას, რომ მოკლეს და გააქრეს კაცი, რომელსაც ყველაზე მეტად უხდებოდა ქართველობა...

ცოტაა ის, ვინც ბოლომდე იაზრებს თავის ამქვეყნიურ დანიშნულებას... მხოლოდ გმირებს თუ შეუძლიათ დაივიწყონ პირადი და აკეთონ საქმე ყველასი... და მართლაც, რომ არა ილია, რა იქნებოდა დღეს? არ მსურს ამაზე ვიფიქრო და რომც გავიფიქრო, არ ვიტყვი, ეშმაკს არ გავახარებ... რა, განა მხოლოდ ილია იყო მოვალე და პასუხისმგებელი? განა თითოეული ჩვენგანისთვის ისეთი არ არის სამშობლო, როგორც ილიასთვის იყო? მაგრამ სიყვარულსაც ხომ ნიჭი სჭირდება, ღვთისგან მომადლებული ნიჭი...

ილიას სიკვდილი ქართველი ერის სიკვდილს ნიშნავდა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ კიდევ იყვნენ ადამიანები, ვისშიც სუფევდა სული ქართველისა. მოკლეს, და ეს იყო თავზარდაცემა საქართველოსთვის... დარდისგან ხე გაკაცდა და კაცი კი გახევდა... სიკვდილი არ არსებობს, არსებობს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა... და თუ ერთხელ მიდიხარ, სახელიანი უნდა წახვიდე ამ ქვეყნიდან...

ეკლიანი გზა, სადაც არცერთი ვარდია, ძალიან ძნელი გასავლელია... რა ცუდია, რომ დრო გვზღუდავს, რა ცუდია რომ კარგ ადამიანებს ორი სიცოცხლე არ აქვთ... მეორედაც მოკლავდნენო. როგორ? რანაირად? არ იქნებოდა, მეორედ ხალხი აუცილებლად დაიცავდა, ყველა თავის გულს შეუშვერდა, ყველა თავის სიცოცხლეს დათმობდა... იცით, რატომ? იმიტომ, რომ მას შეეძლო ახლის და კარგის გაკეთება, მას შეეძლო ის, რასაც საქართველოს თავისუფლების მოპოვება ჰქვია. ის იყო მაგნიტი და იზიდავდა ყველაზე კარგ და რჩეულ საზოგადოებას.

ილია არ მომკვდარა... არც მოუკლავთ და ვერც მოკლავდნენ...

ილიასნარები რომ კვდებოდნენ, მაშინ ჩვენ, მოკვდავთ, რა გვეშველებოდა?.. ბნელი ვერ შთანთქავს ნათელს, ბოროტება უარსებოა და დროებითი, ხოლო სიკეთე სანთელია, რომელიც არასდროს არ ჩაქრება... და ღმერთო, ილიაც ხომ უკვდავია...

ოთხი რეფორმატორი

ოთხი რეფორმატორი შეიყარა მაყვლის ბუჩქთან. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიო უნდა გარდაქმნილიყო.
„უნდა გავაუქმოთ საკუთრება," თქვა ერთმა.
„უნდა გავაუქმოთ ქორწინება", თქვა მეორემ.
„უნდა გავაუქმოთ ღმერთი", თქვა მესამემ.
„ვისურვებდი შრომა გაგვეუქმებინა", თქვა მეოთხემ.
„მოდი ნუ გავცდებით პრაქტიკულ პოლიტიკას," თქვა პირველმა, „უპირველეს ყოვლისა გავათანასწოროთ ადამიანები".
„ჯერ", თქვა მეორემ, „უნდა შემოვიღოთ სქესობრივი თავისუფლება".
„ჯერ", თქვა მესამემ, „უნდა მოვიფიქროთ თუ როგორ მოვახერხოთ ეს".
„პირველი ნაბიჯი იქნება", თქვა პირველმა, „ბიბლიის გაუქმება".
„ჯერ", თქვა მეორემ, „გავაუქმოთ კანონები".
„ჯერ", თქვა მესამემ, „გავაუქმოთ კაცობრიობა".

რობერტ ლუის სტივენსონი

თამარ ადამია

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი)

1.

არსებობს მარადიული თემები, რომლებზეც საუკუნეთა მანძილზე წერენ, დავობენ, თანხმდებიან ან ვერ თანხმდებიან ადამიანები. აი, თუნდაც: ვინ არის ადამიანი, როგორ შეიქმნა, შეიქმნა თუ არა საერთოდ, რა შეუძლია, რა ევალება, რა ადგილი უჭირავს სამყაროში... აშენებულა უამრავი ობსერვატორია, პირამიდა, დაწერილა უამრავი წიგნი, მთვარეზე გაფრენილა ადამიანი, გადაღებულა უამრავი ფილმიც... არსებობის მანძილზე კაცობრიობას თითქმის ყველა ხერხი გამოუყენებია პასუხების მისაღებად, მაგრამ მაინც ყველა ადამიანმა თავიდან უნდა გაიაროს ეს გზა, თავისით. წეროს, იკითხოს, იკამათოს, მიაგნოს, ან სულაც ვერ მიაგნოს პასუხს, მაგრამ ეძებოს თავისი საქმე, თავისი არჩევანი, ფუნქცია, ადგილი, საკეთებელი და არ გაექცეს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც ადამიანობა ქვია. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მთავარი.

ახლა მახსენდება, ჩემი მეგობრის სოფელში ერთი კაცი ცხოვრობს. მეეზოვე არ არის, მაგრამ იქ რომ ვიყავი, უთენია დაივლიდა ორღობეებს და საკუთარი ხელით გვიდა, აწესრიგებდა, წყაროს ასუფთავებდა... ამას არავინ ავალებდა. ვის წყალს მოუტანდა, ვის შეშას მოაზიდვინებდა. მეზობლები ჰკვირობდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ, სიგიჟედაც კი უთვლიდნენ. ზამთარში, როცა ყველა ქალაქში ჩამოდის, ეს ერთი კაცი რჩება სოფელში, საქონელს იტოვებს სხვებისას, პატრონობს ზაფხულამდე, ყოველდღე ადის მეზობლების სახურავებზე და თოვლისგან ასუფთავებს, ღობეებს ასწორებს, თუ ჩამოიშალა... ეს ერთი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რომ ვუყურებდი, რაღაცნაირად მთლიანი მეჩვენებოდა. მას ქონდა თავისი, სულ უბრალო, მაგრამ თავისი ფუნქცია, თავისი საკეთებელიუ და მთელი გულით, მთელი თავისი სიყვარულით აკეთებდა ამ საქმეს.

კიდევ ერთ გოგოს ვიცნობდი, სამი შვილი ჰყავდა და ბავშვთა სახლში მუშაობდა ფსიქოლოგად. ძალიან მძიმე საქმე იყო, უმძიმესიც: საშრომი მთელი დღე და მერე, მთელი ღამე ტირილი იმ ბავშვის გახსენებისას, ცრემლიანი თვალებით რომ ეძახდა დედას... ძალიან იღლებოდა, არადა, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, შეეძლო არ ემუშავა. უბრაზდებოდნენ — დაისვენეო, ეს მართლა არ იყო ნორმალური საქციელი, ის კი მთელი თავისი არსებით ეძლეოდა ამ საქმეს, სულ მასზე ფიქრობდა; მერე ის ბიჭი იშვილა...

ჩემი აზრით, ეს ერთიდაიგივე ამბებია, რომლებიც მოგვითხრობენ მათ შესახებ, ვინც მიაგნო იმ ერთს, ყველაზე მთავარს, რაც ადამიანს არანორმალურად და ამავდროულად გამორჩეულად აქცევს, რაც გულის სისხლს მოითხოვს საფასედ, მაგრამ სანაცვლოდ, ადამიანობით გვაჯილოვებს. სულერთია, მეეზოვე ხარ, ფსიქოლოგი, ექიმი, მკერავი, მღვდელი... მთავარია, რამდენად იხარჯები. რამდენად გასცემ იმას, რაც მოგეცა.

და თუ ასე ფიქრობ, იმ ერთის, ყველაზე მთავარის მსახური, დევიდ შორის ტელესერიალის, "ექიმი ჰაუსის" გმირივით, უარის ოფიციალური დოკუმენტიც რომ არსებობდეს, შენს სამედიცინო ლიცენზიასაც საფრთხე ემუქრებოდეს, ყველა კანონის დარღვევით ძალით გადაარჩენ ადამიანს და მერე, ფეხატკიებული და ჯოხითმოსიარულე, მოჩვენებითი სიმშვიდის ნიღბით საკუთარ სასამართლო პროცესზეც მხოლოდ დროის გაწელვას შეეცდები, რათა ისევ იმ ადამიანს უმკურნალო, რომელმაც გიჩივლა და რომელსაც თვითონ არ სურს განკურნება...

რეჟისორმა ძალიან ზუსტად დაგვიხატა, თუ რას ნიშნავს პირნათლად აკეთო შენი საქმე, ბოლომდე გააცნობიერო შენი მოვალეობანი, პასუხისმგებლობა, და დაგვანახა ისიც, რომ თუ ასე მოიქცევი, უქმად არ ჩაივლის შენი ამაგი და წარმატებას აუცილებლად მოიპოვებ, — დევიდ შორის მეამბოხე, დაუმორჩილებელი და თან საოცრად ერთგული ექიმი ჰაუსივით...

2.

გურჯი ხათუნი...

"ვინც ტოტებს აიყრის, როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით"...

გურჯი ხათუნი...

ფიქრის საღერღელს აშლის ეს სახელი, აამღვრევს და შორს გაიტაცებს...

გურჯი ხათუნი...

გულზე ჯერ მალამოდ მოგეცხება და მერე მხილების ქარ-ცეცხლში გაგატარებს, არ დაგინდობს, ორი ხელით ჩამოგახევს სიყალბის ნიღაბს და გაიძულებს თვალებში ჩახედო რეალობას.

ამბობენ, წუთისოფელი ამაოა, ყველაფერი წარმავალია, განქარვებადი და უნდოო, მაგრამ ტყუილია! თვითონ ამაოებაა ამაო! წარმავალობა და უნდოობა არ ვარგა, თორემ სიცოცხლე სწორედაც რომ ყველაზე დიდი განძია; ეს ქვეყნიერებაც, მთელი მზისქვეშეთი და ყოველი ნიჭი ამქვეყნიური მხოლოდ უგუნურისთვისაა არარაობა. ერთი უბრალო ყვავილი რომ აიღო და კარგად დააკვირდე, ვერ გაიმეტებ გასაფუჭებლად გულისხმიერი ადამიანი, არათუ მთელ სამყაროზე აიღო ხელი და განაცხადო, რომ რაღაც უაზრობის შედეგია ეს მშვენიერება. მითუმეტეს, თუ ქრისტიანი ხარ და სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ გეძლევა. ბოლომდე უნდა დაიხარჯო, მთელი შენი არსებით ეცადო შეიცნო, დაეუფლო, მიიღო, ისწავლო და მერე გასცე და აღასრულო ვალი ადამიანური...

გურჯი ხათუნი...

13 წლისა მოუშორებიათ დედას, სახლს, სამშობლოს, 13 წლისასთვის დაუდგამთ მძიმე უღელი მეუღლისა და უფრო მძიმე გვირგვინი დედოფლისა, მაგრამ არ შემდრკალა, ქედი არ მოუხრია და სამუდამოდ დაუმკვიდრებია თავისი ადგილი არა მარტო ქართველი, არამედ თურქი

ხალხის გულშიც. მხსნელად და მფარველად მოვლინებია ახალ საბრძანებელს. დღემდე თურმე ლეგენდებად ყვებიან მის თავგადასავალს...

მოლა ნასრედინი, სახელგანთქმული მოლა ნასრედინიც კი მოუხიბლავს და ისე აუბნევია თავგზა, რომ ბიოგრაფებს ხალვის ქურდობის დაბრალება მოუხდათ მისთვის...

გულში ჩამრჩა ბოლნური ჯვარი სასახლის ნანგრევებზე, თურბე ქართული გუმბათით და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია გასაოცარი ფრესკით...

მართლაც, როგორი უნდა იყო ადამიანი, რომ სხვა ტომისა და რჯულის ხალხმა ვარსკვლავს დაარქვას შენი სახელი...

მიყვარს სიცოცხლით სავსე ადამიანები, მზეს რომ ეგებებიან ყოველ დილით, საქმის კეთება რომ შეუძლიათ, სისხლსავსენი, ჭკვიანნი, მუხლმაგარნი, შეუპოვარნი რომ არიან...

გურჯი ხათუნი...

13 წლისაც რომ მოგაშორონ დავითის, თამარის, შოთას საქართველოს და უცხო ქვეყნის უცხო შვილის ცოლობა მოგისაჯონ, სულით არ უნდა დაეცე, შენი ტკივილით უფრო მეტად უნდა გამტკიცდე, ასმაგი ბედნიერებისთვის იღვაწო და ბოლოს, გულის კუნჭულში გადამალულმა საიდუმლომაც რომ დაგიმორჩილოს, ყველა მოვალეობის მალულად, სავაჭრო ქარავანს რომ ჩამოჰყვე მშობლიურ მიწაზე და მერე ყველასგან უჩუმრად გარდაიცვალო, შენ მაინც გამარჯვებული იქნები — არდანებებისთვის.

ტექსტისა და მუსიკის ერთიანობა

ამერიკელი მწერალი — პოსტმოდერნისტის ტომას პინჩონის ახალ რომანს ერთვის იმ სიმღერების ჩამონათვალი, რომლებიც წიგნის ფურცლებზე „გაისმის“. „თანდაყოლილი ცოდვა“ — კერძო დეტექტივის — ლარი სპორტელოს, მეტსახელად „დოკის“ ამბავი — რამდენიმე კვირის წინათ გამოჩნდა მაღაზიებში. ამავდროულად უმსხვილეს წიგნის სავაჭრო საიტზე „Amazon.com“ გაჩნდა მუსიკალურ ნაწარმოებთა ჩამონათვალი (ფლეი-ლისტი), რომელიც თვით ავტორმა შეადგინა საგანგებოდ ახალი რომანის მკითხველთათვის.

საერთოდ ავტორის სიაში 42 ტრეკი შევიდა. ამ რომანის თაყვანისმცემლებმა კი წიგნის ფურცლებზე სხვა მელოდიებიც აღმოაჩინეს და მისი რიცხვი 100-მდე გაზარდეს.

გმირები რომანისა, რომლის მოქმედება 60-იანი წლების ბოლოს ლოს-ანჟელესში ვითარდება, უსმენენ ბითლზს, ფრენკ სინატრას, ბიჩ ბოისს... ტექსტისა და მუსიკის გაერთიანების მცდელობა პირველი ექსპერიმენტი როდია თანამედროვე ლიტერატურაში. ასე მაგალითად, ხარუკი მურაკამის რომანებში ისმის ჯაზური კომპოზიციები, რომლებიც წიგნს დართულ დისკზეა განთავსებული.

3.

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“

შუაღამისას, საქართველოს კარზე კაკუნი გაისმა. „რა გასაკვირი იყო, რამდენი ნაცნობი შეუფარებია ამ დროს, მეგობრები ხომ რა სათქმელია“, თან, „არასოდეს უკითხავს, ვინა ხარო”... მაგრამ ახლა რაღაცამ დააბნია, გააშეშა, კარის გაღებისა შეეშინდა.

ეს შიში ჩარჩა გულში, დილითაც სულ თან ახლდა და არ ასვენებდა, არ შორდებოდა. თან ეს არ ყოფილა მხოლოდ შიში, სიფრთხილეც ეთქმოდა, გონივრული სიფრთხილე — კარი რომ არ გააღებინა, ან უფრო რაღაც დიდის, დაუოკებელის, შეუჩერებელის, თავად გარდაუვალობის მოლოდინსაც ჰგავდა... უცნაური იყო, არ ასვენებდა, თავგზას უბნევდა; ფეხი ერეოდა, ბარბაცებდა უკვე და ბოლოს, იქამდეც მიიყვანა, რომ კარის გაღებაც ველარ გაბედა... მანამდე კი დიმიტრი ყიფიანის მოკვლის ამბავი რომ შეიტყო, ხმა ვერ ამოიღო... აკი ასეც თქვეს, — „როგორი ფრთხილია ეს დალოცვილიო“... არადა, იმ სამგლოვიარო პროცესიას, საპროტესტო მსვლელობას უფრო რომ ჰგავდა, ჰაერივით სჭირდებოდა გამხნევება, მისი მეხი სიტყვა, ექსპრესია... დუმდა, მთელი საქართველო დუმდა და ყურებში ისევ ის ვერდავიწყებული კაკუნი ესმოდა ყველას...

„ცუდ, ძალიან ცუდ ამბებს ელოდნენ დანიის სამეფოში“.

არადა, სიყრმიდანვე ქართლის ბედს იყო აყოლილი ილია, მთელი თავისი დღე და მოსწრება მისი სამსახურისთვის შეელია, არ დაეშურებინა არაფერი, სრულიად არაფერი და ეჭვიც არასოდეს შეუტანია თავის მრწამსსა და ხედვაში, არასოდეს გასჩენია ბზარი მის შეუპოვრობას, არასოდეს!

ამას მოწმობდა ის გაოცებაც ერთი გლეხისა, მის ალანძულ და ცეცხლმოდებულ სახეს რომ ვერც ივიწყებდა და ვერც იმას ხვდებოდა თუ „რა უნდა სწყენოდა?!”... არადა ილიას სურდა და ცდილობდა კიდეც ყველა ღელეთ ღუნია ყოფილიყო. ყველას ხსომებოდა ჟამი, როცა „ქალაი ქალაბდის და ვაჟაი ვაჟაბდის”, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“...

განა ილიას შეურაცხყოფისთვის არ გადაამტვრია ქოლგა ეკატერინე გაბაშვილმა ერთ უგუნურს...

განა ჭირისუფალი, იდეოლოგი, მედროშე არ იყო თავისი ქვეყნისა, ბიბლიური მოსესავით რომ მიუძღოდა აღთქმული ბედნიერებისკენ; მაგრამ მოსეც ხომ ვერ შევიდა ქანაანში. ნუთუ ისიც ამ ოფლისა და სისხლის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობის ზღურბლთან უნდა დარჩენილიყო?! ნუთუ მასაც, მოსესავით, ხელისგულივით უნდა ეხილა ორმოცწლიანი ხეტიალისას ნაოცნებარი აღთქმული მიწა და ვერ კი მიახლებოდა...

ნუთუ ამას ნიშნავდა ის დამაყრუებელი კაკუნიც და საიდანღაც სრულიად დაუჯერებლად შემოხიზნული დუმილიც— დიმიტრი ყიფიანის ნეშტთან რომ დაამუნჯა... ნუთუ სწორედ ამიტომ ვერ გაიმეტეს გიგლა ბერბიჭაშვილიც, რადგან მხოლოდ მახვილი იყო განგების ხელში, რომლისთვისაც ილიას თავისი ხარკი უკვე მიერთმია, თავისი ვალი მოეხადა და ახლა, უბრალოდ, უნდა წასულიყო... სურნელი შეეგრძნო ინ ნაოცნებარი მომავლისა, ასე მალე აწმყოდ რომ გადაიქცეოდა, მაგრამ არ ღირსებოდა მასთან მიახლება...

შუაღამისას საქართველოს კარზე კაკუნი გაისმა. „რა გასაკვირი იყო, რამდენი ნაცნობი შეუფარებია ასეთ დროს, მეგობრები ხომ რა სათქმელია, თან, არასოდეს უკითხავს ვინა ხარო”...

მაგრამ ეს სულ სხვა კაკუნი იყო, სულ სხვა — „ახალი ჟამი” მოსულიყო სტუმრად... XX...

როცა დავიბადე, მზის თვე იყო, ივლისი, 1986 წლის. უკვე ოცდაოთხჯერ მომილოცეს.

ზესტაფონის მეორე საშუალო სკოლა წარმატებით დავამთავრე, თუმცა მშობლები საფუძვლიანად მწმენდდნენ ამბიციებისგან — არ იყო საჭირო.

მე ავირჩიე, რა მინდოდა მეკეთებინა მთელი ცხოვრება. ვიცოდი, რომ ლიტერატურასთან უნდა ვყოფილიყავი ახლოს. და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ამის საუკეთესო საშუალება იყო. იმედები არ გამცრუებია. ბედნიერი ვარ და ამაყი ჩემი პროფესიით. მაგისტრატურაც მოვილიე, ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით. მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ, და ვცხოვრობ უკეთესი მომავლის იმედით...

...სულ უბრალოდ დავიწყე — მივხვდი, რომ სრულყოფილი სუნთქვისთვის ჰაერი მჭირდებოდა, ოღონდ არა ისეთი, როგორითაც სხვები არსებობენ.

არა გამჭვირვალე და უხილავი, არამედ ფერადი და ყველა ძარღვამდე საგრძნობი.

არა სხვასთან საზიარო. მხოლოდ ჩემი და საკუთარი.

ჰაერი, რომელიც არსებობას გამიადვილებდა. დიდხანს არც მიძებნია. როცა მივხვდი მის ნაკლებობას, უკვე ჩემთან იყო და საჭირო რითმას მაძებნინებდა მორიგი სტროფისთვის.

გვიან დავარქვი ამას ცოტა საშიში სახელი — ლექსი. საშიში იმიტომ, რომ დაწერილებს მიუცხოვებს, როცა ერქმევა. მირჩევნია, როცა მხოლოდ მეჰაერება და არ მე-ლექს-ება.

მე ასე ვსუნთქავ...

ლანა ედიბერიძე

ეს პროზად

მზეზე ბელურები სხდებიან..
ღრუბლებს წყალმანკი აქვთ აგერ უკვე მესამე დღეა..
მგონია მომწყინდა და უსურვილობა დამემართა..
კედლებიდან საკუთარი დაღლილობა მიყურებს და
ვგრძნობ, ასე დაღლილი ველარ გატარებ..
თუმცა, ერთ დროს ჩემი სიმსუბუქე ხელის გულზე
დაგიდე, შენი სიმძიმე თვალებში ჩავიტიე და ქუთუთოებით
გასეირნებდი ჩემი ცხოვრების კიბეზე..
ასე ავიარეთ ზუსტად ოთხმოცდაცხრამეტი საფეხური..
მაგრამ რატომღაც მეასეზე გადაწყვიტე,
რომ ჩემმა სიმსუბუქემ ზომაზე მეტად დაგამძიმა და..
ფრთხილად ჩამოსვი ხელისგულიდან..
მერე არ ვიცი სად წახვედი..
შენი სიმძიმე ატირდა ჩემს თვალებში და ველარ შეგნიშნე...

მე ისევ მივყვები კიბეს..
შორს ვარ..და თან მარტო..
როდის დამეწევი?!

მენატრები..
შენი სიტყვები მენატრება..
იმ ბელურების ფრთებისქვეშა ღინღლივით თბილი,
ახლა რომ მზეზე სხდებიან..

მე აუცილებლად მივალ მზემდე..გავივლი მის გულზე..
შიშველი ფეხის გულებით და თვალებში შენით..
ოღონდ ჩემმა ზოდიაქომ არ დამკბინოს,
მზეზე ალმურივით მოდებულმა..
მზის პიუპიტრზე ცივი თითით დავწერ ჩვენი სიყვარულის ნოტებს — აუცილებლად ვიოლინოს გასაღებში..
(მზეს ბანის გასაღები არა აქვს..)
მერე მივალ ბელურებთან და ერთ პეშვ მზეს ვითხოვ..
სანაცვლოდ იმდენ წყვილ სიმღერას დავტოვებ, რამდენიც
ნაკვალევი დარჩება მზეზე — ჩემი ნაკვალევი..

მერე დავბრუნდები უკან, ოღონდ ისე, რომ მზეს
ზურგს არ შევაქცევ..
დავბრუნდები..
შიშველი ფეხებით..
კოჭებზე ზოდიაქოს ნაკბენებით,
მზიანი პეშვით და
თვალებში შენით..

ასე მომეხსნება დაღლილობა..

მზე ყირამალას გადავა ასჯერ..
ღრუბლებს წყალმანკი გაუვლით და,
გნახავ, ალბათ..
წყურვილს შეგატყობ თვალებში და ჩემი მზიანი
პეშვიდან დაგალევინებ სიყვარულს..

შენი სიმძიმე ისევ დილისფერ თვალებში მექნება..
მაგრამ ჩემი სიმსუბუქე რომ დაკარგე?!
იქ დარჩა.. მეასე საფეხურზე..
ვინმე იპოვის და აიტანს მზემდე..

ჩვენ კი..
ჩვენ..
დავჯდებით ვარდისფერ საქანელაზე და ჩვენი სიყვარულის
პალიმფსესტს დავწერთ..

იქნებ ზოდიაქოს ნაკბენებიც დამიშუშდეს..

მზეზე ბელურები სხდებიან..

..დეპრესია..

უაზრო ლოდინი..
შავ-თეთრად სამყარო..
ცდილობ, რომ ლოგინის გარშემო დაყარო
წიგნები —
პირამდე სავსე და დაღლილი
სხვების ტკივილებით..
ეძებო ნამდვილის
ყალბთან შეფარდება..
რომ არ გეზარება, ისე დააპურო
ფურცლები ავპირი

შენი ტკივილებით..
სხვისას შეუხამო შენი დარდის ტონი..
იცი, რომ წიგნები ჯვარცმად გეგულება..
წიგნები —
სულ სხვების დარდის და ტკივილის
ჭრელი და ზარმაცი,
უშნო კრებულები..
და ვერ ეგუები
სარკიდან გადმოსულ
სახეს და..
თვალებს და..
ანფასს და..
პროფილს და..
ჩააქრე შუქი და
ეშმაკი გადმოსვი
უცნობი პოეტის
ნაცნობი სტროფიდან..
ამ კატასტროფიდან
ეძებე საშველი, ისე, რომ
თან გინდა, თან — არა..
(თან ყავა!)
ჩაიცვი,
ან სულაც შიშველი კისერი
ყულფს შემოახვიე...
ან ყულფში გაყავი..
ჰოო.. ყულფში გაყავი..
ესაა მიგნება!
წააგე!
და ახლა რულეტზე ზეროა..
დღეს შიში იქნება
იმაზე ცხელი და
იმაზე მაღალი ,
ღრუბლებში მზე როა..
ინატრე ვინმე და
თითქმის მოუყევი
როგორ ისულდიდე,
როგორ იმარტოვე..
სხეული საკიდზე ნათხოვარ ქურქივით
უღვთოდ მიაკიდე..
ისე მიატოვე..
მერე ეავტორე
ტკივილს უსაშველოს..
მუჭში ჩაიტოვე
სევდის ნასამალი
დადექი სასწორზე..
ოღონდ უსხეულოდ..
არ გაქვს გასამხელი..
აღარც დასამალი..
თუმცა, არ გგონია
სულიც თუ ცრუვდება..
აპირებ ხვალისთვის —
იწყევლო თავბედი..
დღეს კი აგონია ასე დასრულდება..
შენ და ეს ლექსებიც
ასე დამთავრდებით..
ხვალ კი — გათენდება
ღამე ნასიზმრები..
მღვრიე ფერებით და
სავსე გაბრუებით..
და დღე გაგრძელდება..
უაზრო ლოდინით..
გამოფხიზლებით და
ყულფთან დაბრუნებით..

..ასეც..

ღამით შევხვდით..
აგვისტოს თვის ხვატიანში
გრილი ვაზის ჩარდახის ქვეშ..
მთვარე — თითქოს კონა ციცინათელების..
თითებიდან დაწყებული
თამაშ-თამაშ მოპარული სიახლოვე და
ჩუმალა..
საჩურჩულო ნატვრა გვიან გათენების..

წამით წამზე ჩემს ფიქრებში
ისერიგად გავარჯდი და გაიტოტე..
მეგონა,
რომ გულში გზრდიდი
დღიდან თვალის ახელისა..
გამაოცე..
აიცოცებს
კაბას მთვარე მუხლზე ზემოთ..
შენი ხელიც მხრებზე ისე ამაცოცდა,
როგორც....
რა ვქნა?!
უნდა გენდო?!

მძივი ჩაწყდა..
ღვინისფერი მარგალიტის ბურთულები
კისერიდან ტერფებამდე ჩამიგორდა
უწესრიგოდ..
თრთოლვითა და სიკანკალით,
მაგრამ რაღაც უჩვეულო სიკამკამით..

სანთლისფერი,
ნაფითრალი ტუჩებიდან
ნაფიქრალი ვთქვი და მერე...
შენი სუნთქვა — ასე ახლოს..
ღამის სუნი — ოდნავ მლაშე..
და ტუჩები — შენი, მშვიდი —
მნიფე, გრილი ალუბლები ღრუბლიანში..

ნუ მიმაჩვევ!
ღამის თვალო, ნამიანო, ცრემლიანო,
გაშრი მალე!
ღობის მიღმა შეგვნიშნავდა მოთვალთვალე
ალბათ. ვინმე..
ახლა ვფიქრობ :
ნაფერები ატამივით გავშრიალდე..
თუ აპრილის ტყემლებივით ავყვავილდე?!..

არ წახვიდე!

ახალგაზრდებო, ან კი თქვენ

მაინც გაქრი..
მომდურავი ჩიტებივით გავთითოვდით..
აგიტანდი,
ცოტა ხანს რომ გვეზაფხულა,
რადგან ადრე, აგვისტომდე,
მხოლოდ თოვდი..

დაგითმობდი
ყვითელატმებმსხმოიარე
მზერას ჩემსას — ღამის მთვარით განაშუქებს..
გაგითბობდი
სულს — ნათოვარს..
ხმას — ნათხოვარს..
არ გამოვაა?!
ჩანს, რომ არა!
გ ა გ ა ჩ უ ქ ე ! ! !

გახედე!.. სადღაც ცა უნდა იყოს..

გახედე!.. სადღაც ცა უნდა იყოს..
მერე მაცხოვარსაც დაინახავ..
ოღონდ დაჟინებით, დაღლამდე, თვალების
გაშრობამდე შეემზირე..
იქ ნამდვილია..
საღმერთო და საანგელოზო..
თორემ საადამიანო მეც მაქვს..
აქ, ჩემს ოთახში..
მე და ამ ჰაერს გვმადლავს უკვე რა ხანია..
გამხმარი ბზის ტოტები ადიდებენ..მდუმარეა..
ფერმკრთალი..
თვალებში პოეზიით სავსე სიმშვიდე უსვენია ..
ნაკვნესი ხელისგულებიდან კი სისხლის მაგივრად
ლექსები გადმოდის..
.....
ბავშვობაში, დედას ხელჩაკიდებული მივყავდი მასთან და
ნატვრას მასწავლიდა —
გულზე დადებული ჯვრადქცეული ხელებით
და თაფლისსუნიანი სიტყვებით..
(დედას ნაწნავი არ ჰქონდა..არა და, მინდოდა, ჰქონოდა..)
ყოველთვის, როცა ჩემი ოთახის მაცხოვართან
თვალდახუჭული დგება,
დედა შაქრისფერია და მძინარე გვირილების სუნი აქვს..
.....
მერე ბავშვობა სევდისა და ფიქრის ფერით შემეცვალა..
დედის გარეშე მივედი..
თითო ნატვრას თითო "მაპატიე" დავუმატე..
არ უკვირს — შენ მოხვედი და..
მან ხომ იცის, შენი ყოველი შემოხედვა
როგორ მეცოდება — რას არ ვფიქრობ!...

და მერე ვსაუბრობთ..
ჩვენ შენზე..
შენ — სხვებზე..

მაინც...

ყოველთვის,
როცა ჩემს ოთახში თეთრი დილა ჩამოდგება, იცოდე,
მიყვარხარ!!!
და ასე იქნება მანამ, სანამ შევძლებ ჩემი მაცხოვრის
ხელისგულებიდან
გადმოღვრილი ლექსები ვისუნთქო...

გაფხიზლებ...
გაფხიზლებ...
პირს დაგბან, ჩემი ხელით გადაგაცლი ნაღამურევს
ფიქრიანი თვალებიდან და

მერე მაინც...

გახედე!!!!

სადღაც ცა უნდა იყოს...

იქ ნამდვილია...

პირველი შთაბეჭდილება



ლია სტურუამ აღნიშნა ამას წინათ ერთი საჯარო გამოსვლისას, ახლა ყველა ბროდსკი გახდა, ყველა მისი მიბაძვით წერს, ამგვარ სიტუაციაში ორგზის უფრო ძვირფასია საკუთარი ხმის მქონე პოეტიო. ამ ასაკში დებიუტი საშიშიც არის, მაგრამ საინტერესოც, რადგან ადამიანი თავისუფალია ზეგავლენებისაგან, საკუთარი პოზიცია და სათქმელი აქვს. ლექსი მკითხველისათვის იწერება და პოეტიც ყოველთვის გულისხმობს მკითხველს. ამიტომ კარგია, რომ კოტე კაკიტაძემ გაბედა და გამოსცა ლირიკული წიგნი.

დაიღალა მკითხველი ამდენი ბრუმე, მძიმე სტრიქონებით, ეგზისტენციალიზმის ზღვარზე მდგარი ავტორებით, სათქმელის ხელოვნურად გართულებით. განსაკუთრებით ის მკითხველი, რომლისთვისაც ლექსი უპირველესად ესთეტიკური კატეგორიაა. ეს ნათელი, გამჭირვალე, გასაგები პოეზიაა. კოტე კაკიტაძისათვის ლექსი-მეტაფორა ჩვეულებრივი მოვლენაა.

„დრო სკდება გულზე", „ითქმება სიტყვა სათქმელზე გრძელი", „გავარდა ეს წელიც, ვით ტყვია ჟანგიან თოფიდან", „გათვალა თვალმა სათვალთვალო ელამი მზერით", „მეხი მუხას თუ არ მოხვდა, რა მეხია, მახარია!" — ამ სიტყვების ავტორი ნამდვილი პოეტია. „წვიმის შემოქმედება" პატარა კრებულია, მაგრამ მრავალფეროვანი, ავტორის სევდასაც იტევს და სიხარულსაც, ნოსტალგიასაც და მომავლის კონტურებსაც.

კრებულის წაკითხვის შემდეგ გიჩნდება მოლოდინის შეგრძნება. ავტორის დიდი პოტენცია თვალში საცემია. ეს კრებული და ეს პრეზენტაცია მისთვის სისხლის გადასხმასავით იქნება, მკითხველი სიამოვნებით დაელოდება მის ახალ ლექსებს და კრებულს.

მარინე ტურავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარნა-ბექა ჩილაშვილი უნიეში დაბადებული და თურქეთში მცხოვრები ქართველი მწერალია. განათლებით ჟურნალისტი წლების განმავლობაში ენციკლოპედიურ გამოცემებში მუშაობდა. თარგმნილი აქვს ლექსები, ნოველები და ისტორიული თხზულებანი. 2007 წლიდან თურქეთში მისივე დაარსებული თურქულ-ქართული ჟურნალის — „ფიროსმანი“ — მთავარი რედაქტორია. 2004 წ. გამოიცა მისი პოეტური კრებული „აპრილის ლექსები“, მოთხრობების კრებული „დამტოვე შორს“ და კრებული „უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს“, რომელიც დღიურების სახითაა დაწერილი. 2006წ. ქართულად ითარგმნა და გამოიცა ფარნას რჩეულ მოთხრობათა კრებული „სასაზღვრო ფიქრები“. ფარნა-ბექა ჩილაშვილი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორისაა „ქართველების ისტორია“ (1993) და „გამათავისუფლებელი ომის ლექსიკონი“ (1999, 2004). განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო ხანს ქართულად დაწერილი ლექსები და მოთხრობები. „რა იცოდა მამაჩემმა“ დაბეჭდილია კრებულში „უჩინმაჩინი“ (2007).

ფარნა-ბექა ჩილაშვილი

რა იცოდა მამაჩემმა

როცა სკოლაში არდადეგები იწყებოდა, დედა აიჩემებდა ხოლმე, ყურანის შემსწავლელ კურსებზე უნდა იაროთო. მაშინ მამას ვეკითხებოდით, მართლაც აუცილებელი იყო თუ არა ეს.

ეგ საქმეები დედაშენმა უკეთ იცის – გვეუბნებოდა მამა – თავის დროზე მეც დავდიოდი. ბავშვობაში ყველა დადის, მერე კი თვითონ წყვეტენ, რა უყონ ამ ცოდნას.

თანაც, ნუ დაგავიწყდება – მითხრა ერთხელ მამამ – ყურანი სურებისგან შედგება და ყოველი სურა „ბესმელლეთი“[1] იწყება.

პირის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ დასძინა:

ახლა არ მკითხო, რატომო, როგორც გჩვევია. ასეა და მორჩა, „ბესმელლეთი” იწყება. მიზეზი არც მე ვიცი. საჭიროც არ არის, ყველაფრის მიზეზი იცოდეს ადამიანმა.

მაგრამ მე მაინც ვერ მოვისვენე:

რატომ? რატომ იწყება „ბესმელლეთი” და საერთოდ, რას ნიშნავს „ბესმელლე”?

მამამ ჩემს შეკითხვას წაუყრუა და განაგრძო:

იმიტომ, რომ ადამიანები იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან. ხეები იზრდება, ბერდება და ხმება. ბალახი ყოველ წელს თავიდან ამოდის. აგერ რომ ქლიავია, ტკბილ ნაყოფს ისხამს, მეორე კი, მაღალი, წინ რომ დგას, მჟავეა. აი, ამიტომ – ასე ამიხსნა, რატომ იწყებოდა ყურანის სურები „ბესმელლეთი“.

ჩემთვის მამაჩემი ყოველთვის მოხუცი იყო და ასევე დარჩა. წვერს ატარებდა. ცხვირი მოკრივეს მიუგავდა, თუმცა ახალგაზრდობაში კრივით კი არა, ჭიდაობით იყო გატაცებული. უდარდელი კაცი გახლდათ. როცა დედაჩემის წნეხისგან თავის დაცვას ცდილობდა, თავის ჭკუაზე დადიოდა, ხშირად კბილის ტკივილს უჩიოდა და ამ მიზეზით სვამდა, აქაოდა ტკივილს გამიყუჩებსო, ნერვებს კი გინებით იწყნარებდა. ცხოვრებაზე ყოველთვის პრაქტიკული განმარტებანი ჰქონდა. ფაქტობრივად, გაუნათლებელი პიროვნება იყო. ბავშვობაში ინტერნატში დადიოდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ტილები დასევია, სკოლიდან გამოიქცეულა, შინ დაბრუნებულა და დედა დაურწმუნებია, რომ სწავლაზე მეტი კრინტიც აღარ დაეძრა. თუმცა მამა ვერ გააცურა, რის გამოც მისგან სიკვდილამდე საყვედურებს ისმენდა.

ცხვრის მწყემსად უნდა გამემწესებინე. „უზუნს”[2] ხომ უყურებ, ისწავლა და კაცი დადგა. ყველა წიგნის წაკითხვა შეუძლია. კარაბადინისაც კი.

„უზუნი”, მამაჩემის უფროსი ძმა, ნასწავლი ადამიანის პრივილეგიებით სარგებლობდა და ცხოვრებაში თითქმის არ უმუშავია. მამაჩემი კი, იმ ტილების წყალობით, სიცოცხლის ბოლომდე იძულებული იყო ვირივით ემუშავა. ამიტომაც, ცხოვრებაში ყველაზე მეტად „უზუნს” ვერ იტანდა. რადგანაც თავს რაც კი რამ ცუდი გადახდენია, ყველაფერი თითქოს „უზუნის” ნასწავლობის ბრალი ყოფილიყოს.

შესაძლოა მამაჩემის პრაქტიკულ განმარტებათა წყარო სწორედ ის იყო, რომ ცხოვრებას უზუნივით წიგნებიდან კი არა, რეალურად იცნობდა. ერთხელ ხის ძირას ვისხედით. საჩვენებელი თითი გაიშვირა და: ეს რა არისო, მკითხა. ცოტა შემრცხვა, რადგან ცუდი სიტყვა უნდა მეთქვა და: ფუნაა-მეთქი, მივუგე თავდახრილმა. თვალი თვალში გამიყარა და სათქმელი თავად თქვა:

ეს ნეხვია. ჩვეულებრივი ნეხვი, ძროხის ნეხვი. შენც დედაშენივით სიტყვებს ძალას ნუ აცლი. რაც არის, ეგ არის. ხედავ, გარედან გამხმარია, იმიტომ, რომ ცხელა და მზემ ნეხვის ზედაპირი გამოაშრო. ნეხვმა იარასავით ქერქი მოიკიდა.

მერე იმ იარას ქერქი შიშველი ხელით მოაცალა, მე კი თვალები მოვჭუტე და დავიჭყანე:

ნეხვს ხელი ახლე? – ვუთხარი ზიზღით. თითქოს არც გაუგონია, ისე განაგრძო:

შეხედე, შიგნით ჭიებია. იცი, ესენი რა არის?

მართლაც, უამრავი მატლი იყო და წარმოდგენა არ მქონდა, იქ რა ესაქმებოდათ.

ესენი ფუნდურებია – მითხრა მამაჩემმა – ნეხვით იკვებებიან. ესაა მათი საქმე, ნეხვის ჭამა. აი, ცხოვრებაც ამას ჰგავს ცოტა.

ერთ მშვენიერ დღეს, დილაადრიან, ისე, რომ ვერ გავარკვიე, ყურანის სურები „ბესმელლეთი” რატომ იწყებოდა და „ბესმელლე” რა იყო, პატარა შენობაში მივედი, სადაც ყურანს ასწავლიდნენ. კარებში მაღალი კაცი იდგა ხელში გრძელი ჯოხით. ის იყო, შეშინებული უკან გამობრუნებას ვაპირებდი, რომ გამიღიმა და თითით მიხმო. შიგნით რომ შევდიოდი, თავზე გადამისვა ხელი. ამგვარად,

შიში დავძლიე და შევედი. შესასვლელში ფეხსაცმელები ეწყო. მეც გავიხადე ფეხზე. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს ერთადერთი, ხელისგულის ოდენა ფანჯარა ჰქონდა. იქიდან შემოსული სინათლე მარტო შემოსასვლელ კარს ანათებდა. ოთახში, იატაკზე ბავშვები ისხდნენ. როცა თვალი სიბნელეს შევაჩვიე და მათი სახეების გარჩევა დავიწყე, მივხვდი, რომ მეზობლის ბავშვები იყვნენ. გასუსულები ელოდნენ, თითქოს ცოტა ხანში სრულიად მოულოდნელი რამ უნდა მომხდარიყო. ამასობაში ჯოხიანი მაღალი კაციც შემოვიდა და კარი მიხურა. ზედ ფანჯრის ქვეშ, შემაღლებულ მინდერზე[3] დაჯდა. თავისი გრძელი ჯოხი თავზე დამადო და მკითხა:

აბა, ერთი მითხარი, რომელი ლოცვა იცი?

უეცრად რატომღაც ის ამბავი გამახსენდა, ერთ საღამოს, გვიან, ნაქცეული ქვები რომ ყრია, იმ ბორცვის სიახლოვეს გავიარეთ და დედაჩემმა თქვა, ამ კატებს თარსი ფეხი აქვთო. მერე კი რაღაცების ბუტბუტს მოჰყვა. ვიცოდი, რომ ლოცვებს ბუტბუტებდა, მაგრამ როგორ უნდა მებუტბუტა, ეს არ ვიცოდი. ამიტომაც გრძელჯოხიანი, მაღალი კაცის შეკითხვას უცებ ვერ ვუპასუხე. თუმცა ის კი ვიცოდი, რომ დედაჩემი, როცა კი შიში შეიპყრობდა, ლოცვებს კითხულობდა და ამას ბავშვობიდან ერთგულებდა.

მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

დედამისიც, ანუ ბებიაჩემიც ასე იქცეოდა თურმე. როცა კი რამე უცნაურობას წააწყდებოდნენ – და ეს ყოველთვის ღამ-ღამობით ხდებოდა – მაშინვე ლოცვას იწყებდნენ და ამ უცნაურობებს თავს აღწევდნენ. ახლა უკვე მეც მესმოდა, რომელიმე ლოცვა რომ მცოდნოდა, თან მაღალი, გრძელჯოხიანი კაცისათვის პასუხის გაცემას შევძლებდი და თან იმ იარაღსაც დავეპატრონებოდი, რომელიც თარსი კატების შიშისაგან დამიცავდა. დედაჩემივით ანუ, ბებიაჩემის მსგავსად.

ბებია ერთხელ თურმე ღამე მოდიოდა და შემაღლებულზე ძაღლი დაუნახავს, დედა გვიამბობდა:

ცხადია, იმ დროს ჩვენც გვყავდა ძაღლი – ჰყვებოდა დედა – ისევე, როგორც კატა გვყავდა ყოველთვის. ის ძაღლი ახლაც მახსოვს, შავი ერქვა სახელად და კუპრივით შავი იყო თვითონაც. დედაჩემს გზაზე ძაღლი რომ დაუნახავს, გაგდება დაუპირებია. მაგრამ ძაღლს არაფერი ესმოდა. ძირს დახრილა, ვითომ ქვის ასაღებად, შევაშინებ და გავაქცევო. მაგრამ ძაღლი არც კი განძრეულა თურმე. ასე გვიყვებოდა დედა ყოველთვის და თან ისე ცახცახებდა, თითქოს ის ძაღლი იმ წუთსაც თვალწინ ედგა: „ვაიმე, არ გექანა!"[4] მართლაც, ძაღლი იოტისოდენადაც არ დაძრულა ადგილიდან.

მე შინაური ძაღლი ვარ, ვერ მიცანი? – უთქვამს ძაღლს ადამიანის ენით. გავშეშთიო,[4] ამბობდა ხოლმე დედაჩემი. მართლაც, ქანდაკებასავით გაქვავებულა. ხმის ამოღებაც მას შემდეგ მოუხერხებია, რაც სახლის მხრიდან ჩვენი ძაღლის ყეფა გაუგონია.

კარგი – უთქვამს აკანკალებული ხმით – მაშ ეს ვისი ყეფა ისმის?

განა ვინმეს ყეფა ისმის? – უთქვამს ძაღლს. დედას ყურადღება ძაღლის კბილებს მიუქცევია. კბილები ძაღლისას კი არ მიუგავდა, ძალიან განსხვავებული ჰქონდაო, ხაზგასმით იმეორებდა დედა, არ გავდა, არ გავდაო.[4] გასაგები იყო, რომ ძაღლს არც ყეფის ხმა ესმოდა. საერთოდ, ძაღლის ტყავში შემძვრალ სულებს ძაღლის ხმა არ ესმით თურმე, ისევე, როგორც კატის ტყავში შემძვრალებს – კატისა. წმინდა წიგნში წერია ასეო. დედას უთქვამს ამ მოჩვენება-ძაღლისთვის, შენ ძალიან თეთრი ხარ, ჩვენი ძაღლი კი შავზე შავიაო. ძაღლს თავი ისე დაუხრია, თითქოს თავისი ტანის დანახვა სდომებია.

მე თეთრი ვარ? – უკითხავს მერე. რასაკვირველია, სულები ჩვეულებრივ ვერც იმ სხეულს ხედავენ თურმე, რომელსაც ეპატრონებიან. სწორედ ამ დროს დედაჩემს ეს სიტყვები გახსენებია, უთქვამს და ძაღლიც უმალვე გამქრალა.

აბა, მითხარი, რომელი ლოცვა იცი? – შეკითხვა გამიმეორა მაღალმა, გრძელჯოხიანმა კაცმა. ამასობაში კი ძაღლის ამბავს ჩემს გონებაში ელვის სისწრაფით გაევლო.

ძაღლის ლოცვა – ვუპასუხე, თითქოს მართლა მცოდნოდეს. სინამდვილეში ძაღლების წინააღმდეგ ლოცვა რომ არსებობდა, ის ვიცოდი და არა მისი წაკითხვა.

ყველა გასუსულიყო. ამჯერად სხვას მიუბრუნდა:

მითხარი, აბა, რომელი ლოცვები იცი?

უცბად ისიც გამახსენდა, რომ ლოცვები კატებისა და მოჩვენებათა წინააღმდეგაც არსებობდა. ამაზე შინ ხშირად ჰყვებოდნენ. ერთ ცხენოსანს გადახდომია, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მამაჩემს გადახდა. რადგან წინათ მამასაც ჰყოლია ცხენი და შორ მანძილებზე იმ ცხენით დადიოდა თურმე. ამიტომ ამ ამბავმა ჩემთვის ამგვარი სახე მიიღო:

მამაჩემი ძალიან დაშორებულ ქალაქში წასულა ცხენით. რაღაც-რაღაცები უყიდია და შინ ბრუნდებოდა ცხენზე ამხედრებული. გვარიანად რომ ჩამობნელდა, გზაზე კატის კნუტი დაუნახავს. სულ პაწაწინა ყოფილა. ისე კნაოდა, ეტყობა დედას ეძებდა. სწორედ იმ დროს ჩვენს კატასაც სამი კნუტი ჰყოლია დაახლოებით იმავე ხნისა. მამაჩემს უფიქრია, რა სამი, რა ოთხიო, და კნუტი ხელში აუყ-

ვანია. ასე ბრუნდებოდნენ უკან – მამა ცხენით და კნუტი კი — მამაჩემის აბგით. ცხენი გზაში ისე დაღლილა, ადგილზე ჩაკეცილა. მამა ცხენიდან ჩამოსულა. კნუტიც ხელში ჰყოლია. ცხენიც ამდგარა და გზა გაუგრძელებია. ცოტა ხნის მერე მამას კნუტი ხურჯინში ჩაუსვამს და ცხენი ისევ დაცემულა. გაკვირვებული მამაჩემი კნუტით ხელში დაბრუნებულა შინ. დედაჩემისთვის უთქვამს, გზაზე კნუტი ვიპოვე და მოვიყვანეო. გვიან ყოფილა.

დედას კნუტი ცარიელ ოთახში ჩაუკეტავს. დილით რომ ამდგარან და ოთახში შესულან, შუა ოთახში თეთრ სუდარაში გახვეული გრძელი რაღაც უნახავთ.

ასე მთავრდებოდა ეს უცნაური ამბავი, რომელსაც ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად ჰყვებოდნენ..

ერთ მოლას სხვადასხვა სასწაულებთან ერთად წმინდა წიგნის ახსნა შეეძლო თურმე. მამაჩემიც ამბის საკითხავად წასულა. მოლას ლოცვა მიუცია და უთქვამს, ეს ლოცვა წაიკითხე, ღამე ოთახისა და სახლის კარი ღია დატოვე, დილით რომ ადგები, წასული დაგხვდებაო. მამაჩემიც ასე მოქცეულა და „გრძელი სუდარა" წასულა.

ეს ლოცვა ჩემთვის ხან კატის ლოცვა იყო, ხანაც მოჩვენებისა. მაგრამ „გრძელი ჯოხისთვის" ამის თქმა ვერ გავბედე.

წმინდა წიგნის ლოცვები მოგვინებით კი ვისწავლე, მაგრამ რას ნიშნავდა, ვერ გავიგე. არც ის ვიცოდი, რატომ იწყებოდა ყველა სურა „ბესმელლეთი", და არც ის, რა იყო მათი აზრი.

ყავა ხომ არ დაგველია? – გავძახე ოთახიდან ჩემს ძმას. კომპიუტერთან ვიჯექი, წერას თავი მივანებე და იმაზე ფიქრს მოვყევი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის წაქცეული ქვები. რატომ ეშინოდა ყველას იმ მიტოვებული, ტყიანი ადგილის, რატომ არ უყვარდათ ადამიანებს ღამით იქ გავლა? რა საიდუმლოება იმალებოდა ამ ქვებისა და იმ ადგილის უკან?

თუ შენ მოხარშავ, კი ბატონო – მიპასუხა ჩემმა ძმამ. ყავის მოსახარშად სამზარეულოში გავედი. ჩემი ძმა სასტუმრო ოთახში წიგნს კითხულობდა, თან რაღაცას ინიშნავდა. რას კითხულობ-მეთქი, ვკითხე.

ქადერ აბდოლაჰის[5] „ფარულ წერილს". საინტერესო მწერალი ყოფილა. შეიძლება რეცენზია დავწერო და რაღაცებს ვინიშნავ. შენ რაღას აკეთებ ამდენი ხანია?

მნიშვნელოვანს არაფერს. შენ ერთი ეს მითხარი, რამე ხომ არ იცი იმ წაქცეული ქვების შესახებ, დედაჩემი რომ ამბობდა, თარს კატებს ვხედავო.

ახლა მივხვდი. რომანს წერ.

კარგი, ეგრე იყოს. იცი რამე?

რა თქმა უნდა, ვიცი. ამას წინათ გამოფენა გაიხსნა, არ ყოფილხარ? რომ წასულიყავი, გეცოდინებოდა, რომ იქ წმინდა გარაბედიანის ეკლესია და გარაბედიანის სკოლა იყო, რომელიც დანგრეულა. დამტვრეული ქვები კი ძველ საფლავთა ქვებია.

როცა სამზარეულოდან ყავით დავბრუნდი, გულში გავიფიქრე, ფეთჰიე ჩეთინის[6] წიგნი „ბებიაჩემიც" უნდა წავიკითხო-მეთქი.

თურქულიდან თარგმნა
ნანა ჯანაშიამ

1. შემოკლებული ფორმულა – „სახელითა ალაჰისა მწყალობელისა და მოწყალისა".

2. უზუნი თურქულად გრძელს, მარალს ნიშნავს. აქ ზედმეტი სახელია.

3. იატაკზე დასაჯდომად დასადები ვიწრო ბალიში.

4. ეს ადგილები დედანში იმერხეულ დიალექტზეა წარმოთქმული.

5. ირანული წარმოშობის მწერალი. ცხოვრობს ჰოლანდიაში და წერს ჰოლანდიურ ენაზე. „ფარული წერილი" მისი ერთ-ერთი რომანია.

6. ადვოკატი, ადამიანის და უმცირესობათა უფლებათა დამცველი. წიგნში „ბებიაჩემი" აღწერილი აქვს 1915წ. სომეხთა იძულებით გადასახლების მოვლენები, რომელთა მომსწრე ბებიამისი, ჰერანუშ გადარიანი, მაშინ 10 წლისა იყო.

ეგეგ დროდადრო კვლავაც

ბოლო ხანს ისე არაფერს გავუხარებივარ, როგორც ანზორ დიდებულიძის სახელის გამოჩენამ გამახარა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე.

ეს ნამდვილად ის პიროვნება უნდა იყოს, რომელიც ამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ გავიცანი გორში, ერთ სუფრაზე, და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზეც და ყველა სხვა სტუმარზეც თავისი კეთილშობილებით, დახვეწილობით, გონებამახვილობითა და ღრმა განსწავლულობით.

სხვათა შორის, ამასაც გვიმტკიცებდა: ქუთაისი ლიტერატურულ პროვინციობას არ შეეგუება და ნახავთ, ერთი ძველებურად კიდევ თუ არ ამოიფრქვესო...

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისური გაბრწყინების განმეორება ეოცნებებოდა.

კიდეც ვუთხარი: ამხელა ერუდიციის პატრონი ენტომოლოგობას როგორ დასჯერდით-მეთქი.

ენტომოლოგობა სახუმრო საქმე არ გეგონოს, თანაც იმხელა სამყაროა, თავისი შექსპირი თუ გამოუჩნდა, ტრაგედიებისა და კომედიების ორ ისეთ ციკლს შექმნის, ტოლს ადვილად ვერავინ დაუდებს, თვით ეს შექსპირიცო, — მომიგო გულღია სიცილით, ამასთან, რაღაც გამოუცნობი სევდა ჩაუდგა თვალებში და დასძინა: ეს არჩევანი ჩემი ბიოგრაფიის ერთ მტანჯველ და აღმტაც ეპიზოდთანაა დაკავშირებული და, რომც მომენდომებინა, თავს ვერ დავაღწევდი მის გავლენასო.

სუფრაზე კი დავახლოვდით, მაგრამ მაინც ვერ შევბედე ჩავკითხოდი, თუ რას გულისხმობდა, თანაც, ვიფიქრე, საამისო დრო მერეც დადგება, მე და ბატონი ანზორი ამის შემდეგაც გავაგრძელებთ ურთიერთობას, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას და შეკითხვის საშუალება ყოველთვისაც მექნება-მეთქი.

კაცი ბჭობდა და... თურმე ტყუილუბრალოდ მიხაროდა, ენტომოლოგობას ქართლში რომ გადმოესროლა ეს ქუთაისელი კაცი — ჩემთან მოსვლა თითქოს არ უნდა გაძნელებოდა... მაგრამ დიდხანს რომ აღარ გამოჩნდა, გადავწყვიტე, ქუთაისში რომ მომიწევდა ყოფნა, აუცილებლად ვსტუმრებოდი. იქით კი მომიხდა გამგზავრება რამდენჯერმე, მაგრამ ყოველთვის რაღაც დაბრკოლება გადამეღობა და... აგერ, გამქრალი ოცდახუთი თუ ოცდაათი წელიწადი. ნამდვილად წელი უნდა იყოს, მე რომ საათი და სულაც წუთი მგონია.

გამოხმაურება

იმ სუფრაზე ბატონმა ანზორმა სრულიად ახლებურად დაგვანახა ყველას ვაჟა-ფშაველა და არაერთი რამ გვიამბო იმხანად ჯერაც აკრძალულ გრიგოლ რობაქიძეზე... უილიამ ფოლკნერსა და ფრანც კაფკაზეც ისეთი მოსაზრებანი გაგვიზიარა, ახლაც წარუშლელად მახსოვს... ლორენს სტერნის „ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“ მისი რჩევით წავიკითხე და ეს რომანი, ინგლისური იუმორის ნამდვილი მწვერვალი, ჩემს ერთ-ერთ უსაყვარლეს წიგნად გადაიქცა.

ის ჩვენი საერთო მეგობარი ტრაგიკულად დაიღუპა და, სულო ცოდვილო, ანზორ დიდებულიძე რომ გამახსენდებოდა, ხანდახან ფიქრი გამკრავდა, ეგებ მასთან კიდევ ერთ შეხვედრაზე რომ ვოცნებობ, აღარც ის იყოს ცოცხალი-მეთქი.

თურმე მხოლოდ სახსრების ქრონიკული ანთება აწუხებს, ეგაა და ეგ. სასიამოვნო არც ეს არის, მაგრამ მთავარია, რომ ჯერაც ამქვეყნადაა და ლიტერატურისადმი ინტერესიც არ განელებია.

დარწმუნებული ვარ, თავისთვის უამრავი ჩანაწერი ექნება, ეგებ რომანიც კი ჰქონდეს დაწერილი, თორემ ამ მღელვარე წლების დოკუმენტურ სურათს შეუქმნელს რომ არ გაუშვებდა, რად უნდა ლაპარაკი.

მწერების სამყაროსაც თავისი შექსპირი თუ გამოუჩნდაო, ნეტა თვითონ ხომ არა... ჰა?!.

რაკიღა ამდენი წლის დუმილი დაარღვია და საკუთარი არსებობა საქვეყნოდ გააცხადა, ეგებ დროდადრო კვლავაც მოუნდეს მკითხველთან შეხმიანება და ასეთი არაორდინარული სტატიებით კვლავაც დაგვაფიქროს ის ადამიანები, რომელთათვისაც სულერთი არ არის ქართული ლიტერატურის ბედიღბალი და გულდასმით ადევნებს თვალს ყოველ მართალ, გულწრფელ და ღრმააზროვან მსჯელობას, შეხედულებას, დაკვირვებას, ფრაზას, რაც კი სულს აუფორიაქებს.

შენ გაიხარე, ბატონო ანზორ, ჩემი ასეთი გახარებისათვის!

და, ცხადია, თქვენც — ჩვენმწერლობელებო!

თეიმო ჩიტაძე
ყელქცეული

ახალი წიგნები

თამარ ღონღაძე

პოეზიის იდუმალი ციხესიმაგრე

კიდევ ერთხელ შემოაღამდება მტკვრის ნაპირებზე, კიდევ ერთხელ იგრძნობს ნიათის გამოცლას, რაც არგუნა „ჭენებამ ბედის“... მაინც ლაღობს, რადგან აკაკის მონათლული „ხმელეთ-ზურმუხტი“ თავისად ეგულება, გული მაინც აუტირდება, რადგან წარსულიდან დღევანდელ დღესავით ცხადად და „ახლოს“ გაიგონებს უიღბლო მოძმის — გურამიშვილის გოდებას... მოდიდებული რიონის ტალღასავით გადაუვლის გალაკტიონის ქარიშხლიანი სტრიქონები, მერამდენედ, აღარც დაითვლის... ისევ შეეცდება ლექსით შეაერთოს დრო, რომელიც „წიწამურის ტყვიამ გაჭრა“... ისევ დაელოდება წვიმას, რომელსაც მოაყოლებს თავგადასავალს, რადგან სადღაც გულისგულში სჯერა, რომ ეს წვიმა სწორედ ის შეიძლება იყოს — დიდი პოეტი — ბუნებაში „გადამდნარი“ ლუკა რაზიკაშვილი...

ასე ზომავს წუთისოფელს, ასე აღიქვამს ცხოვრებას ამ სიტყვების ავტორი:

ხვალიდან წვიმას მოვაყოლებ
თავგადასავალს,
ღმერთო, იქნება ლუკა იყოს,
რაზიკაშვილი...

ესაა ფრაგმენტი მიხეილ ჩიკვილაძის ლექსისა „პროლოგი დღის ეპილოგიდან“. მართლაც, ფერწერულად გაფორმებული ანი ჩიკვილაძის მიერ.

პოეტს სიყვარულის საიმედოდ დაცულ სამყოფად ლექსებით ციხესიმაგრე აუგია, რომლისკენ მისასვლელ გზას ისევ ლექსებით გვიკვალავს.

ხვარაზმშას ძეს თავისი სიკვდილის ამბავს ვინ მოაყოლებს, თუ არა სიყვარულისა და ლექსის მონა-მორჩილი?!

ტარიელის — ხელი მიჯნურის — ჩადენილს ყვება მზედაბნელებული სპარსელი:

ღამემ სიკვდილს მიმაახლა
და გავქარდი ქარის დარი —
მოტყუებით მომეპარა
ინდოეთის ამირბარი!
ჩემზე ფიქრი არ გაცადა
და მიმზითვა დილა ბნელი —
საარვისოდ გამიმეტა, მზევ —
ხვარაზმშა ხვარაზმელი!..

მკვლევარები ბევრს დავობენ ტარიელისაგან ხვარაზმშას ძის მოკვლის შესახებ, პოეტისათვის კი ცხადია: ტარიელს სული ცოდვით დაუმძიმებია, რომელიც დიდხანს უნდა „ათრიოს“, მაგრამ ისიც ცხადია, რომ: **„მზეს ვერავინ ინაწილებს! მზე არ არის გასაყოფი!“**

პოეტი რის პოეტია, არ შეიბრალოს რაყიფი?!

მიხეილ ჩიკვილაძეს პოეზია შეაძლებინებს ზოგჯერ მაინც შორიდან შეხედოს ცხოვრებაში ჩვენთვის განკუთვნილ სათრევ ლოდსა თუ ტვირთს.

მშვენივრად იცის, რომ ეს ჩვენი ბედი მევახშედ გვქცევია, რომელსაც **„ვალად მიაქვს ოცნებები, დარდს გვიტოვებს თამასუქად!“**

მაგრამ დარღვეულ ჰარმონიას მიხეილ ჩიკვილაძე არ ეპუება ხან გულიანი ლექსით, ხან ზღაპრული ქართული სიმღერით, ხან მისთვის ჩვეული არტისტიზმითა და სიღრმით გამორჩეული ქართულის გაკვეთილებით...

ხსოვნა ინახავს ყველაფერს... და მაინც — „ნაწერი რჩება, სიტყვები ქრებიან!..“

კიდევ ერთი შეგნებული დღე

ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის" ლიტერატურული სალონი** მრავალი საინტერესო და საგულისხმო შეხვედრის მასპინძელია, მაგრამ 22 მაისს ამ დარბაზში გამართული ღონისძიება განსაკუთრებული გახლდათ მნიშვნელობითაც და შინაარსითაც. ამჯერად შეხვედრა ემსახურებოდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების წახალისებას, მათთვის ხელის შეწყობას. ამ დიდებული საქმის თაოსანია საერთაშორისო ასოციაცია **„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"**, ჟურნალების — **„ჩვენი მწერლობა"** და **„ნაკადული"** — რედაქციათა თანადგომით. ქალთა ორგანიზაციის თავჯდომარემ მაია კვეზერელი-კოპაძემ, ჟურნალ: „ნაკადულის" რედაქტორმა მანანა გელაშვილმა და „ჩვენი მწერლობის" რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ დარბაზში შეკრებილთ წარუდგინეს სტუმრად მოწვეული ნიჭიერი ახალგაზრდები.

მაია კვეზერელი-კოპაძემ მადლობა გადაუხადა ყველას და გამორჩეულად მათ, ვინც რაიონებიდან ჩამოვიდა. მისი თქმით, ელიტურობას არ განსაზღვრავს დედაქალაქში ცხოვრება. ნებისმიერ რაიონსა თუ სოფელში ელიტა საზოგადოების მოაზროვნე, გამორჩეული ნაწილია. ქალბატონმა მაიამ იმედი გამოთქვა, რომ ახალი თაობა ღირსეულად შეცვლის ძველს. მეტიც, იგი შეძლებს ენობრივი დარღვევების გამოსწორებას. მომავალი ჟურნალისტები, ფილოლოგები თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლები წმინდა, სალიტერატურო ქართულის მსახურნი იქნებიან. ამ რწმენის ხმამაღლა გამოთქმის საფუძველს მას კრებული „ოდოშხერი" აძლევს, რომელშიც შესულია ამ მოზარდთა ნაწარმოებები.

მანანა გელაშვილი მზად არის ყოველთვის გვერდით დაუდგეს ნიჭიერ ბავშვებს.

როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება,** იგივე ჟურნალი „ჩვენი მწერლობა" არასოდეს შემოფარგლულა მარტო თბილისით. იმიტომ, რომ საქართველო მარტო თბილისი არაა და შემოქმედებითი, ლიტერატურული ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ერთნაირად საინტერესოა. მან ისურვა, რომ ეს შეხვედრა არ იყოს ერთჯერადი აქცია და თავის მხრივ დაპირდა მოსწავლეებს, რომ „ჩვენი მწერლობის" კარი მათთვისაც ღია იქნება, გამოაქვეყნებს წარმატებულ ნაწერებს. მან ახალგაზრდებს წიგნისა და ქვეყნის სიყვარულისა და გულშემატკივრობისკენ მოუწოდა.

შემდეგ სიტყვა ახალგაზრდა მწერლებს დაუთმეს. თბილისელ მასპინძლებთან ერთად თელავიდან, გურჯაანიდან, დედოფლისწყაროდან, მცხეთიდან, ზუგდიდიდან ჩამოსულმა **თამარ კაპანაძემ, ქეთევან ნათელაძემ, ნინო ხუციშვილიმა, ალექსანდრე რაზმაძემ, მარიამ ასკილაშვილიმა, ლელა თოთაძემ, ნინო მთვარელიშვილიმა, ნიკო მისირელმა, თამარ ბურნაძემ, ხატია ძანძავამ, ნინო არშილავამ, გვანცა ბრაგვაძემ** თავიანთი ლექსები და ნოველები წაგვიკითხეს. მათი წრფელი, ნათელი მზერა, ოდნავ მთრთოლვარე და ამავე დროს მტკიცე ხმა საოცრად ერწყმოდა ერთმანეთს, რაც მსმენელს ხიბლავდა და აღაფრთოვანებდა.

გურჯაანის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა **ჟუჟუნა ასკილაშვილმა,** რომელიც მოსწავლეთა შემოქმედებით წრეს ხელმძღვანელობს, დიდი მუხტი მიიღო იმდღევანდელი შეხვედრით. ბავშვების გულიდან ამოსული სიტყვები მისთვის სტიმული გახდება მომავალ მუშაობაში. მან გამოთქვა რწმენა, რომ ეს შეხვედრა ნაყოფიერი იქნება.

პედაგოგმა, პროფკავშირების საქალაქო ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **თამარ ბარისაშვილმა** მიულოცა ყმაწვილებს ეს დღე და წარმატებები უსურვა შემოქმედებით საქმიანობაში.

პროფესორ **პაატა ჩხეიძის** თქმით, ამ დარბაზში ყოველ სამშაბათს ტარდება კარგი ღონისძიებები, იმდღევანდელი შეხვედრა კი თავისი გულწრფელობითა და ემოციებით გამორჩეულია ყველასგან. მან სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებიც მალე ქვეყანას გაუძღვებიან. გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა მათ.

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის **ნანა კუციას** აზრით, მომავალი თაობის ხელშეწყობა ძალიან დიდი საქმეა. კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: "ნიჭიერს ყოველთვის სჭირდება გამოსარჩლება". ამ გამოსარჩლებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა ღონისძიების თაოსნებს. იგი მოიხიბლა ყმაწვილების აზროვნებით, ქართული მეტყველებით. იმ თაობისაგან, რომელიც „ტრანსფორმერებზე" იზრდება, ასე „ხსნილად უბნობა" და ეროვნული სულისკვეთება მისთვის იმედის მომცემია.

ჟურნალისტ **ეკა ბუჯიაშვილს** განსაკუთრებული განცდები და ემოციები მოეძალა. მან გაიხსენა, რომ პატარაობისას დედა ესაუბრებოდა განსაკუთრებულ დღეებზე და არიგებდა, რომ სკივრში ლამაზი დღეები შეენახა. ეს დღე ერთი ლამაზი დღე იქნება ყველა დამსწრის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი — ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის. ამიტომ უნდა შეინახონ, გაუფრთხილდნენ ამ დღეს, როცა გაიზრდებიან, სრულად დააფასებენ მას.

პატარა სტუმრებს მიესალმა და სიტყვით მიმართა მათმა თანატოლმა **სანდრო მეგრელიშვილმა.** „ესე ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყუავილი ველთა, წარმავალ არს, და დაუდგრომელ", — წმინდა შუშანიკის შეგონება მოიშველია მან და თანატოლებს მოუწოდა: ერთად დავიწყოთ ცხოვრება, რომელსაც ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს დავუტოვებთ.

ბავშვთა ფონდის **„ვუნდერკინდი"** ხელმძღვანელი **ნაირა ალავერდაშვილი** მოხარულია, რომ არსებობს საბავშვო ჟურნალი „ნაკადული". ასეთ რთულ და არეულ დროში ასეთი პატარა სიხარულები, ლამაზი დღეები გვიხალისებენ ცხოვრებას. ამიტომ მადლობას უხდის ყველას, ვინც ეს დღე შექმნა.

სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი **ელისო ბოჭორიშვილიც** მიესალმა ახალგაზრდებს, მიულოცა მათ ეს დღე და მადლობა გადაუხადა იმ შესანიშნავი განწყობისათვის, რასაც ისინი ქმნიან.

მშობლებმა **მზია სუხიშვილმა** და **ირმა შენგელიამ** მადლობა გადაიხადეს ასეთი საზეიმო შეხვედრისთვის. აღნიშნეს იმ ადამიანთა სიკეთე და დამსახურება, რომლებიც გვერდში უდგანან ახალგაზრდებს. ქება, წახალისება არცერთ ასაკში არ არის ზედმეტი ადამიანისთვის, ახალგაზრდის ცხოვრებაში კი სრულიად განსაკუთრებულ როლს ასრულებს, — დასძინეს მათ.

იმ დღეს „შეგნებული დღე" უწოდა როსტომ ჩხეიძემ და ისურვა, რომ ეს იყოს ერთი რგოლი ასეთი შეხვედრების მწკრივში.

ბავშვებმა „ჩვენი მწერლობისგან" საჩუქრად მიიღეს როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები **იაკობ გოგებაშვილზე, შიო არაგვისპირელსა** და **ქაქუცა ჩოლოყაშვილზე,** გერმანულიდან ნათარგმნი გროტესკული ნოველების კრებული **„ამერიკა არ არსებობს", „ირანული ზღაპრები".** ქალთა ორგანიზაციისგან დასაჩუქრდნენ მათ მიერ გამოცემული ხალხური პოეზიის კრებულით **„იამბე ციხის ნაშალო"** და სამახსოვრო მაისურებით.

თეკლე ჯანელიძე

* * *

ივანე ამირხანაშვილს ჯერ ახლაც და ახალგაზრდობისას კიდევ უფრო უძნელდებოდა ნაბახუსევზე გამოფხიზლება.

ნერწყვგამშრალი და გაბურბუსალებული ფიცს დებდა, რომ ღვინოს ამიერიდან აღარასოდეს გაეკარებოდა, მაგრამ ძალიან სთხოვდნენ მეგობრები, გადააკვდებოდნენ და ასეთი ხათრიანი კაცი (ნოდარ შამანაძის რომანის – „ხათრიანი კაცი“ – პერსონაჟი რომ გეგონება) ვერ უძლებდა მათ გულმხურვალე მუდარას და არამცთუ თვითონ მიჰყვებოდა საქეიფოდ, უფრო ხშირად თავისთან ეპატიჟებოდა, ერთ პაწია ოთახში, სოროსაგან დიდად რომ არ განსხვავდებოდა და თაგვი კუდს ვაივაგლახით მოიქნევდა.

თვითონ ივანეს უძნელდებოდა იქ მოძრაობა, მაგრამ იმ ხალხური ანდაზისა არ იყოს – „დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში თალხნად იდო“ – თორმეტ-თხუთმეტი თანამეინახე ისე თავისუფლად გრძნობდა იქ თავს, დიდ დარბაზებს ერჩივნათ ეს სტუდენტური გარემო, რომელიც სტუდენტურ იერს კიდევ კარგა ხანს შეინარჩუნებდა.

ისტორიული ოთახიაო, – ვეხუმრებოდით და ის ისე იღიმებოდა, გვაგრძნობინებდა: თქვენ იხუმრეთ და რატომაც არაო!..

მაშინაც ისე მოხდა, რომ ძალიან გაუძნელდა თავის აწევა.

დიდხანს იბორიალა ბურანსა და ბურუსში, არაერთხელ დაიფიცა, რომ სასმელს აღარასოდეს გაეკარებოდა და უფალს შესთხოვა ჩემზე და უჩა შერაზადიშვილზე: რა იქნება, რომ მოვიდნენ და ლუდი მომიტანონო.

ეგრე აგიხდეთ ყველა ნატვრა!..

თქვენ ერთი ბოთლი ლუდი უძახეთ და წუთისოფელს კი დავუბრუნეთ.

და კიდეც ხალისით გაჰყვებოდა უჩას „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში.

ოთხშაბათია.

ელიზბარ ჯაველიძე ცოტა არ იყოს გაგულისებულია, ორი დღე ზედიზედ რომ გაუცდინა ასეთმა ერთგულმა თანამშრომელმა, და ერთბაშად დახვავდა უამრავი მოსასწრები საქმე. და კაბინეტში რომ გამოიძახებს, მოღუშული ჰკითხავს, განა რას აკეთებდი ეს ორი დღეო?..

ივანემ კი, შეწუხებულმა, რედაქტორი და უფროსი მეგობარი ასე როგორ გავანაწყენეო, ალალად მიუგო, აბა, ტყუილი არ სჩვევია და რაღა მასთან იცრუებდა:

– შაბათ-კვირა მეგონა!..

ის საკუთარ ყურებს არ უჯერებს:

– რა თქვი?

და ივანე, კიდევ უფრო ნირწამხდარი:

– შაბათ-კვირა მეგონა!..

– წარმომიდგენია, რა დღეშიც ყოფილხარ, – უთანაგრძნობს რედაქტორი. მერე კი უჩას საყვედურობს:

– ვერ მიხედავთ? ოღონდ თქვენ რომ მიხედვას ეძახით, ეგრე არა.

...და დარჩა და დარჩა ჩვენს წრეში ეს გამოთქმა „შაბათ-კვირა მეგონა“, რატომღაც გაცილებით უფრო ფრთიან და მოხდენილ ფრაზებს რომ გვირჩევნია.

ბევრ რაიმეს გვაგონებს მისი ხსენება, წამლეკავ ნაკადად რომ მოაწყდება ხოლმე ჩვენს ცნობიერებას. თანაც, ერთბაშად არ ეტყობა და ძალიან ტევადია, ნებისმიერ რაოდენობის ღვინოს ჩაიტევს თავის სათხიერში ეს სამად სამი სიტყვა. დიახ, სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც დროს დაუკავშიროთ. ყოველ ვითარებაში ისე წაგადგებათ, გაიოცებთ, ნუთუ ეს ის ვიწრო შინაარსის გამოთქმაო.

არადა, თავის მართლებისათვის ყოველთვის მისწრებაა: შაბათ-კვირა მეგონაო.

* * *

ხან ვისზე ჰყვებიან და ხან ვისზე.

იქნებ შეთხზულიცაა.

ყოველ შემთხვევაში, ნიშანდობლივი შტრიხია და, თუ ყოფით რეალობაში არ მომხდარა, წარმოსახვითი რეალობა ამ სახალისო დეტალის გარეშე მოზაიკის მომხიბლავ კენჭს დაკარგავდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოპოვებულია.

ჩაკეტილი საზღვრები გახსნილია და ქართულ ემიგრაციასთან მისვლა-მოსვლა თავიდან თუ დიდად სალაპარაკო, თანდათან ჩვეულებრივი მოვლენა გახდება.

ჩადიან და ჩადიან ემიგრანტებთან და აქეთაც ეპატიჟებიან – ზოგს დროებით, ზოგსაც სამუდამოდ.

ახალგაზრდობა ძალიან მიაწყდა საზღვარგარეთ მიმოფანტულ ნათესავებს, განსაკუთრებით მაინც საფრანგეთში.

ემიგრანტთა უფროს თაობას შენარჩუნებული აქვს ქართული ენა, 20-იანი წლების მეტყველება, რაც შეუძლიათ უფრთხილდებიან, ელოლიავებიან; და ახლა გაფაციცებით აყურადებენ ახალგაზრდების საუბრებს, ცნობისწადილი ჰკლავთ, რა ცვლილებანი განიცადა მათმა მშობლიურმა ენამ – ლექსიკური თუ სინტაქსური... და

თვითონ რამდენად შეუბღალავად მოიტანეს ეს მეტყველება ემიგრანტულ გარემოში.

აყურადებენ... ყველა განსხვავებას იჭერენ და იმახსოვრებენ.



არც ის უნდათ, რომ დროს ჩამორჩნენ და ახალ ხანაში ანაქრონიზმებივით გამოიყურებოდნენ.

ერთ დიდებულ ქალბატონსაც სთხოვენ საქართველოში დაბრუნებას... ისიც სულ აპირებს, აპირებს, განსაკუთრებით ემზადება მონატრებულ სამშობლოსთან შესახვედრად და სწორედ ეს განსაკუთრებული მღელვარება გადაქცევია ლამის გადაულახავ დაბრკოლებად.

დრო კი მიდის, მიწიკწიკებს...

ამასობაში სამწუხარო ამბავი უნდა აცნობონ: ძმა გარდაგეცვალაო.

და ისიც გადაწყვეტს, ბარემ პანაშვიდებსა და გასვენებას დაესწროს და საფრანგეთში აღარ გამობრუნდეს – საბოლოოდაც დამკვიდრდეს საქართველოში.

ჭირისუფლები შემოსხდომიან გარდაცვლილის ნეშტს. მომსვლელთა ნაკადი არ წყდება. ჯერ ისედაც, და მითუმეტეს, წუთი-წუთზე მოელიან უჩვეულობის შარავანდით შემოსილი ქალბატონის შემობრძანებას ძმის დასატირებლად.

და კიდეც ატყდება ჩურჩულ-გადალაპარაკება: მოდის, მოდის, მოდის!..

ისიც შემოაბიჯებს.

სიჩუმეა, სიჩუმე... ჯერ ისედაც და...

– ძმაო! – კარიდანვე იწყებს თავშეკავებულ მოთქმას, – ჩემო ძვირფასო და მონატრებულო ძმაო! შენი დაბრედვა რომ შევიტყეეე, როგორ გამიტყდა, როგორ გამიტყდااა!..

და ვერ იგებს, რატომ წამოიშლება ერთბაშად ეს ამდენი ხალხი და სად გარბიან ასეთი სისწრაფით, ერთმანეთს რომ ასწრებენ. თუმც დიდად არ აგდებს აინუნში, რადგანაც ცხედარს დაემხობა და გულამომჯდარი აქვითინდება: ძმაო, ჩემო ძვირფასო და მონატრებულო ძმაო!..

* * *

გურამ დოჩანაშვილი რედაქციებში სიარულს ის-ისაა რომ შეეჩვეოდა, ერთხელ ერთგან ასეთ სცენას გადააწყდებოდა.

ახალი ნომერი იგეგმება და მასალები – როგორც ხდება ხოლმე – მკაცრად შემოფარგლულ ჩარჩოში ვერ ეტევა. რაღაც-რაღაცები აუცილებლად უნდა გადაიტანონ შემდეგი ნომრისათვის და მსჯელობენ, თუ რომელი გაიმეტონ.



მხატვარი გია ლაფაური

– აჰ, ამის გადატანა როგორ შეიძლება, საერთოდაც რა დასაბეჭდია, ხომ იცით, რა კაციცაა, აგვიკლებს საყვედურებით, ზურგსუკან ქილიკსა და ლანძღვას აღარ მორჩება... ისევ ეს გადავიტანოთ, რა კარგი ბიჭია, როგორი კეთილშობილი, კრინტსაც არ დაძრავს...

უნებური შემსწრე გაოგნებული უსმენთ, ვერ იჯერებს მათ ნათქვამს, ამ უცნაური გადაწყვეტილების მოტივს – მათთვის შვებისმომტანს, არადა...

და ჰგონია, ესენი ყოფილან ძალიან მფრთხალები, თორემ ყველა ასეთი ხომ არ იქნებაო.

მაგრამ ასეთივე შემთხვევა განმეორდება სხვა რედაქციაშიც...

კიდეც სხვაშიც...

და აღმოაჩენს, რომ ამგვარი ყოფილა თურმე ყოფითი რეალობის კანონზომიერება, უკვე დაკანონებული, რაღა საბჭოური მორალითა და ნორმებით გამაგრებია ზურგი და უკეთურ ადამიანებს საპარპაშოდ ვრცელი არენა მისცემიათ. როგორ გინდა გაუძლო, როდესაც არავითარი დასაყრდენი არ გაგაჩნია და ყველა და ყველაფერი შენს წინააღმდეგ მოიმართება, თუკი იმ „საშიშ“ ადამიანებს რაიმეთი აწყენინებ...

კაცობა სწორედ ის არის, რომ თუნდაც ის არჩევანი ჟურნალისა თუ გაზეთის ნომრის დაგეგმისას პირიქით გადაწყვეტილიყო?

ყველას ვერ მოსთხოვ გაბედულებას, მითუმეტეს, ისე შესჩვევიან ამ დინებაში ყოფნას, ვეღარც აცნობიერებენ, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს.

მთავარია, მათ სიმყუდროვეს არაფერი დაემუქროს და უხარიათ, ძალიან უხარიათ, ქვეყანაზე ღირსეული და კეთილშობილი პიროვნებანიც რომ არიან დარჩენილნი, ვისაც იოლად წამოკრავ ხელს, უკან გადასწევ, მოჩვენებითი სინანულით დაჩაგრავ...

როგორც ახალბედა მწერალთა უმეტესობა, გურამ დოჩანაშვილიც მიამიტი გახლდათ თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში და ძალიანაც ხიბლავდა ვაჟა-ფშაველას ვედრება არსგამრიგესადმი: ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამცილდეს მგელობაო...

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად

სასიკვდილოდ განწირული გალობდნენ. ფერმიხდილი, მაგრამ მადლმოფენილი სახეები ჰქონდათ. ისინი შებრალებას არ ითხოვდნენ და არც სიკვდილისა ეშინოდათ. ვერც ცირკს ხედავდნენ, ვერც სისხლმოწყურებულ მაყურებელს, ვერც გაზულუქებულ სენატორებსა და ვერც ძლევამოსილ კეისარს, ვის ხელთაც იყო მათი ბედი. ისინი გალობდნენ. უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა: „ქრისტე მეუფებს!“ მაყურებელი გაოცებული იყო, ეს რა ამბავია და ეს რა ქრისტეა, რომ სასიკვდილოდ განწირული ხალხი უგალობსო?!

მოახლოებული სიკვდილის ჟამსაც თავის ღმერთსა და სარწმუნოებას ადიდებდნენ.

მოქმედების დრო — პირველი საუკუნე ქრისტესით, მოქმედების ადგილი — რომი.

ცირკის ასპარეზზე უიარაღო და უმწეო ქრისტიანები მიმოფანტულან — კაცი და ქალი, ბავშვი და მოხუცი. მათზე სანადიროდ გამოუშვებენ მშიერ ლომებს.

„ასპარეზზე რაღაც საშინელება ხდებოდა: ადამიანთა თავები ლომების ხახაში ინთქმებოდა. მოჩანდნენ ეშვის ერთი მოქნევით დაფლეთილი მკერდები, ამოგლეჯილი გულები, ძვლების ტკაცანი მოისმოდა. ზოგი ლომი თავის მსხვერპლს გვერდში ან ზურგში წაავლებდა პირს, გაშმაგებული ხტომით დარბოდა ასპარეზზე, თითქოს მყუდრო ადგილს ეძებდა, რათა თავისუფლად შთაენთქა მსხვერპლი... ბევრი მაყურებელი ადგილიდან წამოდგა, ძირს ჩავიდა, რომ უფრო კარგად დაენახა სანახაობა. თითქოს გამხეცებული ბრბო მზად იყო, თვითონ გადავარდნილიყო ასპარეზზე და ლომებთან ერთად დაეფლითა ქრისტიანები. გაისმა თითქმის არაადამიანური ხმები, ბრდღვინვა, კბილების ღრჭენა... ზოგჯერ ისევ სიჩუმე დაისადგურებდა, მარტო გოდება ისმოდა“.

ეს გახლავთ ფრაგმენტი დიდებული პოლონელი მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის რომანიდან „ვიდრე ჰხვალ?“ (თარგმანი ნიკო ავალიშვილისა).

აი, ასე იდგამდა ფეხს ქრისტიანობა, ტანჯვითა და წამებით, სისხლითა და თავდავიწყებით.

„და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის...“ — ამას ამბობდა მაცხოვარი.

მდინარესავით მიედინება ჟამი, ერთიმეორეს მისდევენ საუკუნეები და გრძელდება დევნა ადამიანისა, დევნა სიკეთისა და სიმართლისა, დევნიან რწმენას ღვთისას თუ კაცისას, იხვეწება ელფერი სატანჯველისა, მაგრამ აზრი და მიზანი უცვლელი რჩება — სასტიკად დასაჯოს ყველა, ვინც უპირისპირდება დაკანონებულ უსამართლობას და ადამიანის უწყალო დათრგუნვას.

უკვე ცხრამეტი საუკუნე გასულა და აი, 1922 წლის 19 მარტს ლენინი „სასტიკად საიდუმლო“ წერილს ურიგებს პოლიტბიუროს წევრებს. დავიმოწმოთ ერთი ნაწყვეტი ამ წერილის ტექსტიდან: „ფასეულობათა ამოღება, განსაკუთრებით ყველაზე მდიდარ ლავრებში, მონასტრებსა და ეკლესიებში უნდა განხორციელდეს შეუბრალებელი სისასტიკით, უსათუოდ ყოველგვარი უკანდახევის გარეშე და, რაც შეიძლება, უმოკლეს დროში. რეაქციული ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელთა რაც უფრო მეტ ოდენობას დავხვრეტთ, მით უკეთესი იქნება. სწორედ ახლა უნდა ვასწავლოთ ჭკუა ამ პუბლიკას იმგვარად, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში რაიმე წინააღმდეგობის გაწევაზე ფიქრიც კი ვერ გაბედონ“.

ცნობილი რუსი პოეტი გიორგი ადამოვიჩი თავის ემიგრანტულ მოგონებებში იმოწმებს თვითმხილველის ნაამბობს. მოქმედება მიმდინარეობს ფსკოვის გუბერნიის ერთ მიყრუებულ ქალაქში. რევოლუციის პირველი წლებია. სახლების კედლებსა და ღობეებზე გაკრული აფიშები ეპატიჟებიან ყველას: „ანტირელიგიური დისპუტი. არსებობს თუ არა ღმერთი?..“ ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა იმ ეპოქისა.

ბლომად ხალხს მოუყრია თავი. სიტყვით გამოდის „ორატორი ცენტრიდან“:

— ამხანაგებო, გაიგეთ? მეცნიერებამ უცილობლად დაამტკიცა, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს და არც არასოდეს უარსებია. ეგრეთწოდებული ღმერთი წარმოადგენს კაპიტალის მსახურთა გამონაგონს მუშათა კლასის ექსპლუატაციისა და სრული დამონების მიზნით. კომუნისტური პარტია ამხ. ლენინის თავკაცობით ებრძვის ცრურწმენებს და უეჭველია, რომ სულ მალე მათ საბოლოო ლიკვიდაციას მოახდენს...

დამთავრდა მოხსენება. კრების თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა, რომ ხმა მიეცათ წინასწარ შედგენილი რეზოლუციისათვის ღმერთის ერთსულოვანი გაუქმების თაობაზე.

— ეგებ ვინმე ითხოვს სიტყვას?

ხელს ასწევს ბერიკაცი. სხვებივით არის ჩაცმული, მაგრამ იმით გამოირჩევა, რომ საეჭვოდ მოშვებული თმა ჩაუმალავს საყელოში. კრების თავმჯდომარე ირონიულად ახედ-დახედავს. ალბათ ხვდება მის სოციალურ სტატუსს (გუშინდელნი!).

— მოქალაქევ, ამობრძანდით სცენაზე. თქვენს განკარგულებაშია სამი წუთი, რათა გააცნოთ კრებას თქვენი შეხედულება ზემოხსენებულ საკითხზე.

სცენაზე ასული ბერიკაცი იშმუშნება. ერთხანს დუმს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხმამაღლა, მთელი დარბაზის გასაგონად წამოიძახებს:

— ქრისტე აღდგა!

დარბაზში ხმაური ატყდება. სცენაზე, სადაც უფროსობა მოკალათებულა, ალიაქოთია. ყვირიან, ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს, ვიღაც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიხუროს კრება, ვიღაც მოითხოვს, რომ ხელახლა ჩატარდეს რეზოლუციის კენჭისყრა.

მაგრამ აი, წამოდგა სახალხო განათლების განყოფილების გამგე, ფრონტიდან ახლად დაბრუნებული ჯარისკაცი, კომუნისტი, აქამდე ხმაგაკმენდილი რომ იყო. ელიან ბურჟუაზიის გათავხედებულ დამქაშთა მგზნებარე და მრისხანე გმობას. ჩამოვარდება სამარისებური სიჩუმე.

ჯარისკაცი ოდნავ ბარბაცა ნაბიჯით ნელა მიუახლოვდება ბერიკაცს, მდაბლად დაუკრავს თავს და სამად სამ სიტყვას წარმოთქვამს:

— ჭეშმარიტად აღდგა, მამაო!

მოგონების ავტორი ამბობს, არ ვიცი, მერე რა მოხდაო. ვარაუდობს, რომ ამ კომუნისტს, უსათუოდ, მოხსნიდნენ თავისი პოსტიდან და კიდეც დააპატიმრებდნენ, მაგრამ როგორ არ უნდა შეგშურდეს მისი?!.. როგორ არ შეგშურდებაო?!

ხომ იცოდა, რაც მოჰყვებოდა მის საქციელს, მაგრამ იმ წუთებში, ალბათ, დაეუფლა უზომო, უიშვიათესი ბედნიერება და ნეტარება, რომლის მსგავსი ამქვეყნად არ არსებობს...

ფსკოვის გუბერნიის რომელიღაც მიყრუებულ ქალაქში თითქოს გაცოცხლდა ძველი რომი, ცირკის ასპარეზზე გამოვარდნილი ლომები და სასიკვდილოდ განწირულთა გალობა: „ქრისტესათვის, ქრისტესათვის!“

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში

მირზა გელოვანის ერთ ლექსში ვკითხულობთ: „თოვლით დაფარულ ნაძვების ახლოს ის იწვა ერთი, და უცქეროდა ღრუბლების მაღლობს თვალებით თეთრით“.

აქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ცოტაოდენ გაუგებრობას იწვევს მომდევნო ტექსტი: „არც ხმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის არ ეგდო სადმე“.

„ხმლის ნატეხი“ ეგებ არც გაგიკვირდეს, კავალერია ხომ უცხო ხილი არა ყოფილა თვითმფრინავებისა და ტანკების ეპოქაშიც, მაგრამ „ისრის ბუდე“ კი ეჭვმიუტანელი ანაქრონიზმია! მამაპაპურ მშვილდ-ისარს რა ესაქმებოდა მეორე მსოფლიო ომში?!

ისტორიის სუნთქვა ძალუმად შეჭრილა წითელი არმიის ქართველი ოფიცრის განცდებში. და გვეჩვენება გადაძახილი წარსულის მხედრებთან, რომლებიც დაუსრულებლად იღუპებოდნენ სხვათა ომებში და, ძალზე ხშირად, სამარე ეთხრებოდათ უცხო მხარეში: ბაღდადისა თუ ალამუთის, ისპაანისა თუ ყანდაარის, მაგდებურგისა თუ ბოროდინოს სანახებში.

ადამიანებს არ ხელეწიფებათ არჩევა დრო-ჟამისა, თავად დრო-ჟამი გვირჩევს და თავის ნებაზე გვათამაშებს. იმ დრო-ჟამში ვცოცხლობთ და იმ დრო-ჟამში ვკვდებით, რომელიც განგებამ გვიწილადა.

ქართველ მხედართა თავგანწირული ბრძოლა უცხო დროშებქვეშ ბეჯითად მოჰყვება ლამის ყოველ საუკუნეს.

დრო-ჟამი და თავისი ხვედრი მათ როდი აურჩევიათ. ასე ინება განგებამ. მაგრამ ვაჟკაცურად ეგუებოდნენ მწარე სინამდვილეს და ამაყად ადასტურებდნენ ოდესღაც თქმულს: ქართველთა წესი არ არის, მტერს შეუბმელად ზურგი ვუჩვენოთ, დაღათუ იყოს სიკვდილიო.

შორეულსა თუ ახლო წარსულში სხვათა ომებში დაღვრილი სისხლი წონით თუ ფასით არ ჩამოუვარდება და ეგებ აღემატებოდეს კიდეც სამშობლოსათვის დაღვრილს. უფალმა უნდა განსაჯოს მისი ადგილი და აზრი ისტორიაში. უაღრესად უმწიფარ და უდღეურ პოლიტიკურ კონიუნქტურას მასთან რა ხელი აქვს!

სამაგალითოა მირზა გელოვანის დამოკიდებულება წარსულთან. აგერ, ბაზალეთთან (ბაზალეთთან!) აგონდება ანტონიოსისა და ოქტავიოსის ორთაბრძოლა. მშვენივრად ესმის, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება გარდუვალი იყო, „თუმცა ორივეს, ო, ორივეს უყვარდა რომი“.

ნოსტალგიის თემაზე შექმნილ ლექსთა შორის ბევრი ვერ გაუტოლდება მირზა გელოვანის იმ ლექსს, სადაც თავის ადრესატს, ინიციალებით რომ გვაცნობს, ეკვედრება: „ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში...“

ნუ მწერ, რომ ორთაჭალის ბაღები თეთრად გადაპენტილაო; ნუ მწერ, რომ მტკვარი მუდმივი ოხვრით მეტეხს ჩაუვლისო; ნუ მწერ, თბილისი როგორი ფერებით აყვავებულაო...

და ეს სასოწარკვეთილი „ნუ მწერ“ აჟღერებულა, როგორც ათასხმიანი ქორო: მომწერე ჩემი თბილისის სურათი გაზაფხულზე, მომწერე თქვენი ცხოვრება, რომელსაც დღენიადაგ ტყვია არ ემუქრებაო.

რა ხანია, აღარ უნახავს თბილისი და წამდაუწუმ ელანდება: „წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს, და საშინელი ბრძოლების ნისლში მე მომეჩვენა, სადღაც ჩვენს უკან აელვებული იდგა თბილისი“.

იმ ლექსებშიც კი, დღეს რომ მაინცდამაინც ნაკარნახევ ლექსებად მიაჩნიათ, აშკარად იგრძნობა მირზა გელოვანის ორიგინალური ხედვა. მისთვის უცხოა სტანდარტული ხოტბის მიბაძვა, სხვათა ნათქვამის გადამღერება თუ გადაღეჭვა. ყველაფერი, რასაც წერდა, მისი „კერძო საკუთრება“ იყო.

აი, თუშის ქალის წყაროსთან ნამღერს ვათხოვოთ ყური: „ცხრა წყლისა და მთის ზღაპრები ცხრა მთას იქით წავიდნენ, მე ისეთი ლექსი მინდა, სტალინს გაუგზავნიდნენ“.

მერე უეცრად, მოულოდნელად შემოგეჩეხება 1938 წელს დაწერილი ლექსი ტიციან ტაბიძეზე: „ნაწამებ სახით წარმოსდგები ქვეყნის წინაშე — და, როგორც ობოლს, სიცივეში აგეტირება“.

ცხოვრება იყო გაორებული და ადამიანიც გაორებული იყო. ერთმანეთში ირეოდა თეთრი და შავი, სინათლე და სიბნელე.

მირზა გელოვანი წარსულის ჰაერითაც ლაღად სუნთქავდა, აწმყოსაც ღირსეულად უსწორებდა თვალს და იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. წარსულიც მისი იყო და აწმყოც, მაგრამ მომავალი აღარ ეღირსა.

„გამარჯვების ლამაზ მზეს“ ვეღარ ეღირსა, სიყვარულის დაგვირგვინებას ვეღარ ეღირსა, პოეტის სამოქალაქო სამხრეებზე ახალ ვარსკვლავთა აკიაფებას ვეღარ ეღირსა და, სხვათა მრავალთა დარად, უცხო მხარეში გაეთხარა სამარე.

1 ივნისს **მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემია** რამდენიმე საბავშვო პოეტსა და პროზაიკოსს მიენიჭა:

ცირა ქიტიაშვილს, მზია ჩხეტიანს, ლიდა სტვილიას, ლალი ჯაფარაშვილს, შოთა ხოდაშნელს, ავთანდილ მეგრელიშვილს, ვანო ჩხიკვაძეს, მარიამ წიკლაურს, ზოია ვაშაკიძესა და მზია ხეთაგურს.

ჯილდო — მაყვალა მრევლიშვილის გამოსახულებიანი მედალი და ფულადი პრიზი — თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით მწერალთა კავშირმა დააარსა და ის ყოველწლიური იქნება.

ამ პრემიით ქართული საბავშვო მწრლობის კლასიკოსის, პოეტისა და მთარგმნელის, მაყვალა მრევლიშვილის სახელის უკვდავსაყოფად კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. ეს პრემია ასევე ხელს შეუწყობს საბავშვო ლიტერატურის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა” შარშან მაყვალა მრევლიშვილის 100 წლის საიუბილეოდ, ასევე დაარსა მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრიზი „კიკლი-კიკლი”. ამ პრიზით მწერლების გარდა დაჯილდოვდნენ სხვა პროფესიის ადამიანებიც, რომლებიც საბავშვო ლიტერატურის განვითარებას უწყობენ ხელს.

ფონდმა ასევე დაარსა ახალი დღესასწაული „მრევლობა” — 28 თებერვალი (მწერლის დაბადების დღე), როცა ყველა, ვინც საბავშვო მწერლობის მოამაგე და გულშემატკივარია, საქმიანი ანგარიშით წარსდგებიან ერთმანეთის წინაშე და ახალ „კიკლი-კიკლის” ლაურეატებს დაასახელებენ.

ფონდი იმედოვნებს, რომ ეს სიმბოლური პრიზიც მალე უფრო სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას მოიპოვებს.